


მაია კარანაძე

ქართული წიგნის ყდის ისტორია



თბილისი
2002

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

მაია კარანაძე

ქართული ზიგნის ყდის ისტორია

თბილისი
2002

წინამდებარე ნაშრომი ფილოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი საგულისხმო და დღემდე თითქმის შეუსწავლელი მონაკვეთის – ყდის, როგორც წიგნის ისტორიის, კელევის პირველ სერიოზულ ცდას წარმოადგენს. ნაშრომის მიზანი და მასში გაშლილი თემა უკავშირდება ზოგადად ქართული მწიგნობრობის, როგორც ერთიანი კულტურულ-ისტორიული პროცესის, განვითარების საკითხს.

ხელნაწერი და ძველნაბეჭდი წიგნის შესწავლა აერთიანებს როგორც ცალკე ყდის ტექნოლოგიის, მისი დეკორის კელევას, ასევე მთელ რიგ ისტორიულ-ფილოლოგიურ პრობლემებს, მათი ქრონოლოგიური ცვლის სურათს. მასში აირეკლება მატერიალური და სულიერი კულტურის ძირითადი მიმართულებები, გარკვეული ისტორიული რეალობისათვის დამახასიათებელი ტენდენციები.

ნაშრომში მიღებული დასკვნები ეფუძნება როგორც უძველესი წერილობითი წყაროების (პალიმფსესტური ფურცლები, ქართული მწერლობის ძეგლები, ხელნაწერ წიგნთა ანდერძ-მინაწერები), ასევე არქეოლოგიურ მასალასა და მინიატურულ მხატვრობაში დაცული ცნობების გამოწვლილით შესწავლას. 700-მდე ხელნაწერი და ძველნაბეჭდი წიგნის ყდის გვიფრების აღწერისა და სისტემატიზაციის გზით, ბიზანტიური, აღმოსავლური, ევროპული და რუსული ყდების ისტორიის გათვალისწინებით, ავტორს ჩამოყალიბებული აქვს ქართული ყდის ევოლუციასთან დაკავშირებული მყარი თეორიული საფუძვლები, გამიჯნული აქვს მნიშვნელოვანი ქრონოლოგიური ეტაპები. ნაშრომში საგანგებოდაა გამახვილებული ყურადღება წიგნის აკინძვასთან დაკავშირებულ უძველეს ქართულ ტერმინოლოგიაზე.

ავტორის მიერ შედგენილი ხელნაწერი და ძველნაბეჭდი წიგნის გვიფრების კატალოგი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს როგორც ქართული სამწიგნობრო გრაფიკის შესწავლით დანიტერესებულ პირებს, ასევე ხელოვნებათმცოდნეთა იმ წრესაც, რომელიც იკვლევს გყაის და მუშაუებისა და მისი ორნამენტული მხატვრობის, ზოგადად ქართული კულტურის ისტორიის პრობლემებს.

რედაქტორები: მიხეილ ქავთარია, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
ელენე მაჭავარიანი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

რეცენზენტები: ნესტან ჩხიკვაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
ზაზა სხირტლაძე, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი

პირთა საძიებელი შუადგინა ხელოვნებათმცოდნეობის
ინსტიტუტის თანამშრომელმა ციციანო ქოქოსაძემ

კ $\frac{4600000000}{M607(06)}$ 2002

© კარანაძე

ISBN 99928-0-261-8

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ხელნაწერი და ძეგლბაგები წიგნების ყდების შესწავლას არც თუ ისე დიდი ტრადიცია გააჩნია. ივ. ჯავახიშვილმა 1926 წელს დაწერილ მონოგრაფიულ ნაშრომში¹ სისტემურად განიხილა ქართული პალეოგრაფიის ყველა ძირითადი საკითხი; რაც შეეხება ხელნაწერი წიგნის ყდას, მის შესახებ მან ზოგადად აღნიშნა: "ვისაც ძველი ქართული ხელნაწერების ტყავის ჩაჭდული ყდები უნახავს, ის ადვილად წარმოიდგენს, თუ რამდენად განვითარებული უნდა ყოფილიყო ეს ხელობა ძველ საქართველოში. სასურველია, რომ ეს საკითხი საგანგებოდ და ვეროუნად იქნეს შესწავლილი"².

შ. კვასხვაძე ვახტანგ VI სტამბის 1709წ. გამოცემული სახარების მხოლოდ სამი ვგზემპლარის ყდაზე შეაჩერა ყურადღება³. 1955 წელს ქრ. შარაშიძე ხელნაწერი და პირველნაბეჭდი წიგნების ყდების შესახებ წერდა: "ალარ შეგწერდებით ვახტანგის სტამბის წიგნების ჩინებულ ყდებზე, რომლებიც თითქმის არ განირჩევიან ხელნაწერების ტვიფრულ, ხშირად ოქროთი ცურვილი სამკაულით დამშვენებული ყდებისაგან"⁴ (დასაბუთებულ ნაშრომში ეს საკითხი არ წარმოადგენს სპეციალური კვლევის საგანს).

ამდენად, დღემდე ქართული ხელნაწერი და ძეგლბაგები წიგნების ყდები არა თუ "ვეროუნად" და "საგანგებოდ", არამედ საერთოდ არ არის შესწავლილი. არადა ეს საკითხი მჭიდროდ უკავშირდება ჩვენს სამწიგნობრო ტრადიციას, იმ კულტურულ-ისტორიულ კონტაქტებს, რომელთა ფონზე წარმოიშვა და განვითარდა ქართული მწერლობა.

ქართული ხელნაწერი წიგნის შემქმნელთა ახლო კონტაქტები ჰქონდათ ბიზანტიურ, სომხურ, აღმოსავლურ, ევროპულ, რუსულ სამწიგნობრო კერებთან და, ბუნებრივია, იცნობდნენ ხელნაწერი წიგნების აკინძვისა და ყდაში ჩასმის მათეულ ტექნოლოგიებს, ამ პროცესისათვის საჭირო იარაღებს. ითვალისწინებდნენ რა ამ ცოდნასა და გამოცდილებას, ქართველი მწიგნობრები, ოსტატები ამავე დროს ქმნიდნენ ქართულ ხელნაწერი წიგნთა ყდების საკუთარ, ორიგინალურ ნიმუშებს.

ვიდრე უშუალოდ შეეხებები ქართული ყდის ისტორიას, მიზანშეწონილად მივიჩნით ყდების შესახებ ჩვენს ხელთ არსებულ უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა. ვფიქრობთ, საშუალებას მოგვცემს ნათლად წარმოვიდგინოთ როგორც ქართველ ოსტატთა განსწავლულობა და მათი კონტაქტები საზღვარგარეთის კულტურულ ცენტრებთან, ასევე ქართული ყდის ორიგინალური ხასიათი.

ბერძნული და ბიზანტიური ხელნაწერი წიგნების ყდები ეგვიპტური, კოპტური, ვითიპოური, სირიული, სომხური, ქართული, რუსული (კირილიცა), ევროპული, ისლამური მასალის გათვალისწინებით შესწავლა ბელგელმა მეცნიერმა ბერტ ვან რეგემორტმა.⁵ მისი აზრით, ხელნაწერი წიგნების ყდები (იგულისხმება ბიზანტიურიც) ევოლუციურად ვითარდება, თუმცა მათი დამზადების ტექნოლოგია მყარ ტრადიციას ინარჩუნებს, ვინაიდან აკინძვისა და ტყავზე ამოსატვიფრი იარაღები საუკუნეთა მანძილზე არ იცვლებოდა. როგორც ადრეული, ასევე XIV-XV სს. ყდები იდენტური იარაღებითაა შესრულებული.⁶

ავტორის მიზანია გამოიკლიოს ყდის ხელოვნებასთან დაკავშირებული თითოეული იარაღისა თუ ტექნოლოგიური პროცესის წარმომავლობა, დროისა და ადგილის გათვალისწინებით. ნაშრომში თავებადაა წარმოდგენილი წიგნის შემზადების მთლიანი პროცესი: ფურცლების რვეულებად დაკეცვა, აკინძვა, ხის დაფების მომზადება და მათი მიმაგრება აკინძული წიგნის ბლოკზე, დაფების ტილოთი დაფარვა, ფურცლების ჩამოჭრა, კაპტალის, კანტის მიმაგრება, ხის დაფების ტყავით დაფარვა, საკეტების, მეტალის ბურთულების დამატება, ყდის ზედაპირის გაფორმება (იგულისხმება ტვიფრებიც). ნაშრომს დართული აქვს ხელნაწერი წიგნების ყდების საკმაოდ მდიდარი საილუსტრაციო მასალა⁷ და ლექსიკონი, რომელიც შედგენილია პარალელურ, სინონიმურ უცხოურ მასალაზე დაყრდნობით.⁸

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათა-მკვლევება ანუ პალეოგრაფია, თბილისი, 1926.

იქვე: გვ. 75. ავტორი ნაშრომში ეხება აგრეთვე წიგნის ხელობასთან დაკავშირებულ ორ ტერმინს - "შეიშობა" და "შეიკაზმა".

² შ. კვასხვაძე, ვახტანგ VI სტამბის წიგნი, თბილისი, 1952. გვ. 19, 206-207.

³ ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში (1709-1722), თბილისი, 1955, გვ. 106.

⁴ B. van Regemorter, La reliure des manuscrits Grecs, Scriptorium, vol. 8, 1954, p. 3-23; La reliure Byzantine, Revue Belge d'Archéologie et d'Histoire de l'Art, vol. 36 (1967), Bruxelles, 1969, p. 99-142.

⁵ მისივე, La reliure Byzantine, p. 106

⁶ ბ. ვან რეგემორტის ქართული ხელნაწერების ყდების ნიმუშად იძლევიან 864 წ. სინური მრავალთავის ყდას, რომელსაც ავტორი ძეგლავს ნ. მარის სინური ხელნაწერების აღწერებიდან. (Н. Я. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, М. - Л., 1940, табл. II), იხ: La reliure Byzantine, planche x, ა. ჩვენთან დამ. I, №2.

⁸ B. van Regemorter, იქვე, გვ. 102-144, planche I-XX

რეგემორტერის ნაშრომში გამოიყოფა ბერძნული და ბიზანტიური ყდებისათვის დამახასიათებელი ნიშნები: წიგნის ფურცლების რეკულებად დაკეცვა, მათი "ჯაკუერი" შეკერვა (დამ. I, №3), ხის დაფების "ზიგზაგისებური" მიმაგრება რეკულებად აკინბულ წიგნის ბლოკზე (დამ. I, №4, დ), ხის დაფების ჩამოჭრა ხუსტად ხელნაწერის ფურცლების პირზე (დამ. I, №4, ბ, გ), გლეუი ყუა, რაც "გრეკაჟის" (grecaჟი)⁹ საშუალებით მიღება (დამ. I, №5) და სქელი ძაფებისაგან დაწნული, ჭრული კაპატალი.¹⁰

რეგემორტერი ნაშრომში ცალკე გამოიყოფს ქართული ხელნაწერების აკინბვისა და შეკერვის ტექნიკას ("Couture géorgienne"), რომელშიც კომბინირებულია წიგნის ბლოკის შეკერვა და ყდის დაფების მიმაგრება (დამ. I, №5). იგი წერს: თუკი მე შევემლი ამებსნა ხელნაწერის შეკერვის (ე.ი. შეკერვის) ეს რთული ტექნიკა, ამას იმით მივაღწეო, რომ რესტავრაციის პროცესში ენახე კერძო კოლექციაში დაცული ერთი ქართული ხელნაწერი, რომელიც პალიმფესტს წარმოადგენს. ხელნაწერის ქვედა ფენა სინიულ-პალესტინურია, ზედა კი ქართული (ნუსხური) და დაწერილია იოვანე-ზოსიმის ხელით, რომელიც სირიის მთაზე 973-986 წლებში მოღვაწეობდა. ხელნაწერი დაადგინა ინგლისელმა რესტავრატორმა როჯერ ფოუქელმა.

ბიზანტიური წიგნის შეკერვისა და ყდაში ჩასმის პროცესს მოკლედ აღწერს რუსი მეცნიერი ა. კაუდანა¹¹. მისი თქმით, რეკულებად დაკეცილი ფურცლები ერთმანეთს ეკერებოდა, შემდეგ რეკულების ზურგზე (ე.ი. ყუაზე) აწყებდნენ საკმაოდ გრძელ ნაჭერს, რომლის ბოლოებს ამარებდნენ ხის დაფების კოდებზე (გარედან) სპეციალურად ამოჭრილ ღარში. რეკულებისაგან შეკერილი ხელნაწერი რომ არ დაზარალოყო, მას კრავდნენ ტყავის თასებით ან მეტალის შესაკრავებით. ხის დაფებს ფარავდნენ ტყავით ან ნაჭრით, ზოგჯერ მოკვლავდნენ კერცხლით. ამკობდნენ ძვირფასი თილებით, სახედასხვა გამოსახულებებითა და წარწერებით.

იმ კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის გათვალისწინებით, რომელთა წიაღშიც ვითარდებოდა ქართული მწიგნობრობა, ძალზე საინტერესოდ გვესახება სომხური წიგნის ყდის განვითარების ისტორიაც. ამ საკითხს შედარებით ვრცლად შევეხებით.

სომხური წიგნის ყდის ისტორიის შესახებ ყურადღებას იქცევს ბ. არაქელიანის ნაშრომი: "ყდის მორთვის ხელოვნება შუა საუკუნეების სომხეთში".¹² ნაშრომს დართული აქვს საილუსტრაციო მასალა. ავტორის თქმით, სომხური ხელნაწერების ყდების შესწავლის შემდეგ, ნათელი გახდა, რომ ყდის მორთვის ხელოვნება მჭიდრო კავშირში იყო ქვაზე და ხეზე კეთის ხელოვნებასთან და მინიატურასთან. წიგნის აკინბვა განსაკუთრებულ ოსტატობას მოითხოვდა. სწორედ ამიტომ X საუკუნეში იგი ცალკე დარგად ჩამოყალიბდა. X-XIII სს. და შემდგომ გადაწერები ერთდროულად იყვნენ წიგნის ამკინძელებიც, დამფაფებლებიცა და მომხატველებიც კი. თუმცა ხელნაწერთა ანდერძების მიხედვით ირკვევა, რომ ცალკეული პირები მხოლოდ თავიანთი ვიწრო საქმიანობაში იყვნენ დაოსტატებული. ბ. არაქელიანი ასახელებს X-XIV სს. ყდების ცნობილ მმოსველებსა და ამკინძეულ ვარდაპეტებს.

ავტორის აზრით, უძველესი ტყავის ყდები, რომელთაც ჩვენამდე მოუღწევიათ, XII ს. თარიღდება. ისინი მოკახშულნი არიან სველ ტყაზე "ხაზოვანი" ამოტიფერის ტექნიკით. ყდის ზედაპირზე გეხვდება ორმაგი ან სამმაგი წერილხაზოვანი სწორკუთხა ჩარჩო (არჩო), რომლის დახატვისას (წნულების გასაკეთებლად) გამოყენებულია ფარგალი. წრეების საშუალებით ამოტიფერულია დაწნული თასმის მსგავსი ორნამენტჩ. ჩარჩო უფრო რელიეფური რომ გამოჩნდეს, წნული მთლიანად დაფარულია ხაზებით, ლითონის ტიფერის ტექნიკით. ზოგჯერ მმოსველები ყდის ზედაპირს მხოლოდ ამგვარი ხაზებით ფარავდნენ. იმავე

⁹ ყდის უპირველესი ფუნქცია წიგნის ფურცლების შეკერვაში მდგომარეობს. მიიშენებოდა არა აქვს პაირუსი იქნება. ეტრიატი თუ ქალაღი, შეკერვის პროცესი არის "გრეკაჟი". იმ ადგილას, სადაც უნდა გაიაროს ნებსა, ფურცელი იჭრება V ფორმაზე და კოდება პატარა ჩაღრმავება, მათი ყდება ყუაში (წინასწარ მომზადებულ ჩაღრმავებაში ანუ "გრეკაჟში"), რის გამოც ყდის ზედაპირი გლეუი ზედა და მასზე შეკერვის რელიეფური ადგილები არ შეიძწევა. ყუა ჩაიჭრებოდა ორმხრივი ადესილი, V ფორმის მკარტელით ან დაკბილული პატარა ხერხით. სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი "გრეკაჟი" (grecaჟი) გეხვდება რეგემორტერის ნაშრომში. ტერმინის დასახელებაში ნათლად ჩანს, თუ საიდან უნდა მოდიოდეს წიგნის შეკერვის ზნობთ დასახელებული ტექნიკა: იგი ბერძნული წიგნის აკინძეიდან იღებს სათავეს. ამ ტერმინის ინგლისური შესატყვისია sawing in, რაც ჩაზერხვას ნიშნავს. იხ.: B. van Regemorter, იქვე, გვ. 114-117, 141.

¹⁰ ფურცლების გასამგრებლად ყდის კოდებზე მომრეკვლავებულად დაყოლებული წნული აძნა, რომლმაც დროთა განმავლობაში წიგნის სამკაულის სახე მიიღო (დამ. I, №4, ავ).

¹¹ А. Кавдан. Книга и писатель в Византии, Москва, 1973, с. 22

¹² Б. Аракелян. Переплетное искусство в средневековой Армении, Вестник матенадарана, Ереван, 1958, № 4, с. 183-203 (სომხურ ენაზე).

ტექნიკით გამოსახადენენ ხოლმე წნულ ჯვარს, რომელიც ეყრდნობოდა სამკუთხა ან საფეხურებიან წნულ საყრდენს. ყდებზე ამოტიფურული წნული ჯვრები ძალიან ჰგავს X-XI სს. ქვაზე კეთილი წნულ ხაჩქარებს, აგრეთვე ამავე პერიოდის ხელნაწერებში დახატულ ჯვრებს. ავტორი თვლის, რომ ყდის გაფორმება წნული ჯვრითა და ოთხკუთხა ჩარჩოთი უძველესი მოტივებია, რომლებიც X-XI სს-დან გვიან შუა საუკუნეებამდე გვხვდება¹². ტყავის ყდებს აპირაობდნენ და შემდეგ ნახევრად სველ მდგომარეობაში ტიფთავდნენ. ძირითადად გამოიყენებოდა წვერწამახეილებული, მაგრამ ოდნავ ბლაგვი ხელსაწყო, სწორი ხაზების გასაღლება იყენებდნენ სახაზავს, ხოლო ხეულებსა და წრეებისათვის ფარგალს.

X-XIII სს. სომხურ ხელნაწერთა ყდებზე ჩნდება ოვალურ წრეში ჩახაზული წნული ორნამენტები. რაკლების ერთმანეთზე გადაბმით იქნება ვარსკვლავის ან ვარდის ფორმის ორნამენტი, რომელიც ცვლილებებითა და ვარიანტებით შეირდება საუკუნეთა მანძილზე.

სომხური წიგნების ყდების ზედაპირზე, წნული ტიფურული ორნამენტების გვერდით, XII-XIII სს. გამოიყენება დამლა. მოვიყვანოთ დამლა მრავალსახოვანი ხდება. ხშირია დამლური ორნამენტის გამოყენება ყდაზე თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით. დამლა ლითონისაა (უმეტესწილად ბრინჯაოსი), გააჩნია ცილინდრული ფორმა, ოთხწახანგა ან ელიფსის ჭრილის მქონე ბეჭედი, რომელიც ყალიბში ჩამოსახება. მისი ერთი ბოლო რელიეფურია. დამლის რელიეფური მხარე ყდება ტყავის ყდაზე და ჩაქუჩის დარტყმით ამოიჭრება ორნამენტი. გვხვდება ხელნაწერთა ყდები, რომლებზეც ამ ტექნიკით რვაზედ სხვადასხვა სახის ორნამენტია ამოტიფურული. ყველაზე ვაგრცოდებულია სხვადასხვა ფორმისა და სიღრმის “როზეტები” (“ვარდული”), ერთმანეთში ჩახლართული ელიფსის, რომბის, წრეწირის, ვარსკვლავისა და მცენარეული აქცენტები. ცალკეულ შემთხვევებში ყდების ზედაპირზე ერთდროულად იყენებდნენ სხვადასხვა ფორმის დამლებს, რაც ყდებს მრავალსახოვანს ხდიდა. XIV-XV სს. ჩნდება ახალი სტილის ხაზოვანი გაფორმება-შეცვლილი სახის დამლური ორნამენტები, რაც უფრო გამოიკვეთა XVI-XVII სს.

XVIII ს. II ნახ. ჩნდება წნეხის საშუალებით ამოტიფურული ორნამენტები, რომლებიც გამოიყენება ყდის ცენტრში ოვალური ან წრიული ფორმით, ზოგჯერ მთლიანად მთელ ყდაზე. ზოგჯერ ყდებს რთავენ სტილიზებული ორნამენტით. XVIII ს. ჩამოყალიბდა ყდის შემკულობის ნორ-ჯულასათვის დამახასიათებელი სტილი. მისი საუკეთესო წარმომადგენელია ჯულაელი აზარია. ჯულას ხელნაწერებისათვის დამახასიათებელია მცენარეული ორნამენტის გამოყენება და ყდაზე ამოტიფურული წარწერა, რისთვისაც (ე.ი. ასოების ამოსატყიფური) გამოიყენება თითო, დამოუკიდებელი დამლა.

კონსტანტინოპოლში გადასვლილი სომხური ხელნაწერების ყდები განსხვავდება საკუთრივ სომხეთში შექმნილი წიგნების ყდებისაგან. ჩნდება წნეხის წესით შესრულებული ჩარჩოები. კონსტანტინოპოლის ხელნაწერთა ყდები მორთულია ევროპული აღორბინებისათვის დამახასიათებელი მცენარეული აქცენტებით და არაჩაირი კავშირი არა აქვს სომხური წიგნის ყდის გაფორმებასთან.

ბარაქლიანი ნაშრომში ზოგადად ეხება წიგნის აკინძვისა და შეკერვის პროცესებს. მისი აზრით, ხელნაწერის რვეულებად აკინძვის შემდეგ, ძაფებს დაწნადნენ და კვანძებით კრავდნენ ყდაზე დამაგრებულ სქელ ძაფებთან. ამ ძაფებს, უფრო სწორად ითვს, გაატარებდნენ ხის დაფებზე დატოვებულ ნაპარალებში და მას მტკიცედ ამაგრებდნენ. შეკერილი ძაფის ორ წვერს ჩაწნადნენ წიგნის ზურგზე ორივე მხარეს მდებარე სქელ ძაფებთან, თავისუფლად დარჩენილ ბოლოებს დამაგრებდნენ ყდის ზურგზე ისე მაგრად, რომ ყდის ფრთები საუკუნეების მანძილზე არ მოშორებოდა რვეულებად აკინძულ წიგნის ბლოკს.

ხელნაწერი წიგნების ყდების დთარიღების რუსული სისტემა ძირითადად პ.სიმონისა და ს. კლეპიკოვის გამოკვლევებშია ჩამოყალიბებული¹⁴. ს. კლეპიკოვის აზრით, ამოტიფურული ტყავის ყდები რუსეთში XIV ს. ჩნდება. იგი ხელნაწერი წიგნის ყდის განვითარების ხელოვნებაში ოთხ ძირითად ეტაპს გამოყოფს¹⁵. ამავე

¹² X ს. ქართულ ხელნაწერებში ხშირად შეგვხვდარი წნული ორნამენტისაგან შედგენილი ჯვრები.

¹⁴ Л. К. Симонин, Опыт сборника сведений по истории и технике книгопереплетного искусства на Руси, преимущественно в допетровское время, с. XI по XVIII столетие включительно. Текст, материалы, снимки, СПб., 1903; К истории обихода книгописца, переплетчика и иконного писца. Памятники древней письменности и искусства, Вып. 161, СПб., 1906; Собрание изображений окладов на русских богослужебных книгах XII-XVIII столетий, Вып. I, Древнейшие церковные оклады XII-XIV веков. СПб., 1910; Клепиков С. А., Из истории русского художественного переплета, Сборник “Книга”. Исследования и материалы, вып. I. Москва, 1959, с. 98-166; Орнаментальные украшения переплетов конца XV – первой половины XVII веков в рукописях Троице-Сергиева монастыря, “Записки Отдела рукописей”. Библиотечки им. В. И. Ленина, Вып. 22, Москва, 1960; Описание древних русских обиходных переплетов, в кн.: Методические рекомендации по описанию славяно-русских рукописей для Сводного каталога рукописей, хранящихся в СССР, Вып. 2, ч. I, Москва, 1976, с. 51-77.

¹⁵ С. А. Клепиков, Описание, 1976, с. 55.

სისტემით ხელმძღვანელობდა თავდაპირველად ე. შვარცი, რომელმაც შეისწავლა წმინდა სოფის მონასტრის ხელნაწერთა ყდები¹⁶, მაგრამ მოგვიანებით, როგორც ჩანს, ე. შვარცი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ რუსული ხელნაწერი წიგნების პირველი ამოტიფორული ყდები ბევრად ადრეული ხანიდან, კერძოდ, XII-XIII სს. წნდება¹⁷. იგი წერს: "Между тем искусство оформления кодексов пришло на Русь вместе с письменностью из Византии. Чтобы проследить пути его развития в отношении тисненого переплета, необходимо учесть греческие и южно-славянские рукописи.... Византийское влияние заметно и на переплетах южно-славянских рукописей"¹⁸.

იგივე აზრია გამოთქმული ბეჭდვითი სიტყვის სტუდენტებისათვის ავტორთა კოლექტივის მიერ გამოცემულ წიგნში, რომელიც განიხილავს საამკინძაო პროცესების ტექნოლოგიას¹⁹. მათი ვარაუდით, ერთნატივ ზღაწივითი უძველესი რუსული ხელნაწერების, კერძოდ "Остромирово Евангелие" (1056-1057) და "Изборник Святослава" (1073) შესრულება, მხატვრული გაფორმება ცხადყოფს, რომ ამ ძეგლებს წინ გარკვეული ტრადიცია უძღვოდა.

ამავე წიგნში საუბარია ხელნაწერისა და ნაბეჭდი წიგნების ყდების ურთიერთმომართების შესახებ. წიგნის ბეჭდვას არსებითი ცვლილებები არ შეუტანია წიგნის აკინძვისა და შემოსვის საქმეში, რაზედაც მეტყველებს ივანე ფოლოროვის მიერ დაბეჭდილი "სამოციქულო". იგი ზუსტად იხევეა აკინძული, ტყავის ყდში ჩასმული და გაფორმებული (ოქროტიფორული), როგორც ხელნაწერი წიგნის ყდები.

XVI-XVIII სს. მიჯნაზე რუსეთში წიგნის ტირაჟმა მოიმატა. მოსკოვში სპეციალური სახელისნობეც გაჩნდა, სადაც მხოლოდ აკინძვისა და შემოსვის სამუშაოებს ასრულებდნენ. გამოდის წიგნის აკინძვისა და შეკერვის პირველი დაბეჭდილი სახელმძღვანელო "Подлинник о Книжном переплете". პეტრე I-ის მეფობის დროს რუსეთში ბეჭდვის საქმე და წიგნის შემზადების არსებული ტექნიკა კიდევ უფრო ამაღლდა. ავტორთა აზრით, პეტრეს დროინდელი ესა თუ ის პროცესი ღვსაც იქცევა ყურადღებას²⁰.

ხელნაწერს "Подлинник о Книжном переплете" ს. კლემიკოვი XVI-XVIII სს. ათარიღებს²¹, პ. სიმონი კი XVII-XVIII სს. გადაწერილად მიიჩნევს. რაც შეეხება თვით ძეგლს, მისი აზრით, ის შექმნილი უნდა იყოს XVII საუკუნეში და შესაძლებელია უფრო ადრეც²². პ. სიმონი აქვეყნებს ტექსტებს: "Подлинник о Книжном переплете" და "Устав книжного переплета"²³. რუსული პოლიოგრაფიის სახელმძღვანელოების ავტორები ხელნაწერების ყდების შესახებ მხოლოდ ზედაპირულ ინფორმაციას იძლევიან (ე. შერეკინთან, ნ. ჩავეთან, ლ. ჩერეპინთან, მ. ტიხომიროვთან და სხვებთან ამ საკითხს თითო თავი ეთმობა).

"უნივერსალურ ენციკლოპედიაში" ფრანგი მკვლევარი ფ. გინარი წიგნის ყდის ისტორიას ზოგადად წარმოადგენს. ავტორი ძირითადად ყურადღებას ევროპული წიგნის ყდის მხატვრულ გაფორმებაზე ამახილებს. ნაშრომი დაყოფილია თავებად: გარეკანი, ტექნიკა, პირველი ყდები, შუა საუკუნეები, სტამბის შექმნის შემდეგ, რენესანსი და მოოქროვილი დეკორიანი გარეკანი, კლასიციზმი, XVIII ს., XIX ს., თანამედროვე ყდები²⁴.

ავტორის აზრით, ყდის ისტორიაზე საუბარი უნდა დავიწყოთ იმ დროიდან, საიდანაც წიგნი ყალიბდება როგორც რვეულებისაგან შემდგარი კრებული. ყველაზე ძველი ყდინი წიგნი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, აღმოჩენილია პერკულანეში (I ს. ჩ. წ. აღ.). მისი შემადგენელი ზის დავუბი შეკრულია ორი ზონრით (ერთი ზემოდან, მეორე ქვემოდან). ადრინავე დაინტერესდნენ ყდის ზედაპირის მორთვით. პირველი ქრისტიანებიც აფორმებდნენ ხელნაწერი წიგნების ყდებს. წმ. იერონიმე (IV ს. II ნახ.) გამოვიდა მოჭვდილი ყდინი წიგნების წინააღმდეგ მაშინ, როდესაც კასიოდორემ (V-VI სს.) სამხრეთ იტალიაში გადაწმურთათვის შეადგინა გარეკანის (ყდის) დეკორის კრებული. ევკატემე I-II საუკუნეებიდან კობტი ხელნაწერ წიგნებს აკრავდნენ ამაღამით²⁵ დაფარულ ჰაპირუსის ფორფიტებს, რომლებსაც ამკობდნენ ხან გეომეტრიული

¹⁶ Е. М. Шварц, Переплеты XV в. Софийско-Новгородской библиотеки, вид., Ленинград, 1981, XII, с. 242-252.

¹⁷ Е. М. Шварц, О Византийском влиянии на русский переплет, вид., Ленинград, 1991 г. XXIII, с. 171-174.

¹⁸ Е. М., Шварц, *იქვე*, გვ. 174-175.

¹⁹ Д. В. Воробьев, Н. И. Дмитриева, А. И. Дубасов, И. А. Жуков, С. Н. Козлов, *Технология брошюровоочно-переплетных процессов*, Москва, 1971.

²⁰ *Технология*, с. 21-24

²¹ С. А. Клепиков, *Описание*, с. 52

²² П. К. Симони, *Опыт сборника*, с. 37.

²³ П. К. Симони, *Опыт сборника*, с. 3-99.

²⁴ J. Guignard, *Reliure, Encyclopaedia universalis*, vol. 14, 1975, Paris, p. 43.-48.

²⁵ ამაღამა - ვერცხლისწყლისა და ლითონის შენადნობი.

ფიგურებით, ხან თხევადი ოქროთი ტიფირადნენ, ზოგჯერ ყდებზე მოციქულთა სახეებსაც გამოსახავდნენ. რომაული და აღმოსავლური ყდები სანიშნუში იყო მთელ ვერაპაში²⁶.

ყოველდღიურად გამოსაყენებელი წიგნების ყდებზე აკრავდნენ ტყავს. წმ. გუთბერდის სახარების (VIII.) ყდის დეკორი განიცდის კოტურნი წიგნის ყდის გაფორმების გავლენას. იგივე ორნამენტები შეიმჩნევა ორ ხელნაწერზე, რომლებიც უფ. ბონიფაციუსს (+755 წ.) ეკუთვნოდა, მაგრამ ამჯერად ტყავი დაჭრილია და შემკულია მკირე ზომის მეტალებით.

ჟ. გინარის აზრით, ნაწიბურზე კერვის ტექნიკით შეიძლება დადგინდეს კაროლინგების²⁷ პერიოდის ყდები (VIII-IX სს.). სქელი ხის დაფები, უხეში ტყავით, რომლებსაც თავდაპირველად ედებოდნენ, ძირითადად მოუხატავი დარჩა. ზოგჯერ შემოსული ცივად ამოტიფირის მეთოდით ყდებზე გამოსახავდა ბადეს, ჯვრებს, ღიაგონალებს, რომლებსაც ახლდათ პალმის ტოტების მაგარი გამოსახულებები და წწელი ხაზები.

კაროლინგების იმპერიის დაშლისა და მის მიერ გამოწვეულ ხელოვნების დეკადენსის შემდეგ (IX ს. შუა წლები) აღარ გვხვდება შემკული ტყავის ყდები. XIII ს. კვლავ დაიწყო ყდების გაფორმება, რომლის ცენტრსაც პარიზი წარმოადგენს. პარიზში მუშაობდნენ საერო მწიგნობარები და გადაძწერები, რომლებიც ყდების გასაკეთებლად იყენებდნენ ყავისფრად შეღებულ ხბოსა და ცხერის ტყავებს. ამ წიგნებს უმზადებდნენ ანრი IV-ს (1121-1175 წწ.). ეს ყდები განსხვავდებოდა კაროლინგების ყდებისაგან. მათი დეკორი გადაწყვეტილია რომაულ (წმინდანთა გამოსახულებები, მოციქულები, ფანტასტიკური ურჩხულები) და აღმოსავლურ (წწულები და დასწარული ხაზები) სტილში. XIII ს-დან მოყოლებული ყდებზე დეკორი სრულდებოდა მკირე ზომის კვადრატული ტიფირებით, რაც გრძელდებოდა XV საუკუნემდე. XIV ს. გერმანიაში, ნიდერლანდებსა და ინგლისში წიგნების ყდების ზედაპირზე ამოტიფირული ბადეები ერთმანეთს კეთენ ღიაგონალებად, ქმნიან უჯრედებს, რომლებშიც გამოსახულია პატარა ზომის ტიფირები. გერმანულ ყდებზე იყენებდნენ ვრცელ მოტივებსაც. მაგ: პერალდიკულ სიუჟეტებს, ცხოველთა გამოსახულებას. ტიფირები მთლიანად მოიცავდნენ ყდის ზედაპირს²⁸.

1460-1470წწ. ევროპის დიდ ქალაქებში გაჩნდა სტამბა. ხელნაწერი წიგნი შეცვალა დაბეჭდილმა წიგნმა, რომელიც უკეთ გამოსაყენებელი და იაფი იყო (ხელნაწერ წიგნებს მონასტრების ბიბლიოთეკის თაროებზე ამავრებდნენ, აბამდნენ თოკებით, რადგან ისინი მონასტრების ან კერძო პირების საკუთრებას წარმოადგენდნენ და არა მთელი მრევლისა). ამ დროისათვის წიგნებს ჰქონდათ სქელი ხის გარეკანი, კუთხეებში კი მეტალის ფირფიტები. მაგრამ თანდათანობით წიგნის ხის დაფები შეცვალა ამაღამირებულმა მუყაომ. ზოგ წიგნს რბილი ყდაც აქვს. ყველაზე მეტად წიგნების ყდებზე გამოიყენება ყავისფერი ან წითელი ტყავი. ადრინავე იცნობდნენ ტარსიკონს (მარაკენი). ესპანეთში, იტალიასა და გერმანიაში თეთრი ღორის ტყავს ამჯობინებდნენ. დროთა ვითარებაში მასალა იცვლებოდა. შემოსულებს აქვთ ტრადიციული ტიფირები, მაგრამ ცნობილი მოტივების გვერდით ჩნდება პერალდიკული სიუჟეტი და დიდი მოყვანილობის, საბატოს საკუთრების აღმნიშვნელი ნიშნები (ტეაფრების სახით). ზოგჯერ ამ ტიფირებს თავად წიგნის შემკავშველის სახელიც აწერია.

წიგნების რაოდენობის ზრდასთან ერთად მათი "შეკავშვის" ანუ აკინძვის ტექნოლოგიაც განვითარდა. ნიდერლანდებში XIII ს-დან იყენებდნენ გრავირებულ ფირფიტებს, რომლებზეც გამოსახული იყო ან ბიბლიური სცენები ან სახელოვნოს ნიშანი, რაც საშუალებას იძლეოდა ყდის ზედაპირი ერთიანად, მთლიანად დაფარათ (თუ წიგნი დიდი ფორმატის იყო ერთმანეთს გვერდ-გვერდ მიუდებდნენ 2 ან 4 ფირფიტას). 1530 წლიდან ამ ტიპის ყდები გაცილებით იშვიათია და ძირითადად გვხვდება გერმანიაში. ფირფიტებთან ერთად ყდის შემკავშველი იყენებს მრგვალ (დისკოს მაგვარ) ტიფირებს, რომლებსაც გააჩნიათ სახელური. მისი საშუალებით წიგნების ყდებზე ტიფირავდნენ ბადეებს. თუ ყდა ცოტა დიდი ზომის იყო, მასზე შეიძლებოდა ამოტიფირათ ორნამენტები და ხელოსნის სახელწოდებაც.

განსხვავებული სახე ჰქონდა მამხადაიანურ სამყაროში შექმნილ ხელნაწერ წიგნებს. აქ უპირატესობა ენიჭებოდა ღია ფერის მოოქროვილი, ლაკირებული ყდების დამზადებას. XV ს. იტალიაში, განსაკუთრებით კი ფლორენცია და ბოლონიაში, ზოგ "ცივად" ესტამპირებულ ყდაზე იყენებდნენ ხელით შეფერადებულ პატარა დისკოებს. XV ს. ბოლო წლებში ეს ტექნიკა უფრო ვითარდება ნეაპოლსა და ვენეციაში. წიგნის გარეკანი აღმოსავლურ ყდას ემსგავსება, რომელზეც გამოიყენებოდა ოქროს ვარაყი. ამ სტილს ბაძვენ

²⁶ Encyclopaedia universalis, p. 44

²⁷ სამეფო და იმპერატორთა დინასტია ფრანკთა სახელმწიფოში (VIII-X).

²⁸ Encyclopaedia universalis, p. 44

საფრანგეთში, ინგლისში, ნიდერლანდებში, შვეიცარიასა და გერმანიაში, ტეიფრადენენ იტალიური მოდელის ასლებს. დეკორისათვის ხშირად გამოიყენებოდა დახრილი წერილი ხაზები. მათი განლაგება ყდების ზედაპირზე მოგვაგონებს იტალიური წიგნის გარეკანს (თუ ადრე ეს დეკორი აესებდა ყდის მთლიან ზედაპირს, ახლა ტყავის ზედაპირი თავისუფალია და მასზე ელემენტურადაა დატანილი წერილობრივი ელემენტები). ყდების უძრავი სფეროა შუაგული წარწერებს და სხვადასხვა სახის დეკორს.

XVII. 40-იან წლებში საფრანგეთში არსებობს სპეციალური სახელოსნოები, სადაც იქმნება წიგნის ყდების შედეკები. ამ დროს საფრანგეთში მოღვაწეობს ეტიენ სოფლე კლონ დე პიკო. იყო შემთხვევები, როდესაც უცხო ქვეყნის წიგნის მოყვარულები საფრანგეთში უკვეთავდნენ თავიანთ წიგნებისათვის ყდებს (მაგ: ინგლისელი თომს კოტინი). პარიზულ ეგზემპლარებს მთელ ევროპაში ბაძავდნენ (ინგლისში ამას აკეთებს თომას ბერტერი). იტალიაში ვხვდებით ორიგინალურ სიახლეს: ყდის ცენტრში ჩნდება ოვალური მელალონი, რომელზეც გამოხატულია ეტლში მჯდომი აპოლონი.

“ფანფარულ”²⁹ ყდას, რომელიც შემკული იყო მელალონივითა და ყვავილოვანი ელემენტებით, ბაძავდნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. მხატვრულად გაფორმებული ყდები ხშირად ოქროთი მოვარაყებული. თავისი შემკულობითა და სინატიფით გამოირჩევა ჟოფრა ტორის ყდები³⁰.

კლასიციზმის პერიოდში ყელაზე უფრო გავრცელებული იყო ხბოს ტყავისგან გაკეთებული ამოუტიფრავი ყდები. ტყავი გადაკრულია ხის დაფებზე, გაფორმებულია მხოლოდ ყუა. ბიერფასი წიგნების ყდები გაკეთებულია ტრასიკონით. ძირითადად გვხვდება წითელი ფერის, ზოგჯერ ზეთის ხილის ფერის ტრასიკონით შემოსილი ყდები. ფრანგული წიგნების ყდების მორთულობა ლუი XIII მეფობამდე (1601-1643) მდიდრული იყო. ჩნდება კლასიკური, უფრო მკაცრი ფორმები (მაგ: სამეფო წიგნების შმოსვლის კლოვის ევეს ყდები გაფორმებულია ერთი ან ორი სახის ტიფით). რასაკვირველია, კლასიციზმის პერიოდში იყენებდნენ სხვადასხვა სახის ტიფებს, მაგრამ უფრო შეზღუდულად.

ინგლისში კარლ II (1660 წ.) მეფობის შემდეგ წიგნის ყდამ ჭეშმარიტად ორიგინალური სახე მიიღო. ახალი დეკორი სპარსული ხალიჩითაა შთაბრუნებული, ტეფური მართკუთხედის ფორმისაა. უმეტესობა ევროპული ტიფებისა იმეორებს ფრანგულ მოდელს. ფრანგული გავლენა განსაკუთრებით შიშინევა ნიდერლანდური წიგნების ყდებზე.

XVIII საუკუნეც გრავიურული ხელოვნების აყვავების ეპოქაა (მსგავსად XVI ს-ის) და ამ პერიოდში ისევე, როგორც ტიპოგრაფიამ და ილუსტრაციამ, ყდის ხელოვნებამაც უმაღლეს განვითარებას მიადწია. იგი ძალზე დახვეწილია. ყდებზე გადაკრულია: წითლად, მწვანედ, ცისფრად, ყვითლად შეღებილი ტრასიკონის ტყავები, ღია ფერის ხბოს ტყავი-ქერცლისებური, გრანიტისებური. ხშირად ბიერფასი წიგნების ყდების საცაი ფურცლების (ფორზაკების) ნაცვლად გამოყენებულია ვარდისფერი ან ცისფერი აბრეშუმის ქსოვილები, ღია ფერის, ოქროთი მონატული ქაღალდი, რომელიც შემკულია სხვადასხვაგვარი ხილისა და ყვავილოვანი აქენტების გამოსახულებებით. ყდების ზედაპირზე გამოყენებული ტიფები დახვეწილია. ამ დროისათვის “მოზაიკური” ყდები გაცილებით ხშირად გვხვდება, ვიდრე გასულ საუკუნეში. ისინი საფრანგეთში XVIII ს. დასაწყისიდან ჩნდება. მოქოროვილი ყდები (“მოზაიკის” გარეშე) შედარებით სადადაა გაფორმებული: ყდის ცენტრში ამოტიფრულია გერბი, რომელსაც ახლავს წერილი ტიფურებისაგან შედგენილი მართკუთხედის ფორმის ჩარჩო. ლუდოვიკო XV მეფობის დასაწყისში წიგნის ყდის ეს დეკორი კიდევ უფრო იხვეწება – მრავალსაზოვანი, წერილი, ლამაზი და ნატიფი ტიფურები განლაგებულია წიგნის გარეკანზე. გაჩნდა ყდების გაფორმების “მაქანისებური” სტილი, რომელიც ვრცელდება უცხოეთში – იტალიასა და გერმანიაში, მაგრამ ფრანგულ ყდებთან შედარებით, ისინი ნაკლებად ელემენტურია.

XIX ს. საფრანგეთში ანტიკურობის მიზანით ჩამოყალიბდა მხატვრული სტილი “ამპირი”, რომელიც ძირითადად ფონტენისა და პერსიეს ხელოვნებაში აისახა. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს წიგნის ყდის მკაზმელების: მძები ბოზერინების, ბრადელის, კურტეველისა და სხვათა ნამუშევრები. ნაპოლეონის გამარჯვებებმა განაპირობა ის ფაქტი, რომ უცხოელები, განსაკუთრებით კი იტალიელები, ბაძავდნენ ამ სტილს, მაგრამ მათი ყდები ორიგინალურ სახეს იღებს – შემკულია დახრილი ბადებით. ტყავზე ამოტიფრული ხაზები ნაკლებად მოგვაგონებს XIX ს. I ნახ. დაიწვეს გაფორმებული მუყაოს ყდების დამუშავება.³¹

²⁹ სახეიშო, სადღესასწაულო.

³⁰ Encyclopaedia universalis, p. 44 – 47.

³¹ Encyclopaedia universalis, p. 47.

ევროპული წიგნების ყდების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის აგრეთვე ლ. კისლევეას ნაშრომი³². მისი თქმით, I-II საუკუნეებში გრაფილი შეცვალა რეკლებად აკინძულმა, ყდაში ჩასმულმა წიგნმა. რეკლების აკინძვისას ყურადღება ექცეოდა ეტრატის ფურცლების განლაგებას ისე, რომ გაშლილი წიგნის ეტრატის ფურცლები ერთნაირი ხარისხის კოფილიყო (ე.ი. ტყავის ბეწვიანი მხარე ბეწვიანის საპირისპიროდ, ხორციანი კი ხორციანის საპირისპიროდ). საინტერესოა, თუ როგორ იწერებოდა ხელნაწერი წიგნი? ეს კითხვები შედინერთა წინამუ დღისა მაშინ, როდესაც პალეოგრაფმა შარლ სამარინმა აღმოაჩინა XV ს. ხელნაწერი, რომელიც დანერგილი იყო გაუჭრელ რეკლებზე და აგრეთვე ნაბეჭდი ტექსტი, რომელიც გაშაღებული იყო ტირაფის გასამრავლებლად. ხელნაწერი და ნაბეჭდი ტექსტის განლაგება რეკულის გვერდებზე ზუსტად ემთხვეოდა ერთმანეთს. გადაწერები იყენებდნენ “კაბალონის დაშვების”³³ (Спуск понос) წესს. ფრანგი მეცნიერი დიდ ყურადღებას აქცევდა იმ ფრაგმენტების შესწავლას, რომლებიც გამოყენებული იყო წიგნის ყუასა და ყდაში.³⁴

ხელნაწერი წიგნები, რომლებსაც შეისწავლის ლ. კისლევეა, გადაწერილია XIV-XV სს. მისი აზრით, აქედან მოყოლებული წიგნმა სახე იცვალა. ყოველი რეკულის ბოლოს აღნიშნული იყო მომდევნო რეკულის დასაწყისი სიტყვა³⁵, რაც იმთვის იყო საჭირო, რომ ხელნაწერი ფურცლების წიგნად აკინძვისას რეკულების თანმიმდევრობა არ არეოდათ. როგორც ავტორი აღნიშნავს, ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ “რეკლამა” არ აღინიშნებოდა წიგნის თითოეულ გვერდზე³⁶. წიგნები სერიულად გამოდიოდა. იყენებდნენ კაბალონის დაშვების მეთოდს. წიგნები იწერებოდა რეკულებად. თითოეული გადაწერი წერდა 200 ან 400 რეკულს. მათ წინ ებოთ სპეციალურად გამაზღებული რეკულის ნიმუში. ავტორი ნაშრომში განიხილავს ფურცლების რეკულებად დაკეცივი ტექნიკას³⁷.

ლ. კისლევეა დასახელებულ ნაშრომში შეისწავლის ყდას და ფორზაცს (ყდის საცავი ფურცელი), როგორც ხელნაწერის კოდიკოლოგიური კვლევის ერთ-ერთ მეთოდს. აღნიშნული წიგნის ქვეთავა: “Переplet как источник информации о книге”³⁸. ავტორი ზოგადად განიხილავს ევროპული წიგნების ყდების მხატვრულ თავისებურებებსა და მასალას, რისგანაც მზადდება ყდები. მისი აზრით, მონასტრებში, განსაკუთრებით ადრეულ პერიოდში, გადაწერები წიგნებს თავად უკეთებდნენ ყდებს, დროთა განმავლობაში კი გაჩნდნენ პროფესიონალი მმოსველები, რომელთა ხელთა თანდათან ხელთეობდა იქცა. მისი თქმით, ევროპის სტამბებში ყდების გასაკეთებლად იწყებდნენ ხელნაწერი წიგნების მკაზმველებს. სტამბებში ყველა ძველნაბეჭდ წიგნს ყდა არ უკეთდებოდა, რაღაც ნაწილი უყვოდაც იყიდებოდა. წიგნის მფლობელი ყდას თავისი გემოვნებისა და შესაძლებლობის მიხედვით უკეთავდა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ევროპის სტამბებში ყდებს ისევ ხელნაწერი წიგნის მკაზმველები აკეთებდნენ.

ავტორის აზრით, VI ს. დაიწყო რეკულების შეკერვა ერთი ნემსით (ე. ი. ერთი მთლიანი ძაფით), VIII ს. კი ევეპტიდან ევროპაში შემოიტანეს ორი დამოუკიდებელი ნემსით (ძაფით) აკინძვის მეთოდი. XIV ს. ყდების შეკერვის ტექნიკა თანდათან დაიხვეწა. რეკულების ასაკინძად (ზონრის ნაცვლად) იყენებდნენ ტყავის წერილ თასმებს, ბოლოებს კი უყრიდნენ ხის დაფების ნახერებებში და ამავგებდნენ. XIV ს. ხის დაფები გადმოიღის (I-1,5 სმ) და ფარავს რეკულებად აკინძულ ხელნაწერის ფურცლებს, რაც დაზინებისაგან იცავს წიგნს. ევროპული წიგნის ყუა XIV ს.-მდე გლეუია, XIV ს. კი რელიეფური, რადგან ტყავს ყუაზე ისე აწებებდნენ, რომ შეკერვის ადგილები გამოკვეთილად გამოჩენილიყო.

XIV-XV სს. ევროპული წიგნების ტყავის ყდები ხშირ შემთხვევაში ამოტიფურულია. გამოყენებულია

³² Л. И. Киселева, Западно-европейская книга XIV-XV вв., Ленинград, 1985

³³ “Спуск понос в типографском деле называется расстановка понос книжного, журнального или газетного листа в таком порядке чтобы после отпечатания листа с двух сторон разрежи его (если она производится) и фальцовки получалась тетрадь с правильно следующими одна за другой страницами...” см. в кн.: Полнграфический словарь, составитель О. Я. Басин, Москва, 1964, с. 303.

³⁴ შარლ სამარინის აღმოჩენილ მასალაზე ცნობებს გვაჭვდის ლ. კისლევეას ნაშრომი. იხ.: Л. И. Киселева, დასახ. წიგნი, გვ. 22.

³⁵ “Реклама”- Типографическое название подстрочных примечаний. см. в кн.: Полнграфический словарь, с. 273.

³⁶ XVIII ს. გადაწერილი ქართული ხელნაწერების (მაგრამ არა მასობრივი) აღნიშნულია მომდევნო ფურცლის (უფრო სწორედ გვერდის ანაბეჭდის) დასაწყისი სიტყვის სამი ასო, რასაც “კუსტოსი” ეწოდება. ჩვენი აზრით, ქართული წიგნები გადაწერაზე, აკინძვაზე იჭრებოდა, გადაწერი (გველისძობით მბეჭდავსაც) არ იყენებდა “კაბალონის დაშვების” წესს.

³⁷ Л. И. Киселева, დასახ. წიგნი, გვ. 13-32

³⁸ Л. И. Киселева, დასახ. წიგნი, გვ. 67.

გართულებული ორნამენტის სახე. განსხვავებით წინა საუკუნეების ამოტიფრული ყდებისაგან. ძირითადად ყდებზე გამოყენებულია: გეომეტრიული, ფოთლოვან-ყვავილოვანი, მცენარეული აქცენტები, ადამიანთა გამოსახულებები და ინიციალები³⁹.

აღმოსავლური ზელნაწერი წიგნების ყდები შეისწავლა ა. კაზიევმა⁴⁰. ნაშრომში ამომწურავადაა განხილული შუა საუკუნეებში შექმნილი აღმოსავლური ზელნაწერების მხატვრულად გაფორმების ტექნიკური მეთოდები. ავტორს დამატების სახით მოაქვს ყველა ის წესი, რომელზედაც წიგნის გასაფორმებლად იყენებდნენ XII-XIX სს. აზერბაიჯანსა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. საკმაოდ ერცულად და საფუძვლიანადაა აღწერილი ტყავის თევის მომზადების, ტყავზე ოქროს დაღების, ათასნაირი წებობებისა და ლაქების მომზადების წესები.

ავტორის აზრით, "სახაყები" აკეთებდნენ წიგნების ყდებს (ე. ი. კინძავენენ, ყდში სეამდენ და აფორმებდნენ).

აღმოსავლურ ზელნაწერ წიგნს, განსხვავებით სხვა ქვეყნის წიგნებისაგან, გააჩნია სარკველი, რომელიც მაგრდება ყდის ქვედა ფრთაზე. ყდის ზედაპირზე ღრმა ტიფრის დაღება სრულდებოდა ცივად ამოტიფრის მეთოდით. სანამ დაიწყებდნენ მუყაოს ან ტყავის ყდებზე ტიფრას, მანამდე ყდის ზედაპირს ფარავდნენ მცენარეული წებოთი, რომელიც ტყავს არბილებდა და აიოლებდა ამოტიფრის პროცესს.⁴¹ დასახელებული ნაშრომიდან მოიგნებთ აღმოსავლური წიგნის ყდის გაფორმების ერთ წესს, რომელიც ტექნიკურად ასე სრულდება: ტყავის ყდას წინასწარ უსვამდნენ შაბის. მინარევიან კვერცხის ცილას და შემდგომ მის ზედაპირს ფარავდნენ ფურცლოვანი ბაჯაღლო ოქროთი, ზევიდან ადებდნენ განსაზღვრული ნახატის მქონე საშტამპაე დაფას, ხოლო შემდგომ-მარმარილოს სქელ ფილას. ყველაფერ ამას ერთად გადაატრიალებდნენ და მოკლე ტარიან თუჯის ჩაქუჩს ძლიერად ურტყამდნენ. ბოლოს დარბილებული (ნოტოი) ტყავის ყდაზე გამოისახებოდა "ღრმა" ტიფრის მეთოდით შესრულებული ორნამენტები.

აფორმებდნენ აგრეთვე აღმოსავლური ყდის შიდა (უკანა) მხარესაც, რომელზედაც ამოჭრიდნენ უწერილეს, ფაქიზ ორნამენტებს ან აწებებდნენ სხვადასხვა ფერის თხელ მუყაოს. აკეთებდნენ ტყავის პოლიკრომობედ და ინკრუსტირებულ ყდებს. XVII ს. დაიწვეს ზელნაწერი წიგნების ყდების გაფორმება ლაქის მემევიბით, რომელთაც უწოდებდნენ "ლაქის" ყდებს. ამ ყდებსაც მუყაოსაგან ამზადებდნენ⁴².

³⁹ იქვე, გვ. 67-77.

⁴⁰ А. Ю., Казиев, Художественно-технические материалы и терминология средневековой книжной живописи, каллиграфии и переплетного искусства. Баку, 1966.

⁴¹ ზეპირი გადმოცემით ცნობილია, რომ საქართველოში ტყავის დასარბილებლად (მოსათრიბლავად) იყენებდნენ თრიბლის ქერქს. თავად ამ პროცესს კი "თრიბლვას" ან "მოთრიბლვას" უწოდებდნენ.

თრიბლი (Cotinus) – Желтинник, кожевенное дерево, венещанский сумач. ფშვე-ზევის.: თრემლი; ქიზიყ.: ნარიჩეის ხე; ინგ.: სარადან; ქვ. რაჭ.: კაპარი. იხ. ბოტანიკის ლექსიკონი, შებ. ა. მაყაშვილი, თბილისი, 1949, გვ. 19.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ალექსანოვის ქარხანაში ტყავის თრიბლვა (დარბილება, გამოყვანა) ხდებოდა მუხის ქერქით. იხ. ნ. როდონაია, თბილისის მრეწველობა მეცხრამეტე საუკუნის შორეულ ნახევარში (რეფორმის შემდგომი ხანა), თბილისი, 1961, გვ. 8.

⁴² А. Ю. Казиев, დასახ. წიგნი, გვ. 74-77.

ქართული ხელნაწერი წიგნის ყვის გაშორება
(იოანან-მოსიმა - ხელნაწერთა მმოსავლი)

ქართული ხელნაწერი წიგნის ყვის ისტორიას მიყვება ჩვენი მწიგნობრობის სათავეებთან. ქართული მწერლობის მდიდარი ტრადიცია გვაფიქრებინებს, რომ წიგნთან ერთად ყდაც იარსებებდა. როგორც ცნობილია, ქართული მწერლობის უძველესი ნიმუშები, ხანმეტი პალიმფსესტები,⁴³ V-VIII სს. თარიღდება. უნდა აღინიშნოს, რომ A 89 ხელნაწერის ქვედა ფენას, რომელიც V-VI საუკუნეებითაა დათარიღებული, შემორჩენილი აქვს რვეულბრივი პაგინაციის კვალი - 217r, 258r⁴⁴. ამდენად, რვეულებისაგან შემდგარი კოდექსი საქართველოში V საუკუნედაც წნდება. ივ. ჯავახიშვილის აზრით, "ქართული ხელნაწერებში ფურცლების რიცხვის აღნიშვნა ძველესი არ იყო და სათავალი რვეულების მიხედვით სკონდნათ. თითოეული რვეულის პირველი ფურცლის პირზე რიცხვი არის აღნიშნული, ზოგჯერ ეს რიცხვი რვეულის უკანასკნელი ფურცლის ზურგზე არის გამოჩენული"⁴⁵. VIII-X საუკუნეებით დათარიღებული ქართული მრავალთავის ნუსხებიც რვეულებადაა აკონშული⁴⁶.

ყოველივე ზემოთქმული მეტყველებს იმაზე, რომ V-X სს. საქართველოში რვეულებად შეკერილ ხელნაწერს წიგნის სახე ჰქონდა⁴⁷. წიგნის ისტორიისათვის ძალზე საყურადღებო ცნობას გვაწვდის Vs. პაგიოგრაფიული ძეგლი "შუმანიკის წამება", სადაც ნათქვამია, რომ შუმანიკმა: "წარიტანა ეგანგელჳმ თესი და წმიდანი იგი წიგნი მიწამეთანი"⁴⁸. ვფიქრობთ, წმ. შუმანიკს ხელთ გაყრა რვეულებად შეკერიული, ყდამი ჩასმული წიგნი.

თავისთავად წიგნის არსებობა გვეგარაუდებინებს, რომ იგი შემოსილი, ე.ი. ყდამი ჩასმული უნდა ყოფილიყო, რადგან, როგორც ცნობილია, ყდა ხელნაწერის ფურცლებს იცავდა დახვეისა და დაზიანებისაგან. მაგრამ გარდა პრაქტიკული დანიშნულებისა, ყდას ესთეტიკური მხარეც გააჩნდა.

აფორმებდნენ თუ არა თავდაპირველად ქართული ხელნაწერი წიგნის ტყავის ყდას? შეიძლება თუ არა ყოფილიყო ის ამოტიფურული? ამ კითხვებზე კონკრეტული პასუხის გაცემა ჯერჯერობით შეუძლებლად გვეჩვენება⁴⁹ (მხედველობაში გვაქვს X საუკუნეზედ გადაწერილი ხელნაწერი წიგნების ყდები). მოგვიანებით წიგნის ყდამი ჩასმას გარკვეული სიძნელეები ახლდა. იყო შემთხვევები, როდესაც მკაზმევის სურვილი ჰქონდა მხატვრულად გაუფორმებინა ყვის ზედაპირი, მაგრამ მას არ გააჩნდა ის საჭირო იარაღები, უფრო სწორედ "თევები", რითაც იგი შეძლებდა ტყავის ამოტიფურას. ამ მხრივ საყურადღებოა ცნობა, რომელსაც გვაწვდის მოგვიანო ხანის (XVI ს.) წიგნის ერთ-ერთი "შემკვერელი". იგი ხელნაწერზე დართულ მინაწერზე ერთგვარი გულისტყვილით აღნიშნავდა: "შე, მარკოზს, შემეკრავს და

⁴³ უძველეს ქართულ ხელნაწერებად დღესდღეობით მიჩნეულია ხანმეტი ტექსტები, რომლებმაც ჩვენამდე პალიმფსესტების სახით მოაღწიეს: A 89, A 737, A 844, H 999, H 1329, S 3902 (ინახბა კ. აკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში). საზღვარგარეთ ხანმეტი ტექსტები დაცულია: ვენის ნაიკონალურ ბიბლიოთეკაში, ოქსფორდის, კემბრიჯის უნივერსიტეტებსა და ბოდლეს ბიბლიოთეკაში. ეს ხელნაწერები დათარიღებულია V-VIII სს. ხანმეტი ტექსტები შოკავს ძველი და ახალი აღთქმის ფრაგმენტებს, მარტ-ეპილოგურად შეკერილი წიგნი იქცა ხელნაწერის ერთადერთ ფორმად, მის გვერდით არსებობას კონკრეტული ცნობილია "ხანმეტი ლექციონარის" სახელით. ტექსტებს ჩვენამდე გადაურჩენაყდა მოაღწია. ეს ნუსხა დაცულია გრაციის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

⁴⁴ ხანმეტი ტექსტები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა. გამოკლევა და სიმფონია დაურთო ლ. ქავთამ, თბილისი, 1984, ნაკ. I, გვ. 289.

⁴⁵ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 64.
⁴⁶ ხანმეტი მრავალთავი, S 3902, VIII ს. I ნახ.; სინური მრავალთავი 864 წ., Sin, 32-33-57; უდაბნოსი, A 1109, IX-X სს.; კლარჯული, A 144, X ს.; ათონური, Ath. II, X ს.; ტბების, იგივე სეპარე, A 19, X ს.; პარხლისი, A 95, X-XI სს. ქართული მრავალთავების არსებობა, თავისთავად, მეტყველებს იმ ლიტერატურულ და ფარობლივ სიმდიდრეზე, რასაც ადგილი ჰქონდა ადრეფილადური ხანის ქართული მწერლობის სინამდვილეში.

⁴⁷ ეს არ ნიშნავს, რომ რვეულებად შეკერილი წიგნი იქცა ხელნაწერის ერთადერთ ფორმად, მის გვერდით არსებობას კვლავაც განაგრძობს გრაგნილი: S 4980, XII ს.; A 922, XIII ს.; S 4981, XIV-XV სს.; H 510; H 519, XV ს.; H 191; H 160, XV-XVI სს.; H 506, XIX ს. და სხვ. (მაგრამ არა მასობრივად).

⁴⁸ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, (V-X სს.), ილ. აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით, თბილისი, 1964, გვ. 16.

⁴⁹ საბაძალო ხელოვნებასთან დაკავშირებით საინტერესო მასალას იძლევა კახეთში საფლავის ელზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრები, რომლებიც ადასტურებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე შუა ბრინჯაოს ხანაში განვითარებული ყოფილა ტყავის ტიფურული დამამუცავი. ნაპოვნი ტყავის სამკურნაო ამოტიფურული დროშები. იხ.: შ. დღვბარძიშვილი, რ. რუსნიშვილი, საფლავის ელვის შუა ბრინჯაოს ხანის №2 გორასამარხი, კახეთის არქეოლოგიური გათხრების შრომები, თბილისი, 1984, გვ. ტბ. XXXI, 1-3.

როგორც ეხებათ, ბე. წ. აღ. III თავსწილულში არსებობდა ტყავზე ამოტიფურის ტექნოლოგია, აქედან გამომდინარე შეიძლება ვიფიქროთ, რომ უკვე რვეულებად შეკერიულ ქართულ ხელნაწერ წიგნს (Vs.) ამოტიფურული ტყავის ყდა ჰქონდა.

შემოსავს, შენიღობას ბრძანებდითა. ვინცა ბრძანოთა, თქუენცა შეგინდუნეს ლმერთან, ამინ, თეგები არა მაქუნდა, აჟა ნუკინ დამწყვეთა, ღმრთისა მადლსა [თუ] რამა დამემოსა⁵⁰.

როგორც დასახელებული მინაწერიდან ირკვევა, ყდის ოსტატები – “მშოსველები”, “შეახმეველები” და “შემკურნელები” ზრუნავდნენ, რომ როგორც თავიანთი აკინბული ხელნაწერების ყდებისათვის თავად ემონათ ან დაეხმებინათ “თეგები”, რაგვან მათ თაკვად იყოდნენ, რომ წიგნები – გარდა სულიერი საზრდოსი, ესთეტიკურ სიამოვნებასაც ანიჭებდნენ ადამიანს. მართლაც, ამა თუ იმ წიგნთან მკითხველის პირველი შეხება, ურიტირთობა იწყება სწორედ ყდით და ამდენად, იგი იმთავითვე უქმნის მკითხველს გარკვეულ განწყობას წიგნის მიმართ.

მიუხედავად ტყაყის მხატვრული დამუშავების მრავალსაკუნოვანი ტრადიციისა, ჩვენში არ არსებობს ამოტიფურული ტყაყის შესწავლის მეთოდოლოგია; შეუსწავლელია აგრეთვე ამოტიფურული ტყაყის ყდების ისტორიაც.

ჩენი აზრით, ყდის ისტორიის შესწავლის მიზნით, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია შემუშავდეს მეთოდი, რომელიც ხელნაწერთა წიგნების კოდოლოგიურ კლავასთან ერთად, ქართულ ხელნაწერთა ყდების დათარიღების შესაძლებლობას მოგვცემს.

ძირითად სირთულეს კი ის წარმოადგენს, რომ ჩვენამდე პრაქტიკულად არ მოუღწევია უქმელებს ხელნაწერ წიგნთა ყდებს. ამიტომაც შეუძლებელია გამოიყოს წიგნის შემოსვის ადრეული სკოლა, რაც საშუალებას მოგვცემდა ტოპოლოგიურად და ქრონოლოგიურად გავვემუხვა ყდის განვითარების განსხვავებული ეტაპები. ხელნაწერ წიგნთა ყდების სრულიად დაუმუშავებელი ზღვა მასალის სისტემატიზაციისათვის კი საკონია დადიანდეს ათობის მყარი წერტილი, რაც საშუალებას მოგვცემს გავვიზონოთ ადრეული და გვიანდელი ყდები. ამგვარი მყარი წერტილის დასადგენად კი საჭიროდ ვკანთ გავვეთვალისწინებინა ჩვენამდე მოღწეული ყოველი დეტალი თუ ორნამენტული ფრაგმენტი, ნუსხათა ანდერძ-მინაწერებში დაცული მნიშვნელოვანი ცნობები, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდა ყდის ისტორიის ქრონოლოგიური ეტაპების გამოყოფა: ადრეული (X-XVII სს), გარდამავალი (XVIII) და გვიანდელი (XVIII-XIX სს. I ნახ.).

ამ მიზნით თავდაპირველად ყურადღება მივაყარით საზღვარგარეთის სამონასტრო კერებში შექმნილ და დაცულ ხელნაწერებს, ვინაიდან ქართული მწერლობის ჩვენამდე მოღწეულ ნუსხათა უდიდესი ნაწილი, თუ მთელი არა, სწორედ ამ ცენტრებს უკავშირდება. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს საბა განწმენდილის ლავრა (იერუსალიმთან ახლოს) და სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერი (ეგვიპტეში).

სამწმინდის ლავრაში საუკუნეთა მანძილზე გაცხოველებული ლიტერატურული მუშაობა მიმდინარეობდა. X ს. 60-ანი წლებში, როგორც ვიცით, არამთავან შეიწირებულნი ქართველი ბერები საბა განწმენდილის ლავრიდან განიხიზნულან და სინას მთაზე, წმ. ეკატერინეს მონასტრისათვის შეუფარებიათ თავი. X საუკუნეში ერთ-ერთ დიდ საგანმანათლებლო ცენტრად ახლო აღმოსავლეთში იქცა სინის სამონასტრო კომპლექსი. დიდი ნაწილი სინური უძველესი ხელნაწერებისა წამოღებულია სწორედ საბას ლავრიდან, მათ შორის პირველი თარიღიანი ქართული ხელნაწერი – 864 წლის სინური მრავალთავი, რომელიც შექმნისთანავე შეუწირაუთ სინის მთისათვის, რასაც ვამდენობს გადამწერის ანდერძი (Sin. 32-57-33, 274 v). ხელნაწერი გადამწერილია რამდენიმე პირის მიერ. “მწხრეკალი” ნუსხისა არის ამონა, დედის ძმის წული მაკარი ლეთეთელისა, შვილი ვახტანგ მოძარღვლისა (ა. შანიძის ვარაუდით, სინური მრავალთავის ერთ-ერთი გადამწერი თვით მაკარი ლეთეთელი უნდა იყოს).

წმინდა ეკატერინეს მონასტერში მოღვაწე ქართველი ბერები ხელოვნურ გვგუფებად იყვენენ გაერთიანებულნი, სადაც ერთი ეტრატს კახმედა, მეორე წერდა ხელნაწერს, მესამე ხატავდა, მეოთხე მოსავდა (ზოგჯერ ვეღლფერ ამას ერთი პირი ასრულებდა).

სინური კომპლექსის ქართული ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებიდან ვიცით, რომ X საუკუნის მეორე ნახევარში სინის მთაზე მოღვაწეობდნენ: მიქაელ კათამონელი, კირიკე მიმნამორელი, იოვანე-ზოსიმე, ეზრა ქიბულიანისძე (დაყუდებული), კირიკე სოხასტრელი, მაქსიმე, მიქაელი, გაბრიელი, გიორგი, თეოდორე იოვანე კუმბრდელი, მაკარი, კირილე და სხვა ქართველი ბერები, რომელთა შორის, ამგვარად, ყურადღებას შევაჩერებთ იოვანე-ზოსიმეს შემოქმედებაზე.

როგორც ცნობილია, იოვანე-ზოსიმე მრავალმხრივი მოღვაწე იყო. ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებიდან ვიგებთ, რომ იგი ერთდროულად ხელნაწერის გადამწერი, შემდგენელ-რედაქტორი და მშოსველიცაა. მის მიერ შემოსილი ხელნაწერი წიგნებია: Sin. 35, Sin. 46, Sin. 32-57-33, ცავ. №69, Sin. 52, ხანმეტი ლექციონარი⁵¹.

⁵⁰ A 1522, XVI ს., 167r, ხელნაწერი ჩასხულია კოლენკოვის ყდაში.

⁵¹ “ხანმეტი ლექციონარი” 983 წ. შემოსავს იოვანე-ზოსიმეს. ანდერძი იხ.: ხანმეტი ლექციონარი, ფოტოტიპირი რეპროდუქცია, გამოსცა და სიმფონია დაურთო აკ. შანიძემ, თბილისი, 1944, გვ. 015.

იოანე-ზოსიმე ერთ-დროულად გვევლინება ხელნაწერის გადამწერად და შემოსველად: Sin. 34, Sin. 47, Sin. 15, Sin. 30-38, Sin. 37, Sin. 6, ცაგ. №92³², ხოლო როგორც "მწიგნალს", მას ეხედებით შემდეგ ხელნაწერებში: Sin. 49, Sin. 26, Sin. 66³³.

ნაშრომის ამ თავში წარმოადგენთ მხოლოდ ერთი ხელნაწერი წიგნის ყდის ტიპოლოგიურ ანალიზს. ამ თვალსაზრისით, ჩვენი ყურადღება მიექცია 864 წელს გადაწერილმა სინური მრავალთავის (Sin. 32-57-33) ყდამ (დამ. I, 1,2)³⁴ და ხელნაწერის მშობლების იოანე-ზოსიმეს ანდერძმა, რომლის მიხედვითაც სინური მრავალთავი იოანე-ზოსიმეს მესამედ შემოსავს 981 წელს. ანდერძს მოვიტანთ შემოკლებით: "კერიფლმსინი, სახელითა აღმოსავლეთისა, შვიმოსა მესამედ წმინდას ესე წიგნი მრავალთავი ტყავითა მროსიხათა სინაწმინდას, ეკლითა იოანე, კაცისა ფრიად ცოდვილისა, ზოსიმესითა დღეთა ოდენ ბოროტად მოხუცებულობისა ჩემისათა, ბრძანებითა და ფრიად მოსწრაფედ მოღვაწეებითა მიქაელ და მიქაელ³⁵ პატრი-სანთა მღვდელთათა, დასაბამითგანთა წელთა ქართულად ხუქე-სა და ქორინიკონსა სა-სა..." (275 r).

პირველი მოკლე აღწერილობა სინური მრავალთავის გამოაქვეყნა ალ. ცაგარელმა³⁶. 1902 წელს სინაზე იმოგზაურა ნ. მარმა. მან შედარებით ვრცელად აღწერა ხელნაწერი და დაურთო ტაბულები, რომელზეც ასახულია სინური მრავალთავის ამოტიფურული ტყავის ყდის ზედა და ქვედა ფრთა³⁷. ყველაზე სრულყოფილად ეს ხელნაწერი 1956 წელს აღწერა ე. გარიტე³⁸.

სინური მრავალთავი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო აკ. შანიძემ. გამოკვლევის ერთ-ერთი ქვეთავია "ყდა საფარველი"³⁹. მასში ვარაუდის სახით ნათქვამია: "ყდა, რომელიც ამჟამად მოეპოვება ხელნაწერს (ზედა პირველ ნაწილს, ქვედა შვირეს), შეიძლება ის ყდა იყოს, რომელიც მესამედ შემოსვის დროს გაუკეთა მას იოანე-ზოსიმემ". აკ. შანიძის გამოცემას დართული აქვს ყდის მხატვრული აღწერილობა და ტაბულები.

ამ აღწერილობებისა და ტაბულების შესწავლის შედეგად უნდა აღვნიშნოთ, რომ სინური მრავალთავის ყდაზე გამოყენებულია პატარა ზომის სხვადასხვა ორნამენტებისაგან შემდგარი (ყვავილოვანი და სამსჭკალების მაგვარი) ტიფურები, რომლებიც ყდაზე თავისუფლად ადგილს ავსებენ. ყდას კიდეებზე ამაღლ მიკვება ერთი და იგივე გამოსახულების (მხოლოდ განსხვავდება ზედა და ქვედა ფრთისა – ზედაზე გამოყენებულია ოდნავ დახრილი, ჯერის ფორმის ორნამენტი, ქვედაზე კი სამსჭკალების მაგვარი ყვავილოვანი ბურთულები) შემადგენელი ტიფურები და არა საბოროდო ტიფური⁴⁰, რომელსაც ახლავს სამი ხაზისაგან შემდგარი ჩარჩო⁴¹.

³² Sin. 34 (შეშობს 965 წ. Cup. H. C. 16/1, 17 r - v), Sin 35 (973 წ. ანდ. იხ.: Sin. 67 II ქვედა ფორაზე), Sin. 47 (977 წ. 91 r), Sin. 15 (978 წ. ანდ. იხ.: ჯავახიშვილის აღწერილობაში, გვ. 34-36, 292 r), Sin. 30-38 (979 წ., 243 r), Sin. 46 (978 ან 980 წ. ანდ. იხ. ცაგ. №73), ცაგ. №69 (981წ.), Sin. 32-57-33 (981წ. 275 r), Sin. 37 (982წ. ანდ. იხ.: ცაგ. №30, გვ. 210), Sin. 6 (983 წ., 224 r), Sin. 52 (983წ., 99 v), ცაგ. №92 (986წ.).

³³ იოანე-ზოსიმე როგორც ხელნაწერის გადამწერი და მწიგნალი ღრმად და საუფლებიანდაა შესწავლილი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ე. ტანკიძე, ძალგანტონულ გადამწერ "იოანესა" შესახებ, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, III, თბილისი, 1973 წ. გვ. 45-51; ლ. კუტბისაშვილი, მუათა საუკუნის ქართული მწიგნობარი, კრებ.: "მწიგნობარი", თბილისი, 1980, გვ. 121-142; იოანე-ზოსიმეს მწიგნობრული მოღვაწეობის რამდენიმე საკითხისათვის, კრებ.: კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა, თბილისი, 1982, გვ. 52-59.

³⁴ უნიკალად სხვა სრულყოფილი ნიმუში ამ გაკვეთნაში.

³⁵ ანდერძში დაქარაგმებულია "ქელ და მიქელ".

³⁶ А. Цагарелл, Сведения о памятниках грузинской письменности, СПб., ч. II, 1889, с. 92-95, № 83,36.

³⁷ Н. Я. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, М.-Л., 1940, с.25, табл. I, II. (მარის აღწერილობაში, III ტაბულაზე წარმოდგენილია Sin.68 ხელნაწერის ყდის ზედა ფრთა, რომელზეც ამოტიფურულია სტილიზებული ტოლგვერდა ჯვარი, რომელსაც ახლავს რამდენიმე კადრბრტული ჩარჩო. გართა ოთხკუთხა ჩარჩოს ზედა ნაწილში გვხვდება ასომთავრული წერწერა: გელ "ცაბრელ"). 6. მარის აზრით, გაბრიელი შეიძლება იყოს ამ ხელნაწერის მფლობელი ან შემოსველი. ხელნაწერი გადამწერილია XII საუკუნეში. IV ტაბულაზე გვხვდება Sin. 70 ხელნაწერის ყდის ზედა ფრთა, რომელზეც ამოტიფურულია წრესა და კადრბრტე ჩაბატული კადრილოვანი – წრიული მოყვანილობის ტოლგვერდა ჯვარი (ქვედა ფრთა შესავალია ზედას). ხელნაწერს ათარილებენ XII-XIII სს. ყდა უხეშადაა რესტავირებული.

³⁸ G. Garitte, Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du Mont Sinai, Louvain, 1956, P. 95-96.

³⁹ სინური მრავალთავი 864 წლისა, აკ. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და გამოკვლევით, ძველი ქართული ენის კათედრის პროფესორი, ნ. თბილისი, 1959, გვ. 301-302, ტაბ. 2,3. (ყდის ფორტებს ავტორი ბეჭდებს ნ. მარის აღწერილობიდან).

⁴⁰ თადაპირველად ტყავის ყდებზე ტიფურა ცივი წესით ხდებოდა. ეს პროცესი ასახულია ვახტანგ VI ნაშრომში: "მას უკან, თუ მოთევა ვინოდეს, ასე ქებენ: მოიტანე ცივი თევზი და მოსთვევ ასე, რომ თვეი დაღავა, კვირი ზედად დაქარა, ამგვარად მოითევა ამ სახით". იხ. ვახტანგ VI, წიგნი თევზის შემზადებისა და ქიმიისა ქმნის, ტექსტი ნაშრომად დაშვადეს თ. ერუქიმეძე და ვ. კოკიაშვილმა, თბილისი, 1981, გვ. 197, § 237. მოვიყვანებთ დანაწევს ყდების ამოტიფურეა ცხელი წესით, "პრამა" ტიფურის ტექნიკით ("Слепое тиснение – тиснение без золота или краски").

⁴¹ Тиснение при помощи "дорожки" – для тиснения прямых линий. წიგნის ყდის ხელობასთან დაკავშირებულ რუსულ ტერმინთა შესახებ იხ.: С. Я. Клепиков, Описание, с. 53.66.

სინური მრავალთავის ყდის ზედა და ქვედა ფრთაზე ფარგლისა და საეკიალური წერწამახვილებული, მაგრამ ოდნავ ბლაგვი ხელსაწყოს მუშეობით ამოტიფრულია ნახევარწრეებისაგან შედგენილი ჯვრები – ზედა ფრთაზე გვხვდება წრეში ჩახატული ტოლგვერდა ჯვარი (დამ. I №1), სადაც წრე სამების, უსასრულობის, მარადიულობის სიმბოლოა,⁶² ქვედაზე კი სტილიზებული ტოლგვერდა ჯვარი, რომელსაც ახლავს წრე და კვადრატ (დამ. I, №2). იდეა წრის გათანაბრების კვადრატთან მომდინარეობს მბრუნაი კვადრატის ცნებიდან. წრისა და კვადრატის ურთიერთმიმართება უკავშირდება ორი დიდი კოსმოური სიმბოლოს (მინის და ცის, რომელიაგან მიწა აღნიშნავს კვადრატს და ცა-წრეს) გათანაბრებას. ასე რომ, აქ საქმე გვაქვს ორი დაპირისპირებული გაერთიანებასთან. აქ იგულისხმება არა ურთიერთშეპირისპირება, როგორც ეს გვაქვს ჯვრის ორი მკლავის კავშირში (coniunctio), არამედ მათი გატოლება და ორი კომპონენტის შერწყმა უმაღლეს სინთეზში. კვადრატი მიიწუნოდა ოთხი ელემენტის შესატყვისად. წრის გაკვადრატების (უფრო ზუსტად, კვადრატის წრედ ქცევის) მიზანი იყო როგორც მატერიალურ სამყაროში, ასევე სულიერ ცხოვრებაში ერთიანობის მიღწევა განსხვავებულობისა და წინააღმდეგობის დაძლევათ.⁶³

ფიქრობთ, იოანე-ზოსიმეს წინასწარ ჰქონდა გააზრებული ითოველი ის სიმბოლო, რომელიც მას ჯვართან ერთად უნდა გამოესახა, როგორც მინიატურებში, ისე ყდის ზედაპირზე.

ი. სურგულაძე წიგნში “ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა” განიხილავს რადიალურად განსხვავებული დისკოს რამდენიმე ვარიანტს. ჩვენთვის ტოლგვერდა სტილიზებული ჯვრის ტიპის დასადგენად სანტერისია “ფოთლისებურად” გამოსახული ასტრალური ნიშნების სიმბოლიკა. ავტორის აზრით, “ეს გამოსახულება ტიპურია ხეზე და ქვაზე კვეთილი კავკასიური ორნამენტისათვის, გავრცელებულია როგორც ჯვარისებური ოთხმხრიანი, ისე მრავალმხრიანი ფორმები. ფიგურები ზოგჯერ წრეში ან ოთხკუთხედშია ჩასმული, ზოგჯერ კი თავისუფლად, ყოველგვარი გარემომოწერილობის გარეშეა გამოსახული”. ხეესურეთში ამ ორნამენტს თავისი სახელი აქვს – “ხუთანი”, სუანები მას “ვარსკლავს” უწოდებენ, ხეცა და მთოვლეთში იგი დეკორის ძირითად ელემენტებად მიღებული. ორნამენტის ამ სახეობას ესვრებით საქართველოს ბარის, კრძოდ, ლაზური ბუხრის შემკულობაში სიცოცხლის ხის მოტივთან ერთად. ამ ნიშანს გამოსახავდნენ აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიაში, კრძოდ, დაღესტანში – საფლავის ქვებზე⁶⁴.

წრეში ჩახატული ტოლგვერდა ჯვრები გავრცელებული იყო იუდაურ-ქრისტიანულ არეალში⁶⁵. ჯვრის ამავე ტიპს მიეკუთვნება ბოლნისის სიონის დეკორატიული ჯვრებიც. გ. ჩუბინაშვილი ბოლნური ჯვრის შესახებ წერს: “თავდაპირველად ენახოთ ჯვრის გამოსახვა, რომელიც შეადგენს ტაძრის ზოგიერთ ადგილას სრულიად დამოუკიდებელ, არა თუ მარტო დეკორატიულ, არამედ სიმბოლურ ღირსებასაც. ბოლნისის სიონზე ანაბარ შემთხვევამ გამოსახულია სწორმკლავიანი ჯვარი, რომელიც მუდამ ჩასმულია წრეში, მეფალიონში, ესე იგი გამოსახულია, სტრუქტურის თქმის არ იყოს, როგორც იმპერატორ კონსტანტინეს აღმოსავლეთში გამარჯვების ტიპური ჯვარი”⁶⁶. მსგავს ჯვრებს კოპტური ეკლესიების კედლებზეც ვხვდებით.

რ. შმერლინგი ახალი აღმოსავლური, კრძოდ, სირიული ჯვრის ტიპის შესახებ წერდა: “Исключение составляет Сирия, в рукописи которой – в Северной Сирии особенно, - преобладает изображение креста, вписанного в круг – кресты с прямоугольными рукавами здесь встречаются редко”⁶⁷

ყურადღებას იქცებს ის ფაქტი, რომ Sin. 32-57-33 (სინური მრავალთავისა) და Sin. 46 ხელნაწერის ყალბე ამოტიფრული ჯვრები იდენტურია. ამ ორი ყდის მსგავსებას პირველად ყურადღება ნ. მარმა

⁶² G. Benson, The Cross its History and Symbolism, New-York, 1976, p. 194.

⁶³ J. Ciriot, A Dictionary of Symbols, London, 1973, p. 307-308

⁶⁴ ი. სურგულაძე, ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბილისი, 1986, გვ. 81, სურ. 87, 88, გვ. 84, სურ. 89.

⁶⁵ E. Testa, Il Simbolismo dei giudeo-christiani, Jerusalem, 1981, იხ. გვ. 283, ტაბ. 7, გვ. 284, შენიშ. №7, გვ. 297, ტაბ. №14, 21, 31, 34, შენიშ; გვ. 298, შენიშ. 14; გვ. 299, შენიშ. 21, 31, 34, (იხ. ტაბ. 25 (3), 29 (3) – წარმოდგენილია ბოლნური ჯვრის ტიპი). წიგნში აგრეთვე გვხვდება “კოსმოურ კვადრატში” და “კოსმოურ მართკუთხედში” ჩახატულია ჯვრები: გვ. 155, ფოტ. 50, 51; გვ. 283, ტაბ. 4, 5; გვ. 284, შენიშ. 4, 5, იხ. ტაბ. 29 (2), ჯვრის სიმბოლოებთან დაკავშირებით, ე. ტესტა პრისტეს ტანკუზზე კი არ აკეთებს აქცენტს, არამედ აღდგომის კოსმოურ ძალაზე.

⁶⁶ გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტფილისი, 1936, ტ. 1, გვ. 38. იხ. აგრეთვე გ. Чубинашвили, Болниси, “ენიშტის” მოამბე, IX, თბილისი, 1940, გვ. 184.

⁶⁷ P. Шмерлинг, Художественное оформление грузинской рукописной книги IX-XI вв., Тбилиси, 1967, с. 131, сх. 29.

მიაკცია. იგი Sin.46 ხელნაწერის ყდას შემდეგნაირად აღგვიწერს: "В досчатом кожаном переплете, рас-
трескавшемся на корешке. На коже изображение креста в том виде, в каком имеем на табл. I"⁶⁴.

6. მარის არწერილობაში I ტაბულაზე გამოსახულია სინური მრავალთავის ყლის ზედა ფრთა
(ჩვენთან დამ. I, №1). Sin. 46 ხელნაწერის მინაწერიდან ვიგებთ, რომ იოვანე-ზოსიმეს ეს უკანასკნელი
მეორედ შეუმოსავს 978 ან 980 წელს: "შეიმოსა მეორედ დასაბამითან წელთა ხუპხ (978წ.) და ქნი
იყო ს" (980 წ.)⁶⁵

იმისათვის, რომ წარმოდგენა გვეჩვენოდა, თუ რა ტიპის ჯერებაა გამოსახული სინაზე დაცულ
ქართულ ხელნაწერებში, საჭიროდ მივიჩინეთ, გვეჩვენა სინურ ხელნაწერთა სრული ფონდი⁶⁶. ენახეთ
აგრეთვე პეტერბურგის სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილების
ბერძნულ და სირიულ ფონდებში დაცული Gr. XLI და. Cup. H.C 16/1 (Sin 34 დამატება).

ჩვენამდე მოაღწია ჯერით გაფორმებულმა სულ 15-მა სინურმა ხელნაწერმა, აქედან II გადაწერილია
X საუკუნეში: Sin.47, Sin.15, Sin.34, Sin.30-38, Sin.26, Sin.14, Sin.16, Sin.44, Sin.50, Sin.63, Sin.65 (პირველი
სული ხელნაწერის შექმნაში მონაწილეობა მიიღო იოვანე-ზოსიმემ). Xls. Sin.19; XI-XIIსს Sin.9; XII-
XIIIსს. Sin.81; XIIIს. Sin.67.

ზემოთ ჩამოთვლილ ხელნაწერებში ძირითადად გვხვდება ორი სახის ჯვარი: I - სწორკუთხა ჯვარი,
რომლის ნახატს წნული ორნამენტი წარმოადგენს: Sin.47,72v, 87r; Sin.15, გვ. 85, 294 (დამ. I, №10). Sin.
16, გვ. 95, 244, 245, 153 (მცირე ზომის ჯვარს ახლავს ორნამენტირებული წრე). მსგავსი ჯვრებია
გამოსახული Sin. 19 ხელნაწერში (დამ. I, №12). ზოგ შემთხვევაში სწორკუთხა ჯვრები თაღშია ჩასმული
და აღმართულია კვარცხლბეკზე: Sin.16, გვ. 7; Sin.9, გვ. 1, Sin.67, გვ. 2,3; Sin.19, გვ. 54, 201. ამ ხელნაწერში
ჯვარი თაღის გარეშეა დახატული (იხ. დამ. I, № 11). Sin.50 ხელნაწერის მეორე გვერდზე ჯვარი
წარმოდგენილია სიმბოლოებით - სწორკუთხა ჯვარს ახლავს წრეები, რომელიც აღმართულია სამკუთ-
ხედებისაგან შედგენილ პოსტამენტზე. ჯვართან წრის სიმბოლო ჩვენს მიერ ზემოთ იყო განხილული, ხოლო
რაც შეეხება სამკუთხედს, იგი სამების სიმბოლოა⁶⁷ (დამ. I, № 12).

II - ჯვრის მეორე ტიპს მიეკუთვნება ქრისტიანული აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელი წრეში
ჩახატული ტოლგვერდა ჯვარი, რომლის ნახატს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეადგენს წრის სეგმენტი.
ძირითადად ამ ტიპის ჯვრები გვხვდება X ს. ექვს სინურ ხელნაწერში: Sin. 34, გვ. 5; პეტერბურგში დაცულ
Sin. 34 ხელნაწერის ფრაგმენტებში Gr. XLI 2 r - v, Cup. H. C. 16/1, 20 r; Sin. 47, 1 r - v, 81 r, 91 r; Sin. 44,
გვ. 301 (აქვს მინაწერი: "ჯი და სჯი" - ჯუარის და სუეტი), Sin. 14, გვ. 301 (მცირე ზომის სტილიზებული
ტოლგვერდა ჯვარი); Sin. 63, გვ. 172 (დამ. I, № 6,7,8,9).

Sin. 65-ის 277-ე გვერდის ამაზე გამოსახულია პატარა ჯვარი, რომლის მოხაზულობა სრულიად
განსხვავდება ზემოთ დასახელებული ჯვრებისაგან. იგი წარმოადგენს წრიული მოყვანილობის ტოლკვადრება
ჯვარს - კვადრთოლიუმს (Sin. 70-ის ყდაზე ამოტიფრული ჯვრის მსგავსს).

Sin. 26 ხელნაწერის პირველ გვერდზე უნდა ყოფილიყო Sin. 47-ის 81-ე გვერდზე გამოსახული
ჯვრის მსგავსი ჯვარი (დამ. I, № 6), ხელნაწერის ეს ფურცელი დაკარგულია, გადარჩენილია მხოლოდ
პატარა ფრაგმენტი, რომელზეც შემორჩენილია წრეში ჩახატული ტოლგვერდა ჯვრის კუთხის მცირე
ნაწილი. Sin. 34 ხელნაწერის (პეტერბურგში დაცული ფრაგმენტები) Gr. XLI 2 r - v, Cup. H. C. 16/1, 20 r.
ჯვრები ძალზე ჩამოპოვანს Sin. 47-ის 81 r-ზე გამოსახულ ჯვარს (იხ.: დამ. I, №6). ტოლგვერდა წრეში

⁶⁴ H. Я. Март, Описание, с. 45, № 46.

⁶⁵ სინური ხელნაწერების ფოტოპირები დაცულია კ. აკედიის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში. რაც შეეხება ხელნაწერთა
ყდას, სამწუხაროდ, მხოლოდ მათი შიდა მხარეა გააღებული.

⁶⁶ А. Цагарели, Сведения, №73 H. Я. Март, Описание, №46

⁶⁷ G. Benson, დასხ. წიგნი, გვ. 197; J. ciriot, დასხ. წიგნი, გვ. 350-351.

⁷² Sin. 63 ხელნაწერის გადაწერა X ს. სინის მთის მოღვაწე მიქალი. ამ ხელნაწერში წარმოდგენილი ჯვრის მოხაზულობა,
თავის გაფორმებით, გვაგონებს Sin. 47-ის 1r-ზე დახატულ ჯვარს (დამ. I, № 7) ჩვენი აზრით, Sin. 63 ხელნაწერის
გადაწერე მიქალი არის ის მიქალი (ერა-ერთი), რომელიც იხსენიება იოვანე-ზოსიმეს ანდერძში. ფოტოკოპი, ზემოთ
დასახელებული ჯვრები ერთი ხელითაა შესრულებული.

ურადღებლად იტყვევს 6. მარის მიერ აღწერილი Sin. 63-ის ყდა, რომელზეც ამოტიფრულია წნული ორნამენტისაგან
შემდგარი ჯვარი, მისი თქმით, მსგავსი ორნამენტი დამახასიათებელია სინური ხელნაწერებისათვის. იხ.: H. Я. Март,
Описание, № 63, с. 132.

ჩახატული ჯერის ამავე ვარიანტს, მაგრამ უკვე ამოტიფრულს, ვხვდებით სინური მრავალთავისა⁷³ და Sin. 46-ის ყდებზე (დამ. I, 1, 2). ეს ჯერები, როგორც დახატული, ისე ამოტიფრული დიდად განსხვავდება Xს. სხვა სინურ ხელნაწერებში (Sin. 14, Sin. 16, Sin. 44, Sin. 50, Sin. 63, Sin. 65) გამოსახული ჯერებისაგან. ჩვენ მიერ ზემოთ დასახატული ჯერები გამოირჩევა ორნამენტული სახის ერთგვაროვნებით. ისინი ერთი ხელით, ერთი პირის მიერ უნდა იყოს შესრულებული, და ვინაიდან ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ხელნაწერი ოიანე-ზოსიმეს სახელს უკავშირდება (იგი ხომ გადამწერი, შემდგენელ-რედაქტორი და შემოსულია ყველა იმ ხელნაწერისა, რომელთანაც მას კავშირი ჰქონია), საფიქრებელია, რომ როგორც ხელნაწერის, ასევე წიგნის ყდის მხატვრული გაფორმებაც მასვე უნდა ეკუთვნოდეს. ამ ვარაუდს ისიც გვიმყარებს, რომ ოიანე-ზოსიმეს ხელით გადაწერილი ასატლიონებში გვხვდება მსგავსი მონახულების ჯერები: Sin. 38, გვ. 284; Sin. 34 (სანქტ. პეტერ. ფრანკ.) Cup. H.C. 16/1, 27v (დამ. I, № 8). ერთი და იმავე მონახულების ჯერის სხვადასხვა ადგილას რამდენჯერმე გამოვრება, გარკვეულ ტენდენციად იკეთება ოიანე-ზოსიმეს შემოქმედებაში.

ვახტანგ ბერიძე ოიანე-ზოსიმეს მწიგნობრულ-ლიტურატურული მოღვაწეობის მიმოხილვისას წერს, რომ იგი "ტრადიციულად იყენებდა სინურს საზღაო ასოებისა და ცალკეული სტრიქონებისათვის. ცაგარლის თანხმად, ჰქონდა გუფრადებული (სხვადასხვაფრად?) საზღაო ასოები, ორნამენტული ჯერები"⁷⁴.

ოიანე-ზოსიმეს ავტორობაზე მეტყველებს აგრეთვე ჯერებსა – Sin. 47, 1r-v, 72v 87r, 91r, 81r (იხ.: დამ. I, № 6, 7, 10) და ორნამენტებში – Sin. 47, 7r-v, 12v, 30r, 52r, 63v, 72r, 91v – მისივე ხელით ჩაწერილი ასოები "ლყყო" (ორნამენტთა მხატვრობა "ხალხურია"). სიტყვის "ლოცვა-ყავთ" ოთხი ასოთი დაქარაგმება, შესაძლებელია, თავად ჯერის ფორმამაც განსაზღვრა (ქართული ასომთავრულით შესრულებული გრაფემები ნახატზე ორნამენტის მოვლემობასაც ასრულებენ).

ამ სიტყვის მსგავსი დაქარაგმება დამახასიათებელია ოიანე-ზოსიმეს ანდერძებისთვის: Sin 6, 169v, 223r, 225r; Sin. 47, 1r, 12v, 30r, 52r, 63v, 72r, 81r, 91r; Sin. 38, 131r, 144r; Sin. 66, 83v³, Sin. 34, 4v, 5r, 11r-v, 69v, 70r, 89v, 92r, 99v, 100r, 104v, 117v, 123r, 131v, 147r, 194v, 196r, 204r, 205r, 206v, 208r; Sin. 15, 84r; Sin. 52, 99r-v; Sin. 32-57-33, 175r-v; Sin. 26, 96r, 101v, 185v, 222r, 225v, 272r.

ხელნაწერი Sin. 46 შეიცავს "სვიმონ მესვეტის ცხოვრებას". ეს ხელნაწერი როგორც ზემოთ აღნიშნული, 978 ან 980 წელს შეუმოსავს ოიანე-ზოსიმეს. ტექსტის ბოლოს (269 v), მთლიან სტრიქონზე იკითხება

⁷³ რ. შერლონგმა ყურადღება მიაქცია Sin. 47, 81r-ზე (rV) გამოსახული ჯერისა და სინურ ხელნაწერთა ყდებზე ამოტიფრული ჯერების მსგავსობას (ტ. I, II, III, IV). ავტორის ტაბულები მოაქვს 6. მარის აღწერილობიდან (როგორც ვიცი, 6. მარის აღწერილობა I და II ტაბულებზე წარმოდგენილია სინური მრავალთავის ზედა და ქვედა ფრთა, III ტაბულაზე XIIIს. გადაწერილი Sin. 68 ხელნაწერის ზედა ფრთა. IV-ზე კი XII-XIIIსს. დათარიღებული Sin. 70-ის ზედა ფრთა (ჩვენთან დამ. I, № 1, 2, 6). იგი აღნიშნავს: "Во всех указанных композициях фигурирует мотив равноконечного креста, в одной из разновидностей (переплет рухониси № 70, т. IV) повторяющийся четыреугольный крест той самой формы квадратолия... Характерно, что в обоих названных изображениях креста подчеркивается его самодовлеющее значение, тогда как в рухониси Синая (миниатюры в тексте и тиснения переплетов) акцент переносится на декоративную сторону этой темы и равноконечный крест комбинируемый разными способами с квадратом или кругом, не всегда ясно различается в орнаментальных сплетениях или, входя как часть в орнаментальную композицию, тем самым до известной степени растворяется в ней, приобретая характер одного из ее компонентов, вместо того, чтобы сохранять значение самостоятельного, значительного в смысловом отношении изображения" რ. შერლონგი წიგნში ეხება აგრეთვე სხვა სინურ ხელნაწერებში (Sin. 16, Sin. 50, Sin. 63, Sin. 65, Sin. 19, Sin. 47) გამოსახულ ჯერებს როგორც კაცრიოლოგიის ტიპის, ასევე გოლგოთის ჯვარს (მოსტამენტზე აღმართულ სწორმკლავეა ჯვარს). P. Шмерлинг, დასხ. წიგნი, გვ. 148-151, გვ. 128, შენ. 22. ელ. მაქგარანთან თავის სალექტორო სწორმკლავე – Система декоративного убранства грузинских четвероголавов XI-XIV веков, Тбилиси, 1987 (მანქანაზე ნაბეჭდი) – ეხება Sin. 47 ხელნაწერში გამო-სახულ ჯერებს და მოითხოვს მათ სინურად წარმომავლობაზე. იხ. გვ. 176.

⁷⁴ ვ. ბერიძე, ძველი ქართული ოსტატები, თბილისი, 1967, გვ. 127.

⁷⁵ Sin. 66, 83 v-ზე გვხვდება მინიატურა (დამ. I, № 14), რომელზეც ნახატული არიან მოციქულები – პეტრე და პავლე (მოციქულ პეტრეს თავზე ადგას ჯერული ნიშნი, რომლითაც მხოლოდ მაცხოვრის გამოსახავდნენ). მოციქულებს ფეხებთან მხატვრული თავაწეული, დაღვანილი გველი, რომლის თავიც თითქმის უკერძოდაა კეცრის, რომელიც ხელთ უჭერია პავლე მოციქულს. გველის ზურვის მოხატულობას, სახეებთან ერთად, შეადგენს მინაწერი, რომელიც, ერთი შეხედვით, ორნამენტის მაგივრებასაც ასრულებს: "ქე შე ინე მნიშე ან ლყყო" (ქრისტი, შვიწყალ ოიანე-ზოსიმე, აბნ, ლოცვა-ყავთ). დაქარაგმებული "ლყყო" რამდენჯერმე გვირგვამს მინიატურაში. ნახატის ზედა, მარჯვენა ნაწილში გამოსახულია ადამიანის სახე (მინიატურა აღწერილი აქვს როგორც 5. მარს № 66, ასევე ა. ცაგარელს № 37. მათი აზრით, ნახატზე გამოსახულია ქალის სახე). ვფიქრობთ, მინიატურის სატვისს მხატვარი იყენებს ძველი აღთქმის, ყველა სათვის კარგად ცნობილ, ეკერისას გველად ქცევის სიუჟეტს. იხ.: წიგნი მუდღის აღთქმისანი, შესაქმისთა, გამოსლეთთა, ტექსტით გამოსახულ მამაზადეს ბ. გიგინიშვილმა და ც. კიციშვილმა გამოკვლევა ბ. გიგინიშვილისა, ნაქ. I, თბილისი, 1989, გვ. 314, გამო-სლეთათა. თავი IV. მუხლი 2, 3, 4.

ნახატის საერთო სახეს უწინის მხატვრები, მხატვრობა "ხალხურია", მინაწერები ეკუთვნის ოიანე-ზოსიმეს ხელით. ჩვენი ვარაუდით, მინიატურის მხატვრობაც ოიანეს სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული (დამ. I, № 14).

დანაწევრებულად დაწერილი ოთხი მრგლოვანი ასო “ლყყთ”. დაქარაგმული სიტყვა ამ შემთხვევაში ამაყრებს სვიმონის “ცხოვრებას” და თან ტექსტს გამოყოფს “შხრეკალის” ანდერძისაგან. ასევე გაფორმებული Sin. 47 ხელნაწერი, რომელიც იოვანე-ზოსიმემ გადაწერა და შემოსა 977 წელს. ტექსტი შეიცავს კვირა დღის საკითხავებს – “სახარებანი საციხკორინი წთა კრიაიკეთანი”, საღაც საკითხავები გამოიყოფა მილიან სტიქიონზე, გაშლილად დაწერილი ოთხი კლანდილ ასოთი – “ლყყთ” (Sin. 47,25r, 30v, 37r, 52v, 64r, 72v, 81v, 91v.). Sin. 46 ხელნაწერის ამავე გვერდზე (269 v) გვხვდება მხხრეკალის ანდერძი, რომელსაც ქვეშ მიწერილი აქვს “ლყყთ ან” (“მხხრეკალის” ანდერძი და მისი მინაწერი აშკარად სხვადასხვა პირის მიერაა შესრულებული. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ტექსტი მილიანად გადაწერილია “ასომთავრულით”, მაგრამ აქა-იქ გვხვდება ნუსხურიც: Sin. 46, 187v, 206v, 211v, 213v, 214r, 216v, 221v, 222r-v, 223v, 224v, 227r-v, 228v, 230v... ეს სწორად ის ხელია, რომელითაც დაწერილია “მხხრეკალის” ანდერძი. ჩვენი ვარაუდით, ანდერძის ეს მინაწერი იოვანე-ზოსიმეს მიერ უნდა იყოს ჩაწერილი ხელნაწერის მეორედ შემოსვის დროს (978 ან 980 წ.) მსგავსად სინური მრავალთავის 174 v-ზე გაკეთებული მინაწერისა, რომელზედაც წარმოდგენილია ამონა “მხხრეკალის” ანდერძით: “ლ(ო)ც(ა)ყ(ა)ც(ა)თ ამონა მხრეკელისათჳს ცოდვილისა ფირად წმიდანო ზა... წელინი ხ, ლ(ო)ც(ა)ყ(ა)ც(ა)თ”. 6. მარი ამონა “მხხრეკალის” ამ ანდერძის შესახებ ვერაღა: “Тут позднейшая приписка “лццт”, видимо, сделана рукою известного синодального писца Иоанна, впрочем, надо заметить, что вся это строка помещена ниже уровня асталного текста, и, быть может, приписана впоследствии”⁷⁶.

როგორც ზემოთ მოტანილი ანდერძიდან ირკვევა, ამონა “მხრეკალი” იოვანე-ზოსიმესაგან განსხვავებით, “ლოცა-ყათ” სიტყვას ხუთი ასოთი აქარაგმებს “ლყყთ”.

იოვანე-ზოსიმემ ანდერძ-მინაწერში არის რამდენიმე შემთხვევა ამ სიტყვის სხვაგვარი დაქარაგმებისა: “ლყყთ” (ლოცა-ყათ) – Sin. 38, 143 r (ანდერძი დაწერილია იოვანეს ხელით მომგებლის სახელზე), “ლყყათ” (ლოცა-ყათ) გვხვდება ჯერებთან როგორც მზის, ისე მთვარის პასქალიონში – Sin. 38, გვ. 284 (დამ. I, № 8); “ლოყყათ” (ლოცა-ყათ) – Sin. 34, 73v; “ლყყენ” (ლოცა-ყათ – II სურია, II ბრძანებით, III პირი, მხს.) – Sin. 34, 123 v⁷⁷

ყლების გაფორმების ისტორიის ცვლელისათვის საინტერესოა აგრეთვე Sin. 30-38 ხელნაწერში გამოსახული მახარებელთა მინიატურები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ხელნაწერის ერთ-ერთი გადაწერილი და შემოსულია იოვანე-ზოსიმე. მინიატურები საყურადღებოა იმით, რომ მახარებლებს ხელთ უჭირათ წიგნები გაფორმებული ყლებით, რომლებზედაც ჯერებია გამოსახული: Sin. 30, გვ. 7, 76; Sin. 38, გვ. 137, 138, 201⁷⁸ (დამ. I, №13).

როგორც ნაშრომის შესავალ ნაწილში აღვნიშნეთ, ბ. ვან რეგემორტი ცალკე გამოყოფს ქართული ხელნაწერების აკინძვისა და შეკერვის ტექნიკას, რომელსაც “Couture georgienne” (“ქართულ შეკერვას”) უწოდებს (დამ. I, №5), რომლის დროსაც კომბინირებულია წიგნის რეგულბად აკინძვა და ყდის დაყდვის დამაგრება. ამ ტექნიკით შეკრული ხელნაწერი ბელგიელ მეცნიერს უნახავს რესტავრაციის პროცესში, რომელიც ჩაუტარდა კერძო კოლექციაში დაცულ ერთ ქართულ პალიმფესუსტს. მისი თქმით, ხელნაწერის ქვედა ფენა სირიულ-პალესტინურია, ზედა კი ქართული (ნუსხური) და დაწერილია იოვანე-ზოსიმეს ხელით, რომელიც სინის მთავრ 973-986 წწ. მოღვაწეობდა⁷⁹. ქართული ხელნაწერების “კომბინირებული” შეკერვის პროცესებს ნაშრომის მომდენო თავში უფრო ვერცხად შევეხებით (დამ. I, № 3,5).

სინური მრავალთავისა და Sin. 46 ხელნაწერების ჩაჭვლული ტყავის ყდები, თავისი მხატვრული ღირსებით, ტეფრული ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებია (წრები ჩახატული ტოლგვერდა ჯერისა და ოთხსუთხა ჩარჩოს მოტივი ყდის გაფორმების უძველესი მოტივია, რომელიც X-XI სს-დან გვიან შუა საუკუნეებამდე გვხვდება). ზოლო რაც შეეხება ამ ხელნაწერთა აკინძვას, ვფიქრობთ, იოვანე-ზოსიმე იყენებდა წიგნის “კომბინირებული” შეკერვის იმ მეთოდს, რომელსაც ბ. ვან რეგემორტი “ქართულ შეკერვას” უწოდებს (დამ. I, № 3, 5)⁸⁰.

⁷⁶ H. Я. Март, Описание, с. 24, с. I. об. აგრეთვე Sin. 32-57-33, 274v.

⁷⁷ სიტყვა “ლოცა-ყათ” ილ. აბულაძის პალეოგრაფიულ აღბოძში ორნაირად არის დაქარაგმებული “ლყყთ” და “ლყყთ”. იხ. ი. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები (პალეოგრაფიული აღბოძი), თბილისი, 1973, გვ. 339.

⁷⁸ ივ. ჯავახიშვილის აზრით, ხელნაწერთა მახარებელთა მინიატურები შემდეგდროინდელი ჩაკინძული უნდა იყოს. იხ.: ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1947, გვ. 101, № 38. ჩვენი აზრითაც, თვით მინიატურების შესრულების სტილი და მანიერა ამაზე მეტყველებს, რადგან ისინი ვერცხვლი საზნატვრო სკოლის არსებობაზე მიგვიითიბენ.

⁷⁹ B. van Regemorter, La reliure Byzantine, p. 122-123.

⁸⁰ იმის გამო, რომ იოვანე-ზოსიმეს შემოსული ხელნაწერთა ყდებს გაეკეთათ 6. მარის აღწერილობის მიხედვით, ჩვენთვისაც აუხსნელი დარჩა (ბ. რეგემორტის მსგავსად), თუ რა გავლენა იქონია სინის წმ. ეკატერინეს მონასტრის ტრადიციამ “ქართული აკინძვის” იმ მეთოდზე, რომელსაც ასე დაწერილობით აღგვეწერს ბელგიელი მეცნიერი (იხ. B. van Regemorter, იქვე, გვ. 122-124).

ამრიგად, ჩვენ მიერ ზემოთ განხილული როგორც ტყავის ყდებზე ამოტიფურული (სინური მრავალთავი და Sin.46), ასევე სინურ ხელწერებში ჩახატული (Sin. 34 სანქტ-პეტერბურგში დაცული ფრაგმენტები: Gr. XLI 2r-v, Cup. H.C. 16/1, 20r, Sin.47, 81r (დამ. I, № 1,2,6) ჯერები გამოირჩევიან ორნამენტული სახის ერთგვაროვნებით. ესენი ერთი შემსრულებლის ხელზე უნდა უთითებდნენ, რომელთა ავტორად იოვანე-ზოსიმე მივიჩნიეთ. ამ მოსაზრებას ისიც უჭერს მხარს, რომ ხელნაწერ Sin.47- ში გამოსახულ ჯერებსა და ორნამენტებში გვხვდება მისივე ხელით ჩაწერილი დაქარაგმებული "ლცყო". სიტყვის "ლოცვა-ყავთ" ოთხი ასოთი დაქარაგმება დამახასიათებელია იოვანე-ზოსიმეს ანდერძთა ხელწერისათვის. ზოლო რაც შეეხება მახარებელთა მინიატურებს (ხელში ყდამოხატული წიგნებით), ისინი მიანიშნებენ, რომ წიგნის ყდის მხატვრული გაფორმების ტრადიცია X საუკუნეში და უფრო ადრეც არის სავარაუდებელი.

ამასთანავე, ვფიქრობ, რომ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგები გარკვეულად უმაგრებენ საფუძველს ვარაუდის სახით გამოთქმულ მოსაზრებას, რომ სინური მრავალთავის ყდა გაკეთებული უნდა იყოს იოვანე-ზოსიმეს ხელით 981 წელს, ხელნაწერის მესამედ შემოსვის დროს. Sin.32-57-33 ხელნაწერის ყდა ქართული ძველი ხელოვნების გარკვეული ეტაპის ამსახველია და ამასთან ადრეფეოდალური ხანის საქართველოში ამოტიფურული ტყავის ყდების არსებობის ნათელი დადასტურებაა.*

* საილუსტრაციო მასალა ჩვენ მიერაა მოზადებული სინური კოლექციის ფოტობრუნებიდან გარდა დამ. I, 1,2 და 14 ტაბულებისა.

აღრეული (X-XVI, XVII სს.) ქართული
ხელნაწერების შემოსვის ბაჟენია

ყდის უპირველესი დანიშნულება არის ის, რომ შეკრას რეელებად აკინბული ხელნაწერი და დაიცვას ის დახვისა და დაზიანებისაგან. ხელნაწერი წიგნის "შემოსვა", თავის მხრივ, შეიცავს რამდენიმე პროცესს: რეელებად გადაწერილი ხელნაწერის შეკრებას, შემდეგ მის ყდამი ჩასმას და გაფორმებას. თითოეული ეს პროცესი საკმაოდ შრომატევად სამუშაოს წარმოადგენს. აქ არ შეუდგებით ამ პროცესების ცალ-ცალკე განხილვას, რადგან ნაშრომში წიგნის შეკაშვის საკითხებს სპეციალურად შეეხებით.

წინა თავში საუბარი გვექონდა იმაზე, რომ X საუკუნეში სინაზე მოღვაწე ქართველი ბერებისათვის წიგნის შემოსვის პირველი ორი პროცესი ერთ ბოლიან, "კომბინირებულ" სამუშაოს შეადგენდა, რომელსაც ბ. ვან რეგემორტერმა "ქართული აკინბა" უწოდა (დამ. I, № 3,5).

ქართული ხელნაწერის ხის დაფებს, რეგემორტერის თქმით, აქვთ ჰორიზონტალური ხაზები (ღარები), რომელიც შეესაბამება "გრეკაის" ღონეს (დამ. I, №5). ბოლოები ყუის მხარეს წერტილებადა ჩაჭრილი (თითო ნახერტი). ოსტატი თოკს ორჯერ ან სამჯერ ატარებს თითოეულ ნახერტში. წერილი დაგრეხილი ძაფები ანუ თოკი ერთი ხერცილიდან მეორეში გადადის (შიდა პირიდან) და მაგრდება. შემდეგ ოსტატი იწყებს ხელნაწერის რეელებად შეკრებას. პირველ რეეულს ამაგრებს "გრეკაის" ყველა ღონეზე წერილი თოკით, იგულისხმება ხის დაფებით გაყრილი თოკი, ამის შემდეგ იგი გადადის "ჯაჭვისებურ" კერაზე (დამ.: I 3), იგივე წერილი თოკით ანუ დაგრეხილი ძაფებით, რომლის დროსაც გამოყენებულია ერთი ბოლიანი, ორმაგი ძაფი, რომელიც ჯდება (იფარება) "გრეკაის" ჩაღრმავებაში (დამ. I, №5). მკაშმველი ყოველ ჩაღრმავებაში ყუფფებით ამაგრებს ორ-ორ რეეულს. იგი ძაფს (წემსს) უყრის პირველ რეეულს (დამ. I, № 3). ადის მეორეზე, გაივლის პირველი და მეორე რეეულს "გრეკაის" ყველა ღონეს, უბრუნდება კვლავ პირველს და ადის მესამე რეეულზე, იყრება მეორე და მესამე რეეული ("გრეკაის" ყველა ღონეზე). შემდგომ იგი უბრუნდება მეორეს, საიდანაც ადის მეოთხეზე და ასე აგრძელებს ბოლომდე, როცა წიგნის შეკრება (აკინბვა დასრულებულია, მისსველი კვლავ გაივლის "გრეკაის" ყველა ჩაღრმავებას (წიგნი მყარად რომ იყოს შეკრული) და დაგრეხილ ძაფებს (თოკს) ყუის ცენტრში (შუაში) აფიქსირებს ყუფფში. ყდის ოსტატი შეკრული წიგნის ბლოკზე ამაგრებს ყდის ქვედა დაფას უსუსტად ისე, როგორც ზედას და ბოლოს ერთიანად კვლავ ყველა ნახერტში გაივლის¹¹. ბ. ვან რეგემორტერის აზრით, მხოლოდ ქართული და სომხური ხელნაწერებისთვისაა დამახასიათებელი წიგნების "კომბინირებული" შეკრა, მაგრამ, ამავე დროს, განსხვავებულია მათი რეელებად აკინბვის ტექნიკა - ქართულ ხელნაწერებს კრავდნენ "ჯაჭვისებურად" (დამ. I, № 3,5), სომხურს კი "თვეზის ფხის" მშავესად, რაც ორი ძაფით (ორი ნემსით) შეკერვის წესით მიიღებოდა.¹²

ბ. ვან რეგემორტერს საჭიროდ მიანია გაირკვას სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ტრადიციის პირდაპირი თუ არაპირდაპირი გავლენა წიგნის აკინბვის იმ მეთოდზე (ტექნიკაზე), რომელსაც იგი "ქართულ შეკრებას" უწოდებს ("Couture géorgienne") (დამ. I, №5).

ბნელია ან რა თქმაა, თუ რა საიხზე შეიტანეს ქართველმა ბერებმა ხელნაწერი წიგნის ყდის შემოსვის ტექნიკაში, იმის შესახებ ამ მხრივ საპრობლემისა და სინის სამწიგნობრო კერიდან, რადგან ჩვენ არ გვექონდა იმის საშუალება დედანში გვენახა სინის მთაზე დაყული ქართული ხელნაწერების ყდები. ერთი კი ფაქტია, რომ, როგორც ზემოთ აღწერილი აკინბვის პროცესებიდან ვიგებთ, ქართული და სომხური ხელნაწერების მკაშმველები წიგნების ყდამი ჩასმისას იჩენდნენ ორიგინალურობას. მათ მიერ შემოსილი ხელნაწერები განსხვავდებოდნენ ეთიოპური, კობტური, ბერძნული და ბიზანტიური ყდებისაგან.

¹¹ B. van Regemorter, La reliure Byzantine. p. 122-124.

¹² სომხური ხელნაწერების შეკერვისას თოკი გაკეთებულია რამდენიმე დაუგრეხილი ძაფისაგან, რის გამოც იგი შედარებით ნატიფია და კარგად ეკრის ხის დაფას. თოკი იყოფა ორად: მისი ორივე თავი ყრება ნახერტში, უმაღლეს წერტილზე კეთდება ყუფფი და შემდეგ ძაფები კვლავ იყოფა. ეს არის ის წერტილი, საიდანაც ოსტატი იწყებს ორი ძაფით (ორი ნემსით) კრებას. ნაკერი ძალიან აკვავ თვეზის ფხას. როცა ხელნაწერი წიგნის რეელებად შეკრა დასრულებულია, ოსტატი თოკის ორ ბოლოს ატარებს ნახერტში, დაფის ქვედა ნაწილში, რომელიც იმავე მანძილზე არის დამორეხული ნაჭდევიდან, როგორც ეს დაფის ზედა ფრთაზე იყო და აწებებს შიდა პირზე. სომხები მისსველები ქსოვობით ფარავდნენ ხის დაფების შიდა მხარეს. ძირითადად გამოყენებულია აბრეშუმის ან ბამბის ზოლებიანი ნაჭრები, რადგან წიგნის შეკერვისას დატრეხილი ყოველი დევექტი ქსოვილის ქვეშ კარგად იფარება. იხ. B. van Regemorter, იქვე, გვ. 123-124.

ადრეული ყდების (X-XVI სს.) შესწავლის თვალსაზრისით მეტად საინტერესო უნდა იყოს როგორც ზემოთ დასახელებული კოლექცია, ასევე იერუსალიმური და ათონური, რადგან, ალბათ, გვიანდელი რესტავრაციის ხელი ყველაზე ნაკლებად სწორედ ამ მონასტრების წიგნთსაცავებში დაკულ ხელნაწერებს შეეხო.

ხელნაწერი წიგნების ყდების დათარიღების სხვადასხვა სისტემამ, რომლებსაც გაეყვანით ბ. ვან რეგემორტერის, ა. კაუდანიის, ბ. არაქელიანის, პ. სიმონის, ს. კლემიკოვის, ე. შვარცის, ჟ. ვინარის, ლ. კისლიევისა და სხვათა ნაშრომებში, საშუალება მოგვცა ეტაპობრივად წარმოგვედგინა ადრეული (X-XIII, XIV-XVI სს.) და გვიანდელი (XVII, XVIII-XIX სს.) ხელნაწერი წიგნების ყდების განვითარება, ხოლო ქართული ხელნაწერი წიგნების ყდების შესწავლის შედეგად ჩამოგვეყვადებინა ადრეული და გვიანდელი ქართული ყდების დათარიღების გარკვეული მოდელი (სისტემა) – მხედველობაში გვაქვს როგორც წიგნის რეკლუბად შეკრა, ხის დაფების მიმაგრება, ისე ტყვიის ზედაპირის მხატვრული გაფორმება.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ბიზანტიური ყდების ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია.³⁵ ხელნაწერი ფურცლების რეკლუბად დაკეცვა, რეკლუბების "ჯაკვისებური" შეკრევა, ხის დაფების "ზიგზაგისებური" მიმაგრება რეკლუბად აკინძული წიგნის ბლოკზე, ხის დაფების ჩამოჭრა ზუსტად ხელნაწერის ფურცლების პირზე, გლუვი ყუა, რაც "გრეკებით" საშუალებით მიიღებოდა და რომელსაც მომრეკლუბებულად ეკრა სქელი ძაფისაგან დაწერილი კაპიტალი³⁶ (დამ. I, № 3, 4, აბ, გ, დ).

ბ. ვან რეგემორტერი ნაშრომში გამოყოფს ხელნაწერი წიგნების ყდების ერთ ჯგუფს, რომელზეც თოკები მიმაგრებულია სწორხაზოვნად (ვერტიკალურად), რასაც ავტორი უშუალოდ ჰაპირუსის დაფის პრინციპს უკავშირებს (ხის დაფებზე რთული იყო ვერტიკალური ხაზების ღარის) ჩაჭრა, რის გამოც ყდის ოსტატები ხეზე ძირითადად პირიზონტალურ კვეთს აკეთებდნენ. ვერტიკალური კვეთით შესრულებული ხის დაფები, ავტორის აზრით, ყდის მიმაგრების ერთ-ერთი ადრეული სახე უნდა იყოს (დამ. I, № 15). მას ნიშნულად მოაქვს XIV ს. ხელნაწერი წიგნების ყდები: Constantinopolitanus Seragl. 85 (XIV^e siècle); Marcianus app. Gr. VI. 10 (col. 1300); Sinaiticus Gr. 465.³⁷

სინური კოლექციის ფოტოებზე მუშაობისას შეგვხვდა XIII ს. გადაწერილი ხელნაწერი Sin. 67, რომლის ხის დაფებზე თოკები დამაგრებულია "სწორხაზოვნად": ძირითადი ხაზი (ჩაჭრა) ვერტიკალურია (დამ. I, № 15), რომელზედაც ნახვრეტები პირიზონტალურადაა განლაგებული. ამ ნახვრეტების საშუალებით უკავშირდება ხის დაფები წიგნის ბლოკს (იხ. Sin. 67 ხელნაწერის ფოტოპირი – პირველი და ბილი გვერდი).

Sin 67. ხელნაწერს XIII ს. ათარიღებენ ლ. ჯღამაია და მ. დვლი. ავტორთა აზრით, ხელნაწერი შეუმოსავს თეოდორე "ზონარას"³⁸ XIII ს. შემდეგ, როდესაც ამის საჭიროება შეიქმნა³⁹ ბასილი გადაწერის ანდერძში კი ვკითხულობთ: "...აჲ გვედრებით ყოველთა, რომელნი მიემთხნეთ წმიდას ამას საგალობელსა, ლოცვა-ყავთ უპირატეს ყოვლისა კორიციელად მამისა ჩემისა მიქაეელისთვის, რამეთუ მისთა ლოცვათა მიწობითა ვიწყე, და მერმე მამისა სულიერისა მღვდლისა მოხსნისთვის, რომელმან ფრიად იხარკა ამისი ყოფაჲ, და ძმისა ჩემისა საყუარელისა თეოდორესთვის, რამეთუ მის მიერ შეიმოსა..." (305v).

Sin 67. ხელნაწერზე დართულ მინაწერებში ვხვდებით რამდენიმე თეოდორეს: თეოდორე "შენ(ა)რ(ა)ჲ" (330v, 332r წიგნის ფორზაცზე), თეოდორე "მაცხეთისა" (331v) და თეოდორე (Iv, 131v). უნდა აღვნიშნოთ, რომ მინაწერებში თეოდორე "შენ(ა)რ(ა)ჲ" არც "მოსველად" და არც "შეკამეულად" არ იხსნიება: "...ყოველად წმიდათა დედოფალთა დროისმშობელო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი და სულითა საწყალობელი თეოდორე "შენ(ა)რ(ა)ჲ", "შენ(ა)რ(ა)ჲ" შენისა ძისა საყუარელსა" (330v). ხელნაწერის ფორზაცზე (332r) მხედრულით დაწერილი მინაწერი დაზიანებულია: "უფ(ალო)... შეიწყ(ა)ლ(ე)... თეოდორე "შენ(ა)რ(ა)ჲ"

³⁵ ბიზანტიური ყდებთან, რომლებსაც შეისწავლის ბ. ვან რეგემორტერი, ყველაზე ადრეული თარიღდება XIV-XV სს. იხ. : B. van Regemortier, *La reliure Byzantine*. p. 104.

³⁶ B. van Regemortier, იქვე, გვ. 114-129. ე. შვარციც ადრეული რუსული ხელნაწერი წიგნების შესწავლისას ეყრდნობოდა ბ. ვან რეგემორტერის მიერ შედგენილ ბიზანტიური ყდების დათარიღების მოდელს. იხ. E. M. Шварц, *О византийском влиянии*, с. 175, 180.

³⁷ B. van Regemortier, იქვე, გვ. 121-122.

³⁸ Sin 67 ხელნაწერის 330 v-ზე გვხვდება თეოდორე "შენრა", 332 r (წიგნის ფორზაცზე) კი თეოდორე "შენრა". ვფიქრობთ, თეოდორეს ზედწოდება შეგვედგინა უნდა ავადიანიოთ "შენ(ა)რ(ა)ჲ".

³⁹ მ. დვლი. დ. ჯღამაია, მათი საუკუნის პატრიკის (Sin 35) ერთ-ერთი ფრაგმენტის შესახებ, მრავალთაჲ, VI, თბილისი, 1978, გვ. 72.

გვე(დრები).“ აღწერილობის მიხედვით, ზემოთ დასახლებული მინაწერები დათარიღებულია XV-XVIsს.⁸⁸ ხოლო რაც შეეხება თეოდორე მოსკელს, იგი იხსენიება ხელნაწერის გადამწერის ანდერში და ვფიქრობთ, არანაირი კავშირი არ უნდა ჰქონდეს XV-XVIsს. დათარიღებულ მინაწერში მოხსენიებულ პირთან. როგორც ანდერშიდან არკვევა (305v), Sin. 67 ხელნაწერი თეოდორე შემოსა, ყდაში ჩასვა მაშინ, როდესაც ბასილიმ დაასრულა მისი გადაწერა. როგორც ვხედავთ, XIIIს. სინაზე გადაწერილი ქართულ ხელნაწერზე გამოყენებულია ბიზანტიური წიგნის შეკერვის, ხის დაფების დამაგრების ტექნოლოგიის ადრეული სახე⁸⁹. აღსანიშნავია, რომ რეგემორტერი ამ ტიპის აკინძას XIVს. დათარიღებული ბიზანტიური ხელნაწერების ნიმუშებით იცნობს. ჩვენი აზრით, XIIIს. ქართულ ხელნაწერზე (Sin. 67) “სწორხაზოვანი” შეკერვის არსებობა მტკიცელებს იმაზე, რომ ბიზანტიურ წიგნებზე ზემოთ დასახლებული აკინძვა უფრო ადრეული (XI-XII) საუკუნეებიდან არის მოსალოდნელი. ამრიგად, ვა, რომელიც დღისათვის გააჩნია Sin.67 ხელნაწერს, გადაკეთებულია თეოდორე მოსკელის მიერ XIIIს-ში.

ხელნაწერების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ადრეული (X-XVIsს.) ქართული წიგნების ყდებისათვის, ისევე როგორც ბიზანტიურისათვის, დამახასიათებელია სქელი, მასური ხის დაფები, რომლებიც ჩამოჭრილია ზუსტად ხელნაწერის ფურცლების პირზე (დამ. I, №4). ხის დაფები ძირითადად დაფარულია ტყავით. იგი შეიძლება შეგვხვდეს როგორც ამოტვიფრული, ისე ამოუტვიფრავი. XIV-XVIsს-ში ყდის გარეგნული მხარე თითქმის უცვლელი რჩება⁹⁰, თუ არ ჩაეთვლით ხის დაფებს, რომლებიც X-XIIIსს.ხის დაფებთან შედარებულ თხელია. ყუაზე შეკერვის რელიეფური ადილები არ შეიმჩნევა, ზედაპირი გლუვია, რადგან გამოყენებულია “გრეკაჟის” ტექნიკა (დამ. I, №5). ყუაზე, ტყავის ქვეშ, შეიძლება დაწებებული იყოს ტილოს ნაჭერი. ადრეული წიგნის ყუა შეიძლება შეგვხვდეს როგორც ბრტყელი, ისე მომრგვალებული ფორმით, ძირითადად ამოუტვიფრავი (XVIsს-მდე). ხის დაფები ყუის მხარეს გახვრტილია (დამ. I, №4, დ, 5). შესაძლოა, ხის დაფებს ჰქონდეს ორ-ორი ნახვრტი, რომლებიც ყდის ზედაპირზე პორიზონტალურადაა განლაგებული და რომელთა შორის ამოჭრილია ღარები (ვ. ი. კეიფიძე პატარა ჩაღრმობა, რომელშიც ყდებს თოკი ანუ დაგრეხილი ძაფეები). სწორედ ამ ნახვრტების საშუალებით უკავშირდება რველებად აკინძული წიგნის ბლოკი ყდას. ნახვრტი უნდა დამთხვეოდა “გრეკაჟის” ღონეს (დამ. I, №5). ხელნაწერის ყდაზე და ყუაზე მიკერებულია მსხვილად დაწული ჭრელი კაპიტალი, რომელიც კიდევ უფრო მყარად კრავს წიგნს და ამთავრებს მის ფორმირებას. კაპიტალი მაგრდება ზედა და ქვედა ფრთის ხის დაფებზე საცეცხლურად მომზადებულ ნახვრტებში (დამ. I, №4, ბ, გ), ასევე ეკერება რველებად აკინძულ ბლოკს (დამ. I, №4, ა, გ). ხის დაფებზე, შიდა (უკანა) მხარეს შეიძლება დაკერდეს ღარებში ნაჭერი, ეტრატის ან ქალაღი. ფორზაცის, გარდა პრაქტიკული დანიშნულებისა, წმინდა ესთეტიკური მხარეც აქვს. იგი ფარავს ყველა იმ დეფექტს, რომელსაც ხელნაწერის ყდაში ჩასმისას ტოვებდა მკაზმველი. ფორზაცის ერთი ფურცელი იკინძებოდა ხელნაწერთან ერთად, მეორე კი ეკეროდა ხის დაფებს. ფორზაცად გამოყენებულ ქსოვილს, ეტრატს თუ ქალაღს დიდი მნიშვნელობა ენიჭება წიგნის ყდის შესწავლის, დათარიღების საქმეში. ხელნაწერი წიგნი იკერებოდა ლითონის თავიანი ორი ან სამი ტყავის თასებით (ყდაზე შესაკრავების რაოდენობა დამოკიდებული იყო თითო ხელნაწერის ფორმატზე), რომელსაც “ლილო-კილონი” ეწოდებოდა (Ath. 4, 108r)⁹¹. იყო წიგნის ისეთი ყდებიც, რომლებსაც არ ჰქონდათ “ლილო-კილონი” და თავებგახვრტილი ტყავის თასებით პირდაპირ უმაგრდებოდა მცირე ზომის, სოლის მაკვარ ჩამოსაკმელებს.

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება სხვადასხვა დროს იერუსალიმიდან ჩამოტანილი რამდენიმე ხელნაწერი წიგნი: H 1741, H 2336, H 1661, H 2339, H 2337, H 1662, H 1664, H 1348, H 2338⁹². ამ ხელნაწერების ყდების შესწავლა განაპირობა რამდენიმე ფაქტორმა. კერძოდ იმან, რომ ყველა ეს ნუსხა შექმნილია ერთ პერიოდსა და გარემოში. ჩვენ ვგარაუდობდით გამოგვეყვლინა ზემოთ დასახლებული იერუსალიმური წარმომავლობის ხელნაწერთა ყდებს შორის არსებული მსგავსება, საერთო

⁸⁸ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (სინური კოლექცია), ნაკ. II, შუბდ. ც. ჭანკიევი, ლ. ზევსურანი, თბილისი, 1979, გვ. 115. №67.

⁸⁹ Sin. 67 ხელნაწერი ყდის საცეცხლად (ფორზაცად) გამოყენებულია 907 წ. გადაწერილი Sin. 35 ხელნაწერის ფრადმენტზე, რომელზეც შემონახულია ოიანე-ზოსიმეს ანდერტი, სალმანკ ვიგები, რომ ოიანეს ხელნაწერი შემოსეს 973 წელს, ნუსხის საპრომონდიდან სინაზე მოხვედრის შემდეგ. ამ ანდერტს ნაშრომის მომდევნო თავში კვლავ დაუხვრუნდებით.

⁹⁰ იგივე აზრია გამოთქმულიც ე. შუაკის ნაშრომში: “Образ доски вровень с блоком книги был присущ русскому переплету вплоть до второй половины XVI в.” н.с. Е. М. Шварца, О византийском влиянии, с. 171.

⁹¹ ამ ტერმინთან დაკავშირებით იხილეთ აგრეთვე: ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973, გვ. 461.

⁹² ბლოკი ორი ხელნაწერი გადაწერილია XVI ს-ში. H 2338 ხელნაწერის ყდა ახალია, რესტავირებულია ხელნაწერთა ინსტიტუტში.

იბანი, რაც, თავის მხრივ, საშუალებას მოგვცემდა გარკვეული წარმოდგენა შევქმნოდა იერუსალიმში დაეულ ქართულ ხელნაწერთა ყდებზე, მაგრამ კვლევამ სხვა სურათი წარმოგვიდგინა, ამ განსხვავების მიზეზი კი იმითაა გაპირობებული, რომ ხშირი გამოყენების გამო XI-XV სს-თა ხელნაწერ წიგნებს არ შემორჩა თვალაპირველი ყდები. ამას ადასტურებს ნუსხებზე დართული ანდერძ-მინაწერებაც (H 1661 ხელნაწერის ანდერძები წიგნის ოთხგზის აკინძაზხედაც კი მიუთითებენ).

მიუხედავად მათი ხელახალი შეკაზმვისა, რამდენიმე ყდაზე გვხვდება აკინძვის ადრეული ნიმუშებიც, რაც იმით აიხსნება, რომ, მართალია, ხელნაწერი წიგნების ყდები დროთა განმავლობაში ცვლილებას განიცდიან, მაგრამ ყდის დამუშავების ტრადიცია მაინც შენარჩუნებულია: ტექნიკა, იარაღები საუკუნეების მანძილზე უცვლელი რჩება (მხედველობაში გვაქვს ყდის განვითარების ადრეული ეტაპი, რომელიც მოიცავს X-XV სს.).

საინტერესოა, თუ რამდენად შეესაბამებიან ისინი ადრეული ხელნაწერი წიგნების ყდების ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოყალიბებულ მოდელს?

ხელნაწერი წიგნის ყდის ისტორიის ზოგადი სურათის წარმოსადგენად, იერუსალიმური წარმომავლობის ნუსხების და XIV-XVI საუკუნეების კოდექსების მსგავსება-განსხვავებათა აღნუსხვის მიზნით, საჭიროდ მივიჩნით ზემოთ დასახელებული ხელნაწერი წიგნების ყდების ზუსტი აღწერა.⁹³

H 1741, სახარება, 1048 წ., ეტრანტი, გადაწერის ადგილი-გუთსემანია; ჩამოტანილია სვანეთიდან. ტყავადაკრული ხის ყდა 21.5 X 13.5, ხის დაფების სისქე 1 სმ., ტყავი ყავისფერი, ამოუტეიფრავი, დაზანებული (იხ.: დამ. I, №17, 18,24).

ხის დაფები მასიურია (დამ. I, №17,18), ჩამოჭრილია ხელნაწერის ფურცლების პირზე (დამ. I, №24) ხის დაფებზე ნახერტები (ყვის მხარეს, კიდეზე) არ შეიმჩნევა. თოკები, რომლითაც უკავშირდება ხის დაფები რვეულებად აკინძულ ხელნაწერს (წიგნის ბლოკს), მოქცეულია დაფებს შორის.

ბიზანტიურ ხელნაწერ წიგნებზეც გვხვდება ორმაგი ხის დაფებისაგან გაკეთებული ყდები. ბ. ვან რეგემორტერი ნაშრომში აღწერს ორმაგი დაფის მიმაგრების წესს: იმ შემთხვევაში, როცა დაფა გაკეთებულია ორი ფირფიტისაგან, მათი გათვისის ერთ ფირფიტაში და მეორე ფურცელში. ტექნიკა თითქმის იგივეა, როგორც ერთმაგი დაფის დამაგრების დროს⁹⁴. როგორც ვხედავთ, H 1741 ხელნაწერის ყდაზე გამოყენებულია ორმაგი ხის დაფების მიმაგრების ტექნიკა.

H 1741 ხელნაწერის ყდის ზედაპირზე დაკრულია ლითონის ბურთულები, სამსკვალეები. ქვედა ფრთაზე შემორჩენილია ვერცხლის მოჭედით ნაზღვრული ფრაგმენტები (იხ.: დამ. I, №17,18).

ხელნაწერს ტყავის ყუა არ გააჩნია, დაკარგულია. ყუა მომრგვალებულია (დამ. I, №24). რვეულებად აკინძულ ხელნაწერზე გამოყენებულია "გრეკაჟის" ტექნიკა, რომელზეც შეიმჩნევა წიგნის მთორადი აკინძვის კვალი (იხ.: დამ. I, №17, 18, სამწუხაროდ, ფოტოზე ცუდად აღუწერია და აკინძვის პროცესები).

რუსი რესტავრატორის ი. მაკრეცოვას დაკვირვებით: "Пергаменные тетради из-за особенностей кожи не могут быть дважды сшиты по одним и тем же дыркам или "зубкам"- ромбическим отверстиям для ниток."⁹⁵ როგორც ვხედავთ, ი. მაკრეცოვას მხედველობაში აქვს "გრეკაჟის" ჩაღრმავება.

H 1741 ხელნაწერს ყუაზე შემორჩენილი აქვს ქვედა ერთმაგი, სქელი, დაშლილი თოკის (კაპტალის) ფრაგმენტი. ზედა და ქვედა ფრთებს იკავებს წიგნის აკინძვის შედეგად სპეციალურად დატოვებული დაგრეზილი მათები და კაპტალის ფრაგმენტები.

ხელნაწერს უნდა ჰქონოდა ტყავის ორი თასმა (შესაკრავი), რომლებიც დღეისათვის დაკარგულია. ზედა ფრთაზე შემორჩენილია ლითონის მასიური, წაწვეტებული (უფრო სოლის მაგვარი) შესაკრავები, რომლებზეც მაგრდებოდა თასები (იხ.: დამ. I, №17).

ადრეული ყდებისათვის დამახასიათებელი ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნების მიხედვით და იმის გამოც, რომ ხელნაწერის ყდაზე გვხვდება ბიზანტიური წიგნის შეკაზმვის ერთ-ერთი სახეობა, კერძოდ, ორმაგი ხის დაფების მიმაგრება აკინძული წიგნის ბლოკზე (ასევე უნდა გავითვალისწინოთ "გრეკაჟის" ტექნიკის გამოყენებაც), ჩვენი ვარაუდით, H 1741 ხელნაწერის ყდა XIV-XV სს. უნდა დაეთარიღოთ.

⁹³ ხოლო რაც შეეხება ზემოთ ჩამოთვლილი ხელნაწერების შეკრების ტექნიკას, ამკერად მასზე ყურადღებას ვერ გავამახვილებთ, ვინაიდან აკინძვის მეთოდზე მსჯელობა შეიძლება მხოლოდ ამ ნუსხათა დამლის შემდეგ (მხედველობაში გვაქვს რესტავრაციის პროცესი).

⁹⁴ B. van Regemorter, La reliure Byzantine. p.120-121.

⁹⁵ დადასტურებული ე. შვარცის ნაშრომის მიხ. შდრ.: E. M. Шварц, О византийском влиянии, ст.171,сх.10.

H 2336, თ.ვენი, XI ს. ეტრათი, ტყავადაკრული ხის ყდა – 25,8 X 19 სმ., ფაისფერი, ამოტიფურული (გამოყენებულია “ბრმა” ტიფურის მეთოდი). გაქეპილი, დაზანებული, ზედა ფრთა მსგავსია ქვედასი (დამ. I, №19), სწორედ მთლიანი ხის დაფების სისქე 0,7 მმ, დაფები ჩამოჭრილია ხელაწერის პირზე, რაც ყდის ადრეულობის ერთ-ერთი ნიშანია (დამ. I, №27). ყუა ამოტიფურავთა, რომელზეც წიგნის შეკერის (აკინძვის) რელიეფური ადგილები არ შეიმჩნევა, გლუვია (დამ. I, №29). როგორც ჩანს, მკაზმველი იყენებს “გრეკაის” ტექნიკას. ყუას ახლავს ორი ჭრელი კაპტალი.

ხელნაწერის 262 რ-ზე გვხვდება 1570 წლით დათარიღებული ელასი ურბნელის მინაწერი: “...ღირს ვიქმენ ჟე, ურბნელ მთავარეპისკოპოსი ელასი, შეკაზმად წმინდა ამის წიგნისა თუმთა აპარილისათა, რამეთუ უმთა სიგნისისად განრეყნოლ და უქმარ ქმნილიყო...”.

ხელნაწერი ყდის ორივე ფრთის გაფორმების კომპოზიციური პრინციპი ერთნაირია (დამ. I, №19). ყდას კიდესთან ახლოს მიჰყვება ორმაგი აშოა. აშობად გამოყენებულია მართკუთხედის ფორმის “საბორღორე” ტიფურები, რომელთა ნახატი წყულ ორნამენტს შეადგენს. პირველი უწყვეტ რივს წარმოადგენს (აკა-იქ სიმეტრია ტიფურებს შორის დარღვეულია), მეორე კი წყვეტილი. აშობს ჩარჩოდ ახლავს ორ-ორი ხაზი. ყდის შიდა სივრცეს კვეთს პორიზონტალური და ვერტიკალური ორ-ორი ხაზი, რომლებიც ყდის ზედაპირზე ქმნიან ოთხკუთხედებს. ყდის ცენტრალურ ნაწილს აესებს მეორე აშობად გამოყენებული “საბორღორე” ტიფურები (“შემაესებელი” ტიფურების ნაცვლად “საბორღორე” ტიფურების გამოყენება ყდის ადრეულობის კიდევ ერთი ნიშანია).

წიგნის ფორზაცად გვხვდება თეთრი, სიძველისაგან გაყვითლებული ქარაღლი. ხელნაწერს უნდა ჰქონოდა სამი შესაკრავი, რომლებიც დღისათვის დაკარგულია.

H 2336 ხელნაწერის ყდა ყველა ნიშნის მიხედვით XVI საუკუნით უნდა დაეთარიღოს. ვფიქრობთ, ყდა, რომელიც გააჩნია **H 2336** ხელნაწერს, სწორედ ის ყდა უნდა იყოს, რომელიც 1570 წელს დაშლილ და დახეულ წიგნს გაუკეთა ელასი ურბნელმა (იხ.: დამ. I, №19,27,29).

H 1661, სვიანქსარი, ეტრათი, 1156 წ., გადაწერილია იერუსალიმის ჯერის მონასტერში. ტყავადაკრული ხის ყდა, 25,5 X 19. ფაისფერი, გაქეპილი, ამოტიფურული (დამ. I, №20). ხის დაფები თხელია (განსხვავდება ადრეული წიგნების ხის დაფებისაგან), კიდევბი ირიბადაა მთლიანი, გამოდის და ფარავს რვეულებად აკინძვლ წიგნის ბლოკს, რაც დამახასიათებელია XVIII ს. წიგნის ყდისათვის. ირიბად მთლილ კიდევებზე, შიდა მხარეს, ამოტიფურული ხაზები (დამ. I, №28). ხელნაწერის ფურცლების ჩამონაჭერი შედებილია წითლად.⁶⁶

ხელნაწერის ყუა ამოტიფურულია, მხატვრულ აქცენტებად გამოყენებულია მცენარეული ორნამენტი. ყუაზე შეკერვის სამი ადგილი რელიეფურია (დამ. I, №31). როგორც ვხედავთ, ხელნაწერის შეკერისას მკაზმუნელ არ იყენებს “გრეკაის” ტექნიკას (მსგავსი აკინძვა დამახასიათებელია XVIII ს. წიგნებისათვის). ყუას ახლავს ორი, ერთმაგი თოკისაგან გაკეთებული, ჭრელი ძაფებისაგან დაწნული კაპტალი. ტყავზე ტიფურა შესრულებულია “ბრმა” ტიფურის მეთოდით.

ყდის ზედაპირს აშობად მიჰყვება ერთმაგი, წყვეტილი დეკორატიული რკალის მაგვარი ორნამენტი, რომელსაც კრავს სამ-სამი ხაზისაგან შემდგარი ჩარჩო. ცენტრში ამოტიფურულია წაისრული ფორმის მდალიონი, კუთხეებში კი მცენარეული ორნამენტებისაგან შემდგარი “კუთხის” ტიფურები. ორნამენტები სტილიზებულია. ზუსტად იგივე ტიფურები შეორდება ვახტანგ VI გამოცემულ წიგნების ყდაზეც. შდრ. 1712 წ. დაბეჭდილი “ვეფხისტყაოსანი”, ხელნაწ. ინსტ. № 67, თსუ-ს რუსთაველის კაბინეტის ცალი. სამივე დასახელებული ყდა, შეიძლება ითქვას, იდენტურია (დამ. III, №45).

H 1661 ხელნაწერის ყდის ცენტრში გამოსახული ტიფურის რამდენიმე სახეობა ვხვდებით ს. კლემპიკოვის მიერ შედგანილ ყდების ტიფურების კატალოგში: № 121,124,102,103. ავტორი მათ XVI-XVII სს. ათარიღებს.⁶⁷ იგი დასახელებული ტიფურების შესახებ წერს: “Переплетная мастерская Троице-Сергиевской лавры была первой, введшей в употребление крупные клише-средник и уголки... Эта же мастерская ввела в обычай применение средника особой формы – растительного орнамента, служившего как бы фирменным знаком мастерской (рис. 15)”.⁶⁸

⁶⁶ ბიზანტიურ წიგნებზე ფურცლების ჩამონაჭერის გაფორმება (მოიქროვილი კიდევბი, ზოგჯერ ამოტიფურული, ერთიანად დაფერილი, ან წვეთებად დაჭრლებული). ბ. ვან რეგემორტერის აზრით, გავრცელდა იტალიური რენესანსის მუხედ (XV-XVI სს.). იხ.: B. van Regemorter, La reliure Byzantine, p.126. ბუნებრივია, ვფიქრობთ, რომ ქართულ წიგნებზე ჩამონაჭერის გაფორმება ჩნდება XVIII ს-დან.

⁶⁷ С. А. Клепиков, Орнаментальные украшения переплетов, с. 67-68, 395,397,425,427.

⁶⁸ С. А. Клепиков, из истории русского, с.122, Описание, с. 57,74.

როგორც ვხედავთ, ნახატზე გამოსახული მედალიონი H 1661 ხელნაწერის ყდის ცენტრში ამოტიფურული მედალიონის შესავსია (მსგავსება შეინიშნება ორნამენტულ ნახატში). მხოლოდ ოდნავი სხვაობა ჩარჩოში, მაგრამ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ XVIII-XIXსს. გადაწერილი ქართული ხელნაწერების ყდებზე გვხვდება ს. კლეპიკოვის წიგნი დასახელებული მედალიონის იდენტური ტიფიური, იხ.: A235, A53, A71, A122, A3, A6 და სხვ. ჩვენი ვარაუდით, დამაა რუსეთიდან ჩამოიტანეს XVIIIსს. დასაწყისში.⁹⁹

H 1661 ხელნაწერის ფორზაცად გამოყენებულია მუქი ლურჯი, ჭვირნიშნაანი ქაღალდი, რომელზედაც გამოსახულია-ზედა ფორზაცზე რუსული ასოები ФДЯ, ქვედაზე კი ოროაიანი არწივი გვირგვინით თავზე ქაღალდს გაანია თარიღი ჭვირნიშნის სახით: 1821. ეს ქაღალდი რუსეთში 1819-1822 წწ. გამოდიოდა დიმიტრი იაკოვლევის მანუჟაქტურში (Фабрика Дмитрия Яковлева)¹⁰⁰. ჩვენი აზრით, H 1661 ხელნაწერის ყდა გაკეთებული უნდა იყოს 1821 წელს. ხელნაწეს აქვს საინტერესო მინაწერები, საიდანაც ვიგებთ, რომ 1806 წლამდე ხელნაწერი ჯერ კიდევ იერუსალიმის ჯერის მონასტერშია. 1812-1829 წლებში წიგნის სამყოფელია ჯრუჭის მონასტერი. ხელნაწერის 339 v -ზე გვხვდება მინაწერი: "ღმერთო, შეიწყალე მესტამბის შვილი დაეთ". დავითი, როგორც ჩანს, იმერეთის სტამბის (1800-1817წწ.) ერთ-ერთი მოღვაწეთაგანის შვილი იყო და ვფიქრობთ, თავადაც იღებდა მონაწილეობას წიგნების ბეჭდვაში.

H 1661 ხელნაწერის ერთ-ერთი ანდერძიდან ვიგებთ, რომ სკინანასარი 1570 წელს შეკაზმა ვლასი ურბნელმა: "სახელისა ღმრთისათა შეიკაზმა წმინდაჲ ესე სინაჲწარა და შეიკრა კელითა ურბნელ მთავარ ეპისკოპოსისა ვლასისითა... ლმერთმან იცის ბუერი ჭირი ენაზე ამის შეკაზმამოგა..." (339r-v). H 1661 ხელნაწერის ყდის აღწერილობიდან ჩანს, რომ იგი სრულიად განსხვავდება H 2336 ხელნაწერის ყდისაგან (დამ. I, №19,20), რომელიც, ჩვენი ვარაუდით, 1570 წელს შეკაზმა ვლასი ურბნელმა¹⁰¹.

H 1661 ხელნაწერის 3 v-ზე, ჯერის მარცხენა მხარეს არსებულ მინაწერში ვკითხულობთ: "ამა წიგნისა შეკაზმავსა ტუნის ძესა ანთიმოსეს და მისთა ღვთა-მამათა შეუნდენეს ღმერთმან". საინტერესოა, თუ როდის და სად მოღვაწეობდა ტუნის ძე ანთიმოსე? იგი 1300 წელს გადაწერილი თვენის (Jer. 107,45v) ერთ-ერთ მკაზმეულად გვეკლინება. აქვე უნდა აღინიშნოთ, რომ ხელნაწერთა მინაწერები შინაარსობრივად მგორდება. ვფიქრობთ, ტუნის ძე ანთიმოსე XIII-XIVსს. მოღვაწე უნდა იყოს. ჩვენი აზრით, 1156წ. გადაწერილი ხელნაწერი (H 1661) მას მგორედ უნდა ჩაესვა ყდაში, ვლასი ურბნელის შესამდე - 1570 წ., ხოლო 1821 წელს წიგნს მეთიხედ გაუკეთეს ამოტიფურული ტყაყის ყდა (მდრ.: დამ. III, №45).

H 2339, თ ვენი, XIს., ეტრატბი, ტყვეგადკურული ხის ყდა, ზომა 23 X 19, ამოტიფურული (გამოყენებულია "ბრმა" ტიფიურის მეთოდი), მუქი ყავისფერი, ხის დაფების სისქე 0,7მმ., რომლებიც ჩამოირღვია ხელნაწერის ფურცლების პირზე. ყდის ფრთხედად გამოყენებულია ძველი, რესტავირებული ხის დაფები (მათ მგორადი გახსერტის კვლი ეტყობათ). ხის დაფები მასიურობის შთაბეჭდილებას არ ტოვებს (იხ.: დამ. I, №21,26,30).

ზედა და ქვედა ფრთხების გაფორმების კომპოზიციური პრინციპი თითქმის ერთნაირია, განსხვავებას გააძლევს ზედა ფრთხის ცენტრალური ნაწილი: ყდის ზედაპირს კვეთს დიაგონალური ხაზები. რომლებიც ყდაზე ქმნიან რომბებს. ზედა ფრთხის ცენტრალურ ნაწილში ჯერის ფორმაზე განლაგებულია მცირე ზომის მართკუთხედის მოყვანილობის "საბორდიურე" ტიფური (იხ.: დამ. I, №21). რომლის ნახატს წწელი ორნამენტი შეადგენს; განსხვავდება H 2336 ხელნაწერის ყდაზე გამოსახული "საბორდიურე" ტიფურებისაგან (იხ.: დამ. I, №19). H 2339 ხელნაწერის მკაზმეული, მსგავსად H 2336 ყდისა (ე.ი. ვლასი ურბნელის მსგავსად), ყდის ცენტრალურ ნაწილში იყენებს "საბორდიურე" ტიფურს, ნაკვალად "შეგავსებელი" ტიფურებისა, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყდის აღრუელობის ერთ-ერთი ნიშანია. ყდის ზედაპირზე, როგორც ხაზების, ისე ტიფურების განლაგებისას პროპორცია დარღვეულია.

წიგნის ყუაზე რელიეფურია შეკერვის სამი ადგილი (იხ.: დამ. I, №30). მკაზმეული ხელნაწერის შეკერვისას არ იყენებს "გრეკაყის" ტექნიკას. ხელნაწერზე ჩნდება ვეინანელი (XVIIIს.) წიგნებისათვის დამახასიათებელი ნიშანი. ყუას ამკობს სამ-სამი პორიზონტალური ხაზი. ხის დაფები წიგნის ბლოკზე

⁹⁹ კეტერბურის სალტიკოვ-შვინდინის ხს. საჯარო ბიბლიოთეკის რარიტეტის განყოფილებაში ინახება XVIII ს. დათარიღებული მოსკოვში გამოცემული ბენედიქტედი რუსული წიგნები, რომლებზეც გამოყენებულია ზემოთ დასახელებული მედალიონი. იხ. W XVIII 2,4; W XVIII 3,2/1.

¹⁰⁰ С. А. Клепиков, Филлигранны и штампы, Москва, 1959, с. 68,231, №692. ქაღალდზე გამოსახულ ოროაიანი არწივის ს. კლეპიკოვი "Александровский орел"-ის უწოდებს, როგორც ვხედავთ, ყდის ფორზაცად გამოყენებული ქაღალდი რუსული მანუჟაქტურის წარმოებისა, რომელიც დაამუშავა 1821 წელს.

¹⁰¹ ბარანას თბლელისა და ვლასი ურბნელის მოღვაწეობასთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე ლ. მენაბდე, ძველი ქართული შერეობის კერები, II, თბილისი, 1980, გვ. 118-120.

მიმაგრებულია ტყავის თასმებით (ოოკის ნაცვლად გამოყენებულია ტყავი). ყუას ახლავს ორი, ერთმაგი ოოკისაგან გაკეთებული კაბტალი. ხელნაწერს უნდა ჰქონოდა სამი შესაკრავი, რომლებიც დღეისათვის დაკარგულია. წიგნს აქვს დაგრეხილი, თეთრი ძაფის სანიშნე.

H 2339 ხელნაწერის ფლაზე გვეხვება როგორც ადრეული (ხის დაფების მოყვანილობა – ჩამოჭრილი ხელნაწერის ფურცლების პირზე (დამ. I, №26), მათი მიმაგრება რვეულებად აკინძულ ხელნაწერზე და ყდის ზედაპირის მხატვრული გაფორმება (დამ. I, №21), ისე გვიანდელი ხელნაწერი წიგნებისათვის დამახასიათებელი დეტალები (მხედველობაში გვაქვს ხელნაწერის რვეულებად აკინძვის მეთოდი – (დამ. I, №30).¹⁰²

H 2339 ხელნაწერთან ერთად (ბოლოში) აკინძულია ოთხი ფურცელი, ქაღალდი უჭვირნიშნოა, რომელზედაც დაწერილია გრიგოლ დიკენის ანდერძი, რომელსაც შემოკლებული სახით მოვიტანთ: "...შუქკაზე წმიდა ესე თვე მე უღირსმან და ნიეთის მოსურნემან ქვემთრეულთაა, გულისთქმითაა გვირითთაა ქუძდ ზიდულმან ცოდვილმან და არაღირსმან სახელისაა გრიგოლ დიკონმან, მონაზონმან მისმან. გაეკეთე წმინდა ესე თვე იენისი, დაშლილი იყო ჟამთა ვითარებისაგან, უკმარ იყო. მას ჟამსა ოდეს წარვიდამ ბეუფე ჩემი, ბატონი, ჯუარის მამამ ნიყოფორ იმრუსალიმით საქართველოში... ხოლო ზედნადები იყო კვ ხოლო ბერძულად ათას-ექსას-ორმოცდა-ცხრა იყო" (1649წ.).

წიგნის ფორზაცად გამოყენებულია თეთრი, სიძველისაგან გაყვითლებული ქაღალდი. ფორზაცები როგორც ზედა, ისე ქვედა ხის დაფებიდან ამბეარია. ქვედა ხის დაფაზე შემორჩენილია ნუსხურად დაწერილი ხელნაწერის მცირე ფრაგმენტი. ზედა ფორზაცზე გვეხვება ჭვირნიშანი – გვირგვინი ვარსკვლავ-მთავრით¹⁰³. იგივე ჭვირნიშანი ქაღალდითაა აღდგენილი H 2339 ხელნაწერის პირველი გვერდი. მასზე გვეხვება გრიგოლ დიკენის მინაწერი, რომელშიც იგი თავის თავს შემკვერლად მოიხსენიებს (ე.ი. მინაწერი დაწერილია 1649წ.). ვიქირობთ, XVIII ს. შუა წლებში (1649წ.) გამოყენებულია საეკლესიო მახლობელი ადმოსავლეთის ქვეყნებისათვის ენეციაში დამზადებული ქაღალდი. ხოლო რაც შეეხება ჭვირნიშანს "სამი მთავარ", ჩვენი ვარაუდით, ქაღალდის დაჭრისას დაიკარგა.

იერუსალიმში ნიყოფორ ჩოლოყაშვილი მოღვაწეობდა 1643-1649 წწ. ელ. მეტრეველის თქმით: "ნიკი-ფორეს იერუსალიმიდან წასვლის შემდეგ ჯვრის მონასტრის უფლებრივი და ეკონომიკური მდგომარეობა საგრძობლად გაუარესდა. შესუსტდა კონტაქტი იერუსალიმის ქართული კოლონიის საქართველოსთან. შექცირდა ან სრულიად შეწყდა შემოწირულობები მონასტრის სახელზე"¹⁰⁴. იერუსალიმის ქართული კოლონიაში შექმნილი მძიმე მდგომარეობაზე მეტყველებს გრიგოლ დიკენის ანდერძიც: "ქ. წმინდანო მამანო, ოდეს ესე წიგნი ვიბუშავე, მაშინ ღიად განსაცდელში იყო წმიდა მონასტერი, ოთხი ათასი მარჩილი ვალი ეკიდა მონასტერსა, პურისა და ღვინის ფასიც არა მქონდა, უწყის უფალმან, ამის მეტი რა მოგახსენოთ, რომ ამ წიგნის სამოსიც ვერ მიმოვეს და მე არა მქონდა რა. და ერთი მღვდელი, მოლოცვი სიმონ, მოიწია შემეშეთით, და იმან შემოაწია სამოსი ამ წიგნისა, ჯვარმან პატრიოსანმან სასუფეველი ცთა მისცეს ამის წილი, ამინ" (დაწერილია ღამაში მხედრულთ, იხ. H 2339, 173v – 174v). ზემოთ მოტანილი ანდერძი საინტერესოა წიგნის ყდის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისითაც. გრიგოლ მაკაშველის ანდერძში თვალნათლივანა ნაჩვენებია, თუ რა სირთულეებთან იყო დაკავშირებული წიგნის ყდში ჩასმა. შეიძლება მონასტერში წიგნი გადაეწერათ, მაგრამ ტყავის უქონლობის გამო ყდში ვერ ჩაესვათ, რადგან ტყავი ყოველთვის ძვირად ფასობდა და თან ძნელად იმოგებოდა. ხელნაწერის 2v, 3r, 172rv-ზე გვეხვება გრიგოლის ხელით შესრულებული ზუკურად და ასევე მხედრულად დაწერილი სხვა ანდერძ-მინაწერებიც, რომლებშიც

¹⁰² იგივე ნიშნებით ხასიათდებან XVII ს. გადაწერილი ხელნაწერები: A 179, 1669წ., A116, XVII ს., A 69, XVII ს. დასახელებული წიგნების ყდების ხის დაფები ჩამოჭრილია ხელნაწერის ფურცლების პირზე, ყუაზე კი რელიეფურა შეყვრის ადგილები (ე.ი. აკინძვის არ გამოიყენება "გრაკაის" ტექნიკა). A 69 ხელნაწერი ჩვენი წიგნის სარტყელისა იმითაც, რომ ტყავის ამოტყვერულ ხის დაფებზე ერთდროულად გვეხვება როგორც ადრეული (XV-XVI სს.), ისე XVIII ს. ტიფიერები. წიგნის ყუა და ფორზაცი ახალია, რესტავრირებულია ხელნაწერთა ინსტიტუტში. ჩვენი ვარაუდით, ზემოთ დასახელებული ხელნაწერების ყდები XVIII ს. უნდა დაეათარიღოს.

¹⁰³ რ. პატარიძე ამ ჭვირნიშანს XVIII ს. დასასრულით ათარიღებს. ჭვირნიშანი "გვირგვინი ვარსკვლავ-მთავრით" იგივე ქაღალდის ფარული ნიშანია, როგორც "სამი მთავარ". ეს ორი ნიშანი დაახლოებით ერთდროულად ერთ და იმავე ქაღალდზე ვარნა (ერთი ჭვირნიშანი მარცხენა მხარეს არის, მეორე მარჯვენა) და ერთმანეთის პარალელურად საუკუნეზე მეტი დროის მანძილზე იხმარება. ქაღალდზე ორმაგი დაჭვირნიშნება, რომელიც საეკლესიო მახლობელი ადმოსავლეთის ქვეყნებისათვის მზადდებოდა ენეციაში, პირველად მე-17 საუკ. დასასრულიდან ჩნდება. იხ.: რ. პატარიძე, ჭვირნიშანი: "სამი მთავარ" XVII-XVIII სს. ქართულ ხელნაწერებში, პალეოგრაფიული მიხედვით, II, თბილისი, 1969, გვ. 65-66, 73-75 (მდრ.: ჭვირ. ნ. №40,44,45).

¹⁰⁴ ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბილისი, 1962, გვ. 27.

ვი წიგნის "შემკვრელად" მოიხსენიება. H 2339 ხელნაწერის ყდა, ჩვენი ვარაუდით, გაკეთებული უნდა იყოს 1649 წელს. იერუსალიმის ჯვარის მონასტერში გრიგოლ დიაკვნის ხელით.

H 2337, თ ვენი, 1049 წ., ეტრათი, ხელნაწერს შემორჩენილი აქვს მხოლოდ ყდის ქვედა ფრთის, მასობრივი ხის დაფა, ტყავდაკარული, ყვიფიფერი, ამოტვიფრავი, გაქეპილი. ხის დაფა ჩამოჭრილია ზუსტად ხელნაწერის ფურცლების პირზე. ყდის ზომა 26 x 17,5. დაფების სისქე 0,7 მმ., შემორჩენილია ქვედა, წითელი ფერის კაბჭები. ფორზაცი ახალია (წიგნი რესტავირებულია ხელნაწერთა ინსტიტუტში). უფიჭობით. ხელნაწერზე შემორჩენილი ყდის ქვედა ფრთა, ყველა ნიშნის მიხედვით, XVI საუკუნეზე გვიანდელი არ შეიძლება იყოს.

ხელნაწერის ბოლო გვერდზე მოთავსებულია მიქაელ გადამწერის ანდერძი, რომელიც ასე მოაერდება: "„შეიძინა კელითა პირიხელისა ძმისა ნისთერონისითა, ღმერთმან აკურთხენ და მადლი მიეცინ სულსა მისსა. ლოცვა-ვათ მისთეს. წმინდანო მამანო, პაეღესთესუცა ლოცვა-ვათ, დიად ამაშენა დანისა ლესითა" (285 r). როგორც მოქალის ანდერძიდან ირკვევა, ნისთერონმა გადამწერისთანავე, 1049 წ., შემოსა (ყდაში ჩასვა) H 2337 ხელნაწერი¹⁰⁵.

H 2337 ხელნაწერის 283 r-ზე გვხვდება ჩვენთვის კიდევ ერთი საინტერესო მინაწერი: "შეიკაზმა¹⁰⁶ სულთა განმნათლებლი ესე თუენისქელითა ფრიად ცოდვილისა ბასილი აღლგომელისაითა, ვინცა იყოთხვიდეთ, მომიქსენეთ წმინდასა ლოცუთა შინა თქუენთა, რათათ თქუენცა მოვიცსენოს ღმერთმან, ამონ" ვუიჭობთ, ყდის ქვედა ფრთა, რომელიც დღესდღეობით შემორჩენია ხელნაწერს, გაკეთებული უნდა იყოს ბასილი აღდგომელის მიერ XV-XVII სს., გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ბასილი მინაწერში მოხსენიებულია როგორც "შეკაზმელი". ჩვენი ვარაუდით, ტერმინი "კაზმვა" ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში ჩნდება XIII-XIV საუკუნეებიდან.

H 1348, სახრება და სამოციქულო გამოკრებილი, ეტრათი, ხელნაწერი გადამწერილია გოლგოთაზე (1546 წ.) ტყავდაკარული ყდა, ყვიფიფერი, ამოტვიფრული, შემორჩენილია მხოლოდ ზედა ფრთის ხის დაფა და ისიც შუაში გადატეხილი; ზომა 26,7 x 20 (იხ.: დამ. I, №22), ხის დაფების კიდები ირიბადაა მოთლილი, გამოდის და ფარავს წიგნის მთლიანი ბლოკს, რომელზედაც (შიდა პირზე) ამოტვიფრულია ხაზები. მსგავსი მოყვანილობის ხის დაფები დამახასიათებელია გვიანდელი (XVIII ს.) წიგნებისათვის (ჩვენ ამ ტიპის ყდაზე ზემოთ გვექონდა საუბარი. იხ.: H 1661 ხელნაწერის ყდის აღწერილობა და აგრეთვე დამ. I, №20, 28, 31).

H 1348 ხელნაწერის ხის დაფაზე (შიდა მხარეს) ქაღალდის ნაყლევი დაკრულია აბრეშუმის, ზოლებიანი ნაჭერით. ყუა ამოტვიფრულია, რომელზეც რელიეფურად ჩანს შეკერის 5 ადგილი (დამ. I, №22). როგორც ეხედავთ, შესაძლებელი არ იყენებს "გრეკაის" ტექნიკას. ეტრათზე შემინწევა პირველი აკინძვის კვალი. ყუაზე (ტყავთან ერთად) დაკრულია ტილოს სქელი ნაჭერი. ორივე კაბჭალი დაკარგულია. ხის დაფაზე, ყდის მხარეს 5 ადგილზე გაკეთებულია ორ-ორი ნახვრეტი, რომლებიც პორიზონტალურადაა განლაგებული. ამ ნახვრეტებით უკავშირდება წიგნის ბლოკი ყდას. ხელნაწერს უნდა ჰქონოდა სამი შესაკრავი, რომლებიც დღეისათვის დაკარგულია.

ყდის ზედაპირზე (იხ.: დამ. I, №22) გამოყენებული ტვიფრები გვხვდება XVIII ს. ხელნაწერი და ძველნაგვიდ წიგნების ყდებზე. ყდის ცენტრალურ არეს აყვებს ცალკეული ტვიფრებისაგან შედგენილი, პოსტამენტზე აღმართული, განვლდებული ჯვარი. იხ.: ვახტანგ VI სტამბაში დაბეჭდილი 1709 წ. სახარება, 45/9152, ჯანაშიას მუხ.; კურთხევანი, 1713 წ. თსუ, F 204, F 19510, ერეკლე II გამოცემები: კონდაკი 1783 წ., თსუ.; F 19641, პარაკლიტონი 1772 წ., K 255/509 ეროვნ. ბიბლ. ცალი: A 101, XVIII ს. ხელნაწერი XVIII ს. ბოლოს გააცხივებულა სიონის დეკანოზის შვილმა ზაქარიამ. ჩვენი აზრით, ყდაც ამ დროს უნდა იყოს გაკეთებული (ზემოთ ჩამოთვლილ წიგნებთან დაკავშირებით იხ.: დამ. III, №8, 9, 48, 49).

H 1348 ხელნაწერის ფორზაცად გამოყენებულია თეთრი, სიძველისაგან გაყვითლებული ჭვირნიშნისანი ქაღალდი სამი ნახევარძივარე, თავზე პატარა მაკრატლის გამოსახულებით¹⁰⁷. ფორზაცი აკინძულია ხელ-

¹⁰⁵ ანდერძი საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ გადამწერს დანის მღვსეაიცი კ არა ჰყავს დავიწყებული და მასაც მადლობას უხდის. ნისთერონმა 1052 წ. შემოსა Sin 5 ხელნაწერი. იგი მოხსენიებულია გადამწერითა ანდერძში.

¹⁰⁶ ანდერძში გვხვდება "შეიკაზმა".

¹⁰⁷ რ. პატარიძის აზრით, XIV-XVI სს. მანძილზე "მოვარე" ("Crescent") ქართულ ხელნაწერებში იშვიათია, მაგრამ XVII-XVIII სს. ეს ჭვირნიშანი, კერძოდ "სამი მოვარე" ("Tre lune") ჭვირნიშან დომინანტად უნდა ჩაითვალოს. იხ.: რ. პატარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 59.

ნაწერის პირველ რვეულთან ერთად (ე.ი. წიგნის ბლოკთან ერთად), რომელზეც კითხულობთ: „ქ. ესეა წიგნი ქვათახევის არისე, ვინც მოიპიროს ქვათახევისა რისხავს და გაუწერება. და, ღმერთო, ადღებრძელე წინამძღვარი ქრისტეფორე ფალავანდ“. მინაწერში მოხსენიებული ქრისტეფორე არის XVII-XVIII სს. ცნობილი მოღვაწე, ჯვრის მამა, ქვათახევის წინამძღვარი – ქრისტეფორე ფალავანდიშვილი. იგი მოხსენიებულია რამდენიმე საბუთში: Hd 10274 ბ(3), 1683 წ., Hd 4264 (3), 1717წ., Hd 11277 (3), XVIII ს., Hd 23, 1717წ., 1718-1722 წლებით დათარიღებულ საბუთებში იგი უკვე მთავარეპისკოპოსის ტიტულით მოიხსენიება: Sd 656*, Hd 14255.

H 1348 ხელნაწერის ფორზაცზე დაწერილი მინაწერი XVIII ს. პირველი მეოთხედით უნდა დათარიღდეს (1717წ.). ელ. მეტრეველი ქრისტეფორეს ჯვრის მამად ყოფნის თარიღად 1701 წელს მიიჩნევს¹⁰⁸.

წიგნის ფორზაცზე დაწერილი მინაწერის და აგრეთვე ისტორიული საბუთების თანახმად, H 1348 ხელნაწერის ყდა XVIII ს. პირველი მეოთხედით უნდა დათარიღდეს (იხ.: დამ. I, №22). ვფიქრობთ, ხელნაწერი იერუსალიმიდან ჩამოიტანა ქრისტეფორე ფალავანდიშვილმა XVIII ს. დასაწყისში და შესწირა იგი ქვათახევის ეკლესიას¹⁰⁹.

H 1662, მამათა სწაელანი, 1040წ., ეტრატი, გადაწერის ადგილი პალეა. ტყავადაკრული ხის ყდა. ზომა: 26 x 19, ყავისფერი, გაქეჩილი. ხის დაფების კიდევები ირიბადაა მოთლილი, გადმოდის და ფარავს წიგნის ბლოკს. ყდა ამოტიფურულია.

ყუაზე რელიეფურია შეკერის ოთხი ადგილი, რომელზეც ტყავთან ერთად დაკრულია ტილოს ნაჭერი. ტყავი ამოტიფურულია. ყუას ახლავს ერთმაგი, ჭრელი დაზიანებული კაპტალი.

ყუის მხარეს, კიდევ ხის დაფები სამ ადგილზეა გახერხებული. მათზე პორიზონტალურადაა განლაგებული ორ-ორი ნახერხი, რითაც ხის დაფები წიგნის ბლოკს უკავშირდება. მართალია, ყუაზე შეკერვისას გამოყენებულია „გრეკაის“ ტექნიკა, მაგრამ ჩაჭრა (ჩაღრმავება) იმდენად ზედაპირულია, რომ შეკერვის ადგილები რელიეფურია.

H 1662 ხელნაწერი წიგნის ყდის ზედაპირზე, კიდესთან ახლოს, მიყვება ერთმაგი, უწყვეტი რიგი ფოთლოვან-ყვავილოვანი ამიისა, რომელსაც ჩარჩოდ ახლავს სამ-სამი ხაზი. ყდის შიდა სივრცეს კეფის დიაგონალური ხაზები, რომელთა გადაკვეთის ადგილზე ამოტიფურულია თითო (ამაღ გამოყენებული) ფოთლოვან-ყვავილოვანი აქცენტი (დამ. I, №16).

ფორზაცად გამოყენებულია თეთრი, სიძველისაგან გაყვითლებული ქაღალდი, რომელიც დაკრულია ხის დაფაზე. ზედა ფრთაზე გვხვდება XVIII ს. ხელით დაწერილი ლექსი. გათიშულია ბიბლიური სიუჟეტი. ლექსის ფორმაც დამახასიათებელია XVIII საუკუნისათვის. ქვედა ფრთაზე მინაწერებიდან ვიგებთ, რომ ხელნაწერი ეკუთვნოდა ჯრუჭის მონასტერს, რომელსაც იგი 1765 წ. შესწირა გენათელმა მიტროპოლიტმა, ბატონიშვილმა იოსებმა (269 ვ). ჩვენი აზრით, H 1662 ხელნაწერის ყდა, ყველა ნიშნის მიხედვით, ვადაკეთებული უნდა იყოს XVIII საუკუნეში (შეადარეთ ზემოთ აღწერილ H 1661-სა და H 1348 ხელნაწერთა ყდებს). იხ. აგრეთვე დამ. II, №164,263 (ამაღ გამოყენებული ფოთლოვან-ყვავილოვანი ორნამენტები).

H 1664, მაქსიმე აღმსარებელი. ღვთისმშობლის ცხოვრება; XII ს., ეტრატი, გადაწერილია სამა განწმენდილის მონასტერში. ტყავადაკრული ხის ყდა, მასიური, ზომა: 25,6 x 16; ხის დაფების სისქე: 1,3 სმ.; ჩამოჭრილია ხელნაწერის ფურცლების პირზე. ტყავის ქვეშ, დაფების კიდევებზე ამოჭრილია ღარები, რაც ბიზანტიურ ყდებზე კოპტური ყდების ანალოგიით იღებს სათავეს¹¹⁰ და რაც ყდის არრეულობის ერთ-ერთი დამადასტურებელი ნიშანია. ტყავი ამოუტიფურავია, გაქეჩილი (იხ.: დამ. I, №23,25) ყუა ახალია. რესტავირებულია ხელნაწერთა ინსტიტუტში. წიგნის ფორზაცად გამოყენებულია ჭრელი ქაღალდი, რომელიც უფრო ნახატს ჰგავს, დაკრულია ხის დაფებზე, ყდას აქვს ორი შესაკრავი, რომლებიც ხელნაწერის რესტავრაციის დროს აღუდგენიათ.

ხის დაფების მოყვანილობის მიხედვით თუ ემსჯელებთ (იხ.: დამ. I, №25), ჩვენი ვარაუდით, H 1664 ხელნაწერის ყდა XV ს. უნდა დათარიღდეს.

¹⁰⁸ ელ. მეტრეველი, დასახ. ნაშრ. გვ. 40.

¹⁰⁹ ქრისტეფორე მოხსენიებულია XI ს. დათარიღებული S 4928 ხელნაწერის ქვედა ფრთაზე დაწერილ მინაწერში (დღევანდლობით ხელნაწერი ამოღებულია ყდადან). ყველა ნიშნის მიხედვით, ყდა XVII ს. უნდა დათარიღდეს. ამავე ხელნაწერის ზედა ფრთაზე დარღულ მინაწერში გვხვდებით ჯვრის მამას გერასიმეს, რომელიც, ელ. მეტრეველის აზრით, XVIII ს. 40-იან წლებში (1739 წ.) მოღვაწეობდა ჯვრის მონასტერში (იხ.: ელ. მეტრეველი, დასახ. ნაშრ. გვ. 40, ჯვრის მამათა ქრონოლოგია).

¹¹⁰ B. van Regemorter, La reliure Byzantine. p.118.

ჩატარებული სამუსაოს შედეგები საშუალებას გააძლევს ეტაპობრივად წარმოვადგინოთ ქართული ხელნაწერი წიგნების ყდების განვითარება. როგორც ზემოთაღნიშნულში, ყდის დამუშავების ტრადიცია საუკუნეების მანძილზე უცვლელი რჩება, მხედველობაში გვაქვს X-XVII სს. ყდები, რომელთა ხის დაფები მოჭრილია ხელნაწერის ფურცლების პირზე, განოყენებულია "გრეკაის" ტექნიკა, ყუა გლუვია (H 1741, H 2337, H 2336, H 1664, დამ. I, №17,18,19,23, 24,25,27,29), გარკვეული ცვლილებები შეიმჩნევა XVIII ს. ყდებზე. აქ ხის დაფები იგივეა, მხოლოდ ყუაზე ჩნდება შეკერვის რელიეფური ადგილები, ე. ი. არ არის გამოყენებული "გრეკაის" ტექნიკა (H 2339, იხ.: დამ. I, №21,26,30), ხოლო რაც შეეხება XVIII-XIX სს. ყდებს, ისინი სრულიად განსხვავდებიან ადრეული (X-XVII სს.) ყდებისაგან. ირიბად მოთლილი ხის დაფები გადმოღის და ფარავს ხელნაწერის ფურცლებს, არ გამოიყენება "გრეკაის" ჩაღრმავება, ყუაზე შეკერვის ადგილები რელიეფურია (H 1661, H 1348, H 1662, H იხ.: დამ. I, №20,22,28,31).

ამჯერად, ნაშრომში განვიხილავთ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცულ ისეთ წიგნებს (მხედველობაში გვაქვს ადრეულ საუკუნეებში გადაწერილი ხელნაწერები), რომლებსაც, მართალია, გადაწერის თანადროული ყდები არ შემორჩა, მაგრამ მაინც წიგნის შეკაპშივის ადრეული ნიშნებით ხასიათდებიან (თუბცა, აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ არის რამდენიმე შემთხვევა ხელნაწერის პირველადი შეკერვის). შემოღებისდაგვარად, მოვსწავლეთ და დავათარიღეთ ისინი, ჩვენ მიერვე შემუშავებული ადრეული (X-XVII სს.) ყდების ძველის მიხედვით. ამდენად, შევეცდებით, ყდებზე ეტაპობრივი ცვლილებების გათვალისწინებითა და ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვით, ჩამოვთვალოთ ხელნაწერი წიგნები და ამასთანავე, წარმოვადგინოთ რამდენიმე ყდის მოკლე აღწერილობა:

XIV ს. ყდა - Q 241, სახარება, ქალაღი, XIII-XIV სს.

XIV-XV სს. ყდა - H 1331, კრებული, ეტრატი, XIV-XV სს.; H 1865, კუროთხევანი, ეტრატი; XIV-XV სს. A 1100, სახარება აპრაკოსი, ეტრატი, XII-XIII სს.

XIV-XVII სს. ყდა - A 516, სახარება, ეტრატი, XIII ს.

XV ს. ყდა - A 505, სახარება, ქალაღი, XV ს.

XV-XVII სს. ყდა - A 27, სახარება, ეტრატი, XIII ს.

XVII ს. ყდა - S 3949, კონდაკი, ეტრატი, XVII ს.; A 501, A 502, A 503, A 506, (ერთი ტიპის ყდები) - ოთხივე სახარება გადაწერილია ქალაღზე, XVII ს.; A 86, იაკობ მოციქულის ფაშისწირვა, ეტრატი, X ს.; A 596, პიმონარაფიული კრებული, ეტრატი, X ს.; A 98,¹¹¹ ოთხთავი (წყაროსთავის), ეტრატი, X-XI ს.; A 96, სეულის თანონი, ეტრატი, 1035 წ.; A 135¹¹², ბასილი დიდი, ფსალმუნთა თარგმანი, ეტრატი, 1035 წ.; S 4999, ეფონი, ეტრატი, XIII ს.; A 585, სახარება (ლარავკისი მონასტრიდან), ეტრატი, XIV ს.; A 29, რიგის სამოციქულო, ეტრატი, XIV ს.; A 203, კუროთხევანი, ეტრატი, XIV-XV სს.

XVI-XVIII სს. ყდა - A 499, ეტრატი, XII-XIII სს;

XVIII ს. ყდა - A179, კრებული, ქალაღი, 1669 წ., A116, კრებული (მამათა სწავლანი, ქალაღი, XVIII ს.) Q 635, ფანი, ქალაღი, XVIII ს.; S 4928¹¹³, ოუანე ოქროპირი, თარგმანება მათეს სახარებისა, X ს.; A 36, კრებული, ეტრატი, XIII ს.; H 1453¹¹⁴, ყანაეთის ოთხთავი, ეტრატი, XII-XIII სს.; S 1245¹¹⁵, სეინაქსარი, ეტრატი, XIII-XIV სს.; A 137, სამოციქულო, ეტრატი, XIII-XIV სს.; A 146, კრებული, ეტრატი, XIV ს.; A 147, მარხვანი, ეტრატი, XIV-XV სს.; H 537, კუროთხევანი, ეტრატი, XV-XVII სს.; H 2028, კუროთხევანი,

¹¹¹ ხელნაწერის 4 v - ზე გვხვდება მხედველობით დაწერილი, 1070 წ. დათარიღებული წიგნის მეორედ შემოსვლის ოუანეს ანდრძი.

¹¹² ხელნაწერის ერთი დაეით ეპისიძის ანდრძი, რომელიც გამოაქვენა ელ. მტრვევლა (იხ.: ელ. მტრვევლი, შვი მიის შიკონობრის კერის ისტორიისათვის XI საუკუნის პირველ ნახევარში, ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე, ტ. XX-B, თბილისი, 1959, გვ. 102-104). ჩვენ მხოლოდ ერთ ფაქტზე შეგარებთ ყუარადებას: როგორც ანდრძიდან ვიგებთ, დაეით ეპისიძეს თავად შემოსავს ხელნაწერი. მოეიტანთ ფრაგმენტს ანდრძიდან: "... დაეწერე კელითა სულირთა მშათა ჩემთათა სასანითა, მიქელისითა და გაბრიელისითა და გაეასრულე კელითა შვილისა ჩემისა ოუანესითა და შემოხე ულისითა კელითა ჩემითა და დადეუ..."

¹¹³ ხელნაწერის 2r - ზე გვხვდება ანდრძი, საიდანაც ვიგებთ, რომ S 4928 ხელნაწერი ეპისიძის კუთვნილებას წარმოადგენს, ანდრძის პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით XVII ს. ვათარიღებთ. მინაწერი იმ მსრიაეცაა საყურადღებო, რომ იგი სანტრეტო (ცნობებს შიუაცს მონასტრის იტორიისათვის. კრძიძის, მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ ეპისიძის მონასტრში მთუ ქართველ ბერებს კლავ შესწავლათ უნარი ეპრონათ დამკლავებული წიგნების აღდგენა-განახლებაზე.

¹¹⁴ ხელნაწერის 259 r-ზე გვხვდება წიგნის შემოსავ-მოქმედელის ბასილის ანდრძი, რომელსაც პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით XII-XIII სს. ვათარიღებთ.

¹¹⁵ ხელნაწერის I გვერდზე გვხვდება წიგნის მეორედ მახატელის ბასილ ქეთარაშვილის ანდრძი, რომელსაც პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით XVII ს. ვათარიღებთ.

ეტრატი, XVII ს.

XVII-XVIII სს. ყდა – S 3472¹¹⁶, ოთხთავი, ეტრატი, XIII-XIV სს.; H 1718, ზატკი, ეტრატი, XIII ს.; A 37, ოთხთავი, ეტრატი, XIII ს.; A 126, კრებული, ქაღალდი, 1586, XVIII ს.; A 69, კრებული, ქაღალდი, XVIII ს.; A 445, ოიანე სინელი, კლენაძის, ეტრატი, XI ს.; A 495, სახარება, ეტრატი, XII-XIII სს.; A 444, რიგის სამოციქულო, ეტრატი, XVII ს.

XVIII ს. ყდა – A 38, დავითნი, ეტრატი, X-XI სს.; A 635, დიდი ხენჯასარი, ეტრატი, XII-XIII სს.; A 138, ოთხთავი, ეტრატი, XIII ს.; A 1585, კრებული, ქაღალდი, XVI-XVIII სს.

შეძლებისდაგვარად, მოვიტანთ რამდენიმე ყდის მოკლე აღწერილობას.

ყდების გაფორმების ორიგინალურობით, ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში, გამოირჩევა ორი სახარება – Q 241, XIII-XIV სს. (დღესდღეობით ხელნაწერი ამოღებულია ყდიდან) და A 505, XV ს. ყდების სწორად მოთლილი ხის დაფებზე მასიურია, ჩამოჭრილია ზუსტად ხელნაწერის ფურცლების პირზე-ტყავგადაკრულ ხის დაფებზე ამოტიფურულია წწული ორნამენტებისაგან შემდგარი ჯვრები და აშები, რომლებიც შესრულებულია სველ ტყავზე, წვერწამახილებული (მაგრამ ოდნავ ბლაგვი) ხელსაწყოთა მეშვეობით, დარჩეულტის ტექნიკით. ვეიქრობთ, ამავე მეთოდით (ე.ი. ცივად ამოტიფურის ტექნიკით) უნდა იყოს გაფორმებული ოიანე-ზოსიმეს მიერ 981 წ. სინური მრავალთავის ყდა და X-XI სს. სომხური ხელნაწერი წიგნების ყდები. A 505 სახარების ტყავის ამოტიფურულ ყდაზე დაკრულია მეტალის მცირე ზომის ხატები და ფირფიტები. Q 241 ხელნაწერის ამოტიფურულ ტყავის ყდაზე შემორჩენილია მხოლოდ ორი ფირფიტა A 501, A 502-ის მსგავსი. ამ ყდებს მოგვიანებით განვიხილავთ. Q 241 და A 505 ხელნაწერების ყდები, ვეიქრობთ, ხელნაწერთა გადაწერის თანდართულია.

H 1331, კრებული; ეტრატი, XIV-XV სს. მასიურ ხის დაფებზე ტყავი ფრამენტულადაა შემორჩენილი. სწორად მოთლილი ხის დაფები მოჭრილია ხელნაწერის ფურცლების პირზე. ყდის ზედა ფრთაზე შემორჩენილია მეტალის, სოლის მაგვარი ჩამოსაცმელები. ხელნაწერი დაშლილია. ყუაზე შემჩნევა “გრეკაის” ტექნიკა, შემორჩენილია “ჯაჭვური” კანძების ფრამენტი. ხის დაფებზე ღარები ჩაჭრილია “სწორხაზოვნად”, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ღარების ჩაჭრისას ოდნავი დაქანებაა ყველა ნიშნის მიხედვით, H 1331 ხელნაწერის ყდა XIV-XV სს. უნდა დავათარილოთ.

H 1865, კურთხევენი; ეტრატი, XIV-XV სს., მასიური, ტყავგადაკრული, სწორად მოთლილი ხის დაფები მოჭრილია ხელნაწერის ფურცლების პირზე. წიგნს ტყავის ყუა არ გააჩნია; დაშლილი, გამოყენებულია “გრეკაის” ტექნიკა. ხელნაწერს აქვს ორი ხის, სოლის მაგვარი შესაკრავი (ჩამოსაცმელები). ყდა XIV-XV სს. უნდა დავათარილოთ.

A 1100 სახარება აპრაკოსი, ეტრატი, გადაწერილია XII-XIII სს., სწორად მოთლილი ხის დაფები მასიურია, ეთხვევა ფურცლების ჩამონაჭრის. კიდეებზე გვხვდება ჩარმაგება, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დამახასიათებელია ბიზანტური ყდებისათვის პაპირუსის ყდის გაყვნივით (იხ. : H 1664-ის ყდის აღწერილობა, დამ. I, №25). ტყავი მუქი ყავისფერია, მასზე ტიფურების სახეობები აღარც კი განირჩევა. ყდა იმდენადაა დაზიანებული, რომ მასიურ ხის დაფებს იჭერს ტყავი. ყუა გლუვია. გამოყენებულია “გრეკაის” ტექნიკა. ხელნაწერი დაშლილია. ყუაზე შემორჩენილია წებოს სქელი ფენა.

ხის დაფებზე საცავ ფურცლად (ფორზაცებად) დაკრულია ეტრატი, რომლებზეც გვხვდება გვიანდელი მინაწერები. ზოგი მათგანი, ჩვენნი ვარაუდით, XV-XVI სს. უნდა დათარიღდეს. მაგ.: “...ციოდელსა და ობოლსა (?) სტეფანეს, მისთა შშობელთა შეუნდოს ღმერთმან” (ქვედა ფრთაზე) და სხვ.

A 1100 ხელნაწერის ყდა, თუ უფრო ადრეული არაა XIV-XV სს.-ზე გვიანდელი არ შეიძლება იყოს.

A 516, ოთხთავი, ეტრატი, XIII ს., ტყავის ვერცხლით მოჭედილი ყდა. სწორად მოთლილი ხის დაფები მასიურია, ეთხვევა ფურცლების ჩამონაჭრის. ტყავი ამოტიფურულია (ზედაპირულად ამოტიფურული ტყავის ფრამენტი მოჩანს მოჭედილობის ქვეშ). როგორც ჩანს, ხელნაწერი მოგვიანებით ჩაუსვამთ ვერცხლის ყდაში. ზედა ფრთაზე ჭედურობა დაზიანებულია, ქვედაზე კი გამოსახულია ჯვარცმა. ყდის ზედა და ქვედა ფრთაზე იკითხება ასომთავრულით შესრულებული წარწერა: “...მოხს და მჟარველ ქემენ დღესა მას განკი...” (“ზედა”), 3 სრული ღმერთი, სრული კაცო, ჯვარსა ზედა აღსრული, შეიწყალო

¹¹⁶ ხელნაწერის 203 რ-ზე: “ამისსა ახლად, მეორედ მწერალ-მამაჲსა ილარიონს და მისთა შშობელ-მიტალებელთა შეუნდოს ღმერთმან, ამინ”. პალეოგრაფიული მონაცემებს მიხედვით, ვეიქრობთ, მინაწერი XVI-XVII სს. უნდა დათარიღდეს. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ხელნაწერი გაცხოველებულია.

ახალციხელი¹¹⁷ (ქვედა). ფეიქრობთ, წარწერაში ახალციხელი გვარია.

ხის დაფებს იკავებს მხოლოდ ტყავი, თოკები დაწვეტილია. როგორც ჩანს, ყდაზე გამოყენებული იყო "სწორნახოვანი" აკინძვა, ხის დაფებზე ჩაჭრა (ღარები) ვერტიკალურია (იხ.: Sin. 67-ის აღწერილობა). ყუა გლუვია, გამოყენებულია "ჯაჭუკური" კერვისა და "გრეკაჟის" ტექნიკა. (მოჭვილილ ყდას აქვს ოთხი შესაკრავი-ორი წინა კიდზე, თითო-თითო გვერდითა კიდებზე (მეტალის მასიური, სოლის მაგვარი ჩამოსაცმელები).

ხელნაწერი რვეულებრივი აკინძვის მიხედვით XIV ს. ნიშნებით ხასიათდება, მაგრამ, ყდაზე გამოსახული ტიფურები აელენენ XV-XVII ს. ნიშნებს. ჩვენი ვარაუდით, ყდა XV-XVII ს. უნდა დათარიღდეს.

A 27, ოთხთავი (ლარგეისის მონასტრიდან), ეტრატი, XIII ს., ტყავის, ყავისფერი, ამოტიფურული, დაზიანებული ყდა. შდარებით თხელი (XIV-XV ს. დაფებთან) ხის დაფები მოჭრილია ხელნაწერის ფურცლების პირზე. ყდას ზედა ფორთაზე გამოსახულია პოსტამენტზე აღმართული, წნული ორნამენტისაგან შემდგარი ჯვარი, რომელსაც ახლავს მართკუთხედის ფორმის "საბორღოური" ტიფურები. იგივე ტიფური გვეხედება ქვედა ფრთის პირველ აშიად, ხოლო მეორე აშიად გამოყენებულია წნული ორნამენტი.

ყდას ფრთებს იკავებს ზედა და ქვედა ჭრელი კაპტალი და აკინძვის შედეგად დატოვებული დაგრეხილი ძაფები (თოკი). შეკერვისას გამოყენებულია "გრეკაჟის" ტექნიკა, რის გამოც ყუა გლუვია. ტყავთან ერთად ყუაზე დაკრულია ტილოს ნაჭერი. ხელნაწერს უნდა ჰქონოდა სამი შესაკრავი, შემორჩენილია ტყავის ორი თასმა.

ეტრატის ბოლო ფურცელი დაკრული ყოფილა ყდაზე. ხელი იგივეა, რაც გვეხედება 191 რ-ზე. კალეგრაფიული ნიშნების მიხედვით ხელი XV ს. უნდა იყოს. ბოლო ნაწილის გადაძწერია კინძე იოვანე. ჩვენი ვარაუდით, ყდა XV-XVII ს. უნდა დათარიღდეს.

S 3949, კონდაკი, ეტრატი, XVI ს.; ტყავადაკრული, გაქეჩილი ყდა. სწორად მოთლილი ხის დაფები ეძხვევა წიგნის ფურცლების ჩამონაჭერს. ტყავის ყუა დაკარგულია. ხელნაწერის აკინძვისას გამოყენებულია "გრეკაჟის" ტექნიკა. ხელნაწერს უნდა ჰქონოდა ორი შესაკრავი, შემორჩენილია ხის, სოლის მაგვარი ჩამოსაცმელები. ყდა, ყველა ნიშნის მიხედვით, XVII ს. უნდა დათარიღდეს.

იგივე სურათს აჩვენებენ ეტრატზე გადაწერილი A 596, X ს., და S 4999, XII ს. ხელნაწერთა ყდებიც, რომლებსაც XVII ს. დათარიღებთ.

ყდების გაფორმების ორიგინალურობით ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში მნახველთა ყურადღებას იქცევს XVII ს. ქალაღზე გადაწერილი კიდევ რამდენიმე სახარება: A 501, A 502, A 503, A 506 (იხ.: დამ. I, №33). ხელნაწერი წიგნების ტყავის ყდები ამოტიფურულია; ყავისფერი. ყურადღებას იქცევს სწორად მოთლილი, შდარებით თხელი ხის დაფები, რომლებიც ჩამოჭრილია ზუსტად ხელნაწერი ფურცლების პირზე. ხელნაწერთა ფურცლების ჩამონაჭერი (წინა მხარეს) დაფარულია ამოტიფურული ტყავის სარკველებით (რაც აღმოსავლური ყდების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია). A 506 ხელნაწერის სარკველი გაკეთებულია განსხვავებული ამოტიფურული ტყავით, მსგავსი ტიფურებით გაფორმებული ყდა შეგვხვდება 1709 წ. დაბეჭდილ სახარების ყდაზე (K5 123/409 დაცულია ეროვნულ ბიბლიოთეკაში, იხ.: დამ. III, №61,62). ფურცლების ჩამონაჭერი შევლილია წითლად, რაც წიგნის გაფორმებაში გვიანდელი მოვლენაა. შემოთქმულიდან გამოძინარე, A 506 ხელნაწერის ყდა რესტავირებულია XVIII ს.-ში.

შემოთქმული სახარებების ყდებზე, ჩვენი აზრით, ორნამენტები ამოტიფურული უნდა იყოს ცხელი წესით, "ბრმა" ტიფურის მეთოდით. ხელნაწერების A 501, A 502 ფორზაცად გამოყენებულია თეთრი, სიძველისაგან გაცივებული ქალაღი, ხოლო რაც შეეხება A 506 ხელნაწერს, ყდას საცავ ფურცლად დაკრული უნდა ყოფილიყო ხელნაწერის ფრაგმენტი, A 503 ხელნაწერის ხის დაფაზე დაკრულია ნაჭერი.

ხელნაწერი მნახველთა ყურადღებას იქცევს იმით, რომ ტყავის ამოტიფურულ ყდაზე (ტიფურა ზედაპირულია, გამოყენებულია ყვავილოვანი და სამსჭვალბის მაგვარი აქცენტები) დამაგრებულია მეტალის ხატები, უკრები, ფიფრები, ჰკილია მცირე ზომის ზანზალაკები და ხელის მტევნის მოყვანილობის ფიფრები (ბვერი მათგანი დაკარგულია), რაც წიგნებს საზიგო ელფერს ანიჭებს. ფეიქრობ, სახარებებს წირვა-ლოცვის დროს საკურთხეველში იყენებდნენ (დამ. I, №33). ყუა ამოტიფურულია, გლუვი (რასაც ვერ

¹¹⁷ ახალციხელთა საცარეულო ისტორიულ წყაროებში ჩნდება XII ს. -დან, ხოლო მოვიანო ხანის (XIV-XVI სს.) ცნობების მიხედვით ახალციხელი გვარიდან სახლად ქვეულა. იხ. ნ. შოშიაშვილი, თორღელთა ფეოდალური სახის ისტორია და შოთა რუსთაველი, შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1966, გვ. 32-45.

ვიტყვი A 506 ხელნაწერის ყუაზე, რომელსაც XVIIIს. რესტავრაციის კვალი ეტყობა, რადგან ყუაზე შეკერვის ადგილი ონაე რელიეფურია). A 501 და A 502 ხელნაწერების კაპტალები ერთნაირია. A 506 – ის კაპტალად კი გამოყენებულია მოყვითალოფერის ძაფები.

A 501, A 502, A 503 – თხოვალების ყდებზე გეხედება ერთი სახის ტიფორები. ტყავადაკრული დაფების ზედაპირზე მათი განლაგებაც კი ერთნაირია. ჩვენი აზრით, ხელნაწერთა ყდები დაკაზმულია XVIIს. ერთი პირის მიერ (ბოლო ორი ხელნაწერის გადამწერია ვინმე იორდანე გრიგოლის ძე ხანთუბიძე). A 506 ხელნაწერის ყდაც XVIIს. უნდა დავათარილოთ (რესტავირებულია XVIIIს.).

ყდების ამავე ტიპს მივაკუთნებთ ეტრატზე დაწერილ A 86, Xს., A 29 და A 585 XIVს. ხელნაწერთა ყდებს, რომლებსაც XVIIს. ვათარილებთ.

A 179, კრებული, ქაღალდი, 1669 წ.; ტყავადაკრული ხის ყდა, მუქი შინდისფერი, ამოტიფორული (იხ.: დამ. I, №32). ონაე თხელი (ადრულ ყდებთან შედარებით), სწორად მოთლილი ხის დაფები მოჭრილია ხელნაწერის ფურცლების პირზე. ყუაზე რელიეფურია შეკერვის სამი ადგილი (მსგავსი ყუა დამახასიათებელია XVIIIს. ყდებისათვის).

ყდის ზედაპირზე, კიდებთან ახლოს ამაღ გამოყენებულია მართკუთხედის ფორმის, ორნამენტირებული “საბორღორე” ტიფორები. ყდის ცენტრში გამოსახულია ყჯარი, რომელიც შედგება პატარა, მართკუთხედის მოყვანილობის “საბორღორე” ტიფორებისაგან (ნახატი ბადისებურია. დამ. I, №32). როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყდის ცენტრში “საბორღორე” ტიფორების გამოყენება დამახასიათებელია ადრული (X-XVIIს.) ყდებისათვის. წიგნის ფორზაცი დაკარგულია. ყუას მიჰყვება ორი ჭრული კაპტალი. ყდა, ყველა ნიშნის მიხედვით, XVII ს. უნდა დავათარილოთ.

Q 635, ყაშნი, ქაღალდი, XVIIIს.; ტყავის, მუქი ყავისფერი ყდა. სწორად მოთლილი ხის დაფები მოჭრილია ხელნაწერის ფურცლების პირზე. ყუა მომრგვალებულია, ამოტიფორავი, მასზე შეკერვის სამი ადგილი რელიეფურია, რადგან “გრეკაჟის” ჩაღრმავება ზედაპირულია. ტყავის ქვეშ, ყუაზე დაკრულია ტილოს თხელი ნაჭერი. ხელნაწერს წინა კიდეზე უნდა ჰქონოდა სამი შესაკრავი (ტყავის თასმები), გვერდითა, ზედა და ქვედა კიდებზე კი თითო-თითო შესაკრავი.

ტყავის ზედაპირზე შეიმჩნევა “ღორონჯიოთ” შესრულებული ტიფორა და სამსჭვალვის მაგვარი ბურთულები (შემავსებელი ტიფორები). ხის დაფებზე შიგნიდან (საცაე ფურცლებად) დაკრულია თეთრი, სიძველისაგან გაშავებული ქაღალდი. ორივე კაპტალი დაკარგულია. ყდას XVIIIს. ვათარილებთ. რაც შეეხება XVIIIს. ყდებს, აქ აღარ შეუდგებთ მათ აღწერას, რადგან ხელნაწერის IV და V თავში მათ სვეციალურად განვიხილავთ.

ამრიგად, ადრულ საუკუნეებში (X-XVIIს.) გადაწერილ ქართულ ხელნაწერებს მათი ხშირი გამოყენების გამო არ შემორჩათ თავდაპირველი ყდები, რაზედაც თავად ამ ხელნაწერებზე დართული ანდერძ-მინაწერებიც მეტყველებენ. მიუხედავად მათი ხელახალი შეკაზმვისა, ზოგიერთ წიგნზე გეხედება ყდაში ჩასმის ადრული ელემენტები (ხის დაფები მოჭრილია ხელნაწერების ფურცლების პირზე, გამოყენებულია “გრეკაჟის” ტყენიკა, იარაღები უცვლელი რჩება როგორც ადრულ (X-XIII), ისე XIV-XVIIს. ყდებზე).

ჩვენი დაკვირვებით, X-XVIIს. ქართულ ხელნაწერთა ყდებზე როგორც წიგნის შეკერვის, ხის დაფების მოშადებისა და მიმაგრების ტყენიკაში (მხედველობაში გვაქვს ყდის “შეკაზმვის” სრული პროცესი), ისე მათი ზედაპირის მხატვრულად გაფორმებაში (“საბორღორე” ტიფორების გამოყენება, ყდის ზედაპირის ცენტრალურ ნაწილში “შემაკვებელი” ტიფორების ნაცვლად და პირიქით) მნიშვნელოვანი ცვლილებები არ შეიმჩნევა, თუ არ ჩათვლით XVIIს. ხის დაფებს, რომლებიც X-XVს. ხის დაფებზე თხელია.

ადრული ხელნაწერების ყდების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ქართულ წიგნებზე მოსალოდნელია შეგვხვდეს ბიზანტიური ხელნაწერებისათვის დამახასიათებელი წიგნების შეკერვა: “სწორხაზოვნად” ანუ ვერტიკალურად თოკების მიმაგრება ხის დაფებზე, ორმაგი ხის დაფების მიმაგრება აკინძული წიგნის ბლოკზე და შედარებით მასიური ხის დაფები, რომლებსაც სამივე მხარეს, კიდებებზე მოუყვება ჩაღრმავება (ღარი), რაც თავად ბიზანტიურ ყდებზეც კი პაპირუსის ყდის გავლენით აიხსნება. მსგავსი ტყენიკით შესრულებული წიგნების ყდები XIII, XIV-XVს. დავათარილოთ: A 516, Sin.67, H 1331, H 1741, H 1664, A 1100. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგიერთ ადრულ ქართულ ხელნაწერებზე – A 516, H 1331, A 2003, A 596 და სხვა – გამოყენებულია “ჯაჭური” შეკერვის ტყენიკა.

გარკვეული ცვლილებები შეიძინეა XVIII ს. ხელნაწერთა ყდებზე: ტყავგადაკრული ხის დაფები, მოყვანილობისა და მხატვრული გაფორმების მხრივ, XVII ს. ყდების მსგავსია. მხოლოდ ყუაზე ჩნდება შეკერვის რელიეფური ადგილები, ე. ი. არ არის გამოყენებული "გრეკაჟის" ტექნიკა (შეიძლება ყუაზე შეკვხედეს "გრეკაჟის" ჩაღრმავება, მაგრამ ის უსათუოდ ზედაპირულია. მაგ.: H 537, Q 635). XVIII ს. ყდები, ეფიჭრობთ, ქართული წიგნის ყდის ისტორიაში გარდამავალ საფეხურს წარმოადგენენ აღრეულ (X-XVI) და გვიანდელ (XVIII-XIX სს.) ყდებს შორის, რაც თავის მხრივ, იძლევა ტრადიციების გამიჯვნის საშუალებას.

წიგნის შექმნისთან დაკავშირებული ტერმინები

ხელნაწერთა ყდებზე მუშაობის პროცესში ყურადღებას იქცევს ყდის შეკრის ხელობასთან დაკავშირებული ტერმინები "შეიშა" და "შეიკაზმა".

ტერმინებს "შეიშა" და "შეიკაზმა" პირველად ყურადღება მიაქცია ივ. ჯავახიშვილმა¹¹⁸. მისი აზრით, "შეიშა" ნიშნავს წიგნის შეკრას, "დაკაზმა" კი ყდის გაკეთებას. ამ ტერმინთა დადგენისას იგი ვერძნობა 1008 წელს გადაწერილ Ath. 13 და Ath. 4 ხელნაწერების ანდერძებს¹¹⁹.

ივ. ჯავახიშვილი ანდერძებს ასეთ კომენტარს ურთავს: "მანცა და მანცე "შეიშა" და "დაკაზმა" რომ ერთსა და იმავეს არ ნიშნავდა, ეს სრულებით ცხადია. მაშე ხელნაწერში შეიშის შესახებ ცნობების შემცველი ანდერძი ერთ ხელთი არის დაწერილი და სულ სხვა ხელთი სწერია: "მე ცოდვილმან თუ შეეკაზმე წიგნი ესე".... მშოსველი და მკაზმავე ერთი და იგივე პირი არ იყო და, მაშასადამე, "შეიშა" და "დაკაზმა" ერთსა და იმავეს აღნიშნავდა არ შეიძლება ყოფილიყო; ამას ათონის მონასტრის 1008 წ. ხელნაწერის შემდეგი ცნობაც ცხადყოფს: "დაიწერა მეორე ესე წიგნი კელითა ჩვენ ცოდვილთა არსენი, იოვანე და თქორპოისისათაჲ... ლოცვა-ყუთ... ჩვენ უცხად მწერალთა და სერაპიონ მშოსველისათეს... მე ცოდვილმან თუ შეეკაზმე"-ო¹²⁰.

შეკაზმელების ანდერძი Ath. 13-დან, რომელსაც ივ. ჯავახიშვილი იმოწმებს, მოტიანილია ალ. ცაგარლის აღწერილობიდან, სადაც ის საკმაოდ შემოკლებული სახითაა დაბეჭდილი¹²¹. ასევე არასრულადაა წარმოდგენილი Ath. 4-ის მინაწერი¹²². ჩვენი აზრით, "მშოსველის" და "მკაზმელების" ანდერძები სხვადასხვა დროს უნდა იყოს დაწერილი. რაც შეეხება ანდერძების ხელთა სხვადასხვაობას, ამას თავად ალ. ცაგარელიც აღნიშნავდა¹²³. მკაზმელების მინაწერიდან ნათლად ჩანს, თუ რატომ შეიკაზმა ხელმწიფედ ხელნაწერი: "მე ცოდვილმან თეოდორე შეეკაზმე წიგნი ესე, განღებისა და კითხვისა ღონე არ იყო. ვინცა ლოცვას მომიქცნებო, მოგაქნენც ღმერთნი სასუფეველსა მისა, აჲ" (Ath. 13 260v). მსგავსი მინაწერი მინაწერი გვხვდება Ath. 4-ის 262v-ზე. როგორც ვხედავთ, "მშოსველის" ანდერძი გადამწერთა ხელთი არის დაწერილი, ხოლო "შეიკაზმელების" მინაწერი გვიანდელია და არანაირი კავშირი არ აქვს "მშოსველის" ანდერძთან. როგორც "მკაზმელების" მინაწერიდან ირკვევა, ხელნაწერი Ath. 13, ასევე Ath. 4 და, ალბათ, Ath. 10 იმდენად დაზიანებული ყოფილა, რომ მათი გაშლა და წაკითხვა შეუძლებელი იყო. ამიტომ თეოდორე ახალ ყდებში სეპას ხელნაწერებს. იგი არა მხოლოდ ყდებს უკეთებს წიგნებს, არამედ ერთდროულად მათ განმარტებულად და

¹¹⁸ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 75-76

¹¹⁹ ხელნაწერები Ath. 13, Ath. 4, Ath. 10 შეიცავს იოვანე თქორპოისის "მათეს თავის თარგმანების" ექვთიმე ათონელის თარგმანის ერთ მთლიან თხზულებას, რომელიც 1008 წ. იოვანე გრბელისძემ, არსენ ნინოწმინდელმა და თქორპოიამ ექვთიმე ათონელის ბრძანებით გადაწერეს მისეული 1002 წ-ის ავტორგრაფი დაკარგულად ითვლება). "სახარების თარგმანების" ტექსტი იმთავითვე სამ წიგნად შემოსეს (Ath. 13, 261r). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ XI ს. ათონზე გადაწერილი გრიგოლ პრობა პაპის "ღალაღონის" - A 1103 ზედა ფურცლებზე (1v) იოვანე გრბელისძის ხელთი დაწერილი ანდერძიდან ირკვევს, რომ 1002 წ. ქართული "თარგმანების" დედანაც, რომლის შემქმნაში ექვთიმესთან ერთად მონაწილეობა მთლიან იოვანე გრბელისძესაც, გადაწერისთანავე სამ წიგნად შეუმოსათ. A 1103 ხელნაწერზე დართულ ანდერძ-მინაწერებში გადმწერებად იხსენიებად შებოთ დასახელებული პირები. A 1103 ხელნაწერის 118v-ზე მოხსენიებულია ზაქარია მშოსველი, ანდერძი დაწერილია იოვანე გრბელისძის ხელთი. Ath. 10 ხელნაწერს ალ. ცაგარელი ექვთიმე ათონელის ავტორგრაფად მიიჩნევდა (იხ. A. Цагарели, Сведения, I, с. 86, № 67) ამ აზრს იზიარებდა ივ. ლოლაშვილი (იხ. მისივე, "ათონურ ქართულ ხელნაწერთა სახაზენი", თბილისი, 1982, გვ. 59-60), ილ. ფანცულაია კი ხელნაწერებს: № 67 (Ath. 10), № 70 (Ath. 13), № 66 (Ath. 4) "თარგმანების" ერთ მთლიან, გაბზოლ ტექსტად წარმოადგენს (შტრ. A 1140, 4v-9v), მაგრამ იგი ტექსტის თარგმანის (979 წ.), გადაწერის (983 წ.) და ფაშო ჩანისის (1008 წ.) სრულად განისჯავებულ თარიღებს იძლევა, თუ რის საუბეჭდოზე, რა წყაროზე დაყრდნობით, ამას იგი არ უთითებს (A 1140, 6v), რ. ბუციტი კი Ath. 10 ხელნაწერს X ს. ათარიღებს (იხ. R. P. Blake, Catalogue des manuscrits georgiens de la bibliothèque de la laurie d' Ivron au Mont Athos, Revue de l' Orient chrétien, t. no 3-4, p. 339). ხელნაწერების (Ath. 13, 4, 10) შედგენილობის შესწავლის საუბეჭდოზე და ჰალოგრაფულ მონაცემებზე დაყრდნობით მივიღოთ იმ დასკვნამდე, რომ Ath. 10 წარმოადგენს "მათეს თავის თარგმანების" შესამე წიგნს, რომელიც 1008 წელს გადაწერეს და შემოსეს ათონზე. ამავე საკითხთან დაკავშირებით იხ.: ელ. ბებრეველი, ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კრის ისტორიიდან, 1996, გვ. 111-121.

¹²⁰ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 75

¹²¹ აღწერილობაში ეკითხულობთ: "ჩვენ მწერალნი და მშოსელი სერაპიონ მოვიხსენიეთ... დაიწერა მთასა წმინდასა ათონას მონასტრისა... Другой рукою написано: "მე ცოდვილმან თუ შეეკაზმე წიგნი ესე..." (იხ. A. Цагарели, Сведения, I, გვ. 91-92, № 70).

¹²² A. Цагарели, Сведения, I, გვ. 86, № 66.

¹²³ იქვე, № 66, 70.

აღმდგენელად გვევლინება.¹²⁴

მათს თავის თარგმანების შესამე წიგნს (Ath. 10) "შოსველისა" და "შემახმეველის" ანდერძ-მინაწერები არ შემოუნახავს. მის შესახებ ცნობას გვაწვდის "თარგმანების" პირველი წიგნი: "წმიდისა სახარებისა მათის თავისა ოდენ თარგმანი წამ წიგნად შეიძოხა: ესე პირველი წიგნი არს პირველით თავითად და ვიდრე იმ თავადმდე, სწერია ამას წიგნსა ოცდაცამეტსა რვეულსა შიგან. და მეორესა წიგნსა დაიწყების ით თავითან ვიდრე მე თავადმდე, სწერია მას შინა. ხოლო მესამესა წიგნსა დაიწყების მე თავითან ვიდრე მე თავადმდე და მას შინა დასრულების და წიგნისა დასასრულისა განგებული ანდერძი მას შინა დაუნერა განმანათლებელს მამასა ეფთიმს" (Ath. 13, 261r). როგორც ვხედავთ, ანდერძში მითითებულია, თუ რომელ თავებს მოიცავს "თარგმანების" ესა თუ ის წიგნი. ხელნაწერების (Ath. 13, 4, 10) შესწავლის შემდეგ დამტკიცდა, რომ წიგნებში თავები განაწილებულია ზუსტად ისე, როგორც ეს ასახულია ზემოთ დასახელებულ ანდერძში. ჩვენი ვარაუდი, ანდერძი არსენ ნინოწმინდელის ხელით უნდა იყოს დაწერილი. როგორც ანდერძიდან ირკვევა, Ath. 10 ხელნაწერი "მათს თავის თარგმანების" შესამე წიგნს წარმოადგენს, რომელიც 1008 წელს გადწერა და შეიძოხა ათონზე ექვთიმე ათონელის ბრძანებით¹²⁵.

Ath. 4 (II წიგნი), 95 r-ზე გვხვდება ერთი ჩვენთვის საინტერესო მინაწერი: "ამის წიგნისა მოსულისა ცოდვილისა სერაპიონისთესა ლცვა – ვაეთ, ღმერთმან დაგაჯეროს, რაათა თქუნითა ლოცვითა სარგებელ ეყოს სულსა ჩემსა და თქუნდ მადლი გაქუნდეს წინამუ უფლისა". თუ ხელის მიხედვით ეთმსკლებო (წერილი, მოგობა, კუთხოვანი ნუსხური), მინაწერი განსხვავდება Ath. 13, Ath. 4, Ath. 10 ხელნაწერებზე დართულ ყველა სხვა ანდერძ-მინაწერებისაგან. ეუქრობ, იგი თავად სერაპიონ მოსველის მიერ უნდა იყოს დაწერილი¹²⁶.

ივ. ვაგაჩიშვილის აზრით, შემოსვა რთული საქმე არ არის და ამიტომ, რომ ზოგჯერ "შწერალი" ამავე დროს "შემოსველიც" ყოფილა. შემოსილ წიგნს "შეკახაიე" მიიღებდა ზოლმე ყდის გასაკეთებლად. უფრო იშვიათი შემთხვევა იყო, მაგრამ ზოგჯერ დამწერელს წიგნი თვითონვე დაუკახზია. შეკახეობას თვით მონასტრის არქიმანდრიტებიც და უფრო მაღალ საფეხურზე მდგომი პირებიც კი არ უკადრისობდნენ: "ამა წიგნისა შეკახავსა პატრიონისა ჯუჯისა მონასტრისა არქიმანდრიტსა, მამა იოსებს შეუნდევს ღმერთმან"-ო.¹²⁷ (Jer 76, 243v).

მოგვიანებით ამ ტერმინებს შედარებით ვრცლად შეეხო მ. სურგულაძე¹²⁸. იგი ტერმინთა სრულიად განსხვავებულ ახსნას იძლევა, ვეუქრობთ, ჩვენთვის უფრო მისაღებს. "შემოსვა" მისი აზრით, ხელნაწერის ყდაში ჩასმას (სამოსის მნიშვნელობით) ნიშნავს, ხოლო ტერმინი "შეკახა" კი გულისხმობს რვეულების ან ფურცლების შეკრებას, აკონძას. მ. სურგულაძის წიგნში კეთილხეობა: "მოსვასა და კახმასთან დაკავშირებული მასალები ცხადყოფს, რომ ეს ორი პროცესი თავდაპირველად ერთი ტერმინით აღსახვებოდა. მოსველი იყო ერთდროულად რვეულების ამკინძაიც და ხელნაწერის ყდაში ჩამსხვობა. ასეთივე მნიშვნელობა აქვს სომხურ "կაჟაჟი" -ს.¹²⁹ იგი იყო რვეულების შემკერავი, წიგნის შემკერელი, ხელნაწერის ყდაში ჩამსხვობი". მისი აზრით, "კახმის" ტერმინად ქცევა ქართულში დაკავშირებულია ხელნაწერთა აღდგენა-განახლებით პროცესთან. "მრავალი მაგალითი უჩვენებს, რომ შეკახეულები იყვნენ დამკველებული და დამოხლები ხელნაწერების ხელახლა შემკერავნი"¹³⁰.

"შეიძოხა" და "შეკახა" ტერმინთა დაღვენისა და გამიჯენის მიზნით, საჭიროდ მივიჩინეთ გვეჩხა

¹²⁴ ილ. ფანკელისა მუდგენილი ათონის ივერიის მონასტრის ქართულ ხელნაწერთა კატალოგიდან (A 1140, 4v-9v) ვიკვებთ, რომ "თარგმანების" თითოეული წიგნი ჩასხულია გაყევილი, შეკეთებულ შავი ფერის ტყავის ყდაში, რომლებიც, ჩვენი ვარაუდით, 1823 წელს უნდა განახლებნათ. მინაწერებში (Ath. 13, 161r, Ath. 10, 1r) მონახილებულია ბერი ექვთიმეს, რომელმაც ათონზე დაკულ მრავალ ხელნაწერს ჩუტტარა სარესტერავიო საშუაობები (ამ პიროვნების შესახებ ნაშრომი ცალკე გვეჭება საუბარი).

¹²⁵ Ath. 10-ის ანდერძიდან ვიკვებთ (332r, ანდერძი აღდგენილია ქუთ. 20 მიხედვით, იხ. ივ. ლოლაშვილი, დასახ. ნაშრ.), რომ ექვთიმე ხელნაწერის ტექსტს "შეშავდა" დაჯავა იოვანე გრძელისძეს. ტერმინი "შეშავდა", ვეუქრობთ, უნდა გულისხმობდეს ხელნაწერი წიგნის მოშავების ყველა იმ წინაპირობას, რაც წიგნის ყდაში ჩასმამდე შესასრულებელი და რაც, თავის მხრივ, საკმარის სასახუსიშვებლად საჭე უნდა ყოფილიყო. იოვანე გრძელისძემ "შეშავდა" არა მხოლოდ ექვთიმეს მიერ თარგმნილი "სახარების თარგმანების" ტექსტი, არამედ ისეთი მოზრდილი ხელნაწერიც, როგორც არს A 1103 (131v).

¹²⁶ ზემოთ დასახელებულ მინაწერს ილ. ფანკელაძე მიიჩნევს სერაპიონის ავტოგრაფად. (A 1140, 8v).

¹²⁷ ივ. ვაგაჩიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 75. ელ. შეტრეველი, აზრით, ოსების ჯარის მამობის ხანაა XIV ს. დამდეგი და XV ს. დამდეგი. იხ. ელ. შეტრეველი, მასალები იერუსალიმის, გვ. 47, შენ. 133.

¹²⁸ მ. სურგულაძე, ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები, თბილისი, 1978, გვ. 131-133.

¹²⁹ სომხურად იკითხება "კახმოდ".

¹³⁰ მ. სურგულაძე, დასახ. წიგნი, გვ. 132.

ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერები: სინის, ათონის, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობებისა¹¹¹ და ხელნაწერთა ინსტიტუტში დაკული ფოტოპირების მიხედვით.

სინური კოლექციაში ტერმინი "შეიშოსა" ძირითადად X საუკუნეში გადაწერილ ხელნაწერებში გვხვდება. ხელნაწერთა შემომსველი იოვანე-ზოსიმე: Sin. 34 (965წ.), Sin. 35 (973წ.)¹¹², Sin. 47 (977წ.), Sin. 15 (978წ.), Sin. 30-38 (979წ.), Sin. 46 (978 ან 980წ.), ცაგ. №69 (981წ.), Sin. 32-57-33 (981წ.), Sin. 37 (982წ.), Sin. 6 (983წ.), Sin. 52 (983წ.), ცაგ. №92 (986წ.); მეორედ შემომსველი მიქელი, ს¹¹³, Sin. 50, X. ხელნაწერი; Sin. 5, 1052 წ., შემომსველი ნისთრეონი (414 რ.), ხელნაწერი გადაწერილია იერუსალიმში (მისივე შემოსილია 1049წ. თქვენი, H 2337, 285წ.; Sin. 17, 1061წ., შემომსველი გაბრიელ საყურელი, 308v (ეს ხელნაწერიც გადაწერილია ჯერის მონასტერში); Sin. 67, XIIIს., შემომსველი თეოდორე (305v).

ტერმინი "შეიკაზმა" დაფიქსირებულია XII. გადწერილ Sin. 96 ხელნაწერში: "მესამედ შეიკაზმა წმინდა ესე ბარაკლიტონი კელითა ყოფლითა კაცთა უცოდელიებისა გაბრიელ ვარძიებისაათა, დია კითხვად დაშლილი და დახუელი, ლოცუა-ყუათ... ქაღალდითა ელას ილუაწა... და უცებ კამისათუს შემინდეთი. მე რომელ ვიცოდი, არაა დამიქლია, დღერძმან იყოღეს..." (166v). ხელნაწერის 301v-ზეც იხსენიება ელია ჩიდანის ძე, რომელიც მიჩნეულია XIVს. მოღვაწედ (იხ. Sin.6, Sin.77, Sin.76. იგი ერთ-ერთი გადამწეა Sin.76-ის. ხელნაწერის 81v-ზე გვხვდება 1320 წლით დათარიღებული მინაწერი. ხელნაწერის აღმწერელის აზრით, მინაწერი ელიას ხელით უნდა იყოს დაწერილი)¹¹⁴. გაბრიელ ვარძელის ანდერძიან ვიკებთ, რომ ქარაღლი, რომელიც ამან ხელნაწერი აღადგინა, მისთვის ელიას დაუმზადებია (Sin. 96, 166v)¹¹⁵.

როგორც Sin. 96 ხელნაწერის ანდერძიდან ირკვევა (166v), გაბრიელ ვარძელი და ელია ჩიდანის ძე ერთად მოღვაწეობდნენ. ე. ი. Sin. 96-ის "მესამედ შეიკაზმევის" გაბრიელ ვარძელის ანდერძი XIVს. I მეოთხედით უნდა დაეთარიღოთ. გაბრიელი არა მხოლოდ ყდის გამკეთებელია, არამედ დაშლილი და დაზიანებული წიგნის რესტავრატორადაც გვევლინება.

გაბრიელ ვარძელი ანდერძში (166v) იყენებს ტერმინს "უცბად კამისათუს"¹¹⁶ რაც ფიქრობთ, ცუდად (უმეტრად) წიგნის ყდის გაკეთებას ("შეკაზმას") უნდა ნიშნავდეს, რის გამოც იგი შენდობას ითხოვს

¹¹¹ G. Garitte, Catalogue; ივ. ჯავახიშვილი, სინის მიის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი, 1947; H. Я. Мapp. Описание; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (სინური კოლექცია), I, შმედ. ელ. მებრეველი, ც. ჭანკიცი, ლ. ხელსურანი. დ. ჯღამაია, თბ. 1978; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (სინური კოლექცია), II, შმედ. ც. ჭანკიცი, ლ. ჯღამაია, თბ. 1979; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (სინური კოლექცია), III, შმედ. რ. ვეჯამაია, ელ. მებრეველი, ც. ჭანკიცი, ლ. ხელსურანი. დ. ჯღამაია, 1987; A. Цагарели, Сведения, ч. I, 1886, ч. II, 1889; R. P. Blake, Catalogue; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (ათონური კოლექცია), ნაკ. I, ელ. მებრეველის რედაქტორებით, თბილისი, 1987; საქართველოს სახ. მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), ტ. IV, ე. კაკელიძის რედაქტორებით, თბილისი, 1950; ხელნაწერთა აღწერილობა. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), ტ. V, აღ. ბარამიძის რედაქტორებით, თბილისი, 1949; R.P. Blake, Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque patricarale grecque à Jerusalem, O. C. 1922-1923, № 3-4; 5. მარი, იერუსალიმის ბერძნული რედაქტორატო ვინისსაკვის ქართულ ხელნაწერების მოკლე აღწერილობა, 1955 (ელ. მებრეველის რედაქციით); ელ. მებრეველი, იერუსალიმურ ხელნაწერთა აღწერილობა (ხელნაწერის სახით).

¹¹² "სახელითა ღმრთისაათა და მესხებითა შეიშოსა წმინდა ესე წიგნი..." (Sin. 67, IIr). მ. დვალისა და ლ. ჯღამაიას აზრით, Sin. 35 ხელნაწერი მესამედ შეუმოსავს იოვანე-ზოსიმეს (იხ.: მ. დვალი, ლ. ჯღამაია, დასახ. ნაშრ., გვ.75-76). როგორც ვხედავთ, იოვანე-ზოსიმე Sin.35 ანდერძში არავინ ამბობს ხელნაწერის მესამედ შეუმოსავს, მაშინ, როდესაც Sin. 32-57-33 (864 წ.) სინური მარკელაიკოსა და Sin.46 ანდერძებში იგი ხაზგასმით აღინიშნავს, თუ მერამდელ მოსავს ხელნაწერებს: "...შეიშოსა მეორედ დასაბამითან წელთა..." (Sin. 46), "...შეიშოსა მესამედ დასაბამითან წელთა..." (Sin. 32-57-33).

ამავე საკითხთან დაკავშირებით იხ.: ზ. კუბანაშვილის ზემოთ დასახელებული ნაშრომი, კრებ. "წიგნობარი", გვ. 128.

¹¹³ ცაგ. № 69 ხელნაწერი შექმნილია უმეურნეო სინის მიისათვის: "...ესე თავი მე, თეოდორე წყლივლიან გაჯარული წმიდისა მოის სინასათუს..." განსაკუთრებული ხელით: "შეიშოსა წმიდა ესე წიგნი... სინა წმიდას კელითა იოვანე ფრად ცოდელითა..." (იხ. A. Цагарели, Сведения, ч. II, № 69 საინტერესოა, უკმბა და თუ არა ზემოთ დასახელებულ ხელნაწერს ყდა? მის შესახებ იოვანეს ანდერძში არავინაა ნათქვამი. იგივე შეგვიძლია ვთქვათ Sin. 35 ხელნაწერზეც, რომელიც საპაწმინდიდან სინაზე მოხვედრის შემდეგ შეიშოსა. ვფიქრობთ, სინის მიისაზე წიგნები შეუმოსავი, დაშლილი სახით მოიტანეს და მათ ყვები გაუკეთა იოვანე-ზოსიმემ.

¹¹⁴ ნაშრომში რომელიც ნუშტრეონით აღნიშნულია ხელნაწერის ფორზაცად გამოყენებული ფურცლები.

¹¹⁵ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (სინური კოლექცია), ნაკ. III, 1987, გვ. 149.

¹¹⁶ როგორც ვხედავთ, ელია ჩიდანის ძეს წიგნების გადაწერის გარდა, ქაღალდის ზედაპირის გასაბეჭდ სკოლია, რაც საკმაოდ მძიმე და შრომატევად საქმეს წარმოადგენდა (იშვითი შემთხვევა იყო, როდესაც გადამწერი თავად ასაბეჭდა, დევსავა ქაღალდს. ეტრატისა და ქაღალდის დაუმუშავებლად დაკავშირებით იხ. რ. პატარაძე, ქაღალდის დაუმუშავების საკითხებისათვის ფოტოალურ საქართველოში, პალიოგრაფიული მიგანნი, I, 1965, გვ. 45-56, მ. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 31-42.

¹¹⁷ ილ. აბულაძე, ძველი ქართული, გვ. 437-438. (იხ. უცბად, უცები, რაც ნიშნავს უფესს, უმცარს).

(საერთოდ, როგორც გადამწერთა, ისე მკაზმველთა ანდერძ-მინაწერებში ტერმინის "უტყაღ" გამოყენება, თავის მხრივ, მტკიცელებს პიროვნების თავმდაბლობაზე).

ამავე ხელნაწერში გვხვდება წიგნის კიდევ ერთი მკაზმველის მინაწერი: "...ამის წიგნის ესრე მცირე შეკამმისათჳს შეზინდეთო მე, მასარებლს ფრიად ცოდელოც, შეზინდეთო, ერთობ დაშლილი იყო და ვერაა მოუგუ(არ)ე მტეი..." 195v. მინაწერი დათარიღებულია XIII საუკუნით (მინაწერს ათარიღებენ XIII-XIVსს. გადაწერილი Sin. 92, Sin.93, Sin.94, Sin.95 ხელნაწერთა ხელის მიხედვით)¹²⁷. როგორც ანდერძიდან ვიგებთ, მასარებელი შენდობას ითხოვს "მცირედ შეკამმისათჳს". საინტერესოა, თუ რას უნდა ნიშნავდეს ეს ტერმინი? გაბრიელ ვარძელის მსგავსად მასარებელი არა მხოლოდ წიგნის ყდის გამკეთებელია, არამედ დახვეული და დაშლილი ხელნაწერის აღმდგენელ-განმაახლებელი, ჩვენი ვარაუდით, მან XIII საუკუნეში მცირე აღდგენილი სამუშაოი ჩაატარა წიგნზე, რის შემდეგაც, ალბათ, ხელნაწერი ხელახლა სარესტავრაციო შეიქმნა და როგორც Sin.96-ის 166v-ზე დაწერილი ანდერძიდან ირკვევა, XIVს. მასაწყისში გაბრიელ ვარძელმა შესაძედ შეკაზმა წიგნი. ხელნაწერის Sin. 96-ის 85v-ზე (აშმაზე) გვხვდება მკაზმველის მინაწერი: "კაზმას შინა ზებორ ჩაწერე..." (მინაწერის ხელი ჰგავს 166v-ზე დაწერილ ანდერძის ხელს, რომლითაც დაწერილია გაბრიელ ვარძელის ანდერძი).

X საუკუნეში გადაწერილი Sin. 43 ხელნაწერის ყდა დაზიანებულია. შემორჩენილია მხოლოდ ტყავ-გადაკრული ტვიფრული ყდის ქვედა ფრთა (იხ. H. Я. Марр, Описание, გვ. 33). ხელნაწერი ნაკლულია (აქლია I და II რვეული, III რვეულის ერთი ფურცელი, ე. ი. სულ 17 ფურცელი). ანდერძიდან ვიგებთ, რომ ხელნაწერი (Sin. 43), რომელიც შეიცავს ნაკლულს სახით თხზულებას: "ცხორებაა და განცებაა წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმისი", სინის მთას შეწირა გიორგი მანაველმა (138r-v, 137r). ვეფიქრობთ, ეს თხზულება გიორგი მანაველმა პალესტინიდან დაშლილი, ნაკლული სახით მოიტანა და ხელნაწერს სინის მთაზე გაუკეთეს ტყავის ამოტვიფრული ყდა¹²⁸. ხელნაწერის 124r-v-ზე (აშმაზე) წიგნის შემკაზმველად მოხსენიებულია ვინმე სიმეონი. Sin. 43 ხელნაწერში ნუსხურით შესრულებული მინაწერები: 71r, 122r, 124r-v. ე. ვარიტის აზრით, ერთ ხელს წარმოადგენს¹²⁹. ჩვენი ვარაუდით, ისინი XIV-XVსს. დამასხასათიელი ნუსხურითაა დაწერილი. ვეფიქრობთ, სიმეონს Sin. 43 ხელნაწერი XIV-XVსს. უნდა ჩაესვა ყდაში.

როგორც ვხედავთ, სინურ ხელნაწერებში ტერმინი "შეიშოსა" ძირითადად გვხვდება Xს. გადაწერილ ხელნაწერთა ანდერძებში და ერთ XIIIს. დათარიღებულ (Sin. 67) ხელნაწერში. ხოლო რაც შეეხება ტერმინ "შეიკაზმა"-ს, ჩვენი ვარაუდით, ის ჩნდება XIII-XIV საუკუნეებიდან.

ტერმინ "შეიშოსა"-ს ვხვდებით აგრეთვე X-XIსს. ათონის ივერთა მონასტერში დაცულ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში: 977f. ასკეტიკურ-პოპილელტიკურ კრებულში (Ath. 9, 377v) და 978f. ოშკის მიბლიაში (Ath. I, 422v). ამ ხელნაწერების გადამწერი და შემოსველია სტეფანე. იგი ერთ-ერთი გადმწერია Ath. I: "...გადაიწერა წმიდამა ესე წიგნი კელითა სამთა მწერალთამათა: მიქაელისითა, გეორგისითა და სტეფანესითა... შეიშოსა კელითა გლახაკისა სტეფანესითა... წერაა და მოსაა ესითენ ეიცოდე" (422v), ანდერძი დაწერილია სტეფანეს ხელით.

ტერმინი "შეიშოსა" ხელნაწერთა გადაწერის თანადროულია XIს. ხელნაწერშიც: Ath. 28 გადაწერა და შემოსა აუკლა მტებევარმა 1003 წელს (271r-v); 1008 წელს გადაწერილი ხელნაწერი სამ წიგნად შემოსა სერაპიონმა (Ath. 13, 260r, 261r, Ath. 4, 260r, Ath. 10). ამ ხელნაწერთა შესახებ ზემოთ გეკონდა სუბარა; Ath. 60 შემოსეს გიორგიმ და მიქაელმა¹³⁰ 1043წ. (165r). 1008წ. გადაწერილი "სახარების თარგმანების" (Ath. 13, Ath. 4, Ath. 10) ანდერძ-მინაწერები შრავალგზის ერთად იხსენიებს ამ ორ მოღვაწეს. Ath. 4-ის ერთ-ერთი მინაწერიდან ვიგებთ, რომ მათ შეუწირავეთ ხელნაწერისათვის ტყავი ("ტარსიკონი") და ყდის შესაკარავები ("ლილო-კილონი"), 108r; Ath. 24 ხელნაწერი 1077წ. შემოსა სუმეონ თავშიშველმა (221r); XIს. დათარიღებული Ath. 63 ხელნაწერის გადამწერის ანდერძში წიგნის შემოსველად მოხსენიებულია ბერი

¹²⁷ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (სინური კოლექცია), ნაკ. II, 1979, გვ. 130, ანდ. №63.

¹²⁸ გიორგი მანაველის ანდერძში ვითხვებით: "...ნაწეული ესე წიგნისაი..."; რაც წყულობა, წყლობას ნიშნავს. იხ., ილ. აბლაძე, ძველი ქართული, გვ. 555. იქვე, იხ. დაწვლიმა, რაც მოკლებას ნიშნავს. მაგ.: "წყალი იორდანისაა დაწყედეს" (მაკაღდეს) გვ. 135.

¹²⁹ G. Garitte, Catalogue, №43.

¹³⁰ "მამა მიქაელ და მამა გიორგი იყვნენ ის სარწმუნო სულიერი წაკნი, რომელთაც "ეხილენეს და ეშასხურა" იოვანესა და ეფთჳმესითის და რომელთაც მანაწოდეს გიორგი მანაწოდელს უტუარო ცნობები მათ შესახებ". იხ.: ელ. მტკიცეელი, ნარკვევები, გვ. 123.

თეოდორე (163v); 1072 წელს გადაწერილი Ath. 30 ხელნაწერის 428v-ზე კითხვობით მხედრულით შესრულებულ ერთ მინაწერს: "ეს სენიანასარი შეგმოსე მე, ბოლნისელმა შიხიძემ (?) ასინიძემ (?) კეკეამ (?). ჩემი შობაჲლნი მოგვისხსენეთ მადლობით". ტერმინის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჩემი ვარაუდით, მინაწერი ხელნაწერის თანადროული თუ არა, XIII საუკუნეზე გვიანდელი არ შეიძლება იყოს. Ath. 20 ხელნაწერი 1081წ. შემოსა საბა მღვდელმა: "ღმერთმან აკურთხენ პატიოსანი მღვდელი საბა, ცოდელისა თანა სულსა ჩემსა, რომელმან შემომოსა ესე წიგნი. შევიწყლეთ ღმერთმან ჩემი ხუცესი ხისტიტლელე ებრაელ ყოფილი, უღირსსა თანა სულსა ჩემსა, რამეთუ ამის წიგნისა ეტრატის ყოველი მას უკაზმავს" (188v).

როგორც ვხედავთ, ტერმინ "შემოსასთან" ერთად მინაწერში გვხვდება პალეოგრაფიული ტერმინი "ეტრატის კაზმა" (Ath. 20, 188v), რაც ეტრატის დამუშავებას, გაკეთებას ნიშნავს. მ. სურგულაძის წიგნში კითხვობით: "საერთოდ ცნობები ეტრატის დამუშავების ადგილობრივი წარმოების შესახებ ძალზე მცირეა. ამის მიზეზი არ უნდა იყოს, რომ თვით გადაწერები იშვიათად ღებულობდნენ მონაწილეობას ეტრატის დაწახლებასში"¹⁴¹. ეტრატის გამკეთებელი ანდერძ-მინაწერებში იხსენიება ხან როგორც "შეკაზმელი", ხან როგორც "შემქმნელი", მაგრამ მისი საქმიანობა ყოველთვის დაკონკრეტებულია: "...ეტრატი ყოველი მას უკაზმავს" (Ath. 20, 188v). XIV ს. გადაწერილ ხელნაწერში გვხვდება ტერმინი: "...შემქმნაჲ ეტრატისა..." A 575, 155r⁴². მართალია, XI ს. ანდერძში (Ath. 20, 188v) დაფიქსირებულია ტერმინი "კაზმა", მაგრამ, როგორც ვხედავთ, მას ყდის გაკეთებასთან არანაირი კავშირი არ აქვს¹⁴³. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ანდერძებში, რომლებშიც საუბარია ხელნაწერი წიგნების შეკაზმვაზე (ე. ი. ყდაში ჩასმაზე), სიტყვა "ყდა" არცერთ მინაწერში არ დასტურდება (იგივე შეგვიძლია ვთვალო ტერმინზე "შემოსა"): "ამისა შემკაზმავსა მიქაელს" (Ath. 41, 1r), მინაწერი დათარიღებულია XIII-XIV სს.

როგორც ვხედავთ, ზემოთ მოტანილ ანდერძებში "შემოსვა" არ უკავშირდება ხელნაწერთა აღდგენა-განახლებით სამუშაოებს. იგი ხელნაწერთა გადაწერის თანდართულია და გულისხმობს მათ ყდაში ჩასმას, წიგნისთვის ყდის გაკეთებას.

ტერმინ "შეკაზმას" ვხვდებით ათონზე გადაწერილ რამდენიმე ხელნაწერში. 1008წ. სერაპიონის შემოსილი ხელნაწერები: Ath. 13, Ath. 4, და Ath. 10 შეკაზმა თეოდორემ (Ath. 13, 160v; Ath. 4, 162v). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თეოდორე ხელახლა უკეთებს ყდებს დაშლილ და დახეულ ხელნაწერებს. ჩემი ვარაუდით, თუ ხელისა და ტერმინის მიხედვით ვიმსჯელებთ, შეკაზმვის მინაწერები XIII-XIV სს. უნდა დაეთარიღოთ.

ამ მხრივ, ჩვენს ყურადღებას იქცევს ვინმე მიქაელ ჭუჭაშვილი, რომელმაც შეკაზმა XII-XIII სს. გადაწერილი Ath. 6 (170r), 1030წ. გადაწერილი Ath. 21, (330r) და Ath. 41, XI ს. ხელნაწერი (IV). შეკაზმვის მიქაელ ჭუჭაშვილის მინაწერები, ხელნაწერთა აღწერილობის მიხედვით, დათარიღებულია XIII-XIV სს¹⁴⁴. ჩემი აზრით, ამ დროისათვის უკვე მოსალოდნელია მინაწერებში შევხვდეთ ტერმინი "შეკაზმა". Ath. 41 ხელნაწერის 219r-ზე დაწერილ ანდერძებში ვხვდებით წიგნის შემკაზმვებს ბერ ბენედიქტეს (იგივე მღვდელ-მონაზონი ენედიქტე), რომელსაც 1844წ. გაუკეთებია ყდა ხელნაწერისათვის. მისივე შეკაზმულია X-XI სს. გადაწერილი Ath. 40, რომელიც 1837-1840წწ. "დიდათ დაგლევილი" შეკრა და შეკაზმა (198r, 329v, 11v). ბერი ენედიქტე იხსენიება აგრეთვე 1832წ. დათარიღებულ მინაწერებში: 1008წ. გადაწერილ "სახარების თარგმანებაში" – Ath. 13, 161r; Ath. 10, 1r. როგორც ხელნაწერთა (Ath. 40, Ath. 41) ანდერძ-მინაწერებიდან ირკვევა, მღვდელ-მონაზონი ბენედიქტე ახალ ყდებს უკეთებდა ხელნაწერებს. იგი დაშლილი

¹⁴¹ მ. სურგულაძე, დას. წიგნი, გვ. 36-37.

¹⁴² A 575 ხელნაწერის გადაწერა XIV ს. მოღვაწე ავგაროზ ბანდასზე. მან ხელნაწერის გადაწერა დაიწყო 1348 წ. და დაასრულა 1365 წ. ხელნაწერს დათოული აქვს ჩვენთვის საინტერესო ანდერძი (155r), რომელშიც ავგაროზი ხელნაწერისათვის ყდის გაკეთებას წიგნის შექმნის ხელობათა შორის ერთ-ერთ ხელობად ასახვებს. ანდერძი ჩვენთვის იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ ტერმინი "შეკრება", რომელიც XIV ს. შუა წლებიდან გვხვდება, გულისხმობს წიგნის აკონტაქსა და ყდაში ჩასმის სრულ პროცესს.

¹⁴³ ფიქტიობით, საერთოდ, "კაზმა" ტერმინის ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს რაიმეს კეთება, შექმნა, გაღამაზება: "რეკულების კაზმა" (Jer. 32, 151r), რაც ხელნაწერის რეკულებად შეკრას, აკონტაქს ნიშნავს. ეს ტერმინი სხვა მნიშვნელობითაც შეიძლება შეგვხვდეს ხელნაწერებში: XVI ს. გადაწერილი S 312 ხელნაწერში ტერმინი "კაზმა" გადაწერის მიერ ტექსტში დაშვებული შეცდომების გასწორებაზე მეტყველებს (101r იხ.: ზუნადების დასასრული). თვენებში ამიტომე ხშირად გვხვდება მინაწერის სახით სიტყვა "შეკაზმა" (ეს ცნობა მოგვაწოდა ლ. ჯღამაია), რაც, ფიქტიობით გადაწერის მიერ ამ თუ იმ საგანობლის სწესად გაწესებას, შესწორებას უნდა ნიშნავდეს.

¹⁴⁴ კართულ ხელნაწერთა აღწერილობა (ათონური კოლექცია), ნაგ. I, 1986, გვ. 148; იხ.: მიქაელ ჭუჭაშვილი, გვ. 34, მინ. I, გვ. 86, IV, მინ. 3, გვ. 113, მინ. 4.

და დაზიანებული წიგნების განმარტებულად გვევლინება.

Ath. 24 ხელნაწერი, როგორც ვიცით, 1077წ. შემოსა სკონი თავშიშვილმა. წიგნის IV-ზე გვხვდება ხელნაწერის მკაზმველისა და ხელნაწერის შეკაზმვისათვის ხარჯის გაშვები პირის, ვინმე პაისაშვილი ბეჟანას მინაწერები. მინაწერების მინაწერი (IV) XIII-ზე აღრიხული არ შეიძლება იყოს, თუ ტერმინ "შეიკაზმა"-ს გაკეთდასწინებით. ვფიქრობთ, ხელნაწერები XIV-XVსს. უნდა დავათარიოთ.

Ath. 9 ხელნაწერის 7v-ზე ილია ფანცულაის ხელით 1915წ. შესრულებული მინაწერი გვამცნობს: "შეთხველო, ამირითგან გაფრთხილი ვიდრე 33 ფურცლამდე, მკაზმავს¹⁴⁵ შეუშლია..."

როგორც ზემოთ მოტანილი მასალიდან ჩანს, ათონზე დაცულ ხელნაწერებში ტერმინი "შემოსა" X-XIსს. გადაწერილ ხელნაწერთა ანდერძებში გამოიყენება, ტერმინი "შეიკაზმა" კი მინაწერებში XIII-XIVსს. გვხვდება. ამ მხრივ, ჩვენთვის საინტერესო მასალას გვაწვდის იერუსალიმის ჯერის მონასტერში დაცული ხელნაწერების ანდერძ-მინაწერებში.

იერუსალიმურ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში, ამ ტერმინთა გამოყენების მხრივ, ბევრად ჭრელი სურათი გვაქვს, ვიდრე სინურ და ათონურ კოლექციამში.

Jer. 14, 1055 წელს გადაწერა და შემოსა იოვანე დვალმა, რომელსაც ეხმარებოდა მიქაელი (496r). ეს უკანასკნელი ანდერძში მოხსენიებულია იოვანე დვალის შვილად. ამავე ხელნაწერის 61v-ზე გვხვდება ტერმინი "შეიკაზმა". მოვიტანო ანდერძიდან ფრაგმენტს: "ესე დიდებული და ყოვლად პატიოსანი დიდი ბასილი მე, ცოდილმან და წაწყაოვებლმან, გერმანე მონაზონმან ეზდაველიძემან შეეკაზმე სულისა საოხებლად მას ფაშა, ოდეს მოწყალებისა კარი ჩამოქსნეს თათართა და ზულდე გაათავეს. არცა (!) ამა წიგნისა კელის შეხებასა ღირს ვიყავ, მაგრა პატიოსანმან ჯეარმან იპოიანა ამის შეკაზმა...". წიგნის მკაზმველის გერმანე ეზდაველიძის ანდერძიდან ვიგებთ, რომ მას ხელნაწერისათვის ყდა გაუკეთებია მაშინ, როდესაც ჯერის მონასტერი განთავისუფლდა თათართაგან. ელ. მეტრეველი აღნიშნავს: "...სპარსი და თურქი პირდაპირი მნიშვნელობით კი არ იხმარებინან, არამედ მუსულმანის აღმნიშვნელ ტერმინად. ასეთივე აღრევასთან გვაქვს საქმე ალაბებში. ჯერის მონასტრის მიტაცება იქ ხან სარკინოზებს მიეწერებოდა, უფრო ხშირად კი სპარსელებს. ჯეარი კი სინამდვილეში მიიტაცეს მამლუქებმა"¹⁴⁶ ავტორის აზრით, 1273 წელს. ქართველებმა 1305 წელს დაიბრუნეს იგი დაიხი VIII მეშუბოთი¹⁴⁷. ჩვენი ვარაუდით, გერმანე ეზდაველიძის ანდერძში (Jer. 14, 61v) ეთნიკური ტერმინის "თათართა" ქვეშ იგულისხმებიან ეგვიპტელი მამლუქები, რომლებმაც "...მოწყალებისა კარი ჩამოქსნეს..." (Jer. 14, 61v), ე.ი. გააღეს და 1305 წელს ჯერის მონასტერი დაბრუნეს ქართველებს¹⁴⁸. ხოლო რაც შეეხება მუსულმანთა აღმნიშვნელ ტერმინს "თათართა", მას ვხვდებით ქართულ საისტორიო წყაროებში, კერძოდ, "ქართლის ცხოვრებაში" XII-XIII საუკუნეებიდან.¹⁴⁹

Jer. 14. 61v-ზე დაწერილი მინაწერი შესრულებულია მოგვიანებით. იგი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი გვაწვდის ცნობას გერმანე ეზდაველიძის მიერ წიგნის შეკაზმვის შესახებ, მეორე ნაწილი წარმოადგენს გერმანეს სულის მოსახსენიებელს, მესამეში კი იხსენიება ვინმე გველევან მაჭუკარიანი, რომლის მოღვაწეობის ქრონოლოგია არ ჩანს. მთელი ეს მინაწერი გადაწერილია ერთი ხელით, მაგრამ არც ერთი ნაწილი (კვლისხმობთ პირველსაც) გერმანეს დაწერილი არაა. ამ ხელითვე დაწერილი გერმანეს სულის მოსახსენიებელი მინაწერები "მექცეკვი ქართლისაის" ჭულიშური ნუსხის მინაწერებში (H600, 24v-25r, 95v-96r აშებზე). H 600 მინაწერები თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს Jer. 14 მინაწერის მეორე ნაწილს.

¹⁴⁵ ტერმინი "შეიკაზმა" 1903წ. დათარიღებულ მინაწერებში გვხვდება განსხვავებული ფორმით: ...ჩმგ მაკარის მიერ შეეკაზმა წიგნი ესე "(Ath. 77, 1r. მინაწერი დაზიანებულია). იგივე პირის აკონსულია 983წ. დაწერილი Ath. 5, (1r); XIV-XVსს. სახარება Ath. 53 (1r); A 1103 (1r). მინაწერები დათარიღებულია 1900 და 1903 წლებით: "დაუკიბე წმინდა წიგნი! აქე ეკლამქსი მე, მონაზონმან მაკარი ქართველმან ჩმ წელსა" (გაუმართავი მხედრულით, Ath. 5, 1r). როგორც ვხედავთ, XXს. დასაწყისიდან დათარიღებულ მინაწერში ჩნდება ფრის ხელმოასთან დაკავშირებული ახალი ტერმინი "დაუკიბე" ანუ "უკიბე"-აკნძვის, შეკრის მნიშვნელობით. ხოლო რაც შეეხება A 1103 ხელნაწერის ფდას, ჩვენი აზრით, დეკლავა ნიშნის მიხედვით, იგი XXს. დასაწყისით უნდა დავათარიოთ.

¹⁴⁶ ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის, გვ. 47.

იქვე, გვ. 48.

¹⁴⁷ A. Шагарелин, Сведения, II, გვ. 31-32, № 105.

¹⁴⁸ "თათრნი", "თათართა"-ამ სიტყვით "ქართლის ცხოვრებაში" იგულისხმებიან სხვადასხვა ტომები (სელჯუქები, მონღოლები...). იხ. "ქართლის ცხოვრება", ტექსტი დავნილითა ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, 1959, გვ. 657. "ქართლის ცხოვრების" სიმეფონია ლექსიკონში, რომელიც შესულია ს. ყაუხჩიშვილის გამოცემული "ქართლის ცხოვრების" I ტომის მასალა (უძველესი დროიდან ვიდრე XIII საუკუნემდე), ტერმინი "თათრნი" დაფიქსირებული არ არის. იხ. "ქართლის ცხოვრების" სიმეფონია ლექსიკონი, ს. ზარეველადის რედაქტორობით, ტ. I, 1986, ტ. II, 1986.

ამიტომ, ვფიქრობთ, რომ თავისუფალ ფურცელზე, რომელიც ბასილის პირველ და მეორე საკითხავებს შორის იყო დატოვებული, მინაწერის დამწერმა გერმანეს ინფორმაციასთან გააერთიანა მისივე მოსახსენებელი, რომელშიც იგი გერმანეს შეუღლებს სახელით მოიხსენიებს (თამარი). უნდა ვიფიქროთ, რომ გერმანე ეზღაველიძესა და მინაწერის დამწერს ერთმანეთისაგან არც ისეთი დიდი დრო უნდა აშორებდეთ. მინაწერი ხელის მიხედვით XIV-XV სს. ადრეული არ უნდა იყოს, ვფიქრობთ, იგი გვლევან მაჭავარიანის მიერ უნდა იყოს დაწერილი. ჩვენი ვარაუდით, Ier. 14 ხელნაწერის მკაზმეულის მინაწერში ასახული ამბები XIV სს. დასაწყისით უნდა დათარიღდეს. ეი. გერმანე ეზღაველიძე XIV სს. დასაწყისის მოღვაწედ უნდა მივიჩნიოთ¹⁵⁰.

Jer. 32, გადაწერილია XII ს., ხახულის მონასტერში. ხელნაწერი უსასყიდლოდ შემოსეს სტეფანემ და დაითმბა (151r). ხელნაწერის 151v-ზე დავით მშოსველი სტეფანეს გარეშე იხსენიება. ანდრძი (151r) ჩვენთვის საინტერესოა იმ მხრივაც, რომ მასში დავით გადამწერი (და არა მშოსველი) იხსენიებს ხორციელ ძმას მიქაელს, რომლის შესახებაც იგი წერს: "...მიკაზმიდა რვეულებსა, სხუასა ყოველსა საქმარსა... სტეფანე და დავით მ წიფნი შემოესს..." (151r). ზემოთ მოტანილ ანდრძში ტერმინი "რვეულების კაზმა" ხელნაწერი წიგნის რვეულებად შეიქვრას, აკინძვას, შეეკრვას ნიშნავს. ამ პოლიგრაფიულ ტერმინს ნაშრომში ეკლავ დაუბრუნდებით.

Jer. 48, გადაწერილია XII ს., ხელნაწერის მომგებელი და შემოსველია პროზორე, ჯერის მონასტრის დამარსებელი: "...მა გეყავ და ორ წიგნად შექვემნ... აღმწერელსა ამისა რაზნიე კმანი ერთად შეემოსენ..." (250v). ანდრძში საუბარია ხელნაწერის ხელმორედ შემოსვაზე. როგორც ვხედავთ, ზოგჯერ ტერმინი "შემოსენ", "შეიკაზმას" მსგავსად ხელნაწერთა აღდგენა-განახლებით პროცესთანაა დაკავშირებული. იგივე მნიშვნელობით იყენებს ამ ტერმინს იოვანე-ზოსიმოტ Sin. 46-სა (იხ. ცაგ. №73) და სინური მრავალთავის (Sin. 32-57-33, 275r) ხელნაწერთა ანდრძ-მინაწერებში.

Jer. 156, გადაწერილია 1040 წ., "...შემოსა კელითა გიორგისთიავე... (205v-207r). იგი ერთ-ერთი გადაწერია პროკოფისა და ათთა მოწამეთა მარტვილიბის, რომელიც ამ ხელნაწერშია შეტანილი.

P-3 (დაცულია სანქტ-პეტერბურგში), ხელნაწერი 1040 წელს გადაწერეს და შემოსეს გაბრიელმა და იოვანემ ანტიოქიაში, "მონასტრსა ქართულთას კალოპოსს" (427r-428r). ხელნაწერი, როგორც ანდრძიდან ვიგებთ, პროზორის სიციურხლემოვე შეწერიეს ჯერის მონასტრს¹⁵¹.

H 2337, თეინი, 1049 წელს შემოსა ნისთერონმა, 285r (მისივე შემოსილია 1052წ. Sin 5). ხელნაწერის 283r-ზე გვხვდება წიგნის მკაზმეულის ბასილი აღდგომელის მინაწერიც, რომელიც XV-XV სს. დაეთარიღეთ. მხედველობაში გვაქვს ხელნაწერზე შემორჩენილი ქვედა ფრთის მოყვანილობა.

Jer. 8, ხელნაწერი გადაწერილია XIII-XIV სს. გრიგოლ ღვთისმეტყველის კომილიები შეკაზმა ვინმე სიბამ (1v).

Jer. 69, XIII-XIV სს. გადაწერილი, "...ავად გასულნი..." (124v) შეკაზმეს ილარიონმა და ვარსიმემ. ვფიქრობთ, დაშლილი და დაზიანებული წმინდა დაფითნი მათ XIV-XV სს. უნდა შეეკაზმათ.

Jer. 76, 244r -ზე გვხვდება ხელნაწერის ტექსტის გამაცხოველებელისა და შემკაზმეულის მამა იოსების ანდრძი. ამავე ანდრძის მეორე ნაწილში (ბოლოში) მოხსენიებული არიან ილარიონი და ვარსიმე, რომლებმაც შეკაზმეს Ier. 69 ხელნაწერი. ეს პირები Jer. 76 ხელნაწერის სხვა მინაწერებშიც იხსენიებიან: "შეკისძესა ილარიონსა და ვარსიმეს შეუნდოს ღმერთმან..." (243v).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, Jer. 76, 244r-ზე დაწერილი ანდრძი დაწერილია ხელნაწერის შემკაზმეულის მამა იოსების მიერ, რომელშიც იგი თავის სულიერ ძმებს მოიხსენიებს. როგორც ანდრძიდან ირკვევა (244r) მამა იოსები, ილარიონი და ვარსიმე ერთ დროს მოღვაწეობდნენ.

მამა იოსების შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. როგორც ვიცით, იგი მოღვაწეობდა ჯერის მონასტერში. იოსების ჯერის მამობის პერიოდს ელ. მეტრეველი XIV-XV სს. განსაზღვრავს¹⁵². ავტორი Jer. 76 ხელნაწერს იოსების ჯერის მამობის ხანაზე ადრე გადაწერილად მიიჩნევს (XIII-XIV სს.)¹⁵³ ჩვენი ვარაუდით, ამ დროისათვის (XIV-XV სს.) და უფრო ადრეც (XIII-XIV სს.) მოსალოდნელია ეხმარათ

¹⁵⁰ ჩვენ ამ საკითხების უფრო ფართო განხილვას აქ აღარ შეუვლებით, რადგან მომავალში ვაპირებთ სპეციალურად შევისწავლოთ H 600 ხელნაწერი. წიგნის შემკაზმეულია თედოსია: "ამა წიგნისა შემკაზმავსა თედოსიას და მისთა თამარსა ერძობლს, შურიას შეუნდენ ღმერთმან. თითო-თითო ფურცელი შემოყინა" (2v-3r).

¹⁵¹ იხ. ელ. მეტრეველის იერუსალიმურ ხელნაწერთა არწერილობა, ხელნაწერის სახით.

¹⁵² ელ. მეტრეველი, დასახ. ნაშრ., გვ. 37 (იხ. ჯერის მამათა ქრონოლოგია).

¹⁵³ იქვე, გვ. 47, შენ. 133.

ტერმინი “შეიკაზმა” (ყდის გაკეთების მნიშვნელობით).

1511-1514წწ. ჯერის მონასტერში მოღვაწეობს ბენა ჩოლოყაშვილი. იგი 1511 წლიდან მიეღობებულია იერუსალიმში ჯერის მამა¹⁵⁴. ბენას შეკაზმული ხელნაწერებია: Jer. 16, XIII. (იხ. A. Цагарели, Сведения, II, გვ. 39, №138), Jer. 20, XII-XIIIს. ხელნაწერი მან მეორედ შეკაზმა 1514წ. (Iv), Jer. 21, XIV-XVსს., Jer. 114, XV-XVIსს. (იხ. A. Цагарели, Сведения, II, გვ. 30, №100), ანდერძში ბენა ამბობს, რომ მან შეკაზმა ეს წიგნი (Jer. 114) და სხვა წიგნები, Jer. 117, XIV-XVIსს.¹⁵⁵. ხელნაწერში ბენა ჩოლოყაშვილის გარდა გვხვდება კიდევ ერთი წიგნის შეკაზმულის, მღვდელმონაზონ მანასეს მინაწერი. ვფიქრობთ, მანასეს ხელნაწერებისთვის ყდა უნდა გაეკეთებინა მაშინ, როდესაც მისი გადაწერა დასრულდა (ანდერძ-მინაწერები იხ.: A. Цагарели, Сведения, II, გვ. 24, №50), Jer. 133, XIII-XIVსს., გვ. 169, H 18 (დაცულია სანქტ-პეტერბურგში), XI-XIIსს. ხელნაწერი ბენას ანდერძიდან ვიგებთ, თუ რა რთული და მძიმე საქმე ყოფილა წიგნისათვის ყდის გაკეთება (95v). ანდერძი დათარიღებულია 1512 წელით¹⁵⁶.

ვლასი ურბნელის შემკაზმული ხელნაწერები: M 13 (დაცულია სანქტ-პეტერბურგში), ხელნაწერი გადაწერილია 1038 წ., რომელიც სიძველისაგან დაშლილი და დაზიანებული 1570 წელს თბილელი მიტროპოლიტის ბარნაბას ბრძანებით მეორედ შეკაზმა ვლასი ურბნელმა (იხ. ელ. მეტრეველის იერუსალიმურ ხელნაწერთა აღწერილობა, ხელნაწერის სახით, ანდ. №7).

Jer. 30, გადაწერილია XII-XIIIს., ჩვენთვის საინტერესო ცნობას გვაწვდის ხელნაწერის შეკაზმულის ვლასის ანდერძი (Iv), საიდანაც ვიგებთ, თუ როგორ ნაწილდებოდა ყოველი წიგნის შეკაზმვისათვის გაწეული ხარჯი ჯერის მონასტრის ძმობაში. ანდერძიდან იმასაც ვიგებთ, რომ ძმობის წევრებს შორის წიგნის შექმნისათვის საჭირო მასალას ჯერის მამა ანაწილებდა. ელ. მეტრეველის აზრით, “ბარნაბას ჯერის მამამ XVI საუკუნის 70-იან წლებში უნდა ევიარაუდოთ”¹⁵⁷.

ზემოთ დასახელებული ანდერძი (Jer. 30, Iv) ჩვენთვის საინტერესოა იმიტომ, რომ ტერმინ “შეიკაზმასთან” ერთად გვხვდება ტერმინი “შეკერა”: “...რამეთუ მე შეკერვას და შეკაზმას ვიღუწოდ”. ეს ტერმინი წიგნის აკრძალვასთან ერთად ყდის გაკეთების მნიშვნელობასაც შეიცავს. მაგალითისთვის მოვიტანთ რამდენიმე მინაწერს: 1. “...ქელი მესუთე შეკერებაა წიგნისა... (A 575, 155r, XIVს.). 2. “ქ. ესე სახარებაა შიო მღვდელისა არის და მე, არონს, მთავარდიაკონს შემოკრავს წმიდა ესე სახარება ქს უ” (1792წ.). 3. “მე, მაკარი გიორგის შვილმან შეკერა სახარებაა ესე 1751 წლის მაისს 23”¹⁵⁸. როგორც ვხედავთ, ანდერძ-მინაწერებში სამივე ტერმინი (“შეიკაზმა”, “შეიკაზმა”, “შეკერა”) ერთი მნიშვნელობით იხმარება და ისინი სინონიმებს წარმოადგენენ.

ტერმინებში: “შეიკაზმა”, “შეიკაზმა” და “შეკერა”, ვფიქრობთ, იგულისხმება წიგნის ყდაში ჩასმის სრული პროცესი, იქნება ეს შეკერვა, აკინძა, შეკერა თუ ხის დანების მოშვება, მათი ტყავით დაფარვა, კატალის მიმაგრება და ბოლოს ყდის ზედაპირის გაფორმება. მ. სურგულაძის აზრითაც, “კაზმვის”, “კაზმვის” სინონიმია “შეკერა”: “ისიც ხელნაწერთა ფურცლების შეერთებას. აკინძებას ნიშნავს. კაზმვის მსგავსად. იგი აღდგენილ ხელნაწერთა ანდერძში გვხვდება”¹⁵⁹. მართალია, “კაზმვის” სინონიმია “შეკერა”, მაგრამ ჩვენი აზრით, ტერმინთა გამომყენებისათვის არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა ისინი თვდაპირველი ყდების ანდერძებში შეგვხვდება, თუ შემდგომ აღდგენილი ყდების მინაწერებში, მსგავსად ტერმინისა “შეიკაზმა” (იხ.: იოვანე-ზოსიმეს ანდერძ-მინაწერები, აგრეთვე Jer 48, 250v). მ. სურგულაძეს მაინცია, რომ წიგნის შექმნისას შეკერვისა და შეკაზმვის პროცესებს ორი სხვადასხვა პირი ასრულებდა: “ყოველი ხელნაწერის შექმნას რამდენიმე ეწეო საეკლესიოების წარმომადგენელთა შრომას მოითხოვდა: ეტრატის შექმნას, გადაწერას, წიგნების შეკერვას, კაზმვას. ...სამუშაო დაყოფილი იყო შწერლებს, მძოსველებს, შეკაზმვლებს შორის”¹⁶⁰. ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ სამივე ტერმინი ერთი მნიშვნელობით იხმარება და ყდის გაკეთებასთან ერთად (ვერსისხმობით ერთიან, სრულ პროცესს), შეკერვის, აკინძვის მნიშვნელობასაც შეიცავს. ამასთან ისიც

¹⁵⁴ იქვე, გვ. 37, 40.

¹⁵⁵ Jer. 114, Jer. 117 ხელნაწერთა ფოტოკოპიები ხელნაწერთა ინსტიტუტში არ ინახება.

¹⁵⁶ იხ. ელ. მეტრეველის იერუსალიმურ ხელნაწერთა აღწერილობა, ხელნაწერის სახით.

¹⁵⁷ ელ. მეტრეველი, დასახ. ნაშრ., გვ. 37.

¹⁵⁸ იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული 1709წ. დაბეჭდილი ორი სახარება: №209, №8. პირველხანაველი წიგნების ყდებზე გადაწერილია ამოტიფერული ტყავი. იხ. აგრეთვე S109, XVI-XVIIსს. ხელნაწერი, 38v, H2339, მინაწერი XVIIIს. თარიღდება, რომელზეც გრაფილ შეკაზმული წიგნის “შემკერდად” მოიხსენიება 2v-3r, 172r-v, 173v-174v; Q 84, XVIIს. ხელნაწერი შერია 1860წ., 218r, Q 661, XVIIს. 65v-66r.

¹⁵⁹ მ. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 133.

¹⁶⁰ იქვე, დასახ. ნაშრ., გვ. 130.

უნდა ითქვას, რომ ანდერძ-მინაწერებში მოსველებად, მკაზმველებად და შეძკრელებად ბირითადად თითო პირია დასახელებული. მართალია, არის რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ყდის გამკეთებელი ორი პირია: Ath. 60, 165r; Jer 14, 496r; Jer 69, 124v; P-3, 427r-428r (ინახება სანქტ-პეტერბურგში); Jer 32, 151r, მაგრამ ისინი ერთი ტერმინის ქვეშ აისახებიან და აძენად, ერთსა და იმავე საქმეს ასრულებენ – მათი საქმიანობა ხელნაწერების ყდაში ჩასმით განისაზღვრება და თუ წიგნის შეკერვა, შეკვრა და აკიმბვა მართლაც დადგენილი პროცესებია, ამ პირების საქმიანობა ანდერძ-მინაწერებში აუცილებლად დაკონკრეტებულია, მსგავსად Jer 32(151r) ხელნაწერისა, რომლის ანდერძში წიგნის მოსველება (სტეფანესთან და დავითთან) გარდა იხსენიება “რეველების მკაზმაი” (მიქელი). შეიძლება ეს იყოს ერთეული შემთხვევა, ალბათ, დროის მოგების მიზნით (Jer 32, 151r). ვეიქრობთ, ის, ეინც მოსაჯდა, კაზმადა და კრავდა ხელნაწერებს, მას წიგნის აკიმბვა, შეკერვაც ეკოდინებოდა, რადგან ეს პროცესები იმდენადაა ერთმანეთთან შერწყმული, რომ მათი ცალ-ცალკე წარმოადგენა შეუძლებელია. ამ მხრივ, ჩვენთვის საინტერესო ცნობას გვაწვდის რეგემორტერის ნაშრომი. მისი აზრით, მხოლოდ ქართული და სომხური ხელნაწერი წიგნების ყდებით შემოსვისას გამოიყენება (ე.ი. მხოლოდ მათთვისაა დამახასიათებელი) კომპინირებული შეკერვები სტეჟია. ავტორი წიგნის შეკერვის ამ ტიპს “ქართულ კერვასაც” კი უწოდებს – “Couture géorgienne”¹⁶¹.

1570 წელს ვლასი ურბნელის შეკაზმული ხელნაწერებია: Jer 67, XIII. (ანდ. იხ.: A. Цагарели, Сведения, II, გვ. 26-27, №77), H 2336 (262r) XI ს. ხელნაწერი და H 1661 (339v), 1156წ. გადაწერილი ხელნაწერი; Jer 26, XIV-XV ს. (ფოტოპირი ხელნაწერთა ინსტიტუტში არ ინახება. იხ.: A. Цагарели, Сведения, II, გვ. 24, №51).

ბარნაბას ანდერძში, რომელიც დათარიღებულია 1570 წლით (Jer 67, იხ.: A. Цагарели, Сведения, II, გვ. 26-27, №77), ნათლად ჩანს, თუ რა სირთულეებთან იყო დაკავშირებული დაძველებული ხელნაწერების აღდგენა-განახლება. იგივე გასაჭირზე მეტყველებს ბარნაბას სხვა ანდერძი (იხ.: Jer 74, 97r).

H 1661 ხელნაწერის ერთ-ერთ მკაზმველად იხსენიება ტუნის ძე ანთიმოსე (3v). იგი 1300წ. გადაწერილი Jer 107 ხელნაწერის შემკაზმველად გვევლინება (45v). ვეიქრობთ, Jer 107-ის ერთ-ერთი მინაწერის მიხედვით, რომ მისი პირველი შემკერველია ანთიმოსე ტუნის ძე, რაც საშუალებას გვაძლევს მიახლოებით განვსაზღვროთ მის მიერ H 1661 ხელნაწერის შეკაზმვის დრო, ეს არის XIII-XIV სს. მიჯნა. ანთიმოსეს მეორედ უნდა შეეკაზმა 1156წ. გადაწერილი ხელნაწერი.

Jer 107 ხელნაწერის ანდერძ-მინაწერებში ჩნდება წიგნის კიდევ ერთი მკაზმველი ვინმე გიორგი სამხარაძე (397r). პალეოგრაფიული მონაცემების საფუძველზე, ვეიქრობთ, მას ხელნაწერი XV-XVI სს. უნდა ჩაესვა ყდაში.

H 2339, XI ს. ხელნაწერი 1649 წელს შეკაზმა (173v-174v) გრიგოლ დიაკანამ.

გრიგოლ მკაზმველზე ჩვენთვის საინტერესო ცნობას გვაწვდის ალაპების ტიმენდორფისეული ნუსხა,¹⁶² რომელშიც იგი “მეორედ მკაზმველად” იხსენიება. ანდერძის შესახებ ელ. მეტრეველი წერს: “ტიმენდორფისეული ნუსხის მეორე წყაროდ შეიძლება ვივარაუდოთ ჩვენამდე არ მოღწეული ის სვინაქსარი, რომლის უკანასკნელ თავისუფალ გვერდზე დაწერილი უნდა ყოფილიყო ალაპების ტიმენდორფისეული ნუსხა. ეს ალაპები რომ სვინაქსარის ბოლოსა ჩაწერილი, ამას მოწმობს ალაპთა უკანასკნელ გვერდზე შემორჩენილი სვინაქსარის მკაზმველის ანდერძი”¹⁶³. ავტორის ვარაუდით, “გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ ტიმოთეს ალაპთა ტიმენდორფისეული ეს ნუსხაც ჰქონდა ხელი, ვინაიდან ეს ნუსხა, უფრო სწორედ სვინაქსარი, რომლის ნაწილსაც იგი წარმოადგენს, ჯვარის მონასტრის საკუთრება ყოფილა”¹⁶⁴.

ტიმოთე აბაშვილმა, როგორც ვიცით, XVIII ს. შუა წლებში (1757წ.) იმეგზაურა იერუსალიმში, ყურადღებით გადაათვალიერა ჯვარის მონასტერში დაცული ქართული ხელნაწერები და თუ მას მართლაც ხელი უკერა აკინბული და ყდაში ჩასმული ტიმენდორფისეული ნუსხა, მაშინ სვინაქსარის “მეორედ მკაზმველად” დასახელებული ვინმე გრიგოლი, ვეიქრობთ, უნდა იყოს ის გრიგოლ დიაკონი, რომელმაც 1649 წელს H 2339 ხელნაწერს გაუკეთა ტყავის ამოტიფორული ყდა. ტიმენდორფისეული ნუსხის “მკაზმველის” ანდერძი დაწერილია ძესამე პირში, მსხვილი, შეიძლება ითქვას, უწიო ნუსხურით. ხელი ამკარად განსხვავდება

¹⁶¹ B. van Regemorter, La reliure Byzantine, p. 122-124.

¹⁶² იხ. ამ ნუსხის მიკროპირი 9, №2. ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტის ფოტო და მიკროპირების საცავში.

¹⁶³ ელ. მეტრეველი, დასახ. ნაშრ., გვ. 20, შუბ. 30.

¹⁶⁴ იქვე, გვ. 25-26.

იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, ნიკოფორე ჩილოყაშვილის ჯვრის მამობის დროს მოღვაწე გრიგოლ დაკენის ხელისაგან. გრიგოლის მიერ H 2339 ხელნაწერზე მიწერილი როგორც ნუსხურით, ისე მხედრულით შესრულებული ანდერძები გამოირჩევა ლამაზი, წერილი, კალიგრაფიული ხელით (იხ.: H 2339, 2v-3r, 172r-v, 173v-174v). ტიშენდორფისეული ნუსხის "შეორედ მაკაზმელის" მინაწერი დაწერილია უცნობი პირის მიერ. ელ. მებრეველის აზრით, "აღაბა ტიშენდორფისეული ნუსხის ზემო ქრონოლოგიური საზღვარია ნიკოფორე ჩილოყაშვილის იერუსალიმში მოღვაწეობის წლები, ე.ი. 1643-1649 წლები, ნიკოფორეს ღრინდელი ადაქები გვიანდელი ფენა"¹⁶⁵. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ "ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითადი ნაწილი, მისი ორივე წყაროს მიხედვით, დაწერილია არა უგვიანეს XIV ს. დამდეგისა"¹⁶⁶. ჩვენი აზრით, ამ დროისათვის უნდა ემხარებოდა ტერმინი "შეიკაზმა", როგორც ეს ასახულია ტიშენდორფისეულ ნუსხაში დასახელებული სვინაქსარის ყდის მეორედ გამოკეთების ანდერძში.

ჩვენი ვარაუდით, აღაბა ტიშენდორფისეულ ნუსხაში დასახელებული სვინაქსარის "შეორედ მაკაზმელი" უნდა იყოს XVIII ს. შუა წლების მოღვაწე, ის გრიგოლ დაიკონი, რომელმაც 1649 წელს შეიკაზმა H 2339 ხელნაწერი.

Jer. 73, XI-XIII ს. გადაწერილი ხელნაწერი შეავსო XVI ს. მოღვაწემ მამა სერაპიონმა (183v-დან ბოლომდე). ხელნაწერი შეკაზმა სერგიმ (191v, მხედრულით), ფეიქრობთ, წიგნის ყდაში ჩასმა ამავე დროს უნდა მომხდარიყო (XVII ს.).

Jer. 102, XII-XIV ს. გადაწერილი სახარება შეკაზმა ვინმე "უკეთესას" შვილმა (Ir). ამავე ხელნაწერის ანდერძ-მინაწერებიდან ვიგებთ, რომ ოთხთავს გაუკეთეს მოჭვდილი ყდა. მინაწერში მოხსენიებულია ვინმე გათანე, რომელმაც ხარჯი გაიღო წიგნის მოსაჭვდად. სამწუხაროდ, არ ჩანს, თუ როდის მოიჭვდა ხელნაწერი დაწერისთანავე, თუ შემდეგ. ცნობების უქონლობის გამო ჩვენც არაფრის თქმა არ შეგვიძლია. ერთადერთი, რითაც მიახლოებით ვათარილებთ წიგნის შემკაზმელების ანდერძს, ეს არის ტერმინი "შეიკაზმა", რომელიც, ჩვენი აზრით, XIII-XIV სს. დაწერილ ანდერძებში გვხვდება ყდის გაკეთების, ხელნაწერი წიგნის ყდაში ჩასმის აღმნიშვნელ ტერმინად.

Jer. 66, ხელნაწერი დათარიღებულია XIII-XIV/XVI-XVII საუკუნეებით. სამწუხაროდ, ხელნაწერთა ინსტიტუტში Jer. 66 ხელნაწერის ფოტოკოპი არ ინახება. წიგნის მაკაზმელის შესახებ ცნობას ვაგვიწვდის ალ. ცაგარელი (Сведения, II, გვ. II, №2). მინაწერიდან ვიგებთ, რომ წიგნის შემკაზმელებია ალდგომის მონასტრის მოღვაწე იოსებ ზუნტუს ძე. მისივე შეკაზმულია Jer. 36, XIII-XIV სს. (6v) და Jer. 51, XIII ს. (1v) ხელნაწერები. რაც შეეხება Jer. 51 ხელნაწერს, მასში მოხსენიებულია წიგნის კიდევ ერთი მაკაზმელი ეპიფანე (398r). რომელმაც 1583 წელს გაუკეთა ყდა ("შეკაზმა") Jer. 120 ხელნაწერს (239r). როგორც ხელნაწერთა აღწერილობიდან ირკვევა, Jer. 51, "წმინდა მამათა სწავლანი" ეპიფანეს XVII ს. ბოლოს უნდა შეეკაზმა, ხოლო იოსებ ყოფილ. იონამ ზუნტუს ძეს კი, ჩვენი ვარაუდით, XII-XIV საუკუნეებში.

ჯვრის მონასტრის ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში "მაკაზმელად" მოიხსენიება მამა ეპიფანე, რომელმაც შეკაზმა XIV-XV სს. გადაწერილი ხელნაწერი Jer. 120. ელ. მებრეველი ეპიფანეს ჯვრის მონასტრის მამობის წლებს 1567-1593 წწ. განსაზღვრავს¹⁶⁷. ხელნაწერის 239r-ზე ვკითხულობთ: "ქ. წმინდის ამის და სულთა განამათლებელისა წიგნისა მომაცხოვრებელსა კურთხულსა პაპა იაკობს შუენდოს ღმერთმან და შეკაზმავსა ცოდვილსა იუჯარის მამასა ეპიფანეს და შვილთა და ძმათა და ყოველთა ნათესავთა მისთა შუენდოს ღმერთმან და ვინცა ბრძანთო, თქვენცა შეგინდ(ე)ნეს ღმერთმან. ქორონიკონი იყო სჲ და ია" (1583წ.)¹⁶⁸. იქვე განსხვავებული ხელით: "ჯვარო, შიწყალე მიტროპოლიტი იაკობ (ხელრთვა), ამენ". იაკობი, როგორც გადამწერი, მოხსენიებულია ხელნაწერის 1v-ზე: "ღმერთო, შიწყალე ამისი მწერალი მღვდელ-მონაზონი იაკობ. მეცა შემიწყალე, ცოდვილი ესაია, ცოდილი მონაზონი". Jer. 120 ხელნაწერის ანდერძ-მინაწერები ძირითადად ერთი ხელითაა შესრულებული. ფეიქრობთ, მათი დაწერა დაიკანნი ესაია.

Jer. 120 ხელნაწერი გამოირჩევა ორი სხვადასხვა ხელი. ხელნაწერის 50v-ზე ტექსტი შუა ფურცელზე, შუა სიტყვაზე წყდება და გრძელდება 51r-ზე: "...ამაში უკუე სილი (50v) ბისტროს ალაყრნა ეკლნი ზუცად და მოიდრიკნა მუკლნი..." (51r). როგორც ვხედავთ, ხელნაწერში აღდგენილია ნაკლები ტექსტის მთლიანი გვერდები. ასობის ან სიტყვების გაცხოველების კვალი ხელნაწერში არ შეიმჩნევა. ჩვენი აზრით, პაპა

¹⁶⁵ იქვე, გვ. 25.

¹⁶⁶ იქვე, გვ. 20.

¹⁶⁷ იქვე, გვ. 37-38.

¹⁶⁸ მინაწერს რ. ბლეიტი 1584 წელთ ათარიღებს. იხ. R. Blake, Catalogue de Jerusalem, № 120.

იაკობმა ხელახლა გადაწერა დაზიანებული ხელნაწერის წინა ეგვიპტური რვეული (1v-50v).

აღ. ცაგარელი იერუსალიმურ ხელნაწერთა კატალოგში, №108¹⁰⁹ (Jer. 120) აქვეყნებს ჩვენთვის საინტერესო ერთ მინაწერს: "სულს ამა წიგნისა შემოსავსა პაპა იაკობს შეუნდოს ღმერთმან და შექაზმავს ჯერის მამას ეფიფანეს..."¹¹⁰. ხელნაწერში დღეს ამგვარი მინაწერი ვერ დავადასტურეთ. აღ. ცაგარელი მინაწერს ასეთ კომენტარს ურთავს: "Писец монах Яков, переплет настоятель Крестного монастыря Епифан". მსგავსი კომენტარი, ვფიქრობთ, უფრო შეესაბამება ხელნაწერის 239 გვერდზე დაწერილ 1583წ. დათარიღებულ მინაწერს, რომელიც ზემოთ მოიქტანეთ და საიდანაც ვიგებთ, რომ პაპა იაკობი აცხოველებს ხელნაწერს, ეფიფანე კი ფასს უკეთებს ("ქაზმავს") მას. ჩვენი ვარაუდით, აღ. ცაგარლის გამოკვეყნებულ მინაწერში (№ 108), რომელიც დღეისათვის დაკარგულია, იაკობი ხელნაწერის გამაცხოველებლად უნდა ყოფილიყო მოხსენიებული და არა შემოსველად, რაზედაც თავად აღ. ცაგარლის კომენტარი მეტყველებს. საერთოდ, მივანჩნია, რომ ერისა და იმავე ანდერძში ერთდროულად ორი სხვადასხვა პირი წიგნის "შოსველად" და "შეაზმველად" არ შეიძლება შეგვხვდეს, რადგან ტერმინები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სინონიმებს წარმოადგენენ.

Jer. 119, XIII-XIVსს. გადაწერილი ხელნაწერის ანდერძ-მინაწერებიდან ირკვევა, რომ ორჯერ ჩასუკამთ ვდამი: პირველად XIII-XIVს. I ნახევარში, მეორედ კი XV-XVIს. I ნახევარში.

Jer. 119 ხელნაწერის 307v-ზე გვხვდება წიგნის შემკაზმველის იაკობის ანდერძი, რომელიც, თავის მხრივ, საინტერესო ცნობას გვაწვდის წიგნის კიდევ ერთ მკაზმველზე – ჯერის მამა იოვანეზე: "ჯურისაჲ საკლის პატრონსა და მამას მართლმადიდებელსა ღმრთისა და შწირველსა იოვანესს) შეუნდოს ღმერთმან, რომელმან შექაზმა ესე წიგნები: პარაკლიტონი და სამოციქულო; და იოეკიმსაცა შეუნდოს ღმერთმან. და ვინც ბრძანით შენდობა, მამას იოვანეს და იოეკიმს და მე, შწარედ ცოდვილსა ამის შექაზმავს იაკობს, თქუენცა შეეინდენეს ღმერთმან, ამინ". როგორც ანდერძიდან ვიგებთ, ჯერის მამა იოვანეს შეუქაზმავს პარაკლიტონი და სამოციქულო. ვფიქრობთ, სამოციქულო, რომელზეც საუბარია მინაწერში, უნდა იყოს XIII-XIVსს. გადაწერილი Jer. 76 ხელნაწერი, ხოლო მისი შემკაზმველი კი XIII-XIVსს. ბოლავანე ჯერის მამა იოვანე¹¹¹. როგორც ზემოთ მოტანილი ანდერძიდან ირკვევა, იოვანეს Jer. 76 ყდაში უნდა ჩაესვა ("შექაზმა") გადაწერისთანავე. ამ ხელნაწერზე ზემოთ უკვე გეჭონდა საუბარი (იხ.: მამა იოსები, რომელმაც XIV-XVსს. გააცხოველა და შექაზმა Jer. 76 ხელნაწერი). ხოლო რაც შეეხება Jer. 119-ის მკაზმველს იაკობს, ანდერძის თანახმად, მან ხელნაწერს ყდა გაუკეთა XIII-XIVსს. როგორც ვხვდებით, Jer. 119-ის მინაწერშიც (307v) ტერმინი "შეიქაზმა" ხელნაწერის გადაწერის თანდართულია.

ამავე ხელნაწერის 1v-ზე გვხვდება წიგნის შემოსველის მინაწერი: "ამა წიგნისა შემოსველსა ცოდვილსა საბა, ყოფილსა სოფრონს შეუნდოს ღმერთმან, ამინ, უფალო, მიქსენი".

საბა, ყოფილი სოფრონი, მოხსენიებული ყოფილა კიდევ ერთი იერუსალიმური ხელნაწერის Jer. 77-ის მინაწერში (ხელნაწერის გადაწერის თარიღია XI-XII საუკუნეები). მინაწერი დღეისათვის დაკარგულია. როგორც ჩანს, ნ. მარის იერუსალიმში ყოფნის დროს მინაწერი უკვე აღარ არსებობდა (იხ.: ნ. მარის დასახ. არწერილობა, №48). მის შესახებ ცნობას გვაწვდის აღ. ცაგარელი¹¹²: "სულსა გიორგი მუფეთ-მუფისა ძესა ალექსანდრეს შეუნდოს ღმერთმან, ძესა მაისს, მეფეს გიორგის, შეუნდოს ღმერთმან; ფრიად ცოდვილსა საბა, ყოფილსა სოფრონს, შეუნდოს ღმერთმან; სულსა ანასტასიასა შეუნდვენ ღმერთმან, ესე წიგნი სულთა განმანათლებელი დიდი სუნაქსარი განქრული მან შ(ე)კ(ა)ზმველსა; სულსა თეკლამასაცა შეუნდვენ ღმერთმან"¹¹³. აღ. ცაგარელი მინაწერებს XV-XVIს. I ნახ. ათარიღებს. იგი ანდერძების ხელთა სხვადასხვაბაზეც მიუთითებს.

ხელნაწერში (Jer. 77) ზემოთ დასახელებული ანდერძ-მინაწერებიდან შემორჩენილია მხოლოდ წიგნის შექაზმვისათვის ხარჯის გამოღების (ანასტასიას) მინაწერი, რომელიც ფურცლებზე ტექსტის ბოლოსაა დაწერილი, ტექსტს მოჰყვება (1r). ხოლო რაც შეეხება წინა სამ მინაწერს, ვფიქრობთ, ისინი ხელნაწერის

¹⁰⁹ A. Цагарели, сведения, II, № 108, с. 32.

¹¹⁰ მინაწერთან დაკავშირებით იხ. ვლ. მეტრეველი, დასახ. ნაშრ., გვ. 37.

¹¹¹ ჯერის მამათა ქრონოლოგია იხ.: ელ. მეტრეველი, დასახ. ნაშრ., გვ. 36. ავტორი წერს: "Jer. №76 ხელნაწერმა, რომელიც, ჩვენი ვარაუდით, XIV ს. I ნახევარით თარიღდება, შემოგვინახა ცნობა კიდევ ერთი იოვანე ჯერის მამის შესახებ, რომლის მამობის წლები XIV ს. პირველ ოცეულშია საეარაუდებელი".

¹¹² A. Цагарели, сведения, II, გვ. 23, № 39.

¹¹³ ანასტასიას მინაწერი შეუღარეთ ხელნაწერის ფოტოპირს (Jer. 77, 1r).

კიდების ჩამოკრისას დაკარგულა. ხელნაწერის პირველი გვერდის ზედა, კილის აშმაზე შემორჩენილია ნუსხურით დაწერილი მინაწერის ციკრი ფრაგმენტები, რომელთა გაბბით წაკითხვა შეუძლებელია.

როგორც ვხედავთ, საბა, ყოფილი სოფორნი, Jer. 77 ხელნაწერის ანდერძ-მინაწერებში XV–XVII ს. I ნახევარში მოღვაწე გარდაცვლილ ისტორიულ პირებთან ერთად მოიხსენიება¹⁷⁴. ჩვენი აზრით, მინაწერში მოხსენიებული ისტორიული პირები არიან: საქართველოს მუყეთ-მუყე გიორგი VIII (1446-1466), კახეთში ცნობილი გიორგი I-ად (1466-1476), ალექსანდრე I კახთა (1476-1511) და ალექსანდრე კახთა მფვის შვილი გიორგი II, ავგიორგი (1511-1513)¹⁷⁵.

ალექსანდრე I ხსენიება ბენა ჩოლოყაშვილითან ერთად (Jer. 21, 333r). როგორც ცნობილია, ბენა 1511 წლიდან განაწესეს იერუსალიმში ჯერის მამად.

როგორც ზემოთ აღვნიშნავთ, Jer. 119 ხელნაწერის შემოსველია საბა, ყოფილი სოფორნი, ფიქრობთ, Jer. 77 ხელნაწერის ყდაც მისი გაკეთებული უნდა იყოს. ჩვენი აზრით, სწორედ ამიტომაც იხსენიებოდა იგი ხელნაწერის იმ გვერდზე (1r), რომელზედაც დღესაც გვხვდება წიგნის შეკავშირისათვის ხარჯის გამღების (ანასტასიას) მინაწერი. ხელის მიხედვითაც თუ ვიმჯღელებთ, მინაწერები (Jer. 119, 1r და Jer. 77, 1r) XVII ს. დასაწყისით უნდა დავათარიოთ. როგორც ზემოთ მოტანილი ანდერძ-მინაწერებიდან ირკვევა, საბა, ყოფილი სოფორნი, XVII ს. 10-იანი წლების იერუსალიმში მოღვაწე ქართველი ბერი უნდა იყოს.

Jer. 119 ხელნაწერის ანდერძი ჩვენთვის საინტერესოა იმიტომ, რომ ტერმინ “შეკავშა” ნაცვლად, რომელიც მოსალოდნელი იყო XV-XVII სს. მინაწერში გვხვდება ტერმინი “შეიმოსა”, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ Jer. 77 1r-ზე გამოყენებულია ტერმინი “შეკავშა” (იხ.: ანასტასიას ანდერძი).

Jer. 27, XVI–XVII სს. გადაწერილი ხელნაწერი; იგი “შეკავშა” და “შემოსა” გადამწერმა ნიკოლოზმა: “სულს ამა წიგნისა შე(ც)კავშავისა და შე(ც)მოსელისა, მწერლისა ნიკოლოზისსა...” 348v. ამავე ხელნაწერის 348r-ზე გვხვდება მონაზონ ანას მინაწერი, საიდანაც ვიგებთ, რომ მან დაშლილი ხელნაწერები “შეკავშევინა” და “შემოსა”: “...მე, ვანის ღვამამ, ბერამ ანა შეკავშ(ი)ენ და შემოსე ახლად ღია დაფუშული...” როგორც ვხედავთ, ანდერძებში ორივე ტერმინის ქვეშ ერთი და იგივე პირი აიხსება, მათ ერთი მნიშვნელობა აქვთ და ინიონ სინონიმებს წარმოადგენენ.

Jer. 96 (XII ს. ხელნაწერი) 1814წ. შეკავშა ბესარიონ ქოტიშვილმა (210r).

გვიან საუკუნეებში (XVII-XVIII სს.) ძირითადად წიგნის აკინძვის, ყდაში ჩასმის მნიშვნელობით იხმარება ტერმინი “შეკვარ”.

ტერმინი “შეკვარ” გვხვდება Jer. 136 ხელნაწერში (2r), რომელიც გადაწერილია XIII-XIV სს. წიგნი “შეკარ”, ე. ი. ყდა გაუკეთა დამნელმა ეპისკოპოსმა ელისებ.

ეს ტერმინი “შეკავშასთან” ერთად გვხვდება ვლას უზნელის (XVII ს. II ნახ.) რამდენიმე ანდერძში. ამ ტერმინთან დაკავშირებით საგულისხმოა გრიგოლ მაკაბეგელის ანდერძებიც (H 2339), სადაც ის თავის თავს “შემკვრელადაც” მოიხსენიებს (XVIII ს. შუა წლები), თუმცა ტერმინი “შეკვავა წიგნისაა” დაფიქსირებულია ავგაროზ ბანდაისძის (XIV ს.) ცნობილ ანდერძშიც.

თუ Jer. 136, 2r-ზე დაწერილ მინაწერის ხელს გაეთვალისწინებთ, ჩვენი ვარაუდით, “დავითნი” XIV-XV სს. უნდა შეეკარა დამნელ ეპისკოპოსს ელისეს.

იერუსალიმური ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებით თუ ვიმჯღელებთ, ტერმინი “შეიმოსა” გვხვდება X-XI სს. დაწერილ ანდერძებში, მაგარ ამის პარალელურად (Jer. 32, 151r, XII ს.) ჩნდება ტერმინი “რვეულების კავშა”, რომელიც, ჩვენი აზრით, მხოლოდ ხელნაწერის რვეულებად შეკვრას, შეკვრვას ნიშნავს და მასში არ შეიძლება ვიგულისხმობთ ყდის გაკეთების სრული პროცესი. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ გადაწერის ანდერძში (Jer. 32, 151r) “შემოსველად” და “რვეულების შემკავშველად” სხვადასხვა პირებია დასახლებული. დროთა განმავლობაში XIII–XIV საუკუნეებიდან, მინაწერებში ტერმინ “შემოსვას” ცვლის ტერმინი “შეკავშა”. მართალია, “შემოსვა” კვლავ გვხვდება რამდენიმე მინაწერში “კავშვის” პარალელურად Jer. 119, 1r, Jer. 27, 348v. ამ უკანასკნელ ხელნაწერში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, “შემოსველი” და

¹⁷⁴ Jer. 77, ხელნაწერის 1r-ზე დაწერილ ანდერძ-მინაწერებთან დაკავშირებით ალ. ცაგარლის აღწერილობაში კითხულობთ: “Здесь по всей вероятности упоминается о грузинском царе Александре (1389-1442 г.) сыне царя Георгия VIII, + 1469 г., и царя Георгия IX, сыне царя Александра, который был жив еще в 1540 г.” ფიქრობთ, ალექსანდრე ცაგარელს მხედველობაში ჰქონდა ალექსანდრე I ღიღის (დასახ. 1390-1442) მუხობის წლები.

¹⁷⁵ ისტორიულ პირებთან დაკავშირებით ვრცელად იხ.: პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I, შმედ.: დ. კლიაშვილი, ი. პირთა სურგულაძე, ე. ცაგარეშვილი, გ. ჯანდიერი, 1991, გვ. 216-218, 244-247.

“შემაჯავებელი” ერთი და იგივე პირია და ტერმინებიც სინონიმებს წარმოადგენენ. ხოლო რაც შეეხება Jer. 119 ხელნაწერის მინაწერს, რომელშიც “შემოსველად” იხსენიება XV-XVI სს. მოღვაწე პირი, ვფიქრობთ. ალბათ, იყო ერთეული შემთხვევები, როცა მოგვიანო პერიოდის (XIV-XV სს.) ყდის გამკეთებლები თავიანთ თავს “შემოსველებსაც” უწოდებდნენ¹⁷⁶.

ზემოთ მოყვანილი ცნობები რომ შეეჯავაბოთ, უცხოეთში მოღვაწე “მოსველებისა” და “შემაჯავებლების” შემდეგ სიას მივიღებთ¹⁷⁷:

ს ი ნ ა

მოსველები: იოვანე-ზოსიმე X ს.,
Sin.34 (965წ.), Sin. 35 (973 წ.), Sin. 47 (977 წ.),
Sin. 15 (978 წ.), Sin.30-38 (979 წ.),
Sin. 46 (978 ან 980 წ.),
ცაგ. №69 (981წ.), Sin.32-57-33 (981წ.),
Sin.37 (982წ.), Sin.6 (983წ.), Sin.52 (983წ.),
ცაგ. №92 (986წ.).

მიქაელი X ს., Sin.50 (X ს.),

გაბრიელი XIII ს. საეარაულოდ
Sin. 68-ის შემოსველი (XII ს.),
თეოდორე XIII ს. Sin.67 (XIII ს.)

შემაჯავებლები: მახარებელი XIII ს. Sin.96 (X ს.)
გაბრიელ ვარძელი XIV ს., I მითობ., Sin.96 (X ს.)
სიმეონი XIV-XV სს. Sin.43 (X ს.)

ა თ ო ნ ი

მოსველები: სტეფანე X ს. (ოშკის მოღვაწე).
Ath.9 (977წ.), Ath.1 (978წ.)
აკილა მგბეუარი XI ს. დასაწყ., Ath28 (1003წ.)
სერაპიონი XI ს. დასაწყ., Ath.13,4,10 (1008წ.)
ზაქარია XI ს. A1103 (X ს.)
გიორგი XI ს. შუა წლები, Ath. 60 (1043წ.)
მიქაელი XI ს. შუა წლები, Ath.60 (1043წ.)
სუიმონ თავმიშვილი XI ს. II ნახ.,
Ath.24 (1077წ.)
თეოდორე XI ს. Ath.63 (X ს.)
საბა XI ს. Ath.20 (1081წ.)
ბოლნისელი შიხიძე (?) XI ს., Ath.30 (1072წ.)

შემაჯავებლები: მიქაელ ჭუჭაშვილი XIII-XIV სს..
Ath.6 (XII-XIII სს.), Ath.21 (1030წ.),
Ath.41 (X ს.), Ath.8 (X ს.)
თეოდორე XIII-XIV სს. Ath.13,4,10 (1008წ.)
ბენედიქტე (იგივე ენედიქტე) XIX ს.
შუა წლები, Ath.40 (X-XI სს.), Ath.41 (X ს.).
Ath.13,4,10 (1008წ.)
შაკარი ქართველი XX ს. დასაწყ.
Ath.77 (1049ს.), Ath.5 (983ს.), A. 1103 (X ს.).
Ath.53 (XIV-XV სს.), Ath.8 (X ს.), Ath.9 (977წ.)

ი ე რ უ ს ა ლ ი მ ი

მოსველები: პროხორე XI ს., Jer.48 (X ს.),
Bodle I (X ს.)
ნისთერეონი XI ს. შუა წლები, H2337 (1049წ.),
Sin.5 (1052წ.)

შემაჯავებლები: იოვანე ჯერის მამა XIII-XIV სს.,
Jer.76 (XIII-XIV სს.)
იაკობი XIII-XIV სს., Jer.119 (XIII-XIV სს.)
საბა XIII-XIV სს., Jer.8 (XIII-XIV სს.)

¹⁷⁶ ამ შხრივ, საინტერესოა XVII ს. გადაწერილი A 1522 ხელნაწერის 167r-ზე დაწერილი მინაწერი.

¹⁷⁷ უნაადან ქართულ ხელნაწერთა რაოდენობა მეტად დიდია და ყველგან მოსალოდნელია შეგვეხვდეს აკინძეასთან დაკავშირებული ტერმინები, ჩვენ ამჯერად შემოვიფარგლოთ ხელნაწერთა ყველაზე ძველი სამი კოლექციით: სინის, ათონისა და იერუსალიმის. ხელნაწერთა ყოველი კოლექცია, რომელიც იქნება ამა თუ იმ სამწიგნობრო კერაში, ჩვეულებრივ ადგილობრივი მწიგნობრების ნაღვას წარმოადგენს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ კოლექციაში სხვა კერებში შექმნილი ხელნაწერები არ იყოს შესული. წინამდებარე ცხრილი მხოლოდ პირველი ეტაპია ამ სამუშაოს, რომლის გაგრძელება იეარაუდება ქართულ ხელნაწერთა სხვა კოლექციების ხელნაწერების მასალის გათვალისწინებით.

ოვანე დეალი XIს. შუა წლები, Jer.14 (1055წ.)
მიქაელი XIს. შუა წლები, Jer.14 (1055წ.)
გაბრიელ საყუარელი XIს. შუა წლები,
Sin.17(1061წ.)
სტეფანე XIს. Jer.32 (XIს.). ხახულის მონასტერში
მოღვაწე
დავითი XIს., Jer.32 (XIს.). ხახულის მონასტერში
მოღვაწე
გიორგი XIს., შუა წლები, Jer.156 (1040წ.)
გაბრიელი. XIს. შუა წლები, კალიპოსის მო-
ნასტრის მოღვაწე. P-3 (1040წ.). დაც. ჯეტერ-
ბურგში
ოვანე. XIს. შუა წლები, კალიპოსის მონას-
ტრის მოღვაწე. P-3 (1040წ.), დაც. ჯეტერბურგში
საბა. ყოფილი სოფრონი XV-XVIს. 10-იან წწ.
შემმოსეული და შემკაზმეული Jer119 (XIII-
XIVსს.), Jer.77 (XI-XIIIს.)

“უკეთესას” შეილი XIII-XIVსს.

Jer.102 (XII-XIVსს.)

იოსებ ყოფილი, იონაბა ხუნტუს ძე XIII-XIVსს.

(აღდგომის მონასტ.) Jer.66 (XIII-XIV/XVI-
-XVIIIსს.), Jer.36 (XIII-XIVსს.), Jer51 (XIIს.)

ტუნის ძე ანთიმოსე XIII-XIVსს., H 1661
(1156წ.), Jer.107 (1300წ.)

გერმანე ემდკეელიძე XIVს. დასაწყ.
Jer.14 (1055წ.)

ილარიონ მკეცისძე XIV-XVსს.,
Jer. 69 (XIII-XIVსს.).

ვარსიმე XIV-XVსს. Jer. 69 (XIII-XIVსს.),

იოსები ჯრის მამა XIV-XVსს. Jer.76 (XIII-
XIVსს.)

მანასე მღვდელ-მონაზონი XIV-XVსს.

Jer.117 (XIV-XVსს.)

ბასილი აღდგომელი XV-XVსს.,
H2337 (1049 წ.)

გიორგი სამხარაძე XV-XVსს. Jer.107 (1300წ.)

ბენეა ჩოლოყაშვილი XVსს. I მეოთხ. Jer.16
(XIIს.), Jer.20 (XII-XIIIსს.), Jer. 21 (XIV-XVსს.),

Jer.114 (XV-XVსს.), Jer.117 (XIV-XVსს.),

Jer.133 (XIII-XIVსს.), H18 (XI-XIIIსს.) დაჟ

ჯეტერბურგში).

ელასი ურბნელი XVსს. II ნახ. (1570წ.). M13

(1038წ. დაც. ჯეტერბურგში). Jer.30 (XII-
XIIIსს.), Jer.67 (XIს.), H2336 (XIს.). H1661
(1156წ.) Jer.26 (XIV-XVსს.)

ეპიფანე XVსს. ბოლო, Jer.51 (XIIს.),

Jer.120 (XIV-XVსს.)

სერგი XVსს., Jer.73 (XI-XIIIსს.)

გრიგოლ დიაკონი XVსს. შუა წლები. H2339
(XIს.) მიკროპირი 9, №2 (აღაქების ტიმენდორ-
ფისეული ნუსხა. XIV-XVსს.)

ბესარიონ ქოტიგშიელი XIXს. I მეოთხ. Jer.96
(XIს.)

ნიკოლოზი შემკაზმეული და შემმოსეული
XVI--XVIIIსს. Jer.27 (XVI-XVIIIსს.)

ელისე დმანელი ეპისკოპოსი, შემკერული.
XIV-XVსს., Jer.136 (XIII-XIVსს.)

ამრიგად, სინის, ათონის, იერუსალიმის ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში ტერმინები “შეიმოსა” და “შეიკაზმა” (აგრეთვე “შეიკრა”)¹⁷⁸ ერთი მნიშვნელობით იხმარებოდა და ისინი სინონიმებს წარმოადგენდა. ტერმინებში იგულისხმება ხელნაწერის ყდაში ჩასმის სრული პროცესი.

ტერმინი “კაზმვა”, ყდის გაკეთების მნიშვნელობით, მინაწერებში გვიან შემოსული უნდა იყოს XIII-XIV საუკუნეებიდან (“შეიკრა” კი XIV ს.), ხოლო ტერმინი “შეიმოსა” გვხვდება X-XIII საუკუნეებით (ძირითადად X-XI ს.) დათარიღებულ ანდერძებში.

ხოლო რაც შეეხება დაზიანებულ და შემდგომ აღდგენილ ხელნაწერთა წიგნების მინაწერებში ამ ტერმინების გამოყენებას, ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს წიგნის ხელმოკრულ აკინძვასთან, ე. ი. ახალი ყდის გაკეთებასთან. ხშირად მინაწერებში არ აისახება, თუ მერამდენედ იკერება ესა თუ ის წიგნი, რასაც ვერ ვიტყვით იოვანე-ზოსიმესა და ბენა ჩოლოყაშვილის მიერ შეკრულ ხელნაწერებზე დართულ ანდერძებზე (იხ. Sin. 46, Sin. 32-57-33, Jer. 20).

ყურადღება უნდა გავამახვილოთ ამ სიტყვების შინაარსობრივ მხარეზეც. მათში მხატვრულობის აღმნიშვნელი ელემენტი არ უნდა გამოერიცხოთ. კერძოდ, ის, რაც წიგნის ყდის მხატვრულად გაფორმებას გულისხმობს. ცხადია, იქ, სადაც საუბარია ხელნაწერთა “შემოსვაზე”, “შეკაზმვაზე” (“შეკრაზე”) ამ ტერმინებს ორი მნიშვნელობა აქვს: 1. ხელნაწერი წიგნის შეკერვა, აკინძვა რვეულეზად და მისი ტყავადაკრულ ხის ყდაში ჩასმა, 2. ტყავის ყდის ზედაპირის მხატვრულად გაფორმება ტვიფრების მეშვეობით.

¹⁷⁸ გვიანდელ ხელნაწერებში (XVII-XVIII სს.) და ძველნაბეჭდი წიგნების მინაწერებში იკარგება ტერმინი “შეიკაზმა” და ძირითადად ყდის გაკეთების აღმნიშვნელ ტერმინად ჩნდება “შეიკრა”. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ გვიანდელ წიგნებში იშვიათად გვხვდება ყდის ხელობასთან დაკავშირებული ანდერძ-მინაწერები.

XVIII-XIX ს. (30-იანი წლების) ხელნაწერი
და ძველნაბეჭდი ნიშნების ყვანი

ნაშრომის II თავში, სადაც საუბარი გეჭირა X-XVIII ს. გადაწერილ ხელნაწერებზე, შეძლებისდაგვარად გამოყვით აღრული (X-XVIII ს.) და გარდამავალი (XVIII ს.) ყდების ძირითადი ნიშნები. წინამდებარე თავში შევეხებით მხოლოდ XVIII-XIX ს. 30-იან წლებში გადაწერილ ხელნაწერებისა და ძველნაბეჭდი წიგნების ყდების თავისებურებებს, რომლებიც ყდების განვითარების მხრივ ახალ, სრულიად განსხვავებულ სურათს იძლევიან.

XVIII ს. დასაწყისი საქართველოს კულტურული ცხოვრების ის პერიოდაა, როდესაც ხელნაწერი წიგნის გვერდით გაჩნდა ქართული ნაბეჭდი წიგნი. როგორც ცნობილია, საქართველოში სტამბის მოწყობის, გამართვის საქმე უკავშირდება ვახტანგ VI სახელს, რომელიც 1704-1712 წწ. ქართლის განმგებელია (ჯანიშინი), ხოლო 1716-1724 წწ. მეფე.

ვახტანგ VI საქართველოს ისტორიის მეტად მძიმე პერიოდში მოუწია მეფობა. XVIII ს. I ნახევარში საქართველო როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ვახტანგმა მოღვაწეობის დასაწყისში მთელი რიგი რეფორმები გაატარა. იგი შეუდგა კულტურულ-აღმშენებლობით საქმიანობას, რის განსახორციელებლად მას სჭირდებოდა ზაზისის შეესება. ეს კი მან საგლეხო გადასახადებისა და თბილისის ვაჭრობა-ხელოსნობის სწრაფი განვითარებით მოახერხა. ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებამ და აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ, ქართლის ეკონომიკურმა მოღონებებამ თბილისში სტამბის დაარსების ყველა პირობა შექმნა. ვახტანგ VI 1707-1708 წწ. რუმინეთიდან ჩამოიყვანა ანთიმოზ ივერიელის¹⁷⁹ მოწაფე, შესტამბე მისიელ უნეროვლასელი. ამის შესახებ, როგორც ცნობილია, ცნობას გვაწვდის 1709 წელს ვახტანგის სტამბაში განხორციელებული გამოცემები: "საიღებლად წმიდისა სამებისა მე, გვარტომობით, ძირ მოღვდით დაეთიანმან, ძის ძემან სახელგანთქმულის მეფის ვახტანგისაჲ, ამისწულმან ქებულის მეფის არჩილისამან და დიდად სახელოვანის ქართველთ მეფისა გიორგისამან და ძემან დიდად პატროსანის ლევანისამან, განმგებელმან ქართლისამან, ბატონიშვილმან ვახტანგ, მოვიყვანე შესტამბე ვლახეთით და გავაკეთე სტამბა სასკრად სულთა წინა თქმულთა მეფეთასა, მამისა და დედისა ჩემისა გურიელის ასულის თუთასათეს, სალხინებლად სულისა ჩემისა და მეუღლისა ჩემისა ჩერქეზის ბატონის ასულის რუსუდანიას; ძეთა და ასულთა ჩემთა აღსაზრდელად"¹⁸⁰.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ვახტანგის სტამბის ოცი გამოცემიდან მხოლოდ ერთი - 1719-1720 წლის "ურთხევა ეკლესიისა"-გამოცემის აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის დომენტის ინიციატივით. ყველა დანარჩენი გამოცემა იბეჭდება ვახტანგ მეფის "შრომითა ფრიადითა და წარგებითა საფასუთათა"¹⁸¹ (იხ.: პირველნაბეჭდი წიგნების თავფურცლები).

ცნობილი მეცნიერის ქრ. შარაშიძის აზრით, "სასტამბო დაზვას განენისთანავე ერთბაშად არ ჩაუკლავს ხელნაწერი წიგნის მორთულობა, არამედ პირველ ხანებში თვითონ შეითვისა ხელნაწერის გარეგნული იერი და შემკულობა"¹⁸². მკვლევარი პირველი ქართული სტამბიდან გამოსული ძველნაბეჭდი წიგნების ყდების შესახებ წერს: "აღარ შეგერდებით ვახტანგის სტამბის წიგნების ჩინებულ ყდებზე, რომლებიც თითქმის არ განირჩევიან ხელნაწერების ტიფურულ, ხშირად ოქროთი ცურვილი სამკაულით დამშვენებული ყდებისაგან. ვახტანგის სტამბის წიგნების შემკულობა, საერთოდ, სეციალურსა და ღირჯე კვლევას მოითხოვს. სახიფათოა როგორც ყველა მორთულობის ქართულად გამოცემაზე, აგრეთვე ყველაფრის გარეშად მოტანილად ცნობა"¹⁸³.

ჩვენი კვლევის ერთ-ერთ ძირითად სირთულეს სწორედ იმის გამოიყენა წარმოადგენს, თუ რა აიღო XVIII ს. ხელნაწერმა წიგნმა ბეჭდური წიგნებისაგან, ან პირიქით, რა შეითვისა პირველნაბეჭდმა წიგნმა

¹⁷⁹ "საქართველოში პირველი სტამბის მოწყობის ერთ-ერთი მთავარ მონაწილედ ითვლება რუმინეთის დიდი კულტურული მოღვაწე ანთიმოზ ქართველი (ანთიმ ივერიელი - 1650-1717)". იხ.: ქრ. შარაშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 88. აგრეთვე: გ. ლეონიძე, ანთიმ ივერიელი, გ. "დროშა", თბილისი, 1951, №2; შ. კურდელაშვილი, ქართული სტამბის ისტორიიდან, თბილისი, 1959; ი. ვინიანიძე, ანთიმ ივერიელი (შესტამბე და პოლიტიკური მოღვაწე), თბილისი, 1973.

¹⁸⁰ იხ.: 1709 წ. თბილისის გამოცემები (ვახტანგის წინასიტყვაობა) და აგრეთვე "ქართული წიგნი", ბიბლიოგრაფია, ტ. 1, თბილისი, 1941, გვ. 9-29.

¹⁸¹ ქრ. შარაშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 61.

¹⁸² იქვე, გვ. 107.

¹⁸³ იქვე, გვ. 106.

ყდის გაკეთების მხრივ ხელნაწერებისაგან, რადგან, როგორც ზემოთაღნიშნულთ, მათი არსებობა დროში ემთხვევა ერთმანეთს. ხელნაწერი და ძველნაბეჭდი წიგნების ყდები იძენდა გავს ერთმანეთს, რომ იქნება შთაბეჭდილება, მკაზმელებისათვის არ აქვს მნიშვნელობა, ნაბეჭდ წიგნს უკეთებს ყდას, თუ ხელნაწერს, მისთვის ეს ერთი და იგივე პროცესია. ხოლო რაც შეეხება ოქროთი მოვარაგებულ პირველნაბეჭდი წიგნების ყდებს, ჩვენ მათზე განსხვავებული აზრი გავგაჩნია. ამჯერად არ შეუდგებოდა მათ საგანგებო განხილვას, რადგან ნაშრომში მოცულობით ამ საკითხს ვერცვალა ვეხებოთ.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ დამოკიდებულება ქართველი საზოგადოების ძველნაბეჭდი წიგნის მიმართ ისეთივეა, როგორც ხელნაწერისადმი. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ძველნაბეჭდი წიგნების ანდერძ-მინაწერები, საიდანაც ვიგებთ, რომ ნაბეჭდ წიგნს იგივე ადგილი უკავია XVIII ს. ქართველი მკითხველის ცნობიერებაში, იგი ისევე ეთერფასება მას, როგორც ხელნაწერი წიგნი. მოვიტანთ მხოლოდ ერთ მინაწერს, რომელიც გვხვდება 1783 წ. ვრეკლე II-ის სტამბაში დაბეჭდილ კონდაცე K19-390/309 (თბილისის ეროვნ. ბიბლიოთეკა): "ჩყკვკ აპრილის ლ-ს ეს წმინდა კოდაცი ვიყიდე და ვრუტის მონასტრისათვის შემოვიწირავს. ვინც გამისწიროს ან მძლეობობთ მოიღოს ან ნათხორობით შეიჩინოს ან მოიპაროს, შეტევენებულ იყოს სულით, ხორციით, ცოლით, შვილით და ყოველივე მოძრავით და უძრავით, ამინ, ამინ, ამინ". მინაწერი დავით მიტროპოლიტის მიერაა დაწერილი. ზემოთ დასახელებული კონდაცის ყდა და ფურცლების ჩამონაჭერი ოქროთა მოვარაგებული.

1709 წ. დაისტამბა თბილისში პირველი ქართული წიგნი. სამწუხაროდ, არანაირი წერილობითი წყარო არ გავაჩნია, რომელიც საშუალებას მოგვცემდა წარმოგვედინა ბეჭდვის მთელი პროცესი. არ ვიცი, თუ სად და როგორ იკინებოდა ვახტანგის სტამბიდან გამოსული წიგნები. შეიძლება კონკრეტულ ეგზემპლარს ამჟამად ყდა დაკარგული ჰქონდეს, მაგრამ ერთი რამ უუკველია, ყველა მათგანი რვეულებადაა შეკრული და აკინძული. საამკინძაობისა და მკაზმელებთა შესახებ მწირ ცნობებს იძლევიან ჩვენ მიერ შესწავლილი XVIII-XIX სს. გადაწერილი ხელნაწერი და ძველნაბეჭდი წიგნების ანდერძ-მინაწერები. მოვიტანთ რამდენიმე მინაწერს, რომლებშიც საუბარია წიგნის შეკრავზე, თუმცა, მაინც აუხსნელი რჩება თუ რა პირობებში იკინებოდა XVIII ს. წიგნები. მაგ.: H 882, XVI-XVIII სს. გადაწერილი ხელნაწერი 1778 წ. არქიმანდრიტმა ნიკოლოზ ყოფიანმა იოვანე ზუკეს შეორედ განახლებინა და შეაკაზმინა (185v, 328v). მოკვიანებით ხელნაწერს ჩაუტარეს რესტავრაცია ხელნაწერთა ინსტიტუტში. ტიფურების მიხედვით ყდა XVIII ს. უნდა დავთარიღოთ.

A 107, XVIII ს., "...კონდაცი და კურთხევანი ერთად შეკრული..." (180v). ხელნაწერი ჩასმულია ტყავის ამატიფურულ ყდაში. ყდის ცენტრში გამოასხულ ტიფურზე, რომელიც "როზეტს" წარმოადგენს, იკითხება მხედრულით: "ზოსიძე". ასობე, თავის მხრივ, ორნამენტის დანიშნულებასაც ასრულებენ. ყდა, ყველა ნიშნის მიხედვით, XVIII საუკუნისაა. მედალიონზე გამოასხული ორნამენტისა და ქართული ასოების შერწყმა მეტყველებს იმაზე, რომ ტიფური დამზადებულია საქართველოში და მისი ავტორი ქართველი გრაფიორია, მსგავსად ჩაჩიკაშვილების ოვალური მედალიონისა (იხ. დამ.: I, №34). ამ ტიფურს ნაშრომში ქვემოთ ვეხებით.

A 8, XVIII ს. ზედა ფორზაცზე გვხვდება დავით ბოდბელის 1780 წ. დათარიღებული მინაწერი, საიდანაც ვიგებთ, რომ მას ხელნაწერში გადაუხვია "...ფასად სამი თუმანი თეთრი და ორი მინანთული შესაკრავად..." წიგნს აქვს XVIII ს. ტიპური ყდა. ყდის ზედაპირზე ამაღ გვხვდება ერთმაგი, უწყვეტი რიგი დეკორატიული რკალისა (იხ.: დამ. II, №290).

A 133, XIII ს., რესტავირებულია, დასაწყის ფურცლებზე (4r-27v) ტექსტი აღდგენილია XVIII საუკუნეში. ხელნაწერის 186v-ზე გვხვდება წიგნის მორედ შემკაზმელების ზაქარაის მინაწერი, რომელიც დაწერილია XVIII ს. ნუსხურით¹⁴⁴. ყდაზე გამოყენებულია შეკაზმვის ადრული ელემენტები: ხის დაფები მოჭრილია ხელნაწერის ფურცლების პირზე. ყდას აქვს სარქველი.

A133 ხელნაწერის ყდაზე გამოასხული ტიფურების მსგავსი ტიფურები გვხვდება როგორც ხელნაწერების (A 101¹⁴⁵, A62, A47, A126, A635; H 1348, H 627)¹⁴⁶, ისე პირველნაბეჭდი წიგნების ყდებზე (ერთად აკინ-

¹⁴⁴ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი საეკლესიო მუზეუმი (A) კოლკეისი ტ. I, ელ. მეტრეველის რედაქციით. 1973, გვ. 150, მონ. 12.

¹⁴⁵ ხელნაწერი XVIII ს. გაუცხოველებია სონის დეკანოზის შვილს ზაქარაის, რომელიც ამბროსი ნეკრესელის სახელით იყო ცნობილი (1728-1812 წწ.).

¹⁴⁶ ზემოთ ჩამოთვლილ ხელნაწერთა ყდებს XVIII ს. ეთარიღებთ.

ბული 1709წ. სახარება და სამოციქულო, დაცულია ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში 45:9152; კუროხევიანი, 1713წ., F19510 და F204, დაცულია თსუ-ს ბიბლიოთეკაში). ზემოთ დასახელებული წიგნების ყდებზე გამოყენებული ტიფრის შვიდილით იხილოთ ჩვენ მიერ მომზადებულ პირველნაბეჭდი წიგნების ტიფრის კატალოგი: თიხუთხედის ფორმის, მცირე ზომის "შემავსებელი" ტიფრისისაგან შედგენილი განრღვეული ვეკარი, ორნამენტის სახეს წარმოადგენს სტილიზებული ჯეკარი - დამ. II, № 398, 220; "შემავსებელი" ტიფრებად გამოყენებულია ყვავილოვანი "როზეტები" - დამ. II, №91, 75; "შემავსებელი" ტიფრებად გამოყენებულია ყვავილოვანი აქცენტები - დამ. II, №172, 173; ამაღ გამოყენებულია ფოთლოვან-ყვავილოვანი ტიფრი - დამ. II, №262; ფოთლოვან-ყვავილოვანი აქცენტები გვხვდება როგორც ამაღ, ისე "შემავსებელი" ტიფრებად - დამ. II, №140, 252; "შემავსებელი" ტიფრები: ჯვრის ფორმისა და გეომეტრიული - დამ. II, № 223, 218, 227; ფოთლოვან-ყვავილოვანი "შემავსებელი" ტიფრი - დამ. II, №145; ამაღ გვხვდება "შემავსებელი" ფოთლოვან-ყვავილოვანი აქცენტი - დამ. II, № 175; ამაღ გამოყენებულია აგრეთვე ჯვრის ფორმის ტიფრი - დამ. II, № 343 (ზემოთ მოტანილი ტიფრების საილუსტრაციოდ იხ. დამ. I, №22, დამ. III, №8, 9, 48, 49) ყდებს XVIII ს. ვათარღებთ. ხოლო რაც შეეხება A 133 ხელნაწერის ხის დაყვებს, ვფიქრობთ, გამოყენებულია XVI-XVII სს. დამზადებული ხის დაფები, რომლებიც ხელახლა ტყავით შემოსეს XVIII საუკუნეში.

ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში გვხვდება ორი პირველნაბეჭდი სახარება, რომლებსაც აქვთ XVIII ს. II ნახ. დათარიღებული წიგნის "შემკერდის" მინაწერები:

1. № 209, სახარება, 1709წ., ჩასულია ტყავის ყდაში, ყავისფერი, ამოტიფრული (იხ. დამ. III. № 11). წიგნის ფორმატზე გვხვდება ჩვენთვის საინტერესო მინაწერი, საიდანაც ვიგებთ, რომ პირველნაბეჭდ სახარებას ყდა გაუკეთეს 1792 წელს: "ქ. ესე სახარებაა შიო მღვდელისა არის და მე, არონს, მთავარ დიაკონს შემოკრავს წმიდა ესე სახარება ქს უა". შემდეგ გვხვდება ხელრთვა, ითიხება: "არონ ქს უა" (149წ.). წიგნის ფორმატად გამოყენებულია რუსული ჭვირნიშნანი ქალაქი. ძნელია იმის თქმა, ჰქონდა თუ არა პირველნაბეჭდ წიგნს თავდაპირველი ყდა. მის შესახებ არანაირი ცნობა არ გვაქვანია. ყდა, რომელიც დღეისათვის აქვს პირველნაბეჭდ სახარებას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამოტიფრულია, გამოყენებულია "ბრმა" ტიფრის ტექნიკა. ყდის ზედა და ქვედა ფრთაზე წარმოდგენილია პოსტამენტზე აღმართული ჯვრები (იხ. დამ. III, №11). ტყავზე ტიფრებად შესრულებულია სახაზავის (ე.ი. "дорожник"-ის) შემოკობით. ამაღ გამოყენებულია დეკორატიული რკალის მაგვარი ორნამენტის უწყვეტი რიგი - დამ. II, №285. როგორც ვხედავთ, 1709წ. სახარების (№209 ხელნაწ. ინსტ.) ყდა გაუკეთეს XVIII ს. ბოლოს.

2. სახარება 1709წ., № 8 (ხელნაწ. ინსტ.), ტყავის, ოქროტიფრული, ყავისფერი ყდა. პირველნაბეჭდი წიგნის 298 გვერდზე გვხვდება მინაწერი: "მე, მაკარი ეპარქიარქის შვილმან შეკვარ, სახარებაა ესე 1751 წლის მაისს 23". სახარების ამ ცალს მოგვიანებით უფრო ვრცლად განვიხილავთ.

ხელნაწერი წიგნების ანდერძებზე მუშაობისას შეგვხვდა ერთი ხელნაწერი A 198¹⁷, რომელიც 1696წ. განახლდა და შეიკაზმა ბესარიონის ხელით გარეყვის ნათლისმცემლის უდაბნოში (149v). ხელნაწერმა ჩვენამდე უყვლად მოაღწია. ზემოთ დასახელებული ანდერძის მიხედვით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ გარეყვის უდაბნოს სამწიგნობრო კერაში, სადაც საუკუნეების მანძილზე ქართველი ბერების მიერ ხდებოდა "შემზადება" ხელნაწერი წიგნების და, აღბათ, მათი "შეკაზმვა", XVIII ს. ბოლოს და, სავარაუდებელია, XVIII საუკუნეშიც ფუნქციონირებდა სამკინძოა.

XVIII ს. თბილისში სამკინძოების არსებობის შესახებ არ მოგვეპოვება რაიმე ხელშეხასები ცნობა და არც წერილობითი წყაროები. ქრ. შარაშიძე თავის მონოგრაფიაში წერს: "ვახტანგმა თავის სტამბას საგანგებოდ აუგო სახლი, რომელსაც მე-18ს. 48-50წ. რამდენიმე საბუთი იხსენებს. "სტამბის სახლები" აგებული ყოფილა მეფის სასახლის ახლოს, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ანრისხატისა და სიონის ტაძრებს შუა მდებარე ფართობზე. პლატონ ოსელიანის ერთი ცნობით, ეს სახლი 10-ოთახიან შენობას წარმოადგენდა"¹⁸. 1748-1751წწ. დათარიღებული საბუთები ასახავენ 1723 წელს თბილისთან ერთად განადგურებული "სტამბის

¹⁷ აღწერილობის მიხედვით 1696 წ. მინაწელი ხელნაწერის გაღწერის თარიღად. ანდერძში კი ვკითხულობთ: "...აკმარე წმინდაა ესე წიგნი ღირსისა და წმიდა მთავარეპისკოპოსს უფლსა მქმნიეს, რომლის საინო-ყოფითა განახლდა და შეიკაზმა ქალთა ფიცი და გლახაკისა და უღირსისა მღვდელ-მონაზონის ბესარიონისთა უდაბნოს გარეყვს. წმიდის იოანე ნათლისმცემლის მონასტრის... ქნი იყო კად (იხ. A ფონდის ს, გვ. 338, 340). როგორც ვხედავთ, 149v-ზე დაწერილ ანდერძში საუბარია ხელნაწერის განახლებაზე, ხოლო ტერმინის "შეიკაზმა" ტყემ უნდა ვიგულისხმობთ ახალი ყდის გაკეთებას.

¹⁸ ქ. შარაშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 94.

სახლების” ბედს, თუ როგორ შესახლებულან მასში კერძო პირები¹⁸⁹.

ვახტანგ VI, როგორც ჩანს, “სტამბის სახლები” გამოზნულად აუშენებია სიონისა და ანინისხატის შემოქმედებით ცენტრების მახლობლად. დასახლებულ ცენტრებში საუკუნეების მანძილზე მრავალი ხელნაწერი წიგნია გადაწერილი, მოხატული და, შესაძლებელია, ყდამ ჩასულიც. ვფიქრობთ, ვახტანგი ამით იმდღეონებადა, რომ გამოკიდლი მწიგნობრები დიდ დახმარებას გაუწევდნენ მას წიგნის ბეჭდვის საქმეში. უნდა გაიზიაროთ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ პირველი ქართული ტექსტბეჭდვის იყენებ სწორედ ამ ეკლესიაში მოღვაწე სასულიერო პირები: ხელმწიფის დეკანოზის შვილი მიქაელი, ტფილისის სიონის მხატვარი გიორგი, ვარსკვან, ყოფილი მღვდელი გაბრიელი, მღვდელ-მონაზონი ნიკოლოზ ორბელიანი, კვიპრიანე სამთავნელი, დონეტი-საქართველოს კათალიკოს პატრიარქი, მღვდელ-მონაზონი გვრამენი, სოლომონ მაღალაძე, ვინმე აბრაამ დიაკონი და სხვა¹⁹⁰. ქართული მწიგნობრები სასტამბო საქმეში სრულიად გამოუცდელნი იყვნენ, როგორც ამას წერს რუმინელი მესტამბე მიხეილ უნგროვლახელი: “და რომელნი ჩემნი მოწაფენი იყვნენ, ეგრეთვე გამოუცდელნი საქმის ამის ჩემისა: ვითა მე ყოყვ ქართლის უნახავი, ეგრეთვე ჩემნი მოწაფენი სტამბისა...”¹⁹¹.

XVIII-XIX სს. ყდებზე მუშაობისას, შეძლებისდაგვარად აღწერთ ხელნაწერების (ძირითად H და A ფონდებში დაცული) და ძველნაბეჭდი წიგნების ყდები (საილუსტრაციო მასალის თანხლებით).

ვახტანგის სტამბიდან (1709-1722წწ.) გამოსული წიგნების შემორჩენილი ცალკების უმრავლესობა დღეისათვის აკონსერვაცია რეკულებად და ჩასხულია ტყავადაკრულ ხის ყდებში¹⁹². მაგრამ ჩვენს წიგნისცალკეებში დაცულია ვახტანგის სტამბის ბერი უყდო, დაშლილი, დაზიანებული ძველნაბეჭდი წიგნები, რომლებსაც ყუაზე აკინძების კვალი ეტყობა.

ძველნაბეჭდი წიგნების, ასევე XVIII ს-ის ხელნაწერის ტყავადაკრული ხის დაფები, განსხვავებით ადრეული და გარდამავალი (X-XVI, XVII) საუკუნეების ხელნაწერი წიგნების ყდებისაგან, შედარებით თხელია, გადმოიღის და ფარავს მთლიანად წიგნის ბლოკს. XVIII ს. წიგნების ხის დაფების კიდებები ირიბადაა მოთილილი. ყუის მზარეს დაფები გახერტილია რამდენიმე ადგილზე: პატარა ზომის წიგნებს ორი ნახერტი აქვს (შესაძლებელია პორიზებული ადრეული იყოს ნახერტები განლაგებული), საშუალო ზომისასა-სამი, დიდს კი ოთხი-ხუთი ნახერტი, იმის მიხედვით, თუ რამდენია ყუაზე შეკერვის რელიეფური ადგილი¹⁹³. სწორედ ამ ნახერტების საშუალებით ხდება რეკულებად აკონსერვაციის წიგნის ბლოკის ხის დაფებთან დაკავშირება. წიგნის შეკერვისას ყუაზე ტოვებდნენ იმ სივრცის კანაფს ან თოკს (რომელიც შედგებოდა დაგვრხილი ძაფებისაგან), შემდეგ წინასწარ მომზადებულ ყულფებში კვანძის გამოკერა რომ შესაძლებელი ყოფილიყო და უყრიდნენ ხის დაფებზე გაკეთებულ ნახერტებში (შეკერვის ადგილი უნდა დამთხვეოდა ნახერტს, ე.ი. ხის დაფებზე ნახერტები კედლებოდა წიგნის შეკერვის შემდეგ)¹⁹⁴ და ძაფებს ათავსებდნენ ხის დაფებზე წინასწარ გაკეთებულ ღარებში. XVIII ს. წიგნების შეკერვისას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ გამოიყენებოდა “გრეკაჟის” ტექნიკა, რის გამოც ყუაზე შეკერვის რელიეფური ადგილები მკაფიოდაა გამოიკვეთილი, რაც ყდის გვიანდლობის ერთ-ერთი ნიშანია. ვიდრე ხის დაფებს ტყავში ჩასვამდნენ, ყუაზე წიგნს სქელ ფენას წაუსვამდნენ და ტლიოს ნაჭერს აწებებდნენ. აკონსერვაციის მიზნის ქვეშ აშრობდნენ. როგორც წესი, ყველა XVIII-XIX სს. ხელნაწერი და ძველნაბეჭდი წიგნის ყუაზე აქვს ჭრული ძაფებისაგან დაწნული კაპტალი, რომელიც X-XVI, XVIII ს. წიგნების კაპტალებთან შედარებით ოდნავ თხელია და ნატიფი, რაც, თავისთავად, სიმსუბუქეს ანიჭებს ხელნაწერს. კაპტალი წიგნის ყდამ ჩასმას დასრულებულ

¹⁸⁹ თ. ფორდანი, ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიის ისტორიული საბუთები, ფოთი, 1903, გვ. 98, №958, გვ. 103, №691.

¹⁹⁰ პირველი ქართული მესტამბეების შესახებ იხილეთ 1709-1722წწ. გამოცემული პირველნაბეჭდი წიგნების წინასიტყვაობები; აგრეთვე: ქრ. შარაძე, დასახ. ნაშრ., გვ.102; ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 72.151.175; გ. ფრიცლაიმილი, ვუფისისტყაოს-ნის პირველი მსგავსი მიქაელი, მაცნე (ენისა და ლიტ. სერია), თბილისი, 1984, № 2, გვ. 59-78, № 3, გვ. 108-127.

¹⁹¹ იხ.: 1709 წ. თბილისის გამოცემები (მიხეილ უნგროვლახელის წინასიტყვაობა), აგრეთვე “ქართული წიგნი”, ტ. I, გვ. 9. სამწესობრო, დღემდე გააღწურვია სასტამბო იარაღების საკითხი. გაურკვეველია უცხოეთიდან ჩამოიტანეს მზამზარეული სტამბა, თუ თბილისში დამზადა მიხეილ მესტამბის ხელმძღვანელობით.
¹⁹² XVIII ს. იმეთიად გვხვდება ტყავადაკრული მუყაოს ამოტიფურული ყდები, ვფიქრობთ, ისინი XIX ს. I ნახ. უნდა იყოს გაკეთებული.

¹⁹³ როგორც ზემოთაუ არაერთჯერ აღვნიშნავს, XVIII ს. წიგნის ყუაზე არ გამოიყენება “გრეკაჟის” ტექნიკა. მართალია, ზოგჯერ შესაძლოა ყუაზე შეეხდნენ “გრეკაჟის” ტყავს, მაგრამ ჩაკრა იდენად შედარებულია, რომ ყუაზე მაინც შეინახება შეკერვის რელიეფური ადგილები, რაც, თვით მხრივ, წიგნის სამკალესა წარმადგენს.

¹⁹⁴ გავხვედები ზოგჯერ იყენებდნენ ძველი ხელნაწერი წიგნების ხის დაფებს, მაგრამ მათი ხელახლა გამოყენება შესაძლებელი იყო მხოლოდ რესტავრაციის შემდეგ.

სახეს აძლევს. ხის დაფებზე შიდა მხარეს როგორც ზედა, ისე ქვედა ფრთაზე აკრავდნენ ყდის საცავ ფურცლებს, ანუ ფორზაცებს, რომლებიც ერთგვარად ფარავდნენ წიგნის შეკერვის შემდეგ უშნოდ დარჩენილ ადგილებს. ფორზაციის ერთი ფურცელი იკინებოდა წიგნის ბლოკთან ერთად, მეორე კი ეკვროდა ხის დაფას¹⁵⁵. ხის დაფებს მოსაღვინებ სხვადასხვა ფერად შეღებილი ტყავით, რომელიც შეიძლება შეგვეხვედეს როგორც ამოტიფურული, ისე ამოუტიფურადი. ამოტიფურულია ხშირად აგრეთვე ირიაბა მთლიანი ტყავადაკრული ხის დაფების შიდა კიდეებიც, რომლებზეც გვეხვედა სამ-სამი ხაზი, იშვიათად შეიძლება შეგვეხვედეს სამსჭუალის მაკვარი ბურთულები ან სამყურას ფორმის ფოთლოვანი ორნამენტი. ისინი ხშირად ყდის ზედაპირზედაცაა ამოტიფურული.

XVIII-XIX სს. ხელნაწერი და ძეგლნაბეჭდი წიგნების ყდების შესწავლამ ცხადყო, რომ ისინი არაფრით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მხედველობაში გვაქვს როგორც ხის დაფების დამუშავებისა და აკინძვის ტექნიკა, ასევე მათი ზედაპირის მხატვრულად გაფორმება ტიფურების მეშვეობით.

ყდის ისტორიის შესწავლის პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ტყავის დამუშავების და მისი ზედაპირის "თევები" ამოტიფურის ტექნიკა¹⁵⁶. ამ მხრივ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ვახტანგ VI ნაშრომი – "წიგნი ზუგინის შემზადებისა და ქიბიისა ქმნის"¹⁵⁷. ვახტანგ მეფეს "ქიბის წიგნში" შეუტანია ტყავზე ამოტიფურის, ოქროს და ვერცხლის დაღების ყველა ის ძველი ტრადიციული მეთოდი, რაც ზეპირი ან წერბოლოებით ვხვთ თაობიდან თაობას გადაეცემოდა და საუკუნეების მანძილზე გამოიყენებოდა¹⁵⁸ ვეფქობით, ვახტანგ VI ამ ნაშრომს უთუოდ პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა. იგი, ალბათ, ერთგვარ სახეობმძლანგლოსაც კი წარმოადგენდა როგორც XVIII-XIX სს. ხელნაწერთა გადამწერათათვის, ისე ხელნაწერი და ძეგლნაბეჭდი წიგნების მკაშმველთათვისაც.

თავდაპირველად ტყავის ყდებზე ამოტიფურა ცივი წესით ხდებოდა, როგორც ეს ასახულია ვახტანგის "ქიბის წიგნში". ამ საკითხზე ნაშრომში უკვე გვეკონდა საუბარი. მოგვიანებით (XV-XV სს.) დაიწყო ტყავის ამოტიფურა ცხელი წესით, "ზრმა" ტიფურის მეთოდით. ვახტანგ მეფის ნაშრომში გვეხვება თევის გაყვების ორი წესი, წიგნის ყდაზე ოქროს და ვერცხლის დაღების ტექნოლოგია "ცხლად" ამოტიფურის წესით სრულდებოდა. "თვეი: ერთი თვეი ასეთი უნდა იყოს, სინისა ჩამოსხმული ბრტყელი და მრგვალი. ის შუაზე გასერეტილი იქნება. იმას ორკაპ რკინის გაუკეთებენ ტარათ და შიგ შესმენ. ფარეშს¹⁵⁹ გაუყრიან. ასრე უნდა დაბრუნდეს, როგორც დეზის ბორბალი. იმ პირზეც, როგორც ნახნი²⁰⁰ უნდა, იმისთანას მოსჭრიან. ზედ ის გამთბარი წყნარ-წყნარ ჭირებით წაფარო, რომ ნახნი კარგად დააჩრდეს. იმ რკინას ზედად ხის ტარი უნდა ესხას, რომ რკინამ ზელი არ დასწყვას"²⁰¹.

"მეორე თვეი ასეთი უნდა, რომ შეფურას²⁰² გავდეს, მოპრტყე სახაზაროსას, ან წიგნის მოსათლელს შეფურას და იმ პირზე მუდახილი²⁰³ იყოს მოჭრილი ან საჩხე, როგორც გინდა"²⁰⁴.

¹⁵⁵ ფორზაცად გამოყენებულ ქაღალდს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ყდის შესწავლისა და დათარიღების საქმეში. ხშირად ხის დაფებზე ქაღალდის ნაკვლად აკრავდნენ ძეგლნაბეჭდი და ხელნაწერი წიგნების ფრავებზეც. მაგალითისათვის მოვიტანთ შხოლოდ ერთს: თბილისის კრთულე ბიბლიოთეკაში დაცულია 1720წ. დაბეჭდილი პარაკლიტონი (K5124/409, დამ. III, №58), რომლის ფორზაცად გამოყენებულია ძველი ხელნაწერი ფურცლები, რომლებიც შეიცავენ ნაწვევებს პატერიკული კრებულისაგან.

¹⁵⁶ ტყავზე ამოტიფურის ტრადიციის გასათავალისწინებლად საინტერესო ცნობას გვაწვდის XVII-XVIII სს. ფრანგი მოგზაური და მუსიკერი ვოზეუ პიტონ დე ტუნეფორი. მან 1701წ. 21-26 ივლისს იმგზავრა საკართველოში. მისი თქმით, თბილისში მეფის სასახლის ჭერი შემუქელი ყოფილა ოქროს ვარყანი ტყავით. იხ.: ილ. ტაბაღა, საკართველო-საფრანგეთის ურთიერთობა, თბილისი, 1972. გვ. 104.

¹⁵⁷ ვახტანგ VI, "ქიბის წიგნი", გვ. 197-200.

¹⁵⁸ ვახტანგ მეფის ეს ნაშრომი ქიბის თვალსაზრისით შეისწავლა ქიბიკოსმა რაულ ჩავუნავამ. იგი "ქიბის წიგნში" შეტანილი ერთ-ერთი წესის, კერძოდ, აკინძული წიგნის ყდაზე ვარყის დაღების შესახებ (გვ. 198, §238) წერს: "Рассмотренный способ горячего тиснения широко применялся в книжном деле. Даже в XX веке его использовали для оформления особо ценных изданий". იხ.: Р. Чагунава, Вахтанг Багратioni и его труд по химии, Тбилиси, 1984, с. 104.

¹⁵⁹ ფარეუნი (არაბ.), რკინის ჭანჭიტი მარწუხთა, მაკრატელთა და მისთანათა, შდრ. დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, 1984. თბილისი, სვეტ. 1296.

²⁰⁰ ნახნი, ნახჭი, დახატულობა რისმაც სამკალოდ ან სადენოდ იხ. ილ. ჩუბინაშვილი, დასახ. ლექსიკონი, სვ. 976-977; აგრეთვე იხ. ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ტფილისი, 1928, გვ.255 (ნახჭი-უსლოელი ამოჭრილი).

²⁰¹ ვახტანგ VI, ქიბის წიგნი, გვ. 199, §244. რუსული ტერმინი ამ თევის არის "Накатка" (როლიკი) და тиснения по коже.

²⁰² შეფურა (ოსმ.), ხმლის პირი. შდრ.: დ. ჩუბინაშვილი, დასახ. ლექსიკონი, სვ. 1530.

²⁰³ მუდახილი, მურდახილი-ნაქუთები გამოჭრილთა შინა სახეთა, კენწუბი, კუნწუბი, барельеф, фриз. შდრ.: დ. ჩუბინაშვილი, დასახ. ლექსიკონი, სვ.905.

²⁰⁴ ვახტანგ VI, ქიბის წიგნი, გვ. 200, § 245.

“შეკრული წიგნის ყდაზე ვარაყის დაკერა რომ გინდოდეს სამოგვიანზედ²⁰⁵, ასეა: მოიტანე კვერცხის წყალი და ღრუბლით ორჯერ-სამჯერ წაუსვი და ზედ შეაშრი. ასე უნდა შეაშრი, რომ ხელის ნებს არ ეწებებოდეს. მერმე რომელზედაც ვარაყის დაკერა გინდოდეს, იმაზედ ვარაყი დააფინე. მერმე მოიტანე, როგორც თვეი გინდოდეს და ასე გაათბე, რომ ნაბი ადუღოს და ასე არ იყოს ცხელი, რომ ნაბი ზედ არ დაიყნოს. მოიტანე ის თვეი და ვარაყზედ წააგორე, თუ გინდა დააჭირო. რახან მოსთვეო, მერმე ლანდრის²⁰⁶ ნაჭერი წაუსვი და რაც არ უნდა ვარაყის, ის სრულიად გადაიწმინდება და მოთველი კი დარჩება. მერმე მოიტანე რკინის უთო, თვევით გაცხლებული და წაუსვი ყდაზედ ერთ რიგად და გაუღვარდება”²⁰⁷.

“თვევებით ყვითლად და თეთრად დაჭრელებულის მოთევა ასე უნდა: მოიტანე ყვითელი და თეთრი ვარაყი და თვევების პირისპირ ტოლად დასჭერ. მერმე გამოძარის თვეის პირზედ ზეთი მოუსვი და ის თვეი ვარაყზედ დაადე. ვარაყი თვეზედ მიეყრის. აგრეთვე სხვადასხვა აილე და, როგორც გინდოდეს, ისე დაასხი. მერმე ლანდრის ნაჭერი წაუსვი და სადაც მები ვარაყი არის, გადავა, დანაჭრელები დარჩება”²⁰⁸.

“ვარაყის დაკერება ასე არის ერთ ალგავს, რომ ვარაყი აკლდე: მოიტანე, დაადე ვარაყზედ თბილი თვეი, ზედ მიეყრის”²⁰⁹.

ამავე ნაშრომში გვხვდება წიგნის ფურცლების ჩამონაჭერის ოქროთი დაფარვის წესიც: “მოთლილს წიგნის პირზედ ვარაყის დაკერა ასე უნდა: წიგნის პირი რომ მოსთალო, მერმე დანა წაუსვი და წმინდად დაფხიკე. მერმე ცხენის კბილი იყოს, თუ უშვით, ასე გალესე ის მოთლილი ქაღალდი, რომ ელევა დაიწყოს. მერმე მოიტანე ღრუბლით კიდევ კვერცხის წყალი და წაუსვი. იმავე სოკელზედ ზედ ვარაყი დააფინე და თავის ნებით გააშრე რახან გაშრეს, მოიტანე ძაღლის კბილი და წყნარ-წყნარ ელესა დაუწყვე. აძენი ლესე, რომ ელევა დაიწყოს”²¹⁰.

ვახტანგის “ქიშის წიგნში” აღწერილია აგრეთვე კვერცხის წყლის მოშადების რეცეპტები: “გაკეთება კვერცხის წყლისა, რომელიც ვარაყს მიაკრავს, რაზედაც გინდა: მოიტანე სამი კვერცხი, გატეხე და ცილები ერთ სტაქანში ჩაასხი. ერთის კვერცხის ცილის ოდენი წყალი დაასხი ამ სამი კვერცხის ცილაზედ და აძღონი მარილი დააყარე, რომ საჭმლისოდნათ მარილი ჰქონდეს. მერმე ის გასთქვიფე, რომ სტაქანი თავდაღმა დასდგა არ დაიქცეს. მერმე დასდგი ის სტაქანი და შიგნით ჩასწმინდე და ეს ჩაწმინდილი წყალი არის, რომელი მიაკრავს ვარაყს და ინმარების ვარაყის დასაყრავად”²¹¹.

ყოველდღიურობაში გამოსაყენებელი ძველნაბეჭდი და XVIII-XIX სს. გადაწერილი წიგნების ტყავის ყდებისათვის დამახასიათებელია “ბრმა” ტიფურის ტექნიკით შესრულებული ტიფურა, სწორედ იმ მეთოდით, როგორც ეს ასახულია ვახტანგ VI “ქიშის წიგნში”, რაზედაც ზემოთ ვეჭონდა საუბარი (მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ტყავზე “ცხლად” ამოტყფურის პროცესი, ქიშის წიგნში” §238, ვარაყის გარეშე უნდა წარმოვიდგინოთ).

აქ აღარ მივაჩნნია საჭიროდ ერთმანეთს შეუდაროთ ჩვენ მიერ შესწავლილი XVIII-XIX სს. ხელნაწერი და ძველნაბეჭდი წიგნების თითოეული ყდა, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისინი არაფრით განსხვავდებიან ერთი მეორისაგან. მხედველობაში გვაქვს XVIII ს. წიგნის აკონძის, ყდის დამუშავებისა და მისი ზედაპირის ტიფურით გაფორების ტექნიკური მხარე, აგრეთვე XVIII ს. წიგნებზე გამოყენებული ტიფურების ორნამენტების ერთსახეობები, რომელთა კომბინაციები სხვადასხვა ყდის ზედაპირზე იძლევა ყდების მრავალსახეობებს.

ხელნაწერი წიგნების ყდებზე მუშაობისას შეგვხვდა ადრეულ საუკუნეებში გადაწერილი ისეთი ხელნაწერი წიგნები, რომლებსაც თავდაპირველი ყდები არ შემორჩათ: A124, XI ს., H341, XI ს., A205, XIII ს., A101, XIII ს., A148, XII-XIII ს., A49, XVI ს., ამ ხელნაწერების ყდებზე გამოსახული ტიფურები შეუდაროთ ჩვენ მიერ შედგენილ პირველნაბეჭდი წიგნების ტიფურების კატალოგს; ხოლო რაც შეეხება თავად ყდების

²⁰⁵ სამოგვიან-საჩქემე ტყავი, ტარსიკონი, თხის ნატი, сѣдѣх. შტ.: დ. ჩუბინაშვილი, დასახ. ლექსიკონი, სვ. 1093, 962.

²⁰⁶ ლანდრა – მსხელი სკლატი, მაული, тоистое сукно. შტ.: დ. ჩუბინაშვილი, დასახ. ლექსიკონი, სვ. 642.

²⁰⁷ ვახტანგ VI, ქიშის წიგნი, გვ. 198, § 238.

²⁰⁸ იქვე, გვ. 199, § 242.

²⁰⁹ იქვე, გვ. 199, § 243.

²¹⁰ იქვე 197, §236. ვახტანგის დასახელებულ ნაშრომში გვხვდება ეტრატის, ქაღალდის, სიგელის ამაზე და მოღიანად წიგნის ფურცელზე ოქროს დაღების წესები, ესენია: “ეტრატზედ დაკერის ასე უნდა...” (გვ. 198, §239), “ქაღალდზედ, წიგნის ნაპირზედ, სიგელის ამაზედ ვარაყის დაკერა ასე უნდა...” (გვ. 198, §240), სულ ერთიანად ვარაყის დაკერა ქაღალდზედ გინდოდეს, რომ ოქროს ქაღალდი შეიქნას...” (გვ. 199, §241).

²¹¹ იქვე, გვ. 197, §236.

კონსტრუქციას, ისინი ზუსტად შეესაბამებიან XVIII-XIX სს. წიგნის "შეკაზმის" ზემოთ ჩამოყალიბებულ მოდელს.

A 124 ხელნაწერის ყდაზე გამოყენებული ტიფურები გვხვდება პირველნაბეჭდი წიგნების ყდებზე (დამ. II, №5, 7, 263).

H 341 ხელნაწერის ყდის ცენტრში ამოტიფურულია XVIII-XIX სს. მიჯნაზე მოღვაწე ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის ოჯახური მოყვანილობის ტიფური. იგივე ტიფური გვხვდება ერეკლე II სტამბაში დაბეჭდილ 1783წ. კონდაცხეც K2532/309 (თბილისის ეროვ. ბიბლიოთეკა)²¹². ტიფურის ცენტრში ასომთავრულით იკითხება: "ჩაჩიკას ძე ნიკოლოზ", ხოლო მცენარულ ორნამენტში, რომელიც "არაბესკას" წარმოადგენს და ოჯახური მოყვანილობის ჩარჩოზე, რომელიც აკრავს ტიფურს, მხედრულით იკითხება: "ნიკოლოზ". (იხ.: დამ. I, № 34). საინტერესოა ის ფაქტიც, რომ H 341-ისა და ძველნაბეჭდი K2532/309 წიგნის ყდებზე პირველ ამაღ გამოყენებულია ერთი სახის, ნალის მაგვარი დეკორატიული რკალის წყვეტილი რიგი (დამ. II, №304.) ამ ყდებზე გამოსახული სხვა ტიფურები მრავალგზის მორღვება ვახტანგის სხვადასხვა გამოცემათა ყდებზე. მაგ. K2532/309 წიგნის ყდაზე გამოსახული ტიფურები ასახულია პირველნაბეჭდი წიგნების ტიფურების კატალოგში: მცირე ზომის კუთხის ტიფური (დამ. II, №68); ყვავილოვანი აშია (დამ. II, №251); სამსკვალის მაგვარი ბურთულა (დამ. II, №222); დაეზურნდეთ კვლავ H 341 ხელნაწერის: არმაღ გამოყენებულია ფოთლოვან-ყვავილოვანი ორნამენტი (დამ. II, 115); ფოთლოვანი და "როზეტის" ტიპის ყვავილოვანი ბურთულების კომბინაცია (დამ. II, №387 და №85); ყდაზე თავისუფალ ადგილს აესებს "როზეტის" ტიპის ყვავილოვანი ბურთულები (დამ. II, №85). შედარებამ ცხადყო, რომ ძველნაბეჭდ კონდაცხე, ხელნაწერი წიგნის მსგავსად, ყდას უკეთებს XVIII-XIX სს. მოღვაწე ცნობილი კალიგრაფი და მწიგნობარი ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილი²¹³. ჩვენი აზრით, ჩაჩიკაშვილების ოჯახური ტიფური იმაღადებულია თბილისში.

A 205 ხელნაწერის ყდაზე გამოსახული ტიფურები იხილეთ პირველნაბეჭდი წიგნების კატალოგში: ჯვარცმის გამოსახულება (დამ. II, №5); განკითხვის ანუ შორედ მოსვლის სუვეტი (დამ. II, №7); ყვავილოვანი აშია (დამ. II, №252); კუთხეებში ამოტიფურული ფოთლოვან-ყვავილოვანი აქცენტები (დამ. II, №349); სამსკვალის მაგვარი ბურთულების კომბინაცია (დამ. II, №386).

A 101²¹⁴ ხელნაწერის ყდის ზედაპირზე ამოტიფურულია თაღში ჩასმული, პოსტამენტზე აღმართული ჯვარი (დამ. II, №398). ყდაზე გამოყენებულია მხოლოდ ორი სახის ტიფური: "შემავსებელი", მართკუთხედის მოყვანილობის ტიფური, ორნამენტის სახეს სტილიზებული ჯვარი წარმოადგენს (დამ. II, №220) და "როზეტის" ტიპის ბურთულა (დამ. II, №91). ამ ხელნაწერზე ნაშრომში ზემოთ გვკონდა უკვე საუბარი (იხ. აგრეთვე. ამავე ტიპის ყდები დამ. I, №22, დამ. III, №8,9,48,49).

A 148 ხელნაწერის ყდაზე ამაღ გვხვდება დეკორატიული რკალი, (დამ. II, №286); ამაღ გამოყენებულია ფოთლოვან-ყვავილოვანი აქცენტები (დამ. II, №272); რამდენიმე ტიფურის კომბინაცია (დამ. II, №387); ხელნაწერი წიგნის ქვედა ფორზაცზე გვხვდება 1795წ. დათარიღებული მინწარი. ვფიქრობთ, ტყავი, რომ-ლითაც დაფარულია A148 ხელნაწერის ყდა, უნდა იყოს სხვა, XVIII ს. გადაწერილი საკმაოდ დიდი ფორმა-ტის, ხელნაწერი ყდისათვის ერთხელ უკვე გამოყენებული, ამოტიფურული ტყავი.

A 49. XVI ს. გადაწერილი ხელნაწერის ყდა იმდენად ჰგავს ვახტანგის სტამბიდან გამოსულ წიგნების ყდებს, რომ მას შეიძლება ვუწოდოთ XVIII ს. ტიპური ყდა. ყდაზე ამოტიფურულია ღვთისმშობლის გამოსახულება (დამ. II, №20); ყვავილოვანი აშია (დამ. II, №251); დეკორატიული რკალის მაგვარი აშია (დამ. II, №293); მცირე ზომის "კუთხის" ტიფური (ორნამენტის სახე დაზიანებულია, დამ. II, №68(?)).

როგორც ვხედავთ, ზემოთ განხილული ხელნაწერების ყდების შედარებამ პირველნაბეჭდი წიგნების კატალოგთან მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ისინი ხელახლა ჩასვეს ყდებში XVIII-XIX ს. 30-იან წლებში. ძირითადად, XVIII-XIX ს. 30-იანი წწ. ხელნაწერებისა და ძველნაბეჭდი წიგნების ყდებზე გამოყენებულია ის ტიფურები, რომლებიც გვხვდება პირველნაბეჭდი წიგნების ყდებზე, რომელთა რაოდენობა არც ისე ბევრია, მაგრამ, სწორედ მათი სხვადასხვა კომბინაციები სხვადასხვა ყდების ზედაპირზე განაპირობებს

წიგნის ბოლო გვერდზე დაწერილი 1811 წ. დათარიღებული მინწარიდან ვიგებთ, რომ ძველნაბეჭდი წიგნი კინზე მღვდელ-მონაზონ იოანეს შუწწარავს ჯრუჭის მონასტრისათვის.

²¹² ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილიან დაკავშირებით იხ. ვ. ბრიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 226.

²¹³ XIII ს. ხელნაწერი XVIII ს-ში გაუცხოველებია და ნაკლები ადგილები შეუვსია XVIII-XIX სს. მოღვაწეს, სიონის დეკანოზის შველს ზაქარიას.

XVIII-XIX სს. წიგნების ამოტიფორული ტყაის ყდების მრავალსახოვნებას (დამატება II და III).

სამამულო ბიბლიოთეკებში დაცულია პირველნაბეჭდი წიგნების ზოგიერთი ცალი, ჩასმული ხაერდგადარკული და ძვირუას ლითონის ყდებში, რომლებიც კერძო პირების შეკეთით უნდა იყოს გაკეთებული. ჩვენ არ შეუთვლებდებოთ მეტალისა და ხაერდის ყდამ ჩასმული ხელნაწერების განხილვას²¹⁵, ყურადღებას შეაჩერებოთ მხოლოდ ორ პირველნაბეჭდ წიგნზე.

ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში ინახება 1709 წ. დაბეჭდილი სახარება Q 912, რომელიც ჩასმულია ფირუზებით შემკულ, მოოქროვილ ვერცხლის ყდამ. ფურცლების ჩამონაჭერზეც აქა-იქ შეიმჩნევა ოქროს ვარაყი. ზედა ფორზაცზე დაწერილი ანდერძებიდან ვიგებთ, რომ პირველნაბეჭდი სახარება ერთ დროს ოდიშის მთავრების დადიანების საგვარეულო კუთვნილება ყოვილა: "ჩუბი წელთა. ოდიშის დედოფლის, წერეთლის ასულის მართას მშითხს დაის ეს სახარება". როგორც ვიცით, მართა იყო ზურაბ წერეთლის ასული. იქვე გვხვდება 1872 წლით დათარიღებული ლეკან დადიანის ხელით შესრულებული მინაწერი. ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანმა და მისმა შვილმა ნიკოლოზმა 1872 წელს პირველნაბეჭდი სახარება ჩაასმენივს ვერცხლის მოოქროვილ, თვლებით შემკულ, მოჭედილ ყდამ და შესწირეს თავიანთ საგვარეულო ეკლესიას: "ეს წმინდა სახარება მოვაჭვდინეთ და შევამკეთ თვლებით მე და ძემან ჩემმან კნიაზმა მეგრელისამან ნიკოლოზმან და დავასვენეთ ჩვენს საზაფხულო სასახლეს, ეკლესიასა შინა გორდს. 1872 წელს, 9 მაისს. მთავრინა ეკატერინა" (მხედრულით შესრულებული მინაწერი ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის ავტოგრაფს წარმოადგენს). მოოქროვილი ყდის კვედა ფრთაზე იკითხება ოქრომჭედლის მიერ მხედრულით ამოკეთილი წარწერა, რომელიც დათარიღებულია 1873 წლით: "მთავრინა ეკატერინა. ჩუყვ წელსა". როგორც ჩანს, ყდაზე წარწერა ერთი წლის დავიანებით ამოკეთეს.

Q 912 პირველნაბეჭდ წიგნთან ერთად ბოლოში აკინძულია ერთი ფურცელი, ჩვენთვის საინტერესო მინაწერით (ქარაღილი ჭვირინიშნიანა. ს. კლავიკოვის კატალოგის მიხედვით 1731 ან 1734 წწ. თარიღდება):²¹⁶: "ქ. ოლეს ვამთა ვითარებისაგან მეფე ვახტანგ მიბრძანდა სამეფოსა ქალაქსა მოსკოვს, თან ვეახელ ნიკოლოზ აბაშიშვილი; ვეკურთხე არქიმანდრიტად, დიდისა ეკლესიის ბრძანებითა და წმინდა სინოდის შერდობით და კურთხევითა ქეს ჩლგვ, თესსა სეკლემბერს კ" (157რ). ვფიქრობთ, მინაწერიანი ფურცელი 1872 წ. წიგნის ხელმეორედ (შესაძლებელია მეესამედ) აკინძამდე ფორზაცად უნდა ყოვილიყო გამოყენებული. 1736 წლით დათარიღებული მინაწერიდან ვიგებთ, რომ სანამ პირველნაბეჭდი სახარება Q 912 ჯერ წერეთლებისა და შემდეგ დადიანების საგვარეულო კუთვნილება გახდებოდა, იგი ვინმე ნიკოლოზ აბაშიშვილის საკურთხებას წარმოადგენდა, რომელიც 1724 წელს ვახტანგ VI გაჭყლია მოსკოვში, სადაც 1736 წელს ეკურთხა არქიმანდრიტად. ჩვენი ვარაუდით, Q 912-ის მინაწერში მოხსენიებული ნიკოლოზ აბაშიშვილი უნდა იყოს ქაიხოსრო ბარათაშვილის (აბაშიშვილის) ერთ-ერთი ვაჟი ნიკოლოზი²¹⁷, რომელსაც ეხვედრით 1683 წლით დათარიღებულ საბუთში Qd 8563. ვფიქრობთ, Q 912 ძველნაბეჭდი სახარება პირველად 1709 წ. უნდა აეკინძათ და ჩავსეთ ყდამ, მეორედ დაახლოებით 1731-1736 წწ., მეესამედ 1872 წელს გაუკეთეს ვერცხლის მოოქროვილი, მოჭედილი ყდა.

1709 წ. პირველნაბეჭდი სახარება (უნომრო)²¹⁸. ხაერგადარკული ხის ყდა. წიგნის ყდაზე დარკულია მეტალის ფირფიტები-ცენტრში მამა დემეტრის გამოსახულება, კუთხეებში მახარებლები, რუსული გამმარტებით წარწერებით. პირველნაბეჭდ სახარებასთან ერთად აკინძულია რამდენიმე ჭვირინიშნიანი ფურცელი (დათვის გამოსახულება, თავზე ვიკორიანი და მხარზე ნაჯახიანი, იკითხება ოთხი ასო: МЯСЯ). ს. კლავიკოვი ჭვირინიშნის 1779-1784 წწ. თარიღებს²¹⁹. სახარების ფურცლების ჩამონაჭერი ჭრელია, გამოყენებულია წითელი და ლურჯი ფერის საღებავები. ჩვენი ვარაუდით, 1709 წ. სახარების ამ ვებზემძარს ხაერდის ყდა გაუკეთეს XVIII ს. ბოლოს.

გვხვდება ისეთი XVIII-XIX სს. გადაწერილი ხელნაწერი და ძველნაბეჭდი წიგნები, რომელთა ყდები და ფურცლების კიდებები ჩამონაჭერი ოქროთისა მოვარყებული. ბ. ვან რეგემორტერის აზრით, ბერძნულ და ბიზანტიურ ხელნაწერებზე მოოქროვილი კიდებები, ზოგჯერ ერთიანად დაფერილი, ამოტიფორული. ანდა

²¹⁵ დაცულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში.

²¹⁶ С. А. Клепиков, Филигрань, с. 23, № 1, с. 20, № 1-1731 г., Ярославская фабрика Затрапезного или см.: с. 23 № 2, с. 20, № 2, 1734-1748 гг., Ярославская фабрика Затрапезного.

²¹⁷ პირთა ანოტირებული ლექსიკონი, გვ. 449. იხ.: ბარათაშვილი (ვარ. აუთანდილიშვილი, აბაშიშვილი) ქაიხოსრო.

²¹⁸ დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში (გ. კრავტიშვილის ნაჭირი 1709 წ. სახარება).

²¹⁹ С. А. Клепиков, Филигрань, с. 20, № 5, с. 23, № 5. Ярославская мануфактура Саввы Яковлева.

წყობად დაჭრელებული, გავრცელდა იტალიური რენესანსის (XV-XVIII სს.) შემდეგ. ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ ქართულ წიგნებზე ჩამონაჭერის გავრცელება ჩნდება XVIII ს-დან. ასევე შევეხებით რამდენიმე ადრეულ საუკუნეებში გადაწერილ ხელნაწერ წიგნს, რომლებსაც გააჩნიათ XVIII ს. გაკეთებული ოქროთი მოვარაგებული ყდები და ფურცლების ჩამონაჭერი.

A 58, სტეფანე იაფორსკი, სასწაული ანტიქრისტიც მისვლის, 1749წ. მთარგმნელი და გადამწერი ვახუშტი ბატონიშვილი.

Q 901, ოთხთავი, XVII-XVIII სს., ხელნაწერი სოლომონ I-ის კუთვნილება იყო. ჩამოსულია ქსოვილგადაკრულ ხის ყდაში. ყდაზე, შიდა მხარეს დაკრულია ოქრომკედნარევი სახეებიანი აბრეშუმი. წიგნი მოთავსებულია ვერცხლის მოიქროვილ ლუსკუაში, მასზე ამოკვეთილია წარწერა, საიდანაც ვივხვებით, რომ სოლომონ მეფემ ხელნაწერი შეამკო 1776წ. ხელნაწერის ფურცელთა მოჩარჩობისას გამოყენებულია ოქროს ვარაყი.

Q 883, ოთხთავი, XII-XIII სს. ეტრატი, წიგნი რესტავირებულია სამჯერ (XIV-XV, XV-XVI და XVIII ს.) ყდა და ფურცლების ჩამონაჭერი მოიქროვილია. ხელნაწერთან ერთად აკინძულია რამდენიმე ჭკირნიშნაინი ფურცელი. ს. კლავიკოე ჭკირნიშანს 1764-1765წწ. ათარიღებს²²⁰. ხელნაწერზე დართულ ანდერძიდან ვივხვებით, რომ წიგნი XVIII ს-მდე ორგზის ჩაუსვამთ ყდაში. "შაზხმელთა" მინაწერები აღწერილობაში დათარიღებულია: XIV-XV (3რ) და XV-XVI სს. (164r-v)²²¹. ყდა XVIII ს. 60-იანი წლებით უნდა დავთარიღოთ.

Q 899, ვარძიის ოთხთავი, XII-XIII სს., ხელნაწერის ფურცლების ჩამონაჭერი ოქროთია დაფერილი. წიგნი ჩამოსულია მეტალის ყდაში, რომელიც გაკეთებულია 1871წ. საზიკოვის მიერ.

H 2080, ქართლის ცხოვრება (რუმანცევიუსი), 1709წ.; ფურცლების ჩამონაჭერი ოქროტიფურულია. ხელნაწერს აქვს მუყაოს ტყავადაკრული წითელი ფერის ყდა. მსგავსი ყდა დამახასიათებელია გვიანდელი (XVIII-XIX სს.) რუსული ყდებისათვის ევროპული წიგნის გაყენებით. ხელნაწერის ყდა, ყველა ნიშნის მიხედვით, XIX ს. II ნახ. უნდა დავთარიღოთ.

H 2077, წმინდანთა ცხოვრება, 1736წ., წიგნის ყუაზე და ფურცლების ჩამონაჭერზე გამოყენებულია ოქროს ვარაყი. ერთ-ერთი მინაწერიდან ვივხვებით, რომ ხელნაწერი მეფის ძის ბაგრატის ყოფილა. მინაწერში კეთხნულობა: "მეფის ძის ბაგრატისა ვარ". ყუაზე გვხვდება რუსული განმარტებითი წარწერა. ყდა ყველა ნიშნის მიხედვით XVIII-XIX სს., უნდა დავთარიღოთ. მეფის ძე ბაგრატს ნაშრომში კვლავ შევეხებით

Q 896, ოთხთავი, XVIII ს., ყდა და ხელნაწერის ფურცლების ჩამონაჭერი ოქროტიფურულია. ხელნაწერი ჩადებულია რუსი ოქრომჭედლის ხელით ნაკეთებ ვერცხლის ბუდეში. შვინიდან ყდას გამოკრული აქვს აბრეშუმი. სახარების გადამწერია მეღვთისმეტყველი.

H 1681, სახარება განთვისული, 1686წ., ფურცლების ჩამონაჭერი მოიქროვილია. ხელნაწერთან ერთად აკინძულია რამდენიმე ჭკირნიშნაინი ფურცელი. ს. კლავიკოე ჭკირნიშანს 1762-1763წწ. ათარიღებს²²². ყდა XVIII ს. 60-იანი წლებით უნდა დავთარიღოთ.

A 1440, იოვანე დამასკელი, დიალექტიკა, XVIII ს., ხელნაწერთან ერთად აკინძულია 1744წ. მოსკოეში დაბეჭდილი იოვანე დამასკელის "გარდამოცემა". ყდა და ფურცლების ჩამონაჭერი ოქროტიფურულია. ხელნაწერთან ერთად აკინძული ნაბეჭდი ფურცლების თანხმად ყდა XVIII ს. 50-იანი წლებით უნდა დათარიღდეს.

A1441, "მანანა" ღვთისმშობლისა და სხვათა შესახებ, XIX ს., ნაჭერგადაკრული მუყაოს ყდა. ფურცლების ჩამონაჭერი ოქროთია დაფერილი. ყველა ნიშნის მიხედვით ყდა XIX ს. უნდა იყოს გაკეთებული. ილია ჭავჭავაძის კუთვნილი ხელნაწერები: Q552, დაუჯლომელი, XIX ს., Q 553, აკათისტო ვარვარასი, 1829 წ.; ორივე წიგნის ყდა ერთი პირის მიერ უნდა იყოს გაკეთებული. მუყაოზე გადაკრული ტყავი ოქროტიფურულია, ფურცლების ჩამონაჭერიც ოქროთია დაფერილი. ხელნაწერთა ყდები XIX ს. 40-იანი წლებით უნდა დათარიღდეს.

A 1106, ვახუშტი, ისტორია საქართველოსი, 1787წ., ტყავადაკრული მუყაოს ყდა, გამოყენებულია ოქროს ვარაყი. ჩვენი ვარაუდით, ყველა ნიშნის მიხედვით ხელნაწერის ყდა გაკეთებული უნდა იყოს XIX ს. დასაწყისში.

²²⁰ იქვე, c. 23, № 3, c. 20, № 3.

²²¹ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექცია, ტ. II, ილ. აბულაძის რედაქტორობით, თბილისი, 1958, გვ. 395-396.

²²² С. А. Клепиков, флигранки, с. 22, № 23 (კონწარობების მანუფაქტურის წარმოება).

თბილისის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულია 1710წ. დაბეჭდილი კონდაკი, K192-583/309 ტყავადაკრული ხის ყდა ოქროტიფურულია. ყდაზე გამოსახული ტიფურები დამახასიათებელია როგორც ვახტანგ VI გამოცემებისათვის, ასევე XVIIIს. ხელნაწერი წიგნების ყდებისათვის. (იხ.: პირველნაბეჭდი ტიფურების კატალოგი: ჯგერცაძე; (დამ. II, №4) ხარება (დამ. II, №15); ამაღ გამოყენებულია დეკორატიული რკალის მაგვარი ტიფური (დამ. II, №290); ყუაზე ამოტიფურულია ასომთავრულით განმარტებითი წარწერა: "კონდაკი" (დამ. II, №441); "შემავსებელი" ტიფური (დამ. II, №135), იხ. დამ. III, №34,35.

კონდაკის ზედა ფორზაცზე გვეხედება 1903-1910წწ. დათარიღებული მინაწერები, რომელშიც მოხსენიებული არიან: ვინმე გიორგი ეპიტაშვილი, მღვდელ-მონაზვნები დიმიტრი და ტარასი²²². სამწუხაროდ, წიგნის ქვედა ფორზაცზე მონაწილე ჭვირნიშნის მხოლოდ მცირე ფრაგმენტი. კონდაკის 210-ე გვერდზე მხედრულით შესრულებული მინაწერიდან ვიგებთ, რომ წიგნი ვინმე სვიმეონის საკუთრება ყოფილა: "ქ. ეს კონდაკი სვიმეონისა არის, უფალო, შეიწყალო, ამი". ხელი XVIIIს. უნდა იყოს. ჩვენი ვარაუდით, 1710წ. კონდაკის K192-583/309 ყდა, თუ მხედველობაში მივიღებთ ყდის ზედაპირზე გამოსახული ტიფურების სახეობებს, ხის დაფების ირიბად მთლიან კიდევებს, რაც მთავარია, ყუაზე "პროლოგანიონი" ამოტიფურულ განმარტებით წარწერას და ყველა იმ ნიშანს, რომელიც დამახასიათებელია ამ პერიოდის წიგნების ყდებისათვის, XVIIIს. ბოლოთი ან XIXს. დასაწყისით უნდა დავთარიღოთ.

ლოცეანი, 1710წ., K2-749/109 (თბილისის ეროვნ. ბიბლიოთეკა); ყდა ახალი (კოლენკორის), ლოცეანის ფურცლების ჩამონაჭკერი ოქროტიფურულია. წიგნის ფორზაცად გამოყენებულია სქელი, ჭრული ქაღალდი. მსგავსი ქაღალდი ფორზაცებად ხშირად შეგვხვდებოდა XIXს. წიგნებზე. პირველნაბეჭდ ლოცეანთან ერთად აკინბულია ორი ფურცელი – თავში და ბოლოში, მათზე გვეხედება 1806-1825წწ. დათარიღებული ანდერძ-მინაწერები, საიდანაც ვიგებთ, რომ წიგნი ერისთავების ოჯახის საკუთრება ყოფილა. მინაწერები მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან ელიზბარ, დიმიტრი²²³, იესე, ალექსანდრე, მელანია და გიორგი ერისთავების შესახებ. 1710წ. დაბეჭდილი ლოცეანის ფურცლების ჩამონაჭკერი ოქროთი მოავარაყეს და ამოტიფურეს XIXს. ათიან წლებში.

თბილისის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება წერეთლების ნაქონი რამდენიმე ოქროს ვარაყით მოკაზმული ძველნაბეჭდი წიგნი: K14828⁷/309, დავითნი, 1711წ. ტყავის ოქროტიფურული ყდა (ყდაზე ოქროს ვარაყით თითქმის გადასულია), წიგნის ფურცლების ჩამონაჭკერი ოქროტიფურულია. ყდის ზედაპირზე გამოსახული ტიფურები იხილეთ პირველნაბეჭდი ტიფურების კატალოგში: მართყუთხელის ფორმის, სიუვეტის შემცველი ტიფური, ნახატი "იესუს ხის" სიუვეტს წარმოადგენს, რომელსაც ახლავს ძველი რუსული განმარტებითი წარწერა (დამ. II, №12); სამკუთხედის ფორმის, კუთხის, მცენარეული ორნამენტის შემცველი ტიფური (დამ. II, №61); დეკორატიული რკალის მაგვარი ორნამენტი, რომელსაც ცალი მხრიდან აკრავს ერთმაგი ხაზი (დამ. II, №290, დამ. III №38).

პირველნაბეჭდ დავითთან ერთად აკინბულია რამდენიმე ჭვირნიშნის ფურცელი; ქაღალდი 1781წ. თარიღდება. ბოლო, თავისუფალ ფურცელზე გვეხედება ანდერძი, რომელშიც მოხსენიებულია ზურაბ წერეთლის²²⁴ შვილი სიმონი. მინაწერი დაწერილია 1855 წელს: "ჩვენ წელსა დეკემბრის პირველს გარდაიცვალა ნეტარად ხსენებული თჳადი პოდპოლკოვნიკი სიმონ ზურაბ სა(ხ)ლთხუცის ძე წერეთელი და თჳითცა სა(ხ)ლთხუცისი იმერთა მეფე სოლომონისა და დღესა ერთგულებასა შინა თვისის ზღმწიფე იმპერატორისა ალექსანდრე ნიკოლაევიჩისა. აღსრულდა ხნითა სამეოცდა მეთვრამეტე წელში მყოფი". რადგან წიგნის

²²² ზემოთ მოხსენიებული ტარასი მღვდელ-მონაზონი და ტარასი ალექსი-შესხიშვილი, ცნობილი საეკლესიო მოღვაწე და ქათამხვევის მონასტრის წინამძღვარი, ორი სხვადასხვა პირია. როგორც ცნობილია, ტარასი ალექსი-შესხიშვილი გარდაიცვალა 1874 წელს. იხ.: მ. ბერძენიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოების ისტორიისათვის, ნაწ. I, თბილისი, 1980, გვ. 118-121; აგრეთვე: ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 165.

²²³ როგორც ცნობილია, ელიზბარ ერისთავი იყო 1832 წ. შემთხვევების მეთაურთაგანი. მისი მამა დიმიტრი კი ერთ-ერთი მინაწერიც.

²²⁴ ზურაბ წერეთელი იყო იმერეთის სტამბის (1800-1817 წწ.) ერთ-ერთი დამაარსებელი. მას იხსენიებს 1687 წ. ოთხთავის, Q 911, მოიქროვილი ვერცხლის ძუღვეზე გაკეთებული წარწერა: "მოსხენე უფალო, სახლთხუცის წერეთელი ზურაბ და მეუღლე მისი დადიანის ასული თამარ და ძე მათი გრიგოლ, მუღლილი, მთა და ასულით". ზურაბ წერეთელს გრიგოლის გარდა ექვსი შვილი ჰყოლია: სიმონ, დავით (მატროპოლიტი), მარია (ლევან დადიანის მუღლე), მაკრან (დავით თარხან-მოურავის მუღლე), ქეთევან (გიორგი XIII შვილის ოიანე ბატონიშვილის მუღლე), და ჯუან (დიმიტრი შუკრადანის მუღლე). იხ.: მ. ბერძენიშვილი, მასალები, II, 1983, გვ. 241. როგორც ესხდაუო, 1687 წელს გადაწერილი სახარებას მოიქროვილი ვერცხლის ყდა გაუკეთეს XVIII-XIXსს. მიჯნაზე.

ფორზაცად გამოყენებულია 1781წ. ქალაღი, ყდაც XVIIIს. ბოლოთი უნდა დავათარიღოთ²²⁶. დამ. III №38.

1783წ. ერეკლე II სტამბაში დაბეჭდილი კონდაკის K19-390/309 (თბილისის ეროენ. ბიბლიოთეკა) ირბად მოთილილი ხის დაფები გადმოდის და ფარავს წიგნის მთლიან კორპუსს, რომელზეც გადაკარულია ტყავი. ყდა ოქროტყვიფრულია. ყდაზე გამოსახული ტვიფრები იხილეთ პირველნაბეჭდი ყდაების ტვიფრების კატალოგში: კრავის გამოსახულება, ოვალური მოყვანილობის ჩარჩოს ახლავს რუსული განმარტებითი წარწერა (დამ. II, №26); ამაღ გეხვდება დეკორატიული რკალის მაგვარი ორნამენტი (დამ. II, №290); "შმაგვებელი" ტვიფრი – ფოთლოვან-ყვავილოვანი აქენტტი (დამ. II, №157); ყვაზე გამოყენებულია სხვადასხვა სახის ტვიფრები (დამ. II, №341); ყვაზე იკითხება მრგვლოვანით შესრულებული წარწერა (დამ. II, №441). წიგნის ფურცლების ჩამონაჭვირც ოქროთია დაფერილი.

კონდაკის ზედა ფორზაცე გეხვდება მინაწერი, რომელშიც მოხსენიებულია დავით მიტროპოლიტი. მას ძველნაბეჭდი კონდაკი 1823წ. შეუწერავს ჯრუჭის ეკლესიასთვის (ამ მინაწერზე ზემოთ გეკონდა საუბარი) ისტორიულად ცნობილია, რომ იბერიების სამეფოს გაუქმების (1810წ.) შემდეგ ჯრუჭის მონასტერი წერეთლების საგვარეულო საკუთრება გამხდარა²²⁷.

დავით მიტროპოლიტს იხსენიებს კიდევ ერთი ძველნაბეჭდი 1739წ. სახარება (ბაქარის გამოცემა), K34-182/309 (თბილისის ეროენ. ბიბლიოთეკა). სახარება ჩასხულია მუქ მწვანე ხავერდგადაკარულ ხის ყდაში. წიგნს უნდა ჰქონოდა ვერცხლით მოჭედილი ზედაპირი, რაც დღეისათვის დაკარგულია. სახარების ფურცლების კიდეების ჩამონაჭვირი შედეგბილა წითლად, მასზე მოხატულია ეკლესიოლოგიის ტიპის ჯვრები. მინაწერიდან ვიგებთ, რომ წიგნი სა(ხ)ლთხუტის ძე დავითისათვის 1804წ. უბოძებია ქართულ მიტროპოლიტს დლსითოსს. 1804წ. მინაწერის მიხედვით დავითი²²⁸ ჯერ კიდევ არქიმანდრიტია, ხოლო 1806 წლიდან იგი უკვე მიტროპოლიტის ხარისხში გეველინება: "ქ. შენ, დილო მთავარმოწამელო გიორგი, ჩემ ცოდვილის მიტროპოლიტის დავითისაგან შეიწირე ესე სახარება, რომელიც მოვაჭვიდეო საფასითა ჩემითა და ვინცა ინებოს გამოწირავად, იყოს შექენებულ მღვდელმთავარობისაგან ჩემის. აგვისტოს კთ ქეს უფდ (1806წ.). როგორც ვხევათ, 1739წ. დაბეჭდილი სახარება (K34-182/309 თბილისის ეროენ. ბიბლიოთეკა) ხავერდგადაკარულ, მოჭედილ ყდაში ჩასვეს 1806 წელს.

დავითნი, 1711წ., K14826/309 თბილისის ეროენ. ბიბლიოთეკა) პირველნაბეჭდ წიგნს აქვს ტყავადაკარული, ოქროტყვიფრული მუყაოს ყდა. ყდის საყავ ფურცლად და ფორზაცად გამოყენებულია სველი, ტრული ქალაღი. წიგნთან ერთად აკინბულია რამდენიმე 1836წ. დათარიღებული ჭვირნიშნინი ფურცელი. ყდა XIXს. I ნახ. უნდა დავათარიღოთ. ზედა ფორზაცეზე გეხვდება მინაწერი, საიდანაც ვიგებთ, რომ 1909 წლამდე წიგნი აღექსანდრე ანდრონიკაშვილის საკუთრება ყოფილა, რომელსაც დავითნი შეუძენია რუსეთში.

ზაგიკი, 1738წ., K192-577/309 თბილისის ეროენ. ბიბლიოთეკა). ტყავადაკარული, ამოტყვიფრული ყდა. ფურცლების კიდეების ჩამონაჭვირი ოქროტყვიფრულია. მინაწერიდან ვიგებთ, რომ ზატიკი შიომღვიმის მონასტრის ეკუთხებოდა. ყველა ნიშნის მიხედვით ყდა XVIIIს. უნდა დავათარიღდეს.

ბიბლია, 1743წ., მოსკოვში დაბეჭდილი ბაქარის მიერ, K75/609 (თბილისის ეროენ. ბიბლიოთეკა). ტყავის, ოქროტყვიფრული ყდა. ფურცლების ჩამონაჭვირი ოქროთია მოვარყებული. წიგნის ფორზაცეზე ვკითხულობთ: "ეს წმინდა დაბადება მელიქიანთია, ვინც მოიპაროს, გაუწყრეს ამისი მადლი". 1743წ. დაბეჭდილი ბიბლიას, ვფიქრობთ, ყდა XVIIIს. ბოლოს გაუკეთეს.

ზაგიკი, 1788წ., K1200/509 (თბილისის ეროენ. ბიბლიოთეკა). ტყავადაკარული მუყაოს ყდა. ყვა ოქროთია მოვარყებული, რომელზედაც გეხვდება განმარტებითი წარწერა: "მცხეთის სობორის". ყველა ნიშნის მიხედვით ყდა XIXს. უნდა დათარიღდეს.

კონდაკი, 1783წ., ერეკლე II სტამბის გამოცემა, K192-580/309 (თბილისის ეროენ. ბიბლიოთეკა).

²²⁶ 1711 წ. დავითის K14828³/309 ბოლოში, პირველნაბეჭდ წიგნთან ერთად აკინბულ რამდენიმე ფურცელზე გეხვდება ფრაგმენტად. დ. გურამიშვილის "დავითიანობა". კერძოდ, "ბიტყვა ესე დღისა ...ო, მო ქალო ქალთა მტრე"-დან.

²²⁷ ჯერ კიდევ XVIII ს. 60-იანი წლებიდან წერეთლებს ჯრუჭის მონასტრში დასაყვავების უფლება ჰქონდათ.

²²⁸ H 1663, კრებულო, XI ს., ჯრუჭის მონასტრის. 1805 წლით დათარიღებულ მინაწერში იხსენიებთ: ზურბან წერეთელი სასლთუხუცესი, დავით მიტროპოლიტი. ზელნაწერი ჩასხულია XVIII-XIX ს. დასაწყისისათვის დამახასიათებელ ყდაში. ზელნაწერია ინსტიტუტში ინახება კიდევ სხვა ზელნაწერი წიგნები, რომლებიც წერეთლებს შეუწირავთ ჯრუჭის მონასტრისათვის.

ტყვეადაკარული, ოქროტიფრული მუყაოს ყდა. ყუაზე დაწებულა შაი ტყავი, რომელზეც ამოტიფრულია რუსული განმარტებითი წარწერა: "СЛУЖБНИК", წიგნის ფურცლების ჩამონაჭერი ოქროთა დაფერილი. კონდაკის ფორზაცზე გვხვდება 1821წ. დათარიღებული მინაწერი. ნახეკლი წიგნი ვინძე ქრისტესია მჭედლოვის კუთვნილება ყოფილა. მუყაოზე გადაკარული ტყავის ყდები ნახართოდ დამახასიათებელია XIXს. წიგნებისათვის. ჩვენი აზრით, ძველნახეკლი კონდაკის ყდა XIXს. I ნახ. უნდა დათარიღდეს.

ყამნი, 1768წ. (დაბეჭდილი ათანასე ამილახვარის მიერ), K12186/209 (თბილისის ეროვნ. ბიბლიოთეკა). ტყვეადაკარული, ოქროტიფრული ხის ყდა. ფურცლების ჩამონაჭერი ოქროთა მოვარაყებული. ყდის ზედაპირზე ვარაყი თითქმის გადასულია. წიგნი ეკუთვნოდა თიბურაზ ბატონიშვილს²²⁹: "ეს ყამნი მეფის გიორგის ძის თიბურაზისა არის". კვედა ფორზაცზე გვხვდება 1799წ. დათარიღებული მინაწერი: "ქ. წელსა ჩღეთ ქქს უამ თვესა ოკობმბერსა კ მონათლე მეფის ძემ თიბურაზმა ნალეკარი იოვანე ხიზიყელი, რომელსაც ერყო აღა, არღისხატში მოვნათლეთ". ჩვენი ყურადღება მიიქცია კიდევ ერთმა 1798წ. დათარიღებულმა მინაწერმა: "ქ. წელსა ჩღეთ ქქს უამ იანვრის ია მიიცალა სანატრელი მეფე ირაკლი, რომელ(ი)ცა კეთილად მართებდა სამყოფოს თვისსა და იარშაბათი თენგიზოდა, განთიადღეს მიიცვალა". ამკარაა, რომ K12186/209 ძველნახეკლ ყამნს ოქროტიფრული ტყავის ყდა გაეკეთეს XVIIIს. ბოლოს.

ყამნი, 1768წ. (დაბეჭდილი ათანასე ამილახვარის მიერ), K13622/209 (თბილისის ეროვნ. ბიბლიოთეკა). ტყვეადაკარული ხის ყდა. ძველნახეკლი წიგნის ფურცლების ჩამონაჭერი ოქროთა დაფერილი. ყდაზე გამოსახული ტიფრები შეგვხვედრია XVIIIს. წიგნების ყდებზე. მინაწერის მიხედვით წიგნი ვინძე თაყად ზაზა სოლოლოვის კუთვნილება ყოფილა. მინაწერები, ჩვენი აზრით, XIXს. ხელით უნდა იყოს შესრულებული. მცირე ლოცვანი, 1793წ. (ერეკლე II გამოცემა) K15179/209 (თბილისის ეროვნ. ბიბლიოთეკა).

ტყვეადაკარული მუყაოს ყდა. ყუა ოქროტიფრულია. ჩვენი აზრით, ყდა ევროპული უნდა იყოს. ერთ-ერთი მინაწერის მიხედვით ძველნახეკლი წიგნი მეფის რძლის, ეკატერინეს, კუთვნილება ყოფილა: "მეფის სძალს ეკატერინეს მიერთოს". ლოცვანის 106-208 გვერდები აღდგენილია ხელით, გამოყენებულია 1809 წლით დათარიღებული ჭვირნიშნანი ქაღალდი. წიგნის ბოლო გვერდზე დაწერილია ლოცვა (ქაღალდი ჭვირნიშნანი - 18[0]5 წ.): "მოგვხედე ჩვენ მონათა ამით შენთა საქართველოს მეფის ძეთა ვამსა ამას კიდევობისა ჩვენისა..." (მოგვაქვს ლოცვის მხოლოდ მცირე ფრაგმენტი), წიგნის ზედა ფორზაცზე გვხვდება კიდევ ერთი მინაწერი: "მეფის გიორგის... ძე მისი ბაგრატ²³⁰ დაბადებული არის წელსა 1775, იანვრის 28 დღესა. მონათლული არის მირქმის დღესა, ნათლია იყო ამისი ბერი წმიდა იოსებ მოხვეე არაგველი" ჭვირნიშნანის ქაღალდის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ ყდა გაკეთებული უნდა იყოს XIXს. დასაწყისში.

მარხვანი, K9/509 (თბილისის ეროვნ. ბიბლიოთეკა), 1793წ., დაბეჭდილი ერეკლე II სტამბაში. ძველნახეკლ წიგნს აქვს ოქროტიფრული ტყავის ყდა. ფურცლების ჩამონაჭერი ოქროთა მოვარაყებული. წიგნის ფორზაცზე გვხვდება მინაწერი, საიდანაც ვიგებთ, რომ მარხვანი ბაგრატ ბატონიშვილის კუთვნილება ყოფილა: "ქ. ესე მარხვანი ბატონიშვილის ბაგრატისა არის, ვინცე მოიპაროს, კრულმც არის, ამინ" ყუაზე დაწებებულია შაი ტყავი, რომელზეც ამოტიფრულია რუსული განმარტებითი წარწერა: "ТРИДИОНЪ ПОСТЫИИ". ყუაც ოქროტიფრულია. ყდის ზედაპირზე გამოსახული ტიფრები დამახასიათებელია XVIII-XIXსს. რუსული ყდებისათვის, ვეფიქრობთ, ევროპული წიგნის ყდის გაფორმების გავლენით. მარხვანი ჩადებულია სპეციალურად დამზადებულ ტყავის, ოქროტიფრულ მუყაოს ბუდეში, რომელზეც იგივე ტიფრებია გამოსახული, რომლებიც გვხვდება თაყად მარხვანის (K9/509) ყდაზე. ვეფიქრობთ, ყდა გაკეთებული უნდა იყოს რუსეთში XVIII-XIXსს.

ყამნი, 1823წ. (მოსკოვში გამოცემული), K15320/309 (თბილისის ეროვნ. ბიბლიოთეკა). ტყავის ოქროტიფრული ყდა, წიგნების ფურცლების ჩამონაჭერიც ოქროთა მოვარაყებული. ყამნი რუსტიფირებულია ეროვნულ ბიბლიოთეკაში. წიგნთან ერთად აკონძეულია ერთი ცისფერი ფურცელი, ოქროს ვარაყი ამ

²²⁹ ეროვნული ბიბლიოთეკის რარიტეტის განყოფილებაში დაცულია თიბურაზ ბატონიშვილის ნაქანი კიდევ ერთი წიგნი. 1829წ. პარიზში დაბეჭდილი "ცხოვრებასა საქართველოსა", რომლის კვედა ფორზაცზე ოქრონარევი მღვდნითა დაწერია: "ესე ისტორიის წიგნი თანა მქონდა გერმანიაში რომ ვიყავი, წელსა 1836-სა" წიგნს აქვს ქაღალდადაკარული. მუყაოს ოქროტიფრული, წითელი ფერის ყდა (დაზიანებულია). ყდა ევროპაში უნდა იყოს გაკეთებული XIX ს. I ნახევარში. იხ.: K171392/309.

²³⁰ მეფის ძემ ბაგრატმა 1823 წელს პეტერბურგში ვერცხლის მოქვედლ ყდამი ჩასამეინა 1817წ. (სახვრემი დაბეჭდილი) სახარება Q 706. ძველნახეკლ წიგნს აქვს ვერცხლის მოქვედლი ყდა. ფურცლების ჩამონაჭერი ოქროტიფრულია, ყდაზე მინიდან დაკრულია მუქანე ფერის აბრეშუმის ნაჭერი. წიგნს აქვს ჭრელი მათეობასგან დაწული სანიშნი. გამოყენებულია ოქროს ძაფიც. ბაგრატმა ძველნახეკლი სახარება უძღვნა მღვდელ-მონაზონს ბესარიონ ფაულენის ძეს (ანდერძი იხ.: 78v-79r).

ფურცელსაც შემოწრა, რომელზედაც დაწერილია ანდერძ-მინაწერი: "მათს უგანათლებულებობას საქართველოს მეფის ასულს როფსიმეს მიერთვას". მინაწერი დაწერილი უნდა იყოს გიორგი XII მის ირაკლი ბატონიშვილის ხელით. "წელს ჩაყვ მივიღე ეს ფაში სასსოფრად ჩემის ძმის უგანათლებულების საყვარლის ძმის ჩემისა მიერ მეფის გიორგის ძის ირაკლისაგან მოსკოვიდამ, ავსიტოსს პირველს. წელს ჩაყვ. მეფის ასული როფსიმე, პეტერბურგში მოსკოვიდამ". მინაწერი გიორგი XII ასულის როფსიმეს ავტოგრაფს წარმოადგენს. ვფიქრობთ, მინაწერიანი ფურცელი რესტავრაციამდე წიგნის ფორზაცი უნდა ყოფილიყო. როგორც ვხედავთ, 1823წ. დაბეჭდილი "ფაში" ტყავის ყდაში ჩასვეს, ამოტიფერეს და მოავარაყეს მოსკოვში 1823 წელს.

პარაკლიტონი 1823წ., მოსკოვში დაბეჭდილი, K825/509 (თბილისის ეროვნ. ბიბლიოთეკა). ტყავის, ოქროტვიფრული მუყაოს ყდა, ფურცლების კიდეების ჩამონაჭვრიტ ოქროთა დაფერილი. ყდის ზედაპირზე გამოსახული ტვიფრები რუსულია. ტვიფრზე დახატულია (ამოკვეთილია) ორთავიანი არწივი. თავზე სამეფო გვირგვინით. ფორზაცად გამოყენებულია ჭრელი, სქელი ქაღალდი. წიგნთან ერთად აკინძულია ორი ცისფერი, ჭვირნიშნანი ქაღალდი, რომელზეც დარჩენილია თარიღის მითითების კვალი: "18 ... (როგორც ჩანს, ჭვირნიშანი ქაღალდის დაჭრისას დაზიანდა), რუსული ასოები: ИГОФММ და ღობის შიგნით მჯდომარე კაცის გამოსახულება. ჩვენი ვარაუდით, 1823 წელს დაბეჭდილი პარაკლიტონის ყდა XIX ს. I ნახევრით უნდა დათარიღდეს.

საერთოდ, წიგნის ოქროთი შეკაშვამ და მოკიდებული უნდა ყოფილიყო წიგნის მფლობელის შესაძლებლობასა და გემოვნებაზე, რადგან საკმაოდ მკვირი ჯდებოდა. ის ხელნაწერი და ძველნაბეჭდი წიგნები, რომლებზეც გამოყენებულია ოქროს ვარაყი, ძირითადად ბატონიშვილების კუთვნილებას ან ამა თუ იმ ეკლესიის საკუთრებას წარმოადგენდა და თანაც რომელიმე შეძლებული პირისაგან შეწირულობის სახით მიღებულს.

როგორც ზემოთ განხილული ხელნაწერი და ძველნაბეჭდი წიგნების შესწავლის შემდეგ დავერწმუნდით, მოქოქილი წიგნების ყდები კერძო პირების შეკვეთითაა დაზაბებული. ჩვენ ამჯერად შევხებით 1709 წლის კიდევ ერთ პირველნაბეჭდი სახარების ყდას, რომელზეც შემორჩენილია ოქროს ვარაყი. სახარების (F1659 თსუ) ყდა ჩვეთვის საინტერესოა იმ მხრივაც, რომ მას, როგორც ნაშრომის შესავალ ნაწილში აღვნიშნეთ, ენება ხელოვებთამცოდნე შ. კვასხვაძე (იხ.: დამ. III, №6, 7).

შ. კვასხვაძის ნაშრომის – "ვახტანგ VI სტამბის წიგნი" – ერთ-ერთ ქვეთავში – ვახტანგის სტამბის "სახარებათა" ყდათათვის – ვითხვლობთ: "ვახტანგის სტამბიდან გამოსული "სახარებანი", როგორც წესი, ყოველთვის აკინძული და ყდაგადაკრული გვხვდება. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ მარტოოდნე "სახარების" ჩვენთვის ცნობილ სამ ყდაზე ვერაფრებით, რადგან ქართული წიგნის ისტორიისათვის ყდასაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება... ხელნაწერი წიგნის ცალები ("სახარება") ერთსა და იმავე დროს არის დაკაშებული და უნდა ვიფიქროთ, რომ ამ პროცესს როგორც "სახარების", ისე ვახტანგის სხვა წიგნთა სტამბიდანვე გამოსვლის ერთდროულად ჰქონია ადგილი..."²³¹. შ. კვასხვაძე თბილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცული (F 1659) პირველნაბეჭდი სახარების ყდის შესახებ წერს: "...ამ "სახარების" დაკაშების წესი, თუ მისი გვერდების ჩამოჭრა, ნათელ სურათს იძლევა საერთოდ აღებულ ვახტანგის სტამბიდან გამოსულ წიგნის დაკაშების საქმის ისტორიისათვის. "სახარებას" მილიანად შენარჩუნებული აქვს აკინძვის პროცესის პირველი სახე. დაკაშების მხრივ იგი სხვა შემთხვევების მსგავსია მილიანად აღწერილ ყდაზე მიღებული ნახატი, ლითონზე რელიეფურად ამოყვანილი ტვიფრითაა მიღებული და ჩვეულებრივ ცხელი წესითაა ნაწარმოები... ყდის მომზარებელი ზოლი – ორნამენტული მოტივი როგორც "სახარებისა", ისე ვახტანგის სტამბის სხვა ზოგიერთ წიგნთათვისაც ნახმარი, აქ ამ "სახარებაზე" პირველადაა გამოყენებული..."²³². ჩვენ ვერ დავეთანხმებით ავტორის ამ მოსაზრებას, რადგან უნივერსიტეტის სახარების ამ ცალს (F – 1659), რომელზედაც საუბარი აქვს შ. კვასხვაძეს, ყდის ზედაპირზე ჩარჩოდ მიჰყვება ერთმაგი უწყვეტი რიგი დეკორატიული რკალის მაგვარი ორნამენტისა, რომელსაც ცალი მხრიდან აკრავს ერთმაგი, დაკბილული დეკორატიული ხაზი. რკალებს შორის გვხვდება სამსკვალის მაგვარი, დეკორატიული ბურთულები (იხ.: პირველნაბეჭდი ტვიფრების კატალოგი, დამ. II, №290). მსგავსი ორნამენტი ამაღე ხშირად შეგვხვედრია როგორც ვახტანგი VI მიერ გამოცემული წიგნების ყდებზე, ისე XVIII ს. გადაწერილი ხელნაწერების ყდებზეც. მაგლითისათვის დავასახელებთ რამდენიმეს: 1710წ. დაბეჭდილი კონდაკი, K192 – 583/309 (თბილისის

²³¹ შ. კვასხვაძე, დასხ. წიგნი, გვ. 19-20.

²³² იქვე, გვ. 22.

ეროვნ. ბიბლიოთეკა), F 19621 (თსუ); 1713წ. კურთხევანი, F 195 (თსუ-ს ბიბლიოთეკა); H 462, გადაწერილია მოსკოვში, 1733წ., დამკვეთი ვახტანგ VI. აქვე აღვნიშნავთ, რომ ხელნაწერის ფურცლების ჩამონაჭკერი ოქროთა მთავარაგებულები; H 192, გადაწერილია 1781წ.; H 110 [XIX ს.]. იხ.: დამ. III, №24,34,52.

“ჯერის მკლავებს შორის დარჩენილი თავისუფალი არე, – განაგრძობს ავტორი, – რაც სქემით სფერულ სამკეთხედს უახლოვდება, – კომპოზიციურად, შევსებულია მდრალიონში ჩასმულ მახარებელთა (მათე, ლუკა, იოანე, პეტრე) გამოსახულებით. ამ მდრალიონზე ამოტვიფრული წარწერა ვეკლა შემოხვევაში ქართულია და თუ მივიღებთ მხედველობაში მათ დედანთა დაშვადების წესსა და მხატვრული შესრულების პირობასა და პროცესს, მაშინ, რასაკვირველია, მათ ადგილობრივ წარმოებაში, მათი შემსრულებელი ოსტატის ქართველობაში, იმაში, რომ ამ კომპოზიციების დედანთა შემსრულებელი და ლითონზე ამოკვეთი მხატვარი ქართველი იყო, ეჭვიც არ შეგიძლია შევიტანოთ. ცხადია, რომ იგი მხატვრულად გადაუწყვეტია ქართველ ოსტატს ...ქართულიდან ერთად ზოგიერთ სხვა ცალზე ნახვდება სლავურები, რაც არც ისე მოულოდნელად უნდა ჩაითვალოს, თუ მივიღებთ მხედველობაში მხედველ წიგნების გავრცელების იმ ტრადიციას, რაც ამ დროისათვის არსებობდა რუსეთსა და საქართველოს შორის...”²³³. მართლაც, მახარებლებს აქვთ ქართული ასომთავრულით შესრულებული განმარტებითი წარწერები: მათე, მარკოზი, ლუკა და იოანე (პეტრე შექანიური შეცდომა). იხ.: პირველნაბეჭდი ტვიფრების კატალოგი, დამ. II, №50,51,52,53. იგივე მახარებელთა ტვიფრებთა გამოსახული 1740წ. გადაწერილი კონდაკის ყდაზე – H 2905; მოსკოვში დაბეჭდილი 1743წ. ბიბლიის ყდაზე – K75/609, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ისინი დაშვადებულია ქართველი ოსტატის მიერ. სრულად დასაშვადებელია მიგვაჩნია, რომ მახარებელთა ეს ტვიფრები ან შეკვეთით იყოს დაშვადებული, ან შემოტანილი რუსეთიდან. ამაზე მეტყველებს თეთი ოვალური ტვიფრების მოჩარჩოება. ბარკოს ორნამენტი დამახასიათებელი იყო XVII-XVIII სს. (პეტრეს დროინდელი) რუსული ხელოვნებისათვის ევროპის გავლენით²³⁴, ხოლო რაც შეეხება მახარებელთა ტვიფრებზე არსებულ ქართულ განმარტებით წარწერებს, ვფიქრობთ, ისინი აქ გაკეთდა.

გვხვდება მათე მახარებლის ერთი ისეთი ტვიფრი, რომელზედაც, მართალია, განმარტებითი წარწერა ქართული ასომთავრულითაა შესრულებული, მაგრამ ამ სახით: “მთე”²³⁵ (K18106/409 თბილისის ეროვნ. ბიბლიოთეკა, 1709წ. სამოციქულო, იხ.: დამ. II, №440; ერეკლე II-ის დაბეჭდილი 1786წ. სახარება F 20021. (თსუ), განსხვავებული მათე მახარებლის ტვიფრი). ვფიქრობთ, მოვიანი ხანის ტექსტებში (XVII-XVIII სს.) მსგავსი მოვლენა რუსული ენის გავლენით უნდა აიხსნას. ზემოთ დასახელებულ ტვიფრებზე მათე მახარებლის განმარტებითი წარწერა აშკარად რუსულიდან გადმოღებული უნდა იყოს – სახელიდან “Матфей”, თავად რუსულშიც, ალბათ, ბერძნული დაწერილობით არის გადატანილი. გვხვდება მათე მახარებლის კიდევ ერთი ტვიფრი, რუსული განმარტებითი წარწერით (იხ.: პირველნაბეჭდი ტვიფრების კატალოგი, დამ. II, №44, III №2) დასახელებული ტვიფრი გვხვდება პირველნაბეჭდი სახარების ყდაზე (K3312/403 თბილისის ეროვნ. ბიბლიოთეკა), აგრეთვე XVIII ს. გადაწერილი ხელნაწერთა ყდაში. მაგ. A 133, H 177.

დაუფრუდნეთ ისევე F 1659 (თსუ) სახარების ცენტრში გამოსახულ ოვალური მოყვანილობის ტვიფრებს (დამ. II, №4, 16), ისინი აშკარად რუსული წარმომავლობისა უნდა იყოს. ზედა ფრთის ცენტრში გამოსახულია ჯვარცმის კომპოზიცია. იგი ჩასმულია ოვალური ფორმის მდრალიონში, რომელსაც აკრავს რომის მოყვანილობის, მცენარული ორნამენტებით მოხატული ჩარჩო (დამ. II, №4). ქვედა ფრთაზე ამოტვიფრული ოვალური მდრალიონი წმინდა რუსული წარმომავლობისაა. მასზე გამოსახულია ორთავიანი არწივი გვირგვინით და ქვეშ ჯვარცმის გამოსახულებით (დამ. II, №16). დასახელებული ტვიფრი გვხვდება XVIII ს. ძველნაბეჭდი და ხელნაწერი წიგნების ყდაზე. მაგ. ერეკლე II სტამბაში დაბეჭდილი 1786წ. სახარება, F 20016 (თსუ). ფაშნი 1768წ., ათანასე ამილახვარის გამოტვიფრული K12186/209 (თბილისის ეროვნ. ბიბლიოთეკის ცალი); იგივე ნახატის შემცველი ტვიფრი, მხოლოდ განსხვავებული ჩარჩოთი, გვხვდება 1731წ. მოსკოვში მელქისედეკ კაკასიძის (აბელის შვილი) გადაწერილ A 74 ხელნაწერის ყდაზე. ხელნაწერის ყდა და ფურცლების ჩამონაჭკერი ოქროთა მთავარაგებულები. თუმცა ამ ტვიფრზე საუბრისას მ. კვასხვაძეც

²³³ შ. კასხვაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 22-24.

²³⁴ ევროპულ ხელოვნებაში ბარკოს ორნამენტი ჩნდება XVI-XVII სს. იხ.: Pèquignot-Schwarze, Ornamente im Laufe der Jahrhunderte (150 Ornamentische von der Renaissance bis zum Biedermeier), aus der Dr. Wolfgang Schwarze Verla 56 Wuppertal 2, p. 6.

²³⁵ ზმირად XI-XII სს. ქართულ ტექსტებში სახელები ბერძნულიდან გადმოსცემის ზემოწინებით სიზუსტით, ადატაციის გარეშე. მაგ.: გელათის ბიბლიაში (A 1108) უხვადაა მსგავსი შემთხვევები (ეს ცნობა მოგვაწოდა ბ. ვიგინიშვილმა).

აღნიშნავს მის რუსულ წარმომავლობას, მაგრამ ამ ფაქტს ხსნის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობით და მას თბილისში დამზადებულად მიიჩნევს²³⁶.

1709წ. სახარება (F 1659 თსუ) დაზიანებულია (დამ. III, №6, 7). ხის დაფების კიდეები ირიბადაა მოთლილი. წიგნის ფურცლების ჩამონატყრი ოქროთა მთავარაყვებელი, როგორც ჩანს, წიგნი ვინმე შეძლებული პირის კუთვნილება უნდა ყოფილიყო და ყდაც მისივე დაკეთით უნდა იყოს გაკეთებული. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოქროთი მონათავსებელი წიგნები სტამბიდან არ გამოდიოდა, რადგან სტამბა ვერ უზრუნველყოფდა წიგნების არამც თუ მასობრივად, არამედ ამა თუ იმ გამოცემის ბოლიანი ტირაჟის ოქროთი შეკაზმვასაც კი. რაც საკმაოდ დიდ თანხებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. წიგნთან ერთად (F 1659) როგორც თავში, ასევე ბოლოში აკინებულია რამდენიმე ფურცელი, რომელზეც გვხვდება 1746 წლით დათარიღებული მინაწერი: "...შე ზურაბ ანათავას (?) წელსა 1746...", მინაწერი დაზიანებულია. წიგნის ფორზადაც იგივე ქალაქად გამოყვებული, ქალაქად ჭვინინშიანია – ოვალურ მედალიონში ჩასხულია მარცხენა მხარეზე ნაჯახვადებული დათვის გამოსახულება, მედალიონს ადვას სამეფო გვირგვინი, იტიხება რუსული ასოები: ЯМАЗ ჭვინინშიანი რუსული მანუფაქტურის წარმოებულა: "Ярославская мануфактура Алексея затрапезного". ს. კლემიკოვი ამ ასოებით გამოსახულ ქალაქს 1756 წლით ათარიღებს. საერთოდ, ამ მანუფაქტურიდან ქალაქი 1731 წლიდან გამოდის²³⁷. ყოველ შემთხვევაში, 1746წ. მინაწერის თანახმად თამამად შეგიძლია ყდა XVIIIს. 40-იანი წლებით დაეთარილო.

ქრ. შარაშიძე პირველნაბეჭდი წიგნის გაფორმების შესახებ წერდა: "არასპეციალისტთათვისაც ადვილად შესაძრევია, რომ პირველნაბეჭდი წიგნების ერთი ნაწილი ადგილობრივი ქართველი მხატვრების ნამუშევარი უნდა იყოს. ხელოვნებათმცოდნემ შ. კვასხვაძემ ერთი მათგანის გვაჩვენა კი ამოკითხა 1708 წელს დამზადებულ ნიმუშზე. მაგრამ ეს ფაქტი არ გააბლევს ვახტანგის სტამბის წიგნების ყველა მორთულობის ქართულად გამოცხადების უფლებას"²³⁸. ქრ. შარაშიძე არ ეთანხმებოდა მკვლევარს²³⁹.

როგორც ვხვდებით, არც ქრისტინე შარაშიძე იზიარებდა ბოლომდე შ. კვასხვაძის აზრს. ჩვენ ვარაუდის სახით ვიტყვი, რომ ვახტანგის პირველნაბეჭდი წიგნების გაფორმებაში ერომანეთს ერწყმის ქართული, აღმოსავლური და ევროპული სტილი ხელნაწერი წიგნების გაფორმების ტრადიციისა, არ შეიძლება უარყოფილი იქნეს ევროპული ძეგლებზე წიგნის გაფორმების გაგონა²⁴⁰.

მართალია, ვახტანგის სტამბის ყველა წიგნი აკინებული და შემოსილია, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ისინი ამ სახით გამოვიდა სტამბიდან.

საინტერესოა, თუ როგორ უკეთდებოდა ყდები ევროპის სტამბებში გამოცემულ ძეგლებზე წიგნებს? ამ საკითხთან დაკავშირებით ცნობას გვაწვდის ლ. კისელევას წიგნი. მასში ვკითხულობთ: "Первые печатники приглашали переплетчиков-ремесленников переплестать печатные книги так же, как и рукописные. Иной раз переплетчик становился печатником и вместе со своими помощниками переплетал напечатанные книги. В книгопечатании рост тиражей перекрывал возможности печатников по изготовлению переплетов книг, поэтому значительная часть тиража продавалась без переплетов. Случалось, что книги у печатника покупал переплетчик, а затем в переплетенном виде продавал читателям. Нередко частные лица, купив книгу без переплета, заказывали его по своему вкусу"²⁴¹

²³⁶ შ. კვასხვაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 24.

²³⁷ С. А. Клепиков, Филигрань, с. 23, № 2 (უფრო ჰეავს), გვ. 20, 70, №749, 748. იგივეს იმორებს ავტორი 1978 წ. გამოცემაში. ის.: С. А. Клепиков, Филигрань на бумаге русского производства XVIII – начала XX века, Москва. 1978. 236, 237.

²³⁸ ქრ. შარაშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 106.

²³⁹ ქრ. შარაშიძის პირადი არქივი № 323, გვ. 5 (დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში).

²⁴⁰ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ XVIII ს. ბევრი ქართული ხელნაწერი ევროპული და რუსული წარმომავლობის გრავიურებითაა შესრულებული: H 404, H 162; Q 134; A 46, A 724; S 1508, S 4987, S 5229; დასაბუთია გრავიურების გაყენით: A 152, A 515, A 901 (ფურცლების ჩამონატყრი ოქროთა დაფერილი), A 1454. საინტერესოა, XVIII ს-ში გადაწერილი S 395 ხელნაწერი, რომლის 89 გვერდზე წარმოდგენილია არჩილ მეფის გრაფიკული პორტრეტი (ტახტზე მჯდომი), რომელიც უხსტად იმორებს (მაძაცს) ძეგლებზე წიგნებში ვახტანგ VI გამოსახულებს. ნასატო შესრულებულია შავი ფერის საღვავით. ერთი შეხედვით, თითქოს მეფის პორტრეტი დასატულია აღმოსავლური მხატვრობისათვის დამახასიათებელი სტილით. როგორც უნდავთ, პირველნაბეჭდ წიგნებში გამოყენებულმა გრავიურამ გაყენა იჭინა XVIII ს. გადაწერილი ხელნაწერი წიგნის გაფორმებაზე (თუმცა, ზემოთ მითხარილი მაგალითით, არც ისაა გამოირსებული ვიფიქროთ, რომ თავად ხელნაწერმა იჭინა გაყენა პირველნაბეჭდ წიგნზე).

²⁴¹ Л. Киселева, დასახ. ნაშრ., გვ. 68.

როგორც ვხედავთ, ევროპის სტამბებში ყველა ძეგლსაბეჭდვლად წიგნს ყდა არ უკეთდებოდა, რაღაც ნაწილი უფროდაც იყიდებოდა. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ევროპის სტამბებში ყდებს ისევე ხელნაწერის მმართველები აკეთებდნენ. ვფიქრობთ, იგივე ტრადიცია უნდა ყოფილიყო თბილისის პირველ სტამბაშიც. ზემოთქმულის შემდეგ, უცხოელ არ უნდა მოგვეყვანოს ანთიმოზ ივერიელის საქციელი. ანთიმოზს 1709 წელს დაბეჭდილი სახარების ის ცალი, რომელიც უნგრეთ-ულანეთის მეფისთვის უნდა მიეძღვნა, ვფიქრობთ, უფრო მიიღო, თავად ჩასვა ძვირფას ყდაში და ამ სახით მართვა გასპარაღდა²⁴².

ხელნაწერთა ინსტიტუტის ბიბლიოთეკის ფონდებში ინახება ერთი პირველნაბეჭდი სახარება № 8. წიგნი ჩვენთვის იმით არის საინტერესო, რომ მას ყდას უკეთებს ხელნაწერი წიგნის ცნობილი მკაზმეული მაკარი გიორგის შვილი (იხ. დამ. III, №10).

პირველნაბეჭდი სახარების (№8) ყდას გეომეტრიულად დანაწევრებული ფართობი შედგება ჩარჩოს და შიდა ნაწილისაგან – პირველი აშია ფოთლოვანი ორნამენტის უწყვეტ რიგს წარმოადგენს (დამ. II, №324), მეორე კი სადაა, გამოყენებულია ფაქიზი, მცენარეული ორნამენტის უწყვეტი რიგი (დამ. II, №326). ყდას ზედა ფრთაზე, შიდა სივრცის ოთხივე კუთხეში კომპოზიციების ჩარჩოებს საკუთხედის ფორმა აქვთ დახლოებით ისეთი, როგორებიცაა გვხვდება კატალოგში (დამ. II, №44,45,46,47). კარგად გამოირჩევა ოქროთი მოვარაყებული გამოსახულებები მჯღომარე პოზაში (დამ. III, №10), მუხლებზე დადებული წიგნებით. მახარებლებს თავზე აქვთ რუსული განმარტებითი წარწერები. ზევით – მათე და მარკოზი, ქვევით ლუკა და იოანე (ღრმა ტიფურა, აქა-იქ დაზიანებულია). მახარებელთა ტანსაცმელი დრამირებულია, რაც ფიგურებს ერთგვარ დინამიურობას ანიჭებს. მახარებლები წარმოდგენილი არიან სიმბოლოებთან ერთად: მათესთან ანგელოზი, მარკოზთან-ხარი, ლუკასთან-ლომი, იოანესთან-არწივი, ტრადიციულად იერუსალიმის ფონზე. თითოეულ ტიფურზე გვხვდება ბიბლიური სიუჟეტები: მათესთან-“იესეს ხე”, რაც მიგვანიშნებს ქრისტეს გენეალოგიასა და თავად მათეს სახარების დასაწყისზე; მარკოზთან – ღმერთის გამოსახულება, ლუკასთან – ანგელოზი, შესამდებელია ხარების სცენიდან²⁴³; იოანესთან-ნათლისღების სიუჟეტი²⁴⁴. ქვედა ფრთის ოთხივე კუთხეში ამოტიფურულია ორნამენტები – ფოთლოვან – ყვავილოვანი აქცენტების სახით (დამ. II, №113,118).

ზედა ფრთის ცენტრში გვხვდება ჯვარცმის კომპოზიცია (დამ. II, №4); ქვედაზე კი გამოსახულია ებრაელთა მუეფ დაკითხი. ნახატი წარმოადგენს ევრების კომპოზიციას (დამ. II, №18). ტიფურის ვრცელი აღწერილობა იხ. ქვემოთ). დასახლებული ტიფური შეგვეხვედრია ჯანაშიას მუხუდის ბიბლიოთეკაში დაცული 1720წ. პარაკლიტონებზე – 8/9320, 8/9315; კურთხევენზე 1713წ., F-195 (იხ.: დამ. III, №52); დაკითხი, 1788წ. (ერეკლე II გამოცემა), K9728/209 (თბილისის ეროვნ. ბიბლიოთეკა), როგორც ზედა, ისე ქვედა ოვალური მუღალონები ჩასმულია ორბობის მოყვანილობის მცენარეულ ჩარჩოში.

პირველნაბეჭდი სახარების (№8) ყდაზე შეკერვის ადგილები რელიეფურია. ყდაც ამოტიფურულია. წიგნს აქვს ორი შესაკრავი – ტყავის თასმები მეტალის თავებით (დაზიანებულია).

სახარების (№8) 298 გვერდზე გვხვდება მინაწერი: “შე, მაკარი გიორგის შვილმან, შეკვარ სახარებაჲ ესე 1751 წელს მაისს 23”. მინაწერი ოღნავ არის დაზიანებული წიგნის კიდების ჩამოჭრისას. წიგნის ჩამონაჭერი ოქროთი მოვარაყებული, შესაძლოა, მინაწერი კიდების ოქროთი დაფერის დროს დაზიანდა. საერთოდ, წიგნის კიდების ჩამოჭრასა და ოქროთი მოვარაყებს წიგნის “მკაზმეული” (“შემკერელი”) ასურებოდა წიგნის ყდაში ჩასმაღვე.

როგორც მინაწერიდან ჩანს, ამ სახარების შემკერველი არის ვინმე მაკარი გიორგის ძე. ამ

²⁴¹ ქრ. შარაშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 90.

²⁴² სხვა ტიფურებზე ლუკასთან გვხვდება – შობის სიუჟეტი შტრ. სამოციქულო, 1709წ. K18106/409 (თბილისის ეროვნ. ბიბლიოთეკა); იგივე ტიფურები გვხვდება H 3 ხელნაწერის ყდაზე – გადაწერილია 1768წ., გადაწერილი სიონის დეკანოზის შვილი ზაკარია, რომელიც მოხსენიებულია A 101 ხელნაწერის გამაყვებულზე. ამ პირების შესახებ ზემოთ გვექონდა საუბარი, H 177, XVIII ს., ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, A 1454, 1746 წ., გადაწერილი სიონის დეკანოზის შვილი ნიკოლოზი. (დამ.: II, № 46).

²⁴⁴ რაც შეეხება სიუჟეტურ სცენებს, ორსაბოლოანი კომპოზიციებით, ელ. მაჭავარიანის დაკვირვებით, დამახასიათებელია მახარებელთა ბრანშული და რუსული მინიატურებისათვის. ქართული მინიატურების შტავესი მინიატურები ჩნდებიან XVI საუკუნის. იხ.: ელ. მაჭავარიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 152-153. ნაშრომის 150-151 გვერდებზე ავტორი განიხილავს მახარებელთა გამოსახულებებს სიმბოლოებთან ერთად.

პროვინციის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ფ. სიხარულიძე²⁴⁵. XVIII ს. 60-იან წლებში მაკარი ვერ ქრისტიანობა სმოთველის ამაღლება, ხოლო შემდეგ იოსებ სამებელის. სამი წლის ერთგული სამსახურის შემდეგ იოსებმა მის სიგელით თავისუფლება მიანიჭა. მაკარი მრავალ ქართულ გამოცემას ყვებით ამკობს (ამ პერიოდში არ რუსული წიგნების ყვებასაც ამზადებდა) და იმდენად დახელოვნებულია წიგნის ყვით შემკობაში, რომ სახელოსნოდან საკმაოდ დიდი შემოსავალი ქაინია. როგორც ვხედავთ, ჩვენ მიერ აღწერილი ყვა გაკეთებულია 1751 წელს მოსკოვში ცნობილი ქართული წიგნის “შემკურების” მაკარი გიორგის შვილის მიერ. ხოლო რაც შეეხება პირველნაბეჭდი სახარების (№8 ხელნაწ. ინსტ.) ქაღალდს, ტექსტი დაბეჭდილია 1705 წლით დათარიღებულ ჭვირნიშნაინ ქაღალდზე²⁴⁶.

ვახტანგ VI სტამბიდან გამოსული პირველნაბეჭდი წიგნების (1709-1722წწ.) შემოსავაც, ვფიქრობთ, იმავე წესით ხდებოდა, როგორც ეს მიღებული იყო ევროპის სტამბებში, მაგრამ, როცა ამ საკითხს ვეხებით, არ უნდა დაგვაიწყვიდოს ის გარემოება, რომ საქართველოში სტამბის წარმოებას თავად მეფე განაგებდა, უშუალოდ მის მიერ იქნა ჩამოყვანილი რუმინეთიდან მესტამბე მიხეილ უნგროვლახელი. “განმგებელმან ქართლისამან ბატონიშვილმან ვახტანგ მოვიყვანე მესტამბე ვლახეთით და გვაკეთე სტამბა”, – ვკითხულობთ თბილისში გამოცემული წიგნების ვახტანგ VI წინასიტყვაობაში. ერეკლე II 1749 წელს აღადგინა ვახტანგის სტამბა, რომელიც 1795წ. ალა-შამშად-ხანის შემოსევის შედეგად თბილისთან ერთად განადგურდა. ხოლო რაც შეეხება მოსკოვში XVIII ს. დაბეჭდილ ქართულ წიგნებს, როგორც ვიცით, იქ ბეჭდვას სათავეში ედგნენ ქართველი ბატონიშვილები. ეკონომიკური ხელშეწყობის გამო ბაქარს თხოვნით მოუპარტავს სინოდისათვის, მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში უსასყიდლოდ დაბეჭდვით ქართული საეკლესიო წიგნები. სინოდმა უარი განაცხადა ქართული წიგნების უსასყიდლო გამოცემაზე და პეტერბურგში მათ დაბეჭდვაზე²⁴⁷. ვერც მოსკოვში მყოფი არჩილ მეფე 1705წ²⁴⁸. და ვერც ბატონიშვილი ბაქარი ვერ შეძლებდნენ თითოეული გეგმულარის ტყავის ყვადმი ჩასმას. ამის დასტურია ის ბედი, რაც ბაქარის 1743წ. დაბეჭდილ ბიბლიის 200 ცალს ეწია. როგორც ვიცით, ბაქარმა სულ დაბეჭდა ბიბლიის 300 ერთეული. მან ძველნაბეჭდი ბიბლიის 100 ცალი ერთში ჩაალაგა და გადაწყვიტა მათი საქართველოში გამოგზავნა. წიგნები გზაში გააჩერეს, მხოლოდ 1761 წელს ბაქარის ძის ალექსანდრეს ჩარევით ვახდა შესაძლებელი მათი ჩამოტანა საქართველოში. ხოლო რაც შეეხება მოსკოვში დატოვებულ 200 ბიბლიას, ისინი განადგურდა ბაქარის სასახლის აღწერის დროს. ისე არ-ღაირია აუკინძავი, ნესტისაგან დაზიანებული წიგნების ფურცლები, რომ მათი დაწყობა და შეკრება შეუძლებელი შეიქნა. ამ საკითხზე ს. უზანეთიშვილი წერდა: “Осталось только переплетенных 100 экземпляров, которые Бакар предполагал отправить в Грузию”²⁴⁹.

ეროვნული ბიბლიოთეკის რარიტეტის განყოფილებაში საშუალება გვქონდა გვეხეხა ბაქარის ბიბლიის ყვები. წიგნების ფორმატის სიდიდის გამო ყვები შედარებით მასიურია. ისინი ძირითადად გაფორმებულია სადა, ერთმავი მცენარეული (უფრო მაქმანის მაგვარი) და ლეკორატიული რკალის მსგავსი აშით (ამგვარი გაფორმება დამახასიათებელი უნდა იყოს XVIII ს. რუსული ყვებისათვის ევროპული წიგნის გავლენით). როგორც ვხედავთ, ბაქარის ბიბლიის ყვები გაკეთებულია მოსკოვში. 1743წ. ბიბლიის ყვებზე მუშაობისას შეგვხვდა ჩვენთვის საინტერესო რამდენიმე ანდერძ-მინაწერი, სადაც ვიკებთ, რომ ბაქარ ბატონიშვილს

²⁴⁵ ფ. სიხარულიძე, რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან XVIII ს. 60-იან წლებში, “შეგობრობა”, თბილისი, 1981, გვ.123.

²⁴⁶ С. А. Клепиков, Филлиграни, с. 304, К № 1420.

²⁴⁷ ი. კასრაძე, ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნები, თბილისი, 1973, გვ. 49-51.

²⁴⁸ ძველნაბეჭდი წიგნების ყვებზე მუშაობისას ვხედავთ არჩილ მეფის მოსკოვში 1705 წელს დაბეჭდილი დაკინიონი, F248/1 (თბილისის ეროვნ. ბიბლიოთეკა). რომელიც ჩასმულია ტყავის ყვადმი. ყვადმი გამოსახული ორნამენტები ისეა დაზიანებული, რომ ქაღალდზე მათი გადმოღება შეუძლებელია. იგივე სახის ტიპოფურები ამაღ გვეხვება A 61, XIII ს. გადაწერილი ხელნაწერის ყვადმი. ხელნაწერი წიგნის ყვადმი ფორზაცზე დაწერილი მინაწერიდან ვიკებთ, რომ წიგნი განაუხლებია არჩილ მეფეს. იგივე ტიპოფურები ამაღ გვეხვება 1713 წ. დაბეჭდილი კურთხევის ყვადმი, F1381/3 (თბილისის ეროვნ. ბიბლიოთეკა), დამ. II, № 341.

²⁴⁹ ს. უზანეთიშვილი, რუსულ-ქართული კულტურის ურთიერთობის ისტორიიდან XVIII საუკუნეში, კრებული, ლიტერატურული ძიებანი, X, თბილისი, 1956, გვ. 233. ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი გააჩნია თბილისის ეროვნული ბიბლიოთეკის რარიტეტის განყოფილების თანაშრომელს დ. მანაძეს. მისი აზრით, ზემოთ დასახვებულ ბაქარის დაკინიონი 200 ბიბლიიდან ნაწილი გადარჩენილია (ნაშრომი წაკითხული იქნა კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდა ეროვნულ ბიბლიოთეკაში 1994წ.).

წინასწარ ჰქონდა გააზრებული, თუ სად, რომელ ეკლესიაში უნდა დაედო, ან ვისთვის უნდა მიეძღვნა მის მიერ მოსკოვიდან საქართველოში გამოგზავნილი, ქართულ ენაზე პირველად სრულად დაბეჭდილი ბიბლია: “მიუბოძეთ წმიდა ესე დაბადება ყოზლარელ იაკობ მღვდლის შვილს გაბრიელს მთავარსა, საქართველოს მეფის ბაქარის მოსახსენებლად” (K33/609 თბილისის ეროვნ. ბიბლიოთეკა); “წმიდა ეკლესიის კაცხისავე, მცირე ესე ნამუშავენი ჩემი დაბადება შეიწირე რუსეთით და მეოხ მეყაე მუდლით, ძით და ასულით, ულ[ა] (K36/609 თბილისის ეროვნ. ბიბლიოთეკა, ანდერძი აღდგენილია იოანე ნებერიძის მიერ); “ქ. წმიდა ეკლესიის ნინოწმიდისავე, მცირე ესე ნამუშავენი ჩემი დაბადება შეიწირე რუსეთით და მეოხ მეყაე მუდლით, ძით და ასულით, (K74/609 თბილისის ეროვნ. ბიბლიოთეკა); “ქ. გიბოძეთ, შენ, წმიდა ესე დაბადება, მეფის ბაქარის ნაჭირანხუდევი, წინამძღვარს მოსეს, სულისა მისისა საოხად და მოსახსენებლად” (ხელნაწ. ინსტ., დაცულია ჯავახიშვილის კაბინეტში). მსგავსი ანდერძებით შემონახული წიგნები, დ. მაჩაიძის ვარაუდით, გამოგზავნილია მოსკოვიდან ბაქარის გარდაცვალების შემდეგ. მისი თქმით, ეს ეგზემპლარები დაკარგულად მიჩნეული ცალკების ნაწილი უნდა იყოს.

ამრიგად, თუ წარმოვიდგინოთ საქართველოს იმ მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, რომელშიც მოუწია მოღვაწეობა ვახტანგ VI, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მასაც გაუჭირდებოდა მასობრივად ჩაესვა ტყაის ყდაში ძველნაბეჭდი წიგნი, რადგან ტყაი ყოველთვის ძვირად ფასობდა და თან ძნელად იმოგებოდა (იგივეს ვიტყვით XVIII-XIX სს. სხვა ქართული სტამბების შესახებაც). შესაბამისად, ტყავადაკრული ყდაში ჩასმული წიგნი ძვირი ეღირებოდა, წიგნის ყიდვას ყველა ვერ შეძლებდა. ამიტომ სტამბის მუშაკები შეეცდებოდნენ ფასის დაკლებისა და აგრეთვე დროის მოგების მიზნითაც აკინძული წიგნი უფლოდ გაეყიდათ. ის პირი, ვინც შეიძინდა უფლო წიგნს, თავად შეეცდებოდა საკუთარი გემოვნებით და შესაძლებლობების მიხედვით დაეკეთა ყდა. ძველნაბეჭდი წიგნების ყდები, ვგულისხმობთ როგორც აკინძის პროცესს, ისე ყდის ზედაპირის გაფორმებას, არაფრით განსხვავდება იმავე პერიოდის (XVIII ს.) ხელნაწერთა ყდებისაგან. ეს ფაქტი შეიძლება აიხსნას იმით, რომ ძველნაბეჭდი წიგნების შემოსვას ისევე ხელნაწერთა “შეაზმეველები” ასრულებდნენ. ვახტანგის პირველნაბეჭდი წიგნების ყდების ზედაპირზე, მართალია, ერთი და იგივე ტიფური ხშირად მეორდება, მაგრამ თითოეულ ყდაზე განსხვავებას გვაძლევს ამ ტიფურების მონაცვლეობა და მათი განლაგება (გვხვდება იდენტური ყდებიც), რაც დამოკიდებული იყო წიგნის “შეაზმეველის” გემოვნებაზე. სწორედ, ამან განაპირობა ძველნაბეჭდი და XVIII ს. ხელნაწერი წიგნების ყდების მრავალსაზოგადოებრივი.

პირველნაბაპლი წიგნების ყვანაჲ
ბამოსახული ბიჟრამი (კატალოგი)

ჩვენს წიგნთსაცავებში დღეისათვის ვახტანგის სტამბიდან გამოხული წიგნების 20 დასახელებაა დაცული. თბილისის პირველ გამოცემებს ჩვენამდე სრულად არ მოუღწევია²⁵⁰. მწელია იმის განსაზღვრა, თუ რა ტირაჟით გამოვიდოდა პირველნაბეჭდი წიგნების თითოეული დასახელება.

ყდებზე მუშაობისას შეისწავლეთ და აღევრეთ, საილუსტრაციო მასალის თანხლებით, ვახტანგ VI პირველნაბეჭდი წიგნების ტყვედაკარული, ამოტვიფრული ყდების 136 ერთეული²⁵¹ და შეადგინეთ ყდის ზედაპირზე გამოსახული ტვიფრების კატალოგი (დამატება II, III).

ამასთან, პირველნაბეჭდი წიგნების ყდებზე მუშაობის პროცესში, შესადარებელი მასალის მოძიების მიზნით, აღევრეთ ერეკლე II მთერ 1749-1800წწ. დაბეჭდილი წიგნების ყდების 104 ერთეული (ინახება თბილისის ეროვნულ და თსუ-ს ბიბლიოთეკებში), აგრეთვე ხელნაწერთა ინსტიტუტის H²² და A ფონდში დაცული ხელნაწერების ყდების 223 ერთეული. მართალია, ზოგიერთი მათგანი გადაწერილია ადრეულ საუკუნეებში (მაგალითისათვის დავასახელებთ რამდენიმე ხელნაწერს: A 124, დიდი სუკულის კანონი, XI ს.; H 341, კრებული, XI ს.; H 1662, მამათა სწავლანი, 1040 წ.; H 1661, სინაქსარი, 1156 წ.; A 148, თორღანე სტუდიელი, სწავლანი სულიერი, XI-XIII სს.; A 205, არსენ ვარკეს ძე, დოგმატიკონი, XIII ს.; A 101, იოვანე ოქროპირი, თარგმანება იოვანეს სახარებისა, XIII ს., A 49, პარაკლიტიკონი XVI ს., H 627, პარაკლიტიკონი, XVI ს., H 1348, სახარება და სამოციქულო გამოკრებილი [1546 წ.], H 626, ქუთაისის საყდრის დავთარი, 1578 წ. და სხვა), მაგრამ ამთავითვე უნდა აღენიშნით, რომ მათ თავდაპირველი ყდები არ შემორჩათ. ადრეულ საუკუნეებში გადაწერილი ხელნაწერი წიგნების შედარებამ პირველნაბეჭდი წიგნების ყდებთან მივიყვანა იმ დასკვნამდე (მხედველობაში გვაქვს როგორც ტყვედაკარული, ირიბად მოთლილი ხის დავების მოყვანილობა, აკინძების ტექნიკა, ისე მათი ზედაპირის ტვიფრებით დაფორმება), რომ ბევრი მათგანი ხელახლა ჩასვეს ტყავის ყდამო XVIII-XIX სს. 30-იან წლებში.

გვხვდება ისეთი ხელნაწერი და ძველნაბეჭდი წიგნების ყდები, რომლებიც იმდენად გეანან ვახტანგის სტამბიდან გამოხულ წიგნების ყდებს, ვითვალისწინებთ როგორც ტყავის ყდებზე გამოყენებული ტვიფრების სახეობებს, ისე მათ განლაგების ყდის ზედაპირზე, რომ თავისუფლად შეგვიძლია მათ ტიპური ყდები ვუწოდოთ. მაგ. იხ.: H 1662, მამათა სწავლანი, 1040 წ., (დამ. III, №18).

H 1661, სინაქსარი, 1156 წ., (დამ. III, №45. ამ ხელნაწერების ყდებზე ზემოთ გვეკონდა საუბარი).

A 101. იოვანე ოქროპირი, თარგმანება იოვანეს სახარების, XIII ს. (დამ. III, №8).

H 1348, სახარება და სამოციქულო გამოკრებილი [1546 წ.](იხ. ზემოთ), H 627, პარაკლიტიკონი XVI ს.; A 62, ფერებ ასურისაკეტიკონი, 1706 წ. ხელნაწერის დამკვეთია დომენტი კათალიკოსი. ყდის ზედა ფრთაზე გვხვდება ოთხკუთხედის ფორმის, პატარა ზომის დამლა, რომელზეც იკითხება: "აღამალიანთ პოლოს". იხ.: აგრეთვე A 635, დიდი სინაქსარი, XII-XIII სს-ში გადაწერილი ხელნაწერის ყდა, რომელზედაც გამოსახულია იგივე ტვიფრები და იგივე დამლა (იხ.: ყდის ქვედა ფრთა); A 47, სამხედველმთავრო კონდაკი, XVIII ს., (დამ. I, №22; დამ. III, 8,9,48,49).

A 205, არსენ ვარკეს ძე, დოგმატიკონი, XIII ს., (დამ. III, №4).

H 626, ქუთაისის საყდრის დავთარი, 1578 წ., (დამ. III, №18). როგორც ზემოთ აღენიშნეთ, ყდა გაკეთებული უნდა იყოს XVIII ს-ში.

²⁵⁰ ქრ. შარაშიძე, დასახ. ნაშრ, გვ. 105; იხ.: აგრეთვე "ქართული წიგნი", I, გვ. 9-32.

²⁵¹ დაცული: თბილისის ეროვნული ბიბლიოთეკის რარიტეტის განყოფილება, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პეტერბურგის სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საყარო ბიბლიოთეკის ფონდებში, ს. ჯანაშას სახ. საქ. სახელმწ. მუზეუმში, სულხან-საბა ორბელიანის სახ. სახელმწ. წიგნის პალატაში, გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმში.

²⁵² მაგ.: H ფონდის 792 ხელნაწერიდან ამოტვიფრული ტყავის ყდა აქვს მხოლოდ 153 ერთეულს, აქედან 93 იმთავითვე პირველნაბეჭდი წიგნების ყდებზე გამოსახულ ტვიფრებს. იგივე შეგვიძლია ვთქვათ A ფონდში დაცულ XVIII და XIX სს. გადაწერილ და შეკაზმულ ხელნაწერების ყდებზეც.

A 11, კურთხევანი, XVIII ს., A 120, ტიპოთე გაბაშვილი, მარწუხი, XVIII ს.; A 118, ტიპოთე გაბაშვილი, მარწუხი, XVIII ს.; H 193, სამხედრო წიგნი, XVIII ს.; H 172, სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, 1755წ.; H 260, წიგნი ლოცვათა, XVIII ს., (დამ. III, №15, 3).

H 177, ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, XVIII ს.; A 5 დედმარხვის მეტაფრასი, 1756წ., გადწერის ადგილი თბილისი; A 113, თეოფილაქტე ბულარელი, განმარტებაჲ ლუკას სახარებისაჲ, XVIII ს.; A 1454, კრებული 1746წ., გადამწერი სიონის დეკანოზის შვილი ნიკოლოზი; H 3, იოანეს თავის თარგმანება, 1768წ., გადამწერი სიონის დეკანოზის შვილი ზაქარია, ადგილი თბილისი, (დამ. III, №2, 17).

H 15, ჟამნი, 1738 წ., გადამწერი თომა, ადგილი თბილისის სიონის ეკლესია; H 623, მეტაფიზიკა XIX ს., (დამ. III, №28, 55).

H 374, სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, 1828წ.; H 786, სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, 1841წ.; ორივე ხელნაწერის გადამწერია ბერი გიორგი მიქელაძე; H 463, ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს ისტორია, XIX ს.; H 262, სასიკრატოს, წამება მოწამისა გიორგისა, XVIII-XIX სს.; (დამ. III, №50, 53, 54, 58, 43). ამავე ტიპის ყდები გვხვდება ერეკლე II ძველნაბეჭდი წიგნების გამოცემებზე, რომლებიც დაცულია თბილისის ეროვნ. ბიბლიოთეკაში: პარაკლიტონი, 1772წ., K275/509, F110/5; სახარება, 1791 წ., K360/509; კონდაკი, 1783 წ., K34179/309; სამოციქულო, 1791 წ., K285/509, ძველნაბეჭდი წიგნებზე დაწერილი მინაწერებიდან ვიკებთ, რომ ისინი ურუკის მონასტრის საკუთრებას წარმოადგენდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ დასახელებული ყდები 1713 წ. დაბეჭდილი კურთხევანის ყდის იდენტური ყდებია (დამ. III, №50).

H 398, თუმანოვი დავით, გეოგრაფია, 1816 წ., გადწერის ადგილი თბილისი; H 280, ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, XIX ს.; H 387, ქილილა და დამანა, გადამწერი ნიკოლოზ სიონის დეკანოზი, ადგილი თბილისი; H 5, იოვანე დამასკელი, წინამძღვარი, XVIII ს.; H 71, ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, XVIII ს.; H 413, მხითარ სევასტიელი, რიტორიკა, XVIII ს. (დამ. III, №23). ყდის ამავე ტიპს მიეკუთვნება H 337, მეტაფიზიკა, 1779წ.; H 70, ალაბიტი დიაკონი, სამეფო ქარტა ანუ ტომარი, 1782წ.

H 192, ანტონ I, წყობილისიტყვაობა, 1781 წ. (დამ. III, №40, 38).

H 256, მხითარ სევასტიელი, რიტორიკა, 1782წ.; H 90, ნიკოლოზ ორბელიანი, ჟორნიკონი, 1790წ. გადამწერი მღვდელი ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილი, ადგილი მოსკოვი; H 257, იოვანე ოქროპირი, ოქროს წყარო, 1796წ.; H 584, სულხან-საბა ორბელიანი, 1807წ., (დამ. III, №37, 44).

H 395, ოთხთავი, 1770წ., გადამწერი ვენატე თურმანოვი, (დამ. III, №6, 57, ქვედა ფრთა (დამ. III, №45).

H 205, კრებული, 1802 წ.; H 212, მეტაფიზიკა, 1802 წ.; H 224, ანტონ I, შემოკლებული ფიზიკა თორენტეკები; H 225, ანტონ I, წყობილისიტყვაობა, 1802წ.; ოთხივე ხელნაწერი გადამწერილია ანჩისხატის დეკანოზის დიმიტრი ალექსიძის ხელით (დამ. III, №19).

ერეკლე II გამოცემები: პარაკლიტონი, 1772წ., K274/509 (თბილისის ეროვნ. ბიბლიოთეკა). მარწუხანი, 1793წ. K362/509 (თბილისის ეროვნ. ბიბლიოთეკა), სამოციქულო, 1791წ., K1203/509 (თბილისის ეროვნ. ბიბლიოთეკა), სამოციქულო, 1791 წ., F 20032 (თსუ) (დამ. III, №45).

სახარება, 1786 წ., F 20013 (თსუ) (დამ. III, №2).

კონდაკი, 1783წ., F 19642 (თსუ), კონდაკი, 1783წ., K192640/309 (თბილისის ეროვნ. ბიბლიოთეკა), ჟამნი, 1791წ., K169629/309, K13420/2 K12058/209 (თბილისის ეროვნ. ბიბლიოთეკა) (დამ. III, №№22, 23, 28, 36, 51, 55).

კონდაკი, 1783წ., K12058/209 (თბილისის ეროვნ. ბიბლიოთეკა) (დამ. III, №24).

ლოცვანი, 1784წ., F 19918 (თსუ) (დამ. III, №44 და სხვ.).

პირველნაბეჭდი და XVIII ს. ხელნაწერი წიგნების ყდების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა XVIII ს. ყდების ძირითადი ნიშნები: ხის დაფები, რომელთა კიდევები ირიბადაა მოთლილი, გადმოდის და ფარავს წინის მთლიან ბლოკს. ყუაზე რელიეფურია შეკერვის ადგილები. ყველა ძველნაბეჭდი წიგნს ყუაზე აქვს ერთმაგი, ჭრელი მათევისსაგან დაწნული კაპტალი. ხის დაფებზე (შიდა მხარეს) აკრავდნენ ყდის საცავ ფურცლებს ანუ ფორზაკებს. ხის დაფებს ფრავდნენ სხვადასხვა ფერად შეღებილი ტყავით, რომელიც შეიძლება შეგვეხედეს როგორც ამოტივფრული, ისე ამოუტივფრავი. ხაზებითაა გაფორმებული აგრეთვე ირიბად მოთლილი ტყავადაკრული ხის დაფების კიდევები.

პირველნაბეჭდი წიგნების ყდებზე ტიფურა შესრულებულია ძირითადად “ბრმა” ტიფურის ტექნიკით.

ზუსტად ისე, როგორც ეს ასახულია ვახტანგ VI ნაშრომში (§ 244, "თეგი"), რაზედაც ზემოთ უკვე ვკვირდა საუბარი. მართალია, გვხვდება ოქროთი მოვარაყებელი პირველნაბეჭდი წიგნების ყლებიც, მაგრამ, ჩვენი აზრით, ისინი კერძო პირების შეკვეთით უნდა იყოს დამზადებული.

ძირითადად, პირველნაბეჭდი წიგნების ყლებისათვის და საერთოდ, ამ პერიოდის (XVIII-XIX სს.) ქართული ხელნაწერი და ძეგლნაბეჭდი წიგნებისთვისაც, დამახასიათებელია ყდის ზედაპირის სადა გაფორმება. ქართული წიგნის და, ძეგლნაბეჭდი იქნება ეს თუ ხელნაწერი, რაც არ უნდა დიდი და მასიური იყოს. მაინც ყოველთვის "მსუბუქია", რასაც ქართველი მკაზმველი ტყავის ყდის ზედაპირზე ტვიფრების ზომიერი გამოყენებით აღწევს. როგორც წესი, ქართული წიგნის ყდის გაფორმებისას ყურადღება ექცევა ყდის ცენტრალურ არეს, კუთხეებს, კიდეებს, ხოლო ყდის შიდა სივრცის დიდი ნაწილი (ტყავი) კი რჩება თავისუფალი (რაც თავად მასალის შერჩევის, მისი აღქმის საშუალებას იძლევა) რომელზეც აქა-იქ შეიძლება შეგვხვდეს "შემავსებელი" ტვიფრების სადა, "ლაკონური" აქცენტები, ზოგჯერ "კომბინირებული" სახითაც კი. მაგრამ მკზმველი, ყველა შემთხვევაში, ცდილობს არ გადატვირთოს ტყავის ყდის ზედაპირი. ზემოთქმულის ნათელსაყოფად იხილეთ ნაშრომზე დართული ილუსტრაციები (დამატება III)²⁵³, რომელშიც შეტანილია ჩვენ მიერ გადმოღებული პირველნაბეჭდი წიგნების ყდების ნიმუშების მცირე ნაწილი, რაც, ეფიქრობთ, დაგვიხმარება გარკვეული სურათი შევიქმნათ XVIII-XIX სს. წიგნების ყდებზე და მათ გაფორმებაზე.

არის შემთხვევები როდესაც ყდაზე გამოყენებულია ორი ან სამი ტვიფრის კომბინაცია, მაგრამ მკაზმველი ასერხებს ისე განლაგოს ტვიფრები ყდის ზედაპირზე, რომ მნახველს უჩნდება მრავალსახონების განცდა. მაგ. იხ.: 1710წ. დაბეჭდილი კონდაკი F1-386/3 (თბილისის ეროვნ. ბიბლიოთეკა), დამ. III, №29 – ყდის ზედაპირს აშინად მიჰყვება ერთმაგი დეკორატიული რკალის წყვეტილი რიგი (დამ. II, №298), რომელსაც კრავს სამი ხაზისაგან შემდგარი ჩარჩო. ყდის ცენტრში ამოტვიფრულია რადიალურად განსხვავებული დისკო (დამ. II, №355), რომელიც შედგება პატარ-პატარა, ბოლოებ შეტვრილი სამკუთხედებისაგან, ორნამენტის სახე მაღისურთია. სამკუთხედებს კრავს წრიული მოყვანილობის, ჯერის გამოსახლების "შემავსებელი" ტვიფრი (დამ. II, 217), რომელიც ჯერის ფორმაზე განლაგებული, თავისუფალი ადგილის შესავსებადაც გამოიყენება ყდაზე, ხოლო შიდა სივრცის ოთხივე კუთხეში წარმოდგენილია რადიალურად განსხვავებული დისკოს სეგმენტი (დამ. II, №356).

კონდაკი, 1710წ., K15446/309 (თბილისის ეროვნ. ბიბლიოთეკა), დამ. III, №30,31 – ზედა ფრთა განსხვავება ჭედასაგან: ზედა ფრთას ავსებს ერთმაგი ფოთლოვან-ყვავილოვანი აშის წყვეტილი რიგი. (დამ. II, №254), რომელსაც ჩარჩოდ მიჰყვება სამ-სამი ხაზი. შიდა სივრცეს კეთს სამ-სამი ხაზისაგან შემდგარი დიაგონალი, რომლის გადაკვეთის ადგილზე გვხვდება ფოთლოვან-ყვავილოვანი აქცენტები (დამ. II, №124), სწორედ ის ყვავილოვანი ორნამენტი, რომელიც გამოიყენებულია აშინად. მკაზმველი ცდილობს ყდის ცენტრში ამოტვიფროს რადიალურად განსხვავებული დისკო (დამ. II, №353), მაგრამ პროპორცია ტვიფრების განლაგებისას ოდნავ დარღვეულია, შიდა სივრცის ოთხივე კუთხეში კი ამოტვიფრულია ფოთლოვანი აქცენტები (დამ. II, №161), რომლებიც ჭედა ფრთის ძირითად ორნამენტს წარმოადგენენ. ჭედა ფრთას აშინად აკრავს ფოთლოვანი ორნამენტების ერთმაგი, წყვეტილი რიგი (დამ. II, №254), ორნამენტი სტილიზებულია, შესრულებულია წრიული, ფაქიზი ხაზებისაგან. აშის ახლავს სამ-სამი ხაზისაგან შემდგარი ჩარჩო. შიდა სივრცის ცენტრალურ არეს ავსებს ჯერის ფორმაზე განლაგებული 4 ფოთლოვანი ორნამენტი (დამ. II, №352), ტვიფრების განლაგებისას პროპორცია აქაც დარღვეულია შიდა სივრცის ოთხივე კუთხეში გვხვდება ზედა ფრთის ძირითად ორნამენტად აღებული თითო ფოთლოვან-ყვავილოვანი აქცენტი (დამ. II, №124), რომელიც ყდაზე თავისუფალ ადგილს ავსებს. როგორც ვხვდებით, ჩვენ მიერ აღწერილ პირველნაბეჭდი წიგნის ყდაზე მკაზმველი ტყავის ზედაპირის მხატვრულად გაფორმებისას იყენებს მხოლოდ ორი სახის ტვიფრს, რომელთა კომბინაციაც ყდას ანიჭებს მრავალსახონებას, მაგრამ აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ყდის შიდა სივრცე თითქმის თავისუფალია, ე. ო. შეიძლება ითქვას, რომ წიგნის ტყავით შემოსილი ზედაპირი არაა გადატვირთული.

სრულიად განსხვავებულ სურათს იძლევიან, მხატვრულად გაფორმების თვალსაზრისით, რუსული XVII-XVIII სს. ხელნაწერი და ძეგლნაბეჭდი წიგნების ყდები, რომელთა შემკობისას მკაზმველს არ რჩება

²⁵³ დამ. III, № 61, 62 წარმოადგენენ 1709 წ. სახარების ზედა და ჭედა ფრთებს. მსგავსი ყდები დამახასიათებელია XVII-XVIII სს. რუსული წიგნებისათვის. მაგ. იხ.: დამ. I, № 35-38, 44, 45.

ამოუტიფრავი ტყავი. იგი "ხალიჩისებურად", თითქმის ერთიანად ტვიფრავს ტყავის ზედაპირს. მისთვის არა აქვს მნიშვნელობა წიგნი დიდი ფორმატის იქნება, თუ მცირე. მართალია, ზედა ფრთაზე ყდის ოსტატი ასერებს ცენტრის გამოყოფას ამოუტიფრავი, თავისუფალი ამიის სახით, მაგრამ ეს გამოყოფა იმდენად ნაკლებადაა აქცენტრირებული, რომ იგი იყარება თავად ორნამენტზე და ერთი მთლიანი ნახატის შთაბეჭდილებას ტოვებს, რასაც ვერ ვიტყვით კვდა ფრთების გაფორმებაზე, რომლებზეც ცენტრის თითქმის არ არსებობს და ტვიფრებით შესრულებული ნახატი ერთ მთლიანობაში აღიქმება. ხოლო რაც შეეხება საუკუნეების მანძილზე იმ ეტაპობრივ ცვლილებებს, რაც არა ერთგზის აღენიშნათ რუსული ყდების შემსწავლელთ (მხედველობაში გვაქვს ხის დაფების მოყვანილობა, რის მიხედვითაც XVIII ს. ყდებს განასხვავებდნენ XVIII-XIX სს. ყდებისაგან), ჩვენც, შეძლებისდაგვარად, შევეცდებით ყდებზე ეტაპობრივი ცვლილებების გათვალისწინებით, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ჩამოვთვალოთ რუსული ხელნაწერი და ძველნაბეჭდი წიგნები.

ეტიტაპურგში მივლინების დროს აღწერეთ სალტიკოვ-სნედრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა და რარიტეტის ფონდებში დაცული XVII-XVIII სს. გადაწერილი და დაბეჭდილი რუსული წიგნების ყდების 104 ერთეული და გადმოვიღეთ რუსული წიგნების თითოეული ყდის ნიმუში. მაგალითისათვის დაეასახელებთ რამდენიმე წიგნს: ხელნაწერები, რომელთა ტყავგადაკრული ხის დაფების კიდები ირიბადაა მოთლილი, ფარავს წიგნის მთლიან ბლოკს, მაგრამ, მავე დროს, ზედაპირი კიდებთან ჩაღრმავებულია, რაც, თავის მხრივ, ყდას მასობრივად ანიჭებს. იგივე შეიძლება ითქვას XVIII ს. რუსულ ძველნაბეჭდი წიგნების ყდებზეც (დამ. I, №35,36). ხელნაწერები: Псалтырь лицева, 1594г., Москва, Кир-Бел. 7/12, Апостол, XV-XVII вв., Сол. 42/42, Апостол, XVI-XVII вв., Сол. 41/41, Андрей Кесаринский, XVII в., Сол. 59/59, Апостол, XVII в., Сол. 39/39, ძველნაბეჭდი: Службеник, 1627 г., Москва, Ш. II. 5. 20*; Триод цветная, 1635 г., Москва, Ш. II. 2.5; Евангелие, 1636 г., Львов, Ш. II. 2. 9*.

ირიბად მოთლილი ხის დაფები ფარავს წიგნის მთლიან ბლოკს: (დამ. I, № 37-39). ხელნაწერები - Апостол, XVII в., Сол. 55/55, Четвероевангелие, XVII-XVIII вв., Кир-Бел. 85/1323, Евангелие, XIV в., Пог. 21, აღწერილობის მიხედვით ყდა გვიანდელია, ვეფქრობთ, XVII-XVIII სს.; Трифологий, XVII-XVIII вв., Кир-Бел. 470/727, Псалтырь, XVIII в., Кир-Бел. 20/25, Апостол, XVI в., Соф. 34, აღწერილობის მიხედვით ყდა გვიანდელია, ვეფქრობთ, XVIII ს., Апостол апракос, XIV в., Пог. 14, აღწერილობის მიხედვით ყდა გვიანდელია-XVIII-XIX სს., Псалтырь, XVI в., Пог. 88, აღწერილობის მიხედვით ხელნაწერი რესტავირებული და ყდაში ჩასმულია XIX ს-ში; ძველნაბეჭდი წიგნები - Маргалит, 1641г., Москва, Ш. II. 4. 5*; Миняя служебная, 1645 г. Москва, Ш. II. 6. 13. инв., №751; Пролог, 1787г., Ш. XVIII 3. 12/1. Шестодневц, 1794г., Почаев, Ш. XVIII. 3.5.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ XVII-XVIII სს. გადაწერილი და დაბეჭდილი, ჩვენ მიერ ნანახი, რამდენიმე რუსული წიგნის ყდა, ე. ი. გარკვეული ნაწილი XVIII სს. ყდებისა (დამ. I, №40,41), გაფორმების მხრივ, გვიან პირველნაბეჭდი და XVIII სს. გადაწერილი ქართული ხელნაწერების ყდებს. მხედველობაში ვიღებთ როგორც ტვიფრების განლაგებას ყდების ზედაპირზე, ისე ერთი სახის ტვიფრების გამოყენებას XVIII სს. ქართულ და რუსულ ყდებზე. როგორც ეხედავთ, საუბარი გვაქვს ერთი ტიპის ყდებზე. ის: ხელნაწერები - Евангелие, XV в., Пог. 20, აღწერილობის მიხედვით ყდა გვიანდელია, ვეფქრობთ, XVIII-XIX სს.; Книга глаголемая меч духовных, XVIII в., Соф., 1199; ძველნაბეჭდი- Евангелие, 1636г., Львов, Ш. II. 2. 9*, Триод цветная 1631 г., Киев, Ш. II. 1.8*. დასახელებული ყდები, ვეფქრობთ, XVIII-XIX სს. უნდა დათარიღდეს; ძველნაბეჭდი: Сборник, 1700 г., Ш. VI, 1, 13, შუად. დამ. III, №45, Патерник, 1702 г, Киев, Ш. VI. 2,3*, Пластырь 1703г., Москва, Ш. VI. 3. 3*, შუად. ქართულ პირველნაბეჭდ წიგნის ყდას (დამ. III, №37, აგრეთვე დამ. III, №24). Молитвословец, 1700г., Киев, Ш. V. 9,28, (ყდას აშიად მოყვება დეკორატიული რკალის მაგვარი და ფოთლოვან-ყვავილოვანი ორნამენტის უწყვეტი რიგი. მსგავსი ტვიფრები აშეგობად ხშირად შეგვეხვარია XVIII-XIX სს. ყდებზე (დამ. III, №6, №35 და სხვ.), Полуустав 1703, Чернигов, Ш. 5. 21* (დამ. III, № 37, აგრეთვე დამ. I, №40, 41).

რუსულ ძველნაბეჭდ წიგნებზე მუშაობისას ენახეთ აგრეთვე ე. ბუზუმი, სამხრეთ-აღმოსავლეთ რუმინეთში, დაბეჭდილი 4 რუსული წიგნი: Октоих, 1700г., Ш. VI, 1. 15; Триод цветная 1701г., Ш. 1, 2. 17, Молитвенник, 1701г., Ш. VI, 5.5, Часослов, 1703г., Ш. VI, 5. 16. საინტერესოა, თუ სად აკინმა დასახელებული წიგნები? ისინი ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილ XVIII სს. რუსული წიგნების მსგავს ყდებს წარმოადგენენ (დამ. I, №42-45). აქვე უნდა აღენიშნოთ, რომ ბოლო ორი დასახელებული წიგნის (ლოცვანისა

და ფაშის) ყდა, ტვიფრების განლაგებისა და სერთოდ, მთლიანი ყდის გაფორმების მხრივ (დამ. I, №42,43), ისევე როგორც ამავე პერიოდის ზემოთ ჩამოთვლილი რუსული წიგნების ერთი ნაწილი (დამ. I, 138,40,41), გვაგონებს ვახტანგ VI გამოცემების ყდებს. ზოლო რაც შეეხება რუმინეთში დაბეჭდილი წიგნის ყდის (ОКТОИВ, 1700 г. III. VI, 1. 15. დამ.: I, №44,45), ტიპურ მსგავსებას 1709წ. ქართული სახარების ყდასთან (K5-123/409 თბილისის ეროვნ. ბიბლიოთეკა, იხ.: დამ. III, №61, 62), ვფიქრობთ, ამ ფაქტს შეზღვევი ახსნა უნდა მოეპოვებოდეს: დასახლებული ქართული სახარების ყდა უშუალოდ გაკეთებული უნდა იყოს რუსეთში, რადგან XVIII ს. ქართული წიგნების ყდებისათვის, ძველნაბეჭდი იქნება ეს თუ ხელნაწერი, უცხოა ტყავის ყდის ზედაპირზე ტვიფრების მსგავსი განლაგება (შეადარეთ ერთმანეთს დამ. I, №44,45 და დამ. III, №61,62).

საერთოდ, XVIII ს. რუსული ყდების მსგავსება ამავე პერიოდის ქართული წიგნების ყდებთან, ვფიქრობთ, განაპირობა ევროპულმა ზელოვნებამ, რომელიც რუსეთში, როგორც ცნობილია, დაიწყო XVII-XVIII სს-დან, ზოლო საქართველოში კი XVIII ს.-დან. არც ის უნდა გამოგვჩვენებს მხედველობიდან, რომ სტამბა ევროპიდან და, კერძოდ, რუმინიდან შემოიღეს ჩვენში (XVIII ს.). ქართული ხელნაწერებისა და ძველნაბეჭდი წიგნების არსებობა იმდენად ეთხვევა დროში ერთმანეთს, რომ ძველია გამიჯნო, თუ რა სახსლე შემოიტანა დაბეჭდილობა წიგნმა (ე. ი. სტამბამ) ქართული ყდის განვითარების საქმეში. ერთი კი ცხადია, რომ XVIII ს-ში, რუსული ყდის მსგავსად (აქაც სტამბა ევროპიდანაა შემოტანილი), ქართული წიგნის გარეგნული მხარეც გამოხატულად იცვლება. მხედველობაში გვაქვს ხის დაფების მოყვანილობა და ყდის ზედაპირის მხატვრულად გაფორმება სხვადასხვა სახის ტვიფრებით. ჩვენი ვარაუდით, ეს ცვლილებები როგორც ქართულ, ისე რუსულ ყდებზე მოიტანა დრომ, რაც გამოწვეულია ორივე ქვეყნის კულტურაზე ევროპული ზელოვნების გავლენით²⁵⁴.

ვახტანგ VI სტამბიდან გამოსულ წიგნებს, როგორც ნაშრომში მრავალჯგუზის აღვნიშნეთ, გააჩნიათ ტყავის ამოტიფრული ყდები. ყურადღებას იქცევს ტვიფრების ნაირსახეობა. შეზღვევისდაგვარად, დაეაჯგუფეთ ისინი ტიპოლოგიური ნიშნების მიხედვით და მიეცით თითოეულ მათგანს რიგითი ნომერი.

გვხვდება ისეთი პირველნაბეჭდი წიგნების ყდები, რომელთა ზედაპირზე, ცენტრში ამოტიფრულია სიუჟეტური კომპოზიციების შემცველი ოვალურ (ზოგჯერ წაისრულ) ჩარჩოში ჩასმული ტვიფრები (დამ. II, №1-27). ისინი ძირითადად ბიბლიურ სიუჟეტებს წარმოადგენენ და გამოიყენება სახარებების, პარაკლიტიკების, სამოციქულოებისა და კონდაკების ყდებზე. როგორც ჩანს, ყდის ზედაპირზე ტვიფრების შერჩევისას ყურადღება ექცეოდა როგორც წიგნის შინაარსობრივ მხარეს²⁵⁵, ისე მის ზომასაც (ზემოთ ჩამოთვლილი ვახტანგ მეუის გამოცემები ძირითადად წარმოადგენენ დიდი და საშუალო ფორმატის წიგნებს)²⁵⁶.

“ცენტრის” ტვიფრი ჯვარცმის კომპოზიციით 10 სახეობისა გვხვდება (დამ. II, №1-6,8,9,11,16), ტრადიციულად იერუსალიმის ფონზე, მარიამის იოანესა და მენელსაცხებელი დედების გამოსახულებებით. განსხვავდება მხოლოდ ოვალურ მედალიონში ჩასატული ჯვარცმა (დამ. II, №16 იხ. აგრეთვე დამ. III, №4-7,10,13,14,25,33,34).

ღვთისმშობელი ყრმით ზელში – 4 სახეობის (დამ. II, №19-22), რაც შეეხება №23 ტვიფრს, ვფიქრობთ, მასზე ამოკეთილი უნდა ყოფილიყო ღვთისმშობელი, მაგრამ გამოსახულება იმდენადაა დაზიანებული, რომ ნახატის სახეობა უარცა კი ვაჩინოვება (დამ. III, №2,17).

მამა ღმერთის გამოსახულება, ზელში გაშლილი გრაგნილი – 1 სახის (დამ. II, №13). ეს ტვიფრი ზმირად გამოიყენება როგორც ვახტანგ VI, ისე XVIII ს. წიგნების ყდებზე (დამ. III, №43,54, ვფიქრობთ, გრაგნილზე მრელოვანი ასოებია ამოკეთილი).

“იესუს ხის” სიუჟეტი – 1 სახის, (დამ. II, №12, აგრეთვე დამ. III, №38). ტვიფრს აქვს რუსული გამმარტებითი წარწერა. ხის ტოტებზე გვხვდებიან ადამიანების ფიგურები (გენეალოგის აღმნიშვნელი),

²⁵⁴ ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი დანკნა უფრო ვარაუდს წარმოადგენს, რადგან იგი ემყარება იმ მასალებს, რომლებიც ძირითადად რუსულ ყდებზე მუშაობის პროცესში მოვიხიეთ. ვფიქრობთ, ამ მხრივ საკითხი არ იქნება სრულყოფილად გამოკვლეული, თუ ღრმად და საფუძვლიანად არ შევისწავლით XVIII ს. ქართული წიგნების გაფორმებას (არა მხოლოდ ხის თვალსაზრისით) როგორც რუსულ, ისე ევროპულ და აღმოსავლურ წიგნებთან მიმართებაში (ჩვენ ამ საკითხს ზედიზედ უნდა შევხებით). სწორედ, მთავალში ამ ეპოქის გვაქვს გამოხული მუშაობის გაგრძელება.

²⁵⁵ მაგ. 1712 წ. დაბეჭდილი “ვეფხისტყაოსნის” ყდებზე ძირითადად გამოყენებულია მეტნარეული ორნამენტებისაგან შემდგარი “ცენტრის” ტვიფრი (დამ. II, № 37, იხ. აგრეთვე დამ. III, № 45).

²⁵⁶ მართალია, სიუჟეტური კომპოზიციების შემცველი “ცენტრის” ტვიფრები გვხვდება მცირე ფორმატის პირველნაბეჭდი წიგნების ყდებზეც, მაგრამ მსგავსი შემთხვევები საკმაოდ იშვიათია (მაგ. იხ.: დამ. III, № 43, 54).

ხოლო ხის წვერში გამოსახულია ღვთისმშობელი ყრბით. ტიფური რუსულია.

ხარების სიუჟეტი – I სახის (დამ. II, №15). ტიფური ვეროპულია, (დამ. III, №35). ამ ტიფერთან ერთად ყვებზე გეხვდება კიდევ ერთი ოვალური ტიფური, რომელიც ჩასმულია რომის მოყვანილობის მცენარეულ ჩარჩოში (დამ. II, №18). ნახატი წარმოადგენს ვედრების კომპოზიციას. გვირგვინოსანი მეფე მუხლმოყრილია, რომელსაც თავზე ადგას ნიბი. მეფის წინ, ამპიონზე გადაშლილია წიგნი, ხოლო მიწაზე დგას ქნარი. ტიფური საინტერესოა იმით, რომ მეფის გამოსახულებას დაყურებს ანგელოზი, ხმლით ხელში. ზეციდან, სხივების სახით, გადმოედინება ღვთიური მადლი. მეფის გამოსახულების თავზე იკითხება ასო “ღ” (?), ანგელოზთან “ვ” და “ი” (?). გრაფემათა მოხაზულობა მრგვალია. საშუალოდ, ასოების მოხაზულობა, ჩვენ მიერ ნახულ ყველა ყდაზე, თითქმის წაშლილია (იხ. აგრეთვე დამ. III, №52,57). ეფიქრობთ, ტიფურზე გამოსახულია დავით წინასწარმეტყველი.

განკითხვის ანუ მეორედ მოსვლის სიუჟეტი – 3 სახის (დამ. II, №7,17,24). №7 ტიფური ყველა პირველნაბეჭდვლად წიგნის ყდაზე, რომელიც კი შეგვეყვარა, დაზიანებულია.

სამების გამოსახულება – I სახის (დამ. II, №25). დასახლებულ ოვალური მოყვანილობის ტიფერთან ერთად გეხვდება კიდევ ერთი ტიფური (დამ. II, №26), რომელზეც ქრისტეს სიმბოლო, კრავია გამოსახული (დამ. III, №24). დასახლებული ორივე ტიფური ვეროპულია.

ოვალური მოყვანილობის მედალიონი, ჯვრის გამოსახულებით – I სახის, (დამ. II, №10; აგრეთვე დამ. III, №59).

არაბიზირებული სიუჟეტის შემცველი, მართკუთხედის ფორმის, სტილიზებული ნახატის შემცველი ტიფური, საკმაოდ რთულად აღსაქმელი – I სახის, (დამ. II, №14). ეფიქრობთ, იგი წარმოადგენს ადამიანის სტილიზაციას. ტიფური გეხვდება მხოლოდ ერთ, 1717წ. ყაზის ყდაზე (იხ. ზელნაწ. ინსტ. №50, დამ. III, №56).

ოთხკუთხედის მოყვანილობის ტიფური, იგი თითქმის იკავებს მთლიანად ყდის ზედაპირს. ტიფური ვეროპულია. ნახატი წარმოადგენს ნატურმოტივს, გამოსახულია ხლით სავსე თასი, რომელსაც ზეციდან ახვს დიდი ფრინველი – I სახის (დამ. II, №27, იხ. აგრეთვე დამ. III, №32).

ვახტანგ VI გამოცემების ყვებზე (ცენტრში), ხშირად გეხვდება მცენარეული ორნამენტებისაგან შედგენილი ოვალური (ზოგჯერ წაისრული ან წრული) ფორმის კომპოზიცია – 12 სახის (დამ. II, 28-39), გეომეტრიული – 4 სახის (დამ. II, №40-43, აგრეთვე დამ. III, №12, 16, 20-23, 26, 39, 45, 50, 51, 53, 55, 58).

ამოტიფურული ყდის ოთხზე კუთხეში გამოყენებული სამკუთხედის ფორმის “სიუჟეტური” მხატვრობა, ძირითადად წარმოდგენილია მახარებელთა გამოსახულებებით; გეხვდება 14 სახის (დამ. II, 44-58, რაც შეეხება № 54, “კუთხის” ტიფურს, მასზე გამოსახულია ანგელოზი). მახარებლები ტრადიციულად გამოსახული არიან იერუსალიმის ფონზე, სიმბოლოებთან ერთად. “კუთხის” ამ საუეეტურ ტიფურებზე ნაშრომის წინა თავში გვეკონდა საუბარი. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მკაზმეულს აქვს სამკუთხედის ფორმის, მახარებელთა მხოლოდ ორი სახის ტიფური (დამ. II, №48, 49). ყდაზე პროპორცია რომ არ დაირღვეს. იგი იძლეულია უკუღმა ამოტიფურის (დამ. III, №13, 33; დამ. III, №2, 6, 10, 14, 17, 57). დამ. III, №33 წარმოადგენს 1710წ. კონდაკის ყდას (F – 316 ოსუ), რომლის ყუაზე გეხვდება ოთხკუთხედი ფორმის თეგი, მხედრული წარწერით: “მალააჲე” ან “მალააშვილი” (?). შესაძლებელია, თეგი მალააჲეთა გვარის წარწერით (დამ. II №446) კუთხის XVII–XVIIIსს. ცნობილ კალიგრაფს სოლომონ მალააჲეს, რომელიც მონაწილეობდა ვახტანგ VI-ის სტამბის საქმიანობაში. მას მიაწერენ სასტამბო მხედრული შრიფტისათვის ზელნაწერი ნიმუშის დამზადებასაც (კონდაკის ყუაზე ტიფურის სახე იღვენად ზედაპირულია, რომ მისი გადმოღევი ქალღღებე ჭირს)²⁷.

ამოტიფურული ყდის ოთხზე კუთხეში გამოყენებული სამკუთხედი ფორმის “კუთხის” ტიფური, ორნამენტის სახეს შეადგენს სტილიზებული მცენარეულობა – 12 სახის, (დამ. II, №59-70, აგრეთვე დამ. III, №7, 20, 21, 25, 38, 44, 52, 56).

²⁷ XVIII ს-ში გადაწერილ ზელნაწერის (A-107) ტყავის ყდაზე, ცენტრში ამოტიფურულია “როზეტი”, რომელზეც იკითხება მხედრულით: “ზოსიმე”. ასობი, თავის მხრივ, ორნამენტის დანიშნულებასაც ასრულებს. ყდა ყველა ნიშნის მიხედვით XVIII საუკუნისაა. მისი შემკაზმეულია ენზე ზოსიმე. მედალიონზე გამოსახული ორნამენტებისა და ქართული ასოების შერწყმა მეტყველებს იმაზე, რომ ტიფური დამზადებულია საქართველოში და მისი ავტორი ქართველი გრაფიკოსია, შესაძლოა ჩაიკაშვილის ოვალური მედალიონის (დამ. I, 34). იხ.: H 341; 1783 წ. დაბეჭდილი კონდაკი K 2532/309 (თბილისის ეროვნული ბიბლიოთეკა).

ვახტანგ მეფის წიგნების ყდებზე გვხვდება ერთმაგი ან ორმაგი აშოა. ამიბად გამოიყენება დეკორატიული რკალის მაგვარი ორნამენტები – 26, სახის (დამ. II, №284-309; აგრეთვე დამ. III, №1-3,6,7,11-16,19,22,24,25,27-29,33-35,38,39,41,45,47,52,55,59).

ფოთლოვან-ყვავილოვანი აშოა – 37 სახის (დამ. II, №247-283; აგრეთვე დამ. III, №1, 2, 4, 5, 8, 9, 15-17, 20, 21, 23, 30, 31, 36, 37, 40, 43, 44, 46, 48-50, 53, 54, 57, 58).

ზოგჯერ აშოად ხმარებული ტიფურები ყდის ზედაპირის საერთო კომპოზიციის შესავსებად გამოიყენება. ე. ი. “შემაკვებელი” ტიფურების ადგილს იკავებს (დამ. III, № 1, 5, 8, 11, 15, 16, 19, 27, 28, 30, 31, 34-37, 40-42, 46-48, 55).

გვხვდება “შემაკვებელი” ყვავილოვანი “როზეტები” – 39 სახის (დამ. II, №71-109) და აგრეთვე ჯერის ფორმის, გეომეტრიული და სიუჟეტური “შემაკვებელი” ტიფურები – 30 სახის (დამ. II, №217-246, აგრეთვე დამ. III №1-6, 9, 18, 23, 24, 26, 29, 39, 41-44, 48, 51, 52, 53, 58, 60). ზოგიერთ მათგანს მკაზმველი აშოების გასაფორმებლადაც იყენებს – 13 სახის (დამ. II, №334-346).

“შესავსებელი” ტიფურები – ფოთლოვან-ყვავილოვანი აქცენტები – 48 სახის (დამ. II, №110-157; აგრეთვე დამ. III, №5, 8, 15, 16, 22, 27, 28, 34-37, 40, 42, 43, 47-50).

“შემაკვებელი ტიფურები-ფოთლოვანი აქცენტები – 26 სახის (დამ. II, №158-183, დამ. III, №1,8, 19,30,31,42, 46,48,49).

“შემაკვებელი” ტიფურები – ნაღის მაგვარი – 33 სახის (დამ. II, №184-216; დამ. III, №11,27,41,60).

ზემოთ დასახელებული “შემაკვებელი ტიფურები, თავის მხრივ, ყდის ზედაპირზე ქნიან სხვადასხვა ტიფურის კომბინაციას. ჩვენ ამ ტიპის ვაგუფებს ეუწოდეთ “კომბინირებული” ტიფურები, რომელთა ამოტვიფირისას ზოგჯერ ყდაზე პროპორცია დარღვეულია. პირველნაბეჭდი წიგნების ყდებზე გვხვდება დაახლოებით 87 შემთხვევა (დამ. II, №347-433, დამ. III, №1, 3-5, 8, 9, 12, 15, 19, 23, 24, 26, 29-31, 37, 39, 41, 42, 46, 49, 52, 60).

ვახტანგ VI ყდებზე გვხვდება “გორგოლაჭით” შესრულებული ტიფურა. ამ ხელსაწყოს დამზადების სრულ პროცესს ვეცნობით ვახტანგ მეფის ნაშრომში. ამ ტექნიკით ამოტიფურული აშოა გვხვდება – 24 სახის (დამ. II, 310-333) “გორგოლაჭით” ტიფურადღენ უწყვეტი რიგის, როული ორნამენტის მქონე აშოებს (დამ. III, №32,60-62).

ვახტანგისეულ გამოყენებზე გვხვდება აგრეთვე “дорожник”-ით (ე. ი. სახაზავით) შესრულებული ტიფურა. ძირითადად მკაზმველები ამ ხელსაწყოს აშოების მოჩარჩოებისას და ყდის ზედაპირზე სწორი ხაზების გასალებლად იყენებდნენ (პირიზონტალური, ვერტიკალური, დიაგონალური), რომლებიც, თავის მხრივ, ყდის ზედაპირზე ქნიდნენ რომებს, ოთხკუთხედებს და სხვა გეომეტრიულ ფიგურებს. ამ ხელსაწყოთი ყდებზე ვერებსაც ტიფურადღენ (დამ. II, №434, 435, 436; დამ. III, № 1-9, 11, 16, 18, 24, 26, 27, 30, 31, 42, 47-49, 51, 55, 58 და სხვა).

პირველნაბეჭდი წიგნების ყდა ხშირად ამოტიფურული გვხვდება. გამოყენებულია ძირითადად ყვავილოვანი “როზეტები”, ფოთლოვან-ყვავილოვანი აქცენტები. იშვიათად გვხვდება პირველნაბეჭდი წიგნების ყდაზე განმარტებითი წარწერა (დამ. II, № 441). პირველნაბეჭდი წიგნების ყდები ყდაზე განმარტებითი წარწერით, ვიჭრობთ, გვიან (XVIII-XIX სს.) უნდა შეეკავათ.

ძირითადად ვახტანგ მეფის გამოცემულ წიგნების ყდებზე (და, საერთოდ, XVIIIს-ის ხელნაწერი და ძველნაბეჭდი წიგნების ყდებსაც ვკულისხმობთ) გამოიყენება ის ტიფურები, რომლებიც შევითანეთ ზემოთ წარმოდგენილ კატალოგში (დამატება II). როგორც უხედავთ, ტიფურების სახეობები არც ისე ბევრია, მაგრამ, სწორედ მათი მონაცვლობა, კომბინაციები სხვადასხვა ყდების ზედაპირზე განაპირობებს XVIIIს. წიგნების ყდების მრავალსაზოგადობას.

ამრიგად, ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგები გარკვეულ წარმოდგენას ვეიქნიან გვიანდელი (XVIII-XIXს. 30-იანი წწ.) ხელნაწერი და ძველნაბეჭდი წიგნების “შეკაზმვასა” და მათ მხატვრულად გაფორმებაზე.

გამოკლებულია ვახტანგ VI სტამბაში დაბეჭდილი წიგნების ყდები კომპოზიციური წყობის, ორნამენტული მოტივებისა თუ ტექნიკის თვალსაზრისით. გამოვლენილია მდიდარი მასალა, რომელიც XVIIIს. პირველნაბეჭდი წიგნების ტიფურული ყდების ისტორიისათვის საინტერესო სურათს იძლევა. ამას, თავის მხრივ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება წიგნის ყდის შესწავლის საქმეში.

პირითადი დასკვნები:

1.V-VI სს. რეულებად აკნბულ ხელნაწერებს წიგნის საზე აქთ. თავისთავად, წიგნის არსებობა მეტყველებს იმაზე, რომ იგი შემოსილი, ყდამი ჩასმული იყო (იხ.: A 89, 217r, 258r).

2. 864 წ. გადაწერილი სინური მრავალთავი 117 წლის განმავლობაში სამკერ შეიძოს. ყდამე გამოსახული გერების ტიპოლოგიური კვლევის შედეგად მიველით იმ დასკვნამდე, რომ ამოტიფრული ტყვის ყდამ, რომელიც დღეისათვის გამჩნა ხელნაწერს (Sin. 32-57-33), 981 წელს შესამედ გაუთუა ცნობილმა ქართულმა მოღვაწემ იოვანე-ზოსიმემ.

3. ადრეულ საუკუნეებში (X-XVI) გადაწერილ ქართულ ხელნაწერებს, მათი ზმირი გამოყენების გამო არ შემორჩათ თავდაპირველი ყდები, რაზედაც თავად ამ ხელნაწერებზე დართული ანდერძ-მინაწერებიც მეტყველებენ. მიუხედავად მათი ხელახალი შეკაზმვისა, ზოგიერთ წიგნზე გეხვდება ყდის გაკეთების ადრეული ელემენტები (ხის დაყები მოჭრილია ხელნაწერის ფურცლების პირზე, გამოყენებულია "გრეკაყის" ტექნიკა, ყუა გლეუია), რაც იმით აიხსნება, რომ ხელნაწერი წიგნების ყდები დროთა განმავლობაში, მართალია. განიცდის ევოლუციას, მაგრამ ყდის დამუშავების ტექნიკა, იარაღები უცვლელი რჩება ადრეულ XIV-XV სს. ყდებზე.

4. ჩვენი დაკვირებით, X-XV სს. ქართულ ხელნაწერთა ყდებზე როგორც წიგნის შეკერის. ხის დაყების მოშადებისა და მიმაგრების ტექნიკაში (მხვეველობაში გვაქვს ყდის "შეკაზმვის" სრული პროცესი), ისე მათი ზედპირის მხატვრულად გაფორმებაში ("საბორღოუე" ტიფორების გამოყენება ყდის ზედპირის ცენტრალურ ნაწილში, "შეკასებელი" ტიფორების ნაკვლად და პირიქით) მნიშვნელოვანი ცვლილებები არ შეიძწევა, თუ არ ჩათვლით XV სს. ხის დაყებს, რომლებიც შედარებით თხელია X-XV სს. ხის დაყებზე.

5. ადრეული ხელნაწერების ყდების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ქართულ წიგნებზე მოსალოდნელია შეგეხვდეს ბიზანტიური ხელნაწერებისათვის დამახასიათებელი წიგნების "შეკრა": "სწორხაზოვნად" ანუ ვერტიკალურად თოკების მიმაგრება ხის დაყებზე (Sin. 67; H 1331, A 516), ორმაგი ხის დაყების მიმაგრება აკნბული წიგნების ბლოკზე (H1741) და მასიური ხის დაყები, რომლებსაც სამივე მხარეს, სწორად მოთლილ კიდეებზე მიუყვებათ ჩაღმაგება (ღარი), რაც, თავად ბიზანტიურ ყდებზეც კი პაპიუსის ყდის პრინციპით აიხსნება (A 1100; H 1664). მსგავსი ტექნიკით შესრულებული ხელნაწერი წიგნების ყდები XIII, XIV-XV სს. დავათარილთ. აგრეთვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთ ადრეულ ქართულ ხელნაწერებზე გამოყენებულია "ჯაჭურვი" შეკერვის ტექნიკა (A 596, A 516, A 203; H 1331 და სხვა).

6. ცვლილებები შეიძწევა XV სს. ხელნაწერთა ყდებზე: ტყავადაკრული ხის დაყები. მოყვანილო-ბისა და მხატვრული გაფორმების მხრივ, მსგავსია XV სს. ყდების, მხოლოდ ყუაზე ჩნდება შეკერვის რე-ლიეფური ადგილები, ე.ი. არ არის გამოყენებული "გრეკაყის" ტექნიკა (შეიძლება შეგეხვდეს "გრეკაყის" ჩაღმაგება, მაგრამ ის უსათუოდ ზედპირულია. მაგ. იხ.: H 537; Q 635, A 179).

7. XVIII სს. ყდები, ვიჭრობთ, ქართული წიგნის ყდის ისტორიაში გარდამავალ საყეხურს წარმოად-გენს ადრეულ (X-XVI) და გვიანდელ (XVIII-XIX სს. 30-იან წწ.) ყდებს შორის, რაც, თავის მხრივ, ტრა-დიციების გამოყენის საშუალებასაც იძლევა.

8. XVIII-XIX სს. 30-იანი წწ. ქართული წიგნის ყდები სრულიად განსხვავდებიან X-XVI, XVII საუკუნეების ყდებისაგ: ირბიად მოთლილი ხის დაყები გადმოდის და ფარავს წიგნის მთლიან ბლოკს, ყუაზე რელიეფურია შეკერვის ადგილები.

9. XVIII-XIX სს. 30-იანი წწ. ხელნაწერი და ძველნაბეჭდი წიგნების ყდები არაფრით არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, მხვეველობაში გვაქვს როგორც ხის დაყების დამუშავების ტექნიკა, ისე მათი ზედპირის მხატვრული გაფორმება. XVIII სს. სტამბაში წიგნების ყდებს ისევ ხელნაწერთა მკაზმველები აკეთებდნენ. ტყვის ყდებზე ტიფურა შესრულებულია "ბრმა" ტიფურის ტექნიკით. მართალია, გეხვდება ოქროთი მოყავებული ძველნაბეჭდი წიგნების ყდებიც, მაგრამ, ჩვენი აზრით, ისინი კრძომ პირების შეკვლით უნდა იყოს დამზადებული.

10. ადრეულ საუკუნეებში გადაწერილი ხელნაწერი წიგნების ყდების შედარებამ პირველნაბეჭდი წიგნების ყდებთან მიყვეყანა იმ დასკვნამდე, რომ ბევრი მათგანი ხელახლა ჩასეც ტყვის ყდამ XVIII-XIX სს. 30-იან წლებში.

11. ძირითადად, XVIII-XIX სს. 30-იანი წლების ხელნაწერი და ძველნაბეჭდი წიგნების ტყვის

ყდებზე გამოყენებულია ის ტიფერები, რომლებიც გვხვდება პირველნაბეჭდი წიგნების ყდებზე (იხ.: კატალოგი, დამ. II), რომელთა რაოდენობა არც ისე ბევრია, მაგარამ, სწორედ მათ მონაცვლეობა, კომპინაციები სხვადასხვა ყდების ზედაპირზე განაპირობებს XVIII-XIXსს. წიგნების ყდების მრავალსაზოვნებას.

12. ჩვენ მიერ მოშადებული კატალოგი, რომელშიც შესულა ვახტანგ VI წიგნების ყდებზე გამოსახული ტიფერები (მასალა დაეგუფებულია კომპოზიციური წვობის, ორნამენტული მოტივებისა და ტიპოლოგიური ნიშნების მიხედვით), ვფიქრობთ, დიდ დახმარებას გაუწევს ადრეული (X-XVIIსს.), გარდამავალი (XVIIIს.) და გვიანდელი (XVIII-XIXს. 30-იანი წწ.) ხელნაწერი წიგნების ყდების შესწავლისა და დათარიღების (გამოყენების) საქმეს.

13. ცვლილებები, რომლებიც გამოხატულად დაეტყო XVIIIს. ქართული წიგნის ყდებს, ვფიქრობთ, მოიტანა დრომ (XVIIIს.), რაც ჩვენს კულტურაზე ევროპული ხელოვნების გავლენით უნდა იყოს გამოწვეული, რასაკვირველია, რუსეთის გზით (XVII-XVIIIსს.).

14. ტერმინი “შეიშოსა”, “შეიკაზმა” (აგრეთვე “შეიკრა”) სინონიმებს წარმოადგენენ. მათში უნდა ვივლისხმობთ ხელნაწერის ყდაში ჩასმის სრული პროცესი. ტერმინი “შეიშოსა” ძირითადად გვხვდება X-XIIIსს. დათარიღებულ ანდერძებში (უფრო X-XIIსს.), “შეიკაზმა” მინაწერებში XIII-XIVსს. ჩნდება (“შეიკრა” კი XIVს-დან). ეურადლება უნდა გავამახვილოთ ამ სიტყვების შინაარსობლივ მხარეზეც, რომელშიც მხატვრობის აღმნიშვნელი ელემენტი არ უნდა გამოვრიცხოთ. ტერმინებს ორი მნიშვნელობა აქვთ: 1. ხელნაწერი წიგნის შეკრა, აკინძვა რეულებად და მისი ტყავგადაკრულ ხის ყდაში ჩასმა, 2. ტყავის ყდის ზედაპირის მხატვრულად გაფორმება, ტიფერების მეშვეობით.

История переплета грузинской книги

Резюме

Возникновение и развитие рукописи, как целостного кодекса, тесно связано с историей грузинской письменности. Целью настоящего труда является изучение полного процесса формирования переплета грузинской рукописной и старопечатанной книги.

Необходимость рассмотрения этих вопросов впервые была высказана акад. И. Джавахишвили в 1926г., тем не менее история грузинского переплета практически все еще не изучена. Представленная работа является первой попыткой в этом направлении.

На основе кодикологического и текстологического анализа, руководствуясь принципами историко-филологического изучения и учитывая научные теории (Б. Регемортера, Б. Аракеяна, Ж. Гинара, П. Симона, Л. Кисилевой, С. Клепикова, Е. Шварца, А. Казиева и других) в работе разработана система датировки переплета грузинских рукописных и старопечатных книг.

Для прослеживания исторического процесса развития грузинской традиции переплетного дела в работе обработана обширная коллекция грузинских рукописных и старопечатанных книг из фондов Института рукописей им. К. Кекелидзе АН Грузии, тбилисских музеев и книгохранилищ, Российской Национальной библиотеки (Петербург) - всего 700 единиц. Для восстановления эволюционного процесса книжного дела изучены многочисленные сведения, хранящиеся как в древнегрузинских литературных памятниках (V-XVIII вв), так и в приписках грузинских рукописей Синайского, Афонского и Иерусалимского монастырей (IX-XVII вв.).

История переплетного дела восходит к истокам грузинской письменности. Первое упоминание о книге, как целостном кодексе, зафиксировано в агнографическом памятнике "Мученичество св. Шушаник" (У в.).

Следы тетрадной пагинации сохранились на листах грузинских палимпсестов V-VI вв. (А 89, 217 г, 258 г, фонда Института рукописей им. К. Кекелидзе). В приписках древних рукописей (X-XVII вв.) Иерусалимского, Синайского и Афонского монастырей неоднократно упоминается о первичных, вторичных и в отдельных случаях третичных переплетах ранних рукописных книг (Sin. 32-57-33, 864 г., Sin. 46, Xв.; Ath. 13, XIв.; Ath. 4, XIв.; Jer. 48, XIв.; Jer. 20, XII-XIII вв.).

На основе типологической систематизации материала, изучения техники шитья тетрадей, метода прикрепления деревянных досок и различия как их форм, так и орнаментального теснения кожного покрытия в работе выделены три этапа развития грузинской традиции переплетного дела: ранний (X-XVI вв.), переходный (XVII в.) и поздний (XVIII - 30-ые г. XIX в.).

В работе выделены особенности переплета свойственные каждому этапу:

